ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

9

1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

338

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

9

სექტემბერი

1985

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

3. მარადიული თანამდევი

## პროზა და პოეზია

6. მედეა კახიძე — ლექსები
9. ნომადი ბართაია — ლექსები
11. რეზო ჭეიშვილი — მეოთხე სიმფონია. მოთხრობა
46. დავით მჭედლური — ლექსები
49. ირმა მეზურიშვილი — ლექსები
51. მერაბ აბაშიძე — ცეცხლში განბანილნი. მოთხრობა
84. გიორგი გაბაშვილი — ლექსები
85. ოთარ წურწუმია — მოთხრობები
92. ნარგიზა სოფრომაძე — ლექსები
93. რაულ მამალაძე — ლექსები
94. ჯანრი გოგეშვილი — თეთრი კედელი. რომანი. გაგრძელება

## ახალი თარგმანები

116. ვლადიმერ პოლეტაევი — თარგმნეს ნინო ქუთათელაძემ და ლალი ჭაფარაშვილმა

## სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

119. მედეა შავლიაშვილი — პროექტის მთავარი ინჟინერი

## გამოსათხოვარი

124. მამუკა წიკლაური — ჩვენ სასწაულს მოვესწარით
124. გივი ალხაზიშვილი — ათასწლოვანი ხმა
126. გურამ პეტრიაშვილი — ვმღეროდი

## წერილები

128. გიორგი ჩარკვიანი — ვისთვის რას იტყვი
143. აკაკი ბაქრაძე — უსინათლო მარათონელი
147. გიული ლეჟავა — ჩეხური კრიტიკა თანამედროვე ქართული პროზის შესახებ

## ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

154. კახა ჯამბურია — „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის“

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუბლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მარადიული თანამედროვე

ახლოვდება ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი თარიღი — ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავი.

ახლოვდება დღეები, დღესასწაულად რომ უნდა გადაიქცეს, როცა ილია ჭავჭავაძის უკვდავი სახელის ირგვლივ ისე უნდა მოვგროვდეთ, როგორც ჩაუქრობელ კოცონთან! მისი შარავანდედით უნდა გავბრწყინდეთ, მისი ემბაზით უნდა განვბანოთ სული და გონება, ამ ჩაუქრობელ კოცონთან შემოკრებილნი კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმ მარადიულ კითხვებზე, რასაც დიდი ილიას გონება დასტრიალებდა, კიდევ ერთხელ უნდა გავუსწოროთ თვალი ამ კოცონის სინათლესა და სიმაღლეს და კიდევ ერთხელ მოწიწებით უნდა მოვიყაროთ მუხლი იმ ადამიანის ხსოვნის წინაშე, ვინც ერმა თავის მამად და სულიერ წინამძღვრად მიიღო, ვისგან განათებული კლდეპტრითაც გაიკვლია სავალი გზა.

ილია მარადიული თანამედროვეა ჩვენი ერის ცხოვრებისა, ჩვენი ყოველი დღისა და ღამისა, მაგრამ საიუბილეო დღეებში, როგორც ზენიტზე შემდგარი მნათობი, უფრო ახლოს უნდა ვიგრძნოთ ამ სამშობლოსათვის დაფერფლილი გულის ცემა, უნდა ვიცხოვროთ უფრო ინტენსიური ცხოვრებით, ისე როგორც ილიას ეოცნებებოდა, და ამ განსაწმენდელში მოხვედრილთ, არ უნდა გვტოვებდეს იმის განცდა, რომ ილია ცოცხალია! ცოცხალია მისი უკვდავი სიტყვა, ცოცხალია მისი ყოველი საქმე, რასაც გულის ნაწილი შეალია, და რომ დღევანდელი საქართველო მისი უკვდავი სახელის ძეგლადაა აღმართული!

ისტორიის ბედუკუღმართ გზებზე ერის დიადი შვილები თითქოს იმიტომ იბადებიან, რომ უკვდავყონ თავიანთი სამშობლო და მასთან ერთად სახელიც თავისი! ილია ჭავჭავაძე სწორედ ამგვარ ბედის ვარსკვლავზე მოუვლინა განგებამ ქვეყანას.

მან, როგორც ბიბლიურმა წინასწარმეტყველმა, ისე გაიყვანა თავისი ერი სამომავლო გზებზე, სასიცოცხლო ძალები გამოუღვიძა, იმედითა და სასოებით აავსო, წყლულები მოუშუშა და ხნულში სამომავლო თესლი ჩაყარა!

წარმოუდგენელია იმ როლისა და მასშტაბების განსაზღვრა, რა როლიც მან ქართველი ხალხის ისტორიაში შეასრულა. მისი მოსვლა მესიანურ მოვლინებას ჰგავდა, მესიანური იყო მთელი მისი ცხოვრება და თვით ცხოვრების დასასრულიც...

„ამაო იყო მტრის წადილი შებრძოლებოდა იმას, რაც მარადისია, მოესპო გასროლილი ტყვიით ის, რაც უკვდავია, უკვდავია ილიას საქმე.

ილიას სახე დღეს ჩვენ გვინათებს ქართველი ერის დიდ წინაპართა სახეებს შორის.

ჩვენმა თანამედროვეობამ მიიღო ის ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც ილიამ ქართველ ერს უანდერძა.

ახალმა საქართველომ ღირსეულად დააფასა ილიას ღვაწლი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე ინგოროყვას ეს სიტყვები ამ ორმოცდაათი წლის წინათ, ილია ჭავჭავაძის ასი წლის იუბილესთვის დაიწერა.

ახლა საქართველო ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავის საიუბილეოდ ემზადება.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე სადღესასწაულო მზადების ვრცელი პროგრამა დასახა. ცხადად გამოჩნდა ის მასშტაბები, რომლითაც დიდი მწერლის იუბილე უნდა აღინიშნოს: „ეს იუბილე უნდა გადაიქცეს დიდ საერთო-სახალხო დღესასწაულად, რომლის კანონიერი გმირი თვით ილია ჭავჭავაძე უნდა გახდეს, დღესასწაულმა უნდა წარმოაჩინოს დიდი ილიას ღვაწლი, როლი და მნიშვნელობა ქართველი ერის, ქართული კულტურის ისტორიაში", — აღნიშნა ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა.

ჩვენთვის, ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალისა და მწერლობისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის შემდეგი სიტყვები: „ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია სწორად განვსაზღვროთ ილია ჭავჭავაძის როლი ქართველი ერის ისტორიაში, რათა მომავალმა თაობებმა, მოსწავლე და სტუდენტმა ახალგაზრდობამ კარგად უწყოდნენ, თუ ვინ იყო მათი დიდი წინაპარი, იცოდნენ ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მან დასდო სამშობლოს სამსახურს. ამ დღესასწაულმა უფრო მეტი სულიერი საზრდო უნდა მისცეს ახალგაზრდობას — ცხოვრებისეული გაიხადოს ილიასეული პრინციპები... მომავალი იუბილესათვის მზადება უნდა გახდეს ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და პატრიოტულ-ინტერნაციონალისტური აღზრდის მკაფიო გაკვეთილები, თავისი წვლილი შეიტანოს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებაში".

ჯუმბერ პატიაშვილის ამ სიტყვებში ჩვენი ჟურნალის წინა საიუბილეო სამზადისის პროგრამასაც ვხედავთ. რედაქცია საგანგებო რუბრიკით პერიოდულად მიაწვდის მკითხველს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებს, წერილებს, გამოკვლევებს. გარდა ამისა, უნდა ვეცადოთ, რომ მთლიანად ჟურნალი „ცისკარი" გამსჭვალული იყოს ისეთი მაღალი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი სულისკვეთებით, როგორსაც დიდი ილიას უკვდავი სახელი გვავალებს, უფრო ახლოს უნდა მივიდეთ საზოგადოებრივ პრობლემებთან, პირუთვნელი და უკომპრომისო ბრძოლა გამოვუცხადოთ ყველაფერს, რაც ხელს უშლის ჩვენს უკეთეს მომავალს, რაც წინ ეღობება ერის სულიერი და კულტურული ცხოვრების შემდგომ წინსვლას.

სწორედ ამ ბრძოლაში, ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში, გვეხმარება დიდი ილიას ცხოვრება და შემოქმედება. იგია ცოცხალი მაგალითი, თერგის მარად მშფოთვარე ტალღებივით ფხიზელი და დაუმორჩილებელი, ცხოვრების ორომტრიალში ყელამდე ჩაფლული, ხალხისა და ქვეყნის სამსახურს შეწირული, „ერის წყლულებს" დადარაჯებული, მის შინაგან თუ გარეშე მტრებზე ხმალამოღებული, ამოუწურავი ძალითა და ენერგიით აღსავსე, რომლის ნებამაც არ იცის დაღლა და მორჩილება, არ იცის დანდობა და თავის დადრეკა, არ იცის არავითარი კომპრომისი, როცა საქმე საქვეყნოა, როცა საზოგადოებრივად მავნე აზრი და ტენდენცია წამოყოფს თავს!

ამ დიადი თარიღის მთავარი აზრი ისაა, რომ ჩვენი ხალხის უფართოესი მასებისათვის გავხადოთ მახლობელი ილიას აზრი და საქმე, მისი უკვდავი სიტყვა. „სიტყვა საქმეაო", ბრძანებს იგი. სიტყვა მაშინაა საქმე, როცა ხალხის გულამდე აღწევს, როცა ხალხი უსმენს, ირწმუნებს და გაჰყვება ამ სიტ-

ყვას. ეს იუბილეც კიდევ ერთი ახალი ხიდია — ილიას უკვდავი სიტყვის ხალხის გულამდე მიმტანი!

ამ ხიდზე სინათლე და სიყვარულია ჩვენი მეგზური! სინათლე აზრისა და სიყვარული ქვეყნისა!

უკვე მოიხაზა ამ „ხიდის“ კონტურები: გამოვიდა ილიას რჩეული ნაწერების ერთტომეული, გამოვიდა, აგრეთვე, ხუთტომეულის პირველი და მეორე ტომი, დაიწყო ხელმოწერა აკადემიურ გამოცემაზე, რომელმაც ოცი ტომი უნდა შეადგინოს და მთლიანად მოიცვას მწერლის მდიდარი მემკვიდრეობა.

კულტურულ ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა აქვს დასახული ილია ჭავჭავაძის საიუბილეო-სადღესასწაულო კომიტეტს. პრესა, რადიო, ტელევიზია, თეატრი და კინო წინა საიუბილეო პერიოდში დიდ ყურადღებას დაუთმობს მწერლის მემკვიდრეობის პროპაგანდას, მთლიანად, სრულად უნდა წარმოჩნდეს ამ განუმეორებელი პიროვნების შემოქმედებითი პორტრეტი, მისი ინტერესების სფერო, მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის როლი და მნიშვნელობა. ამ საერთო-სახალხო დღესასწაულში მთელი საქართველო მიიღებს მონაწილეობას; ინტელიგენცია და მუშათა კლასი, სოფლის მშრომელები თუ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, დიდი თუ პატარა. ცხადია, საპატიო საქმის მედროშეობას არავის დაუთმობს ქართველი მწერლობა.

ილია მთელი ერის კუთვნილებაა, მაგრამ ქართველ მწერლებს ზედმეტი სიამაყის გრძნობით გვიცემს გული, რადგან მის უშუალო და კანონიერ მემკვიდრეებად ვითვლებით, რადგან ის იდეალები, რასაც მადლმოსილმა მწერალმა შეალია სიცოცხლე, მუდამ ამაყად ეწერა ქართული მწერლობის დროშას, ამ იდეალების ერთგულნი ვართ დღესაც და სახვალიოდაც მისი სახელი და შემოქმედება გვმატებს ძალასა და ენერგიას ხალხისა და ქვეყნის უანგარო, თავდადებული მსახურებისათვის.

წინა სადღესასწაულო დღეებს მადლსა და ლაზათს მატებს იმის შეგნება, რომ პირნათელნი ვხვდებით დიდი მწერლის იუბილეს. თვალს ვავლებთ რა დღევანდელი საქართველოს წარმატებათა ვრცელ პანორამას, უყოყმანოდ შეგვიძლია ჩვენს დიდ წინაპარს ანგარიში ჩავაბაროთ, ვუთხრათ, თუ როგორ იხარა მისგან დარგულმა ნერგებმა, თუ როგორ ნაყოფს ვიწევთ მისგან გავლებულ ხნულში. თანამედროვე ქართული ცივილიზაციის მონაპოვრები თავისი მთავარი ფესვებით ხომ ილიას სახელთანაა დაკავშირებული!

ამიტომაც არის ეს დღეები ყველა ჩვენგანისათვის ასე ძვირფასი და სანატრელი!

ამიტომ არის ილია ჭავჭავაძე მარადიული თანამედროვე თავისი ქვეყნისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე



## მენატრება

როგორც უსაყვარლესი
მოკეთე ან ძმა,
მენატრება ჩემი
სიმინდი და ძნა.
ვაზის ძირში სამხარი,
მოყაყანე შუკა,
ურმის თვლების რახრახი,
ნედლი თხილის ჩურჩვა.

სალოცავში საკლავი
სადღეგრძელო მეხრის,
გაფოფრილი კაკალი
წატუსული მეხით.
მენატრება ყვარლის
შალაფა და მღილი,
სისადავე ყავრის,
ფერი კახურ ღვინის.

კავკასიის ქედი,
ვინც მზარდა და მშვა,
რიყის წმინდა ქვები,
მდინარე და ფშა,
ხევის' თავქვე ჭენება,
წყაროს გულის ძგერა,
ცაზე თავდაჯერებით
მობოინე ძერა.

ვეძებ ნაცნობ ფერდობს,
სიმინდს, სათიბს, ქერს,
სადმე მაინც ვენდო
ერთ კაცს მართლის მთქმელს.
ერთხელ კიდევ ჩამოვკრა
ჩვენი საყდრის ზარს,
მაგრამ მხოლოდ, ვიცი,
გულს გავუჩენ ბზარს,
გაუხედნი კვიცით
ვერ ვიპოვი გზას,
მხოლოდ წუთით შევარხევ
დაყრუებულ ზარს.

## შენ რომ გაგიშვა

რა უნდათ ჩვენგან
ამ უცხო კაცებს,
ჩვენ ერთად ყოფნის
წუთი დაგვრჩა სულ ათიოდე,
შენ რომ გაგიშვა
მე — ყინულის ლოლუად ნაქცევს,
მთელი სიცოცხლე
უცეცხლპიროდ უნდა მციოდეს.
მზე გადასხივდა,
ჩაიფერფლა ბოლო აკორდი,
წაკითხულია მონოლოგი
„ყოფნა — არყოფნის“,
ვცალკევდებით და
კენტად მიტოვებ
შხამით დაკორტნილს,
და ფეხადგმული ყვავილების
გააქვთ წალკოტი.
ვინ შემიკერა
საძულველი შავი ფლასები ,
ვინ დაუხუჭა
სამუდამოდ თვალები ჩემს ქმარს,
ვინ გამიცრუა მოლოდინი
მთვარის ავსების,
ვინ გამიმეტა
ქვრივი ქალის
სახელი მერქვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწაზე ვლოლავ,
ზეცას ველარ ვეფრთიანები,
ვწყევლი მეწყერად
მოვარდნილ ივლისს,

შენ თუ დახუჭე
ყოვლისშემძლე ღმერთის თვალები,
ღია თვალებით
ქვეყანაზე მე როგორ ვივლი!

## აქ არის ის, ვინც ასე მიყვარდა

წიწილასავით წაიღე, ქორო,
ფერადოვანი დღეთა ხილვები,
ახლა შენ
მიწისქვეშეთში ცხოვრობ
და აღარ გწვდება
ჩემი სხივები.

აქ არის ის, ვინც
ასე მომწონდა,
აქ მიუზომეს
მიწის ნაკვეთი,
ვდგავარ საფლავის
ჩამქრალ კოცონთან,
ყრუანტლისმომგვრელ სასოწარკვეთით.

გულს ველარ უდებ
ჩიტების ქორალს,
წევხარ ჩუმი და თვალდახუჭული,
მიწას შხაპუნა
წვიმები თქორავს,
შენ აღარ გესმის
წვიმის ჩურჩული.

მაინც ვინ მისცა
უფალს მიზეზი,
სიტყვით და მკერდით
ვინც მიფარავდი,
აევსო სული უფაქიზესი,
თავზარდამცემი
დარდის მარაგით.

შენკენ მომავალ
ბილიკს ვინ შეცვლის,
გზაზე მაწყდება თვალები ორთავ
და როცა მოვალ
ასე ნირშეცვლილს,
შენი ცრემლების გულქანდით მომრთავ,

კვლავ ერთად შეყრის
დღე მასულდგმულებს,
ვიცი, იქნები ჩემი თავდები,
მე მოვადგები
შენს დახშულ დილეგს,
მოვალ და ისევ შეგიყვარდები.

●

ისევ ამოდის
მზის დიდი ბირთვი,
მუმლი ეხვევა
მარტოსულ მუხებს.
ისევ ემტვრევა
ლოდები ბირთვისს
და დაჭრილს წყლულებს
არავინ უხვევს.
ვერსად ვერ ვამბობ,
რაც გულს მაკლია,
რომ ჩემი ბაღი
არის ბჭბერი,
წუღრუღაშენი
ან ანაკლია

რად დავივიწყეთ
ერთი შებერვით.
სიტყვა ვერ მითქვამს
სულის საოხი,
გული ტკივილის
ზიდვით დამძიმდა,
მოჩქეფს არაგვი
სხვა მიხვრა-მოხვრით
და გულმოკლული
მითვლის სამძიმარს,

მაგრამ ამირანს
ვიცი არ სძინავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუ

ბუს არ ედარდება სრულებით,
ტყეში ვინ დადიან ცულებით,
ცხოვრობს ფუღუროში
თავისთვის,
ძმის ფასი, დის ფასი არ იცის.
ზის, თვალებს აკვესებს
გოროზად,
სიყრმითვე ალკვეციილი
მონოზნად.
ზის, სიმარტოვეზე არ ჩივის,
არც მზე სწამს,
არც ბედის არჩივი.
არ დარდობს
            სიყვარულში ხელმოკლე,
ფუღუროს თუ ცული შემოკრეს.
ზის, როგორც დევნილი ხელმწიფე
სამალლოდ ტყეში რომ შეიხიზნეს.
არ ხიბლავს სილალე არწივის,
ხან სძინავს, ხან მუცელს ჩასტირის.
და არ ედარდება სრულებით,
ტყეში ვინ დადიან
ცულებით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნომადი ბართაია

●

ხან ხერთვისი გამოჩნდება გზაზე,
ხან თმოგვი და
ხან ვარძია.
მტკვრის ორივე სანაპირო
ერთნაირად ლამაზია.
ყრუანტელმა დამიარა,
წუნდის ტბას რომ
გადავავლე თვალი,
დღეში რამოდენიმეჯერ
ფერს იცვლისო
ამ ტბის წყალი.
წუნდის ტბასთან სოფელია,
სოფელს კი გულსუნდა ჰქვია,
ამ სოფელში რუსთაველი
თამარ მეფეს შეხვედრია...
ხან ხერთვისი გამოჩნდება გზაზე,
ხან თმოგვი და
ხან ვარძია,
მტკვრის ორივე სანაპირო
ერთნაირად ლამაზია.

●

შემიყვარდა, შემიყვარდა როგორ
ვაგონების სივრცეებში სრბოლა,
მატარებელმა ჩაუქროლა
ლევ ტოლსტოის სახელობის სკოლას.
არ ვიცი, რანაირად და როგორ,
ფიქრებში რომ ვიყავი ამ დროს,
ჰორიზონტზე თანდათან და მშვიდად
მზის გამოჩნდა ვერცხლისფერი ბადრო,
საოცარი დამეუფლა ჟინი
ვაგონების სივრცეებში სრბოლის,
პატარები ილვიძებენ ახლა
ლევ ტოლსტოის სახელობის სკოლის.
რომ დავმალო ან რატომ დავმალო,
ოდესმე ხომ მაინც უნდა გითხრათ,
ტულის მხარეს, რომელიღაც სოფლის
დაწყებითი სკოლის ეზო მიყვარს.
შემიყვარდა, შემიყვარდა როგორ
ვაგონების სივრცეებში სრბოლა,
მატარებელმა ჩაუქროლა
ლევ ტოლსტოის სახელობის სკოლას.

●

ო, რომ იცოდე,
ჩემო მკითხველო,
როგორ გავიხარე მაშინ,
მამას და ასე, ათიოდე წლის ბიჭს
ველოსიპედი მიჰყავდათ სახლში.
ველოსიპედი იქნებოდა
ნაყიდი რამდენიმე წუთის,
მე ხომ ვიცი ის წუთები
იმ ბიჭისთვის თუ რას უდრის.
სახეზე არაფერი ეტყობოდათ,
თითქოს მომხდარიყოს არაფერი,
გადასასვლელზე გადადიოდნენ,
ორივეს ველოსიპედისთვის
ჩაევლოთ ხელი.
ო, რომ იცოდე,
ჩემო მკითხველო,
როგორ გავიხარე მაშინ,
მამას და ასე ათიოდე წლის ბიჭს
ველოსიპედი მიჰყავდათ სახლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ქვაბისხევს უნდა ვეწვიო,
აი, სოფელი ამას ჰქვია,
იქ ხომ შოთა რუსთაველის
ყმაწვილობის სურათია.
თურმე წარწერა იკითხება,
ამოკითხვა არ არის ძნელი,
თურმე გარკვევით წერია
ფრესკაზე — შოთა რუსთაველი.

ჩვენ ხომ ვიცით, გალაკტიონს
რუსთაველი ბავშვი ახსოვს,
მარიამწმინდის მონასტერში
მე ის ბავშვი უნდა ვნახო.
ქვაბისხევს უნდა ვეწვიო,
აი, სოფელი ამას ჰქვია,
იქ ხომ შოთა რუსთაველის
ყმაწვილობის სურათია.

●

როგორ მახსოვს,
როგორ მახსოვს,
რომ არ ვუჯერებდი თვალებს,
საშუალო სკოლას რომ ვამთავრებდი
იმ წლის შემოდგომის მთვარე...

რამსიდიდე იყო მაინც,
რა ქათქათა,
რა ელვარე,
ცა იყო გაკრიალებული,
სიზმარს ჰგავდა არემარე.

იმ მთვარეს რომ ვუყურებდი,
გულს გაჰქონდა ბაგაბუგი,
ვისაც ის მთვარე უნახავს
ალბათ მისი
ყველას უკვირს...

როგორ მახსოვს,
როგორ მახსოვს,
რომ არ ვუჯეროდი თვალებს,
საშუალო სკოლას რომ ვამთავრებდი
იმ წლის შემოდგომის მთვარე.

●

სამი სახელი მიყვარს,
დასამახსოვრებელი ხელად,
სამი ერთმანეთზე ლამაზი —
ამლა, ჰიმლა და ახიელა.

არც ერთი არ მინახავს,
არ ვიცი,
როგორ გამიძლო გულმა,

ნეტავი იმათ, ვინც
იმ სოფლებში დაბადებულა.

სამი სახელი მიყვარს,
დასამახსოვრებელი ხელად,
სამი ერთმანეთზე ლამაზი —
ამლა, ჰიმლა და ახიელა.

●

რა კარგი ვქენი,
ცოლს რომ შევყევი
ბავშვთა სამყაროს მაღაზიაში,
პირველ სართულზე,
მარცხენა მხარეს'
იყიდებოდა საწოლი ბავშვის.
განა რამდენი
უნდა ვიცოცხლო,
რომ დამავიწყდეს წამები მე ის,

არავის შეუმჩნევივარ ისე
ხელი დავადე ფუმფულა ლეიბს...
რა კარგი ვქენი,
ცოლს რომ შევყევი
ბავშვთა სამყაროს მაღაზიაში,
პირველ სართულზე,
მარცხენა მხარეს
იყიდებოდა საწოლი ბავშვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

# მეოთხე სიმფონია

მოთხრობა

ფიცარს ხრავს მკილი ღამით. ჩადუმებულ ოთახში ისმის ბეუილი ფიცრიდან. გავხედავ, გაჩუმდება; განვაგრძობ წერას, კალმის წრიპინს აყვება გულმოდგინედ; გავაყოლებ ხმას მზერას და გაბუნაგდება, აღარა ხრავს, მელოდება; ვისვენებ, ისვენებს; ვერ მხედავს, ვერ ვხედავ; ვარსებობ, არსებობს; ვწერ — ხრავს; კალამს ვაწრიპინებ — ბეუის. არასოდეს არ გვინახავს ერთმანეთი და ერთმანეთის გვესმის; მე ხმა მესმის, ის მგრძნობს. სხვანაირად არ შეიძლება მისი საქციელის ახსნა; ზის კარადის კარის ბაზოში და ფქვავს ხეს ყვითლად. ისაა მისი საკვები: პური, წყალი, ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი და ვიტამინები: **A**, **A**$_1$, **B**$_1$, **B**$_2$, **C**$_1$ და ყ. ზის ფიცარში **Stromatium tulvum** წითური, ულვაშა ჭია (თვალით არ მინახავს) და ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ევოლუციის კანონის უარყოფის მატარებელი გენით ცოცხლობს, ცხოვრობს, უღლდება, ნაყოფიერდება და მრავლდება ფიცარში, ხმელ **ფიცარში.**

დილით მზე წითლად ამოდის. შეგრილებულ ქალაქს ანათებს, აცხუნებს, აცხელებს კვლავ აშუადღებამდე. გავარვარებულ ტაფაში, ბუღში ხმაურობს თბილისი. ვერეს ხეობაში ჭრიჭინებენ კუტკალიები, ჭრიჭინები, ბოცომკალიები. ჰაერი გატენილია ჭრიჭინით. ჭრიჭინსა და ბზუილში ინთქმება დუბელა მდინარის ღვალვანი. გაცდები ნაგვის გორებს, ნამჯისა და პატივის ბორცვებს, ბეტონისა და აგურის ნაფშვენებს, გადახვალ ძეძვით, ბაბუაწვერათი, აბზინდათი, კატაბარდებით, გადაყვითლებული სარეველა ბალახით დაფარულ სერებს, აიაღმართებ, ჩაიდაღმართებ, მიწის ნაპრალში ხაკისფრად გალივლივებულ ვერეს სუფთა წყალს დახედავ. ასი ათასი მწერი ჭრიჭინებს იქ ერთ ალაგას, ერთდროულად; უჯიშო ტირიფების რაყაში, აბზინდას აბურდულ ჯეჯილში ჭრიჭინებენ სულმოუთქმელად; უხმობენ, ეძებენ, წყვეტილ-წყვეტილ უშვებენ პირობით სიგნალებს; ომობენ, გლოვობენ, ეფერებიან, ნაყოფიერდებიან გულის ტახიკარდიული დაგადუგით, ყრიან კვერცხებს კვნესითა და ცრემლების ღვრით. სპერმით გატიკნილ ნაშალის პარკს აკვნეტს მდედრი მამრს; აკვნეტს აუჩქარებლად, საფუძვლიანად, ყოყმანისა და განსჯის გარეშე. დანარჩენები ჭრიჭინებენ გაბმულად, გაუთავებლად, უღვთოდ, ულმერთოდ, დაუნდობლად; ფრთებქვეშ დამალულ ძვლის ხემს უსვამენ ფრთას და გულმოდგინედ ხერხავენ საკუთარ ძვლებს.

ფლატეზე, უჯიშო, დაკონებულ ტირიფთან, გადახრუკულ სერებში ჩაკარგულ შარაზე მანქანასთან იდგა ბესოიაძე, ყურს უგდებდა ცხელ ხმაურს, ჩაცქეროდა კლდეთა შორის მომდინარე, ალაგ-ალაგ ჩრდილდაცემულ ხაკისფერ წყალს. ქუთაისლები მღეროდნენ ალმურში, ტოტებზე შემომსხდარი მხერხავების აკომპანიმენტის თანხლებით; მღეროდნენ ხმაშეწყობილად, მაგრამ ტექსტი არ იცოდნენ, ტექსტს ვერ იმახსოვრებდნენ:

**რა ვიცოდი, რა ვიცოდი, მაშინ...**
**რა ვიცოდი, რა ვიცოდი, მაშინ...**

**რა ვიცოდი, რა ვიცოდი, მაშინ...**
**რა ვიცოდი, რა ვიცოდი, მაშინ...**

გაჰქონდა და გამოჰქონდა ცხელ ნიავს შეწყობილი ხმები გადაბუგულ მინდვრებში, ჩასიცხულ ხრამ-ხევებში. სად მღეროდნენ, სად იდგნენ, საიდან მოჰქონდა ეს ხმა გამოთაკარებულ ჰაერში ცხელ ნიავს?..

**რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ..·**
**რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ..·**

რა ყოფილა ეს ისტორიაო, უთხრა ჟორიამ ბესოს იმ დღეს. მონათმფლობელობა ავიღოთ, თუ გინდა, ისიც საინტერესოაო. სკოლაში არ ვსწავლობდი და არ ვსწავლობდი, მერე იყო და არ ვსწავლობდი, მერე კიდევ რაღას ვისწავლიდი და ახლა ნარგიზას მეცადინეობას ვუგდებ ყურს, რაღაც-რაღაცებს ვიმახსოვრებ, აღარა ვსვამ და ვკითხულობ კიდეც ხანდახან.

— რა ყოფილა ეს ისტორია, მონათმფლობელობა იყოს, თუ გინდა!

დილაალიონზე გამოეცხადა ბიძაშვილი ჟორია ცოლითა და ქალიშვილით და პირდაპირ ისტორიაზე ჩამოუგდო სიტყვა. ერთმანეთის მიყოლებით შემოვიდნენ საძინებელ ოთახში: ჟორია, ნათელა, ნარგიზა, ვისი გამოისობითაც აღმოაჩინა ჟორიამ ისტორია, და ნაძალადევად გახარებული ცოლი, რომელიც ნიშნის მოგებით უყურებდა ქმარს, და, გვიან იძინებს, გვიან დგებაო, უხსნიდა სტუმრებს. რაღა მაინცდამაინც საწოლში დამაყენებს ხოლმე ხალხსო, იბოღმებოდა ბესო, უყურებდა ბიძაშვილს და ფხიზლდებოდა. რა გაძინებს ამდენ ხანსო, უსიცოცხლო ღიმილით კითხულობდა მაღალი, ბეჭდაწვრილებული, მუცელგაბერილი კაცი და მზერადაშრეტილი იხსენებდა თითქოს რაღაცას. ავად რომ იყო, იცოდა, ცუდად არისო, ამბავიც ჩამოიტანეს ცოტა ხნის წინ, მაგრამ ლანდი თუ გამოეცხადებოდა, ვერც წარმოიდგენდა. ნათელა კი უფრო მოკეთებულიყო. ჭორფლიანი კანი გადასკდომოდა შიშველ მკლავებზე, მოკლედ შეკრეჭილი თმა შეეღება ჩალისფრად. ნარგიზა გაზრდილიყო, დაქალებულიყო, მაგრამ ბავშვური, კეთილი, გულუბრყვილო და ცოტა მოსულელო მზერა და იერსახე შერჩენოდა მაინც. ძვალმსხვილს, ბეჭგანიერს და თეძოწვრილს, ჯერ კიდევ ფორმადაუსრულებელ ტანმაღალ მდედრს ლამაზი ეთქმოდა ახლაც. დაქალდებოდა, დასრულდებოდა და კიდევ უფრო დამშვენდებოდა, ბესო იაძის წამიერი დაკვირვებით.

— ისტორიულზე აბარებს, ხომ?

— ისტორიულზე, კი. რა ყოფილა ეს ისტორია, მონათმფლობელობა ავიღოთ, თუ გინდა, სწავლობს და მეც ვიმახსოვრებ, ადრე სულ არ მაინტერესებდა, მაძალებდნენ და არ ვსწავლობდი..

— შენ როგორა ხარ, შენ? — ლაპარაკის დამთავრება არ აცალა საწოლში წამომჯდარმა ბესომ, თვალი ვერ გაუსწორა და „შენს“ არაბუნებრივი მახვილი დაუსვა.

— ვიბრიდები მგონია... — წყნარად უპასუხა. ტუჩები მოკუმა, თვალგაშტერებული მიაჩერდა მასპინძელს, ვის სახეზეც დააპირა რაღაცის ამოკითხვა, დააპირა და ვერ ამოიკითხა; შებრუნდა, მძიმედ გაიარა, აივნის ღია კართან გაჩერდა, აივანზე გასვლა ვერ გაბედა. მაღალია თქვენი სართულიო, აღნიშნა, ამ სიმაღლეზე მე ვერ ვიცხოვრებდი, აქედან გადახედვისაც მეშინიაო,

— ეს ძალიან გლახად იყო, გლახადაა ახლაც. იწვა, გამოკეთდა და ისევ გლახად გახდა. სისხლი ანთხია; ისე შეგვაშინა... არაფერიაო, გვითხრეს, მაგრამ აქეთ წამოყვანა გვირჩიეს. კაცი წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო, ისე გამოვიდა. იცით, ნარგიზა მეორედ აბარებს და, ამისმა ავადმყოფობამ თუ ხელი შეგვიშალა, თავი მექნება მოსაკლავი... — ხმადაბლა, თუმცა ყველას გასაგონად უთხრა დიასახლისს ნათელამ. ტახტზე იჯდა და მისდა უნებურად, თუმცა მალულად, იძრობდა შავ წინდებს და მუჭში კუჭავდა. ბესომ ვერ მოასწრო, თვალი აერიდებინა წვივსაკრავით აწითლებული, სალტეშემოხსნილი სქელი ბარძაყისათვის. პიჟამო მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცვა სწრაფად, გახედა ჟორიას, რომელიც ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, შუბლზე ქუდჩამოწეული იდგა ისევ ღია კართან, მზით ახურებულ აივანზე გასვლას და გადახედვას ვერ ბედავდა ქალი მეორე წინდას იხდიდა და კაპრონის ნერვების მომშლელი წკიპინი ისმოდა. ნარგიზა ფეხებგაჩაჩხული იჯდა სკამზე, სრული კაბა ლაჯებშუა ჰქონდა ჩაფენილი და ყელგადაგდებული თვლემდა; მეცადინეობისაგან გადაღლილსა და თვალებამოღამებულს ძილი უნდოდა. კომისიის თავმჯდომარედ, ჩვენდა ბედად, დაუნიშნავთ შურა (ბესოს ცოლისძმა) — ამბობდა დედამისი, ორივე წინდა ორივე წვივსაკრავით ცალ მუჭში ჰქონდა მომწყვდეული და ნელის (ბესოს ცოლს) მისჩერებოდა.

— უარი თქვა თავიდანვე, არ შემიძლიაო, განაცხადა, — ლაპარაკობდა ნელი, — მაგრამ მაინც დატოვეს. ჩარჩა ამ სიცხეში თბილისში... ჩემი ძმა პატიოსანი კაცია, ხომ იცი, როგორ არ იცი· ვინ უყურებს მერე შენს პატიოსნებას, რაც არ უნდა სუფთად შეინახო თავი, ლანძღვას და ჭორებს ვერ გადაურჩები მაინც. ვიღაც გაგსვრის, ვიღაც რაღაცაში გაგხვევს, ასეა... თქვენ კი დაგეხმარებათ, ალბათ, თუ რამე მოახერხა· ბესოს ვერ ეტყვის უარს. მე ზღვაზე მივდივარ, ბავშვებს მივყვები, ძინავთ ჯერ, შუა ძილში არიან. ბესო რჩება, ისედაც არ მოდიოდა და აწი რაღას წამოვა. ჩემი ძმაც უნდა გამოჩნდეს დღეს წესით, უკვე იმალება, მაგრამ იცის, რომ მივემგზავრებით და მოვა დღეს ან დარეკავს აუცილებლად...

ნათელა ახლა მდუმარედ უსმენდა, რაღაცას გუნებაში ანგარიშობდა. მოკლედ შეკრეჭილ, ჩალისფერ თმას იისფერი გადაჰკრავდა. მაღალ ყელზე და ამობურცულ ქედზე დადგმული მამაკაცური დიდი თავი და ლამაზი სახე, რკინიგზის სადგურის სალაროდან რომ ჩანდა ხოლმე, გაშეშებოდა.

—თუ არა და ბესო მოძებნის...

— მოვძებნით, კაცო, მიწიდან ამოვილებთ... — ხელ-პირს იმშრალებდა და ნარგიზას უყურებდა ღიმილით. — იცი შენ, ბოშო, რამე?!

ამ შეკითხვაზე გამოცოცხლდა ნარგიზა, მიბნედილი სახე გაეხსნა, სკამზე გასწორდა, ფეხები ერთმანეთს მიატყუპა, რაღაცის თქმა დააპირა, გადაიფიქრა, გაიღიმა, გვერდზე გადაიხარა და კისერი მოღრიცა. რას ნიშნავდა ეს ჟესტი, ბესომ ვერ გაიგო.

— ვაი მაგას, თუ არ იცის!.. ყველა საგანში ვამზადებთ ორი წელია... — თქვა ჟორამ, გაჩუმდა, მისდა უნებურად ამოიოხრა, დაფიქრდა, ქუდი მოიხადა, დატკეპნილი წაბლისფერი თმა გაისწორა.

— სად წავიდეთ ახლა, აღარ ვიცი.. — თქვა ნათელამ.

— სად უნდა წახვიდეთ, აქა ხართ უკვე, თანაც ბესო მარტო რჩება-მეთქი, გითხარი...

— ჩემი მაზლებიც მარტო დარჩენილან და თქვენ არ შეგაწუხებთ ამიტომ... რა გზას დავადგე-მეთქი, იმას ვჩივი, საავადმყოფოში მივიდეთ ჯერ თუ უნივერსიტეტში?

— სწორია ეს დიაგნოზი? — ჰკითხა ენაჩავარდნილმა ბესო იაძემ ნაცნობ პროფესორს რენტგენის კაბინეტში, სადაც ჟორია კარგა ხანი აწვალეს და დაიმედებული აუშვეს პალატაში.

— სწორია... — თავადაც შემცბარი იყო პროფესორი. — სკანდირებას ვეძახით ჩვენ ამას... კარგად ჩატარდა. —დაუმატა, თითქოს რაიმე შეიცვალა ამით. ამ დაწესებულებაში ჰიპმოჭრილი კაცისგან ბესო მეტ გულგრილობას ელოდა. სქელი, თეთრხალათიანი კაციც იჯდა რენტგენის აპარატის წინ სიჩუმეში, თავჩაღუნული დაჩერებოდა ნეგატივს, თითებს ათამაშებდა მაგიდაზე, ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს ჰამდა.

— მერე? — გაბრუებული იყო და ამ უადგილო შეკითხვას არ დაკვირვებია.

— რა მერე... ვუმკურნალებთ, ცდას არ დავაკლებთ...

— ხომ ემორჩილება მკურნალობას?.. ხომ რჩებიან ასეთი ავადმყოფები ნაწილობრივ, ხომ ცოცხლობენ?

— კი, როგორ არა... მაგრამ ამას ღვიძლი აღარ ჰქონია, ფაქტიურად; სად იყავით აქამდე... აგრეა, ა! — გამხმარი მუჭი აჩვენა, რას ვიზამთო, დაუმატა, თითები გაშალა და ჩაკვერცხილ თავზე ჩამოისვა.

— დაღუპულა მაშინ! — პირი ჰქონდა გამშრალი.

— ჩვენ ცდას არ დავაკლებთ... — გაიმეორა ექიმმა და წავიდა.

საავადმყოფოდან უნივერსიტეტში, უნივერსიტეტიდან ვერეს ხეობაში გადაუხვია ბესომ. მანამდე ცოლისძმა ეძება და ვერ ნახა. ახლად მომთავრებულ კორპუსში ეგულებოდა, ვერ აღმოაჩინა, თუმცა კათედრა მთლიანად იქ გადაბარგებულიყო. გოგის ამერიკელი სტუმრები ჰყავდა. ბესოს იქაურები ეგონა და მოურიდებლად შევიდა ახლად მილაგებულ სასწავლო კაბინეტში. ამერიკელი სტუმრებია (რომელიღაც შტატი ახსენა), კოლეგებიო, უთხრა გოგიმ. ბესო სტუმრებს, გოგის კოლეგებს, მიესალმა შორიდან და იქვე გაჩერდა.

— შურა იყო აქ, — უთხრა გოგიმ. — შეიძლება ისევ გამოჩნდეს...

დავიცდიო, იფიქრა ბესომ და თარჯიმან გოგოს დაუგდო ყური. გამხდარმა თარჯიმანმა თქვა: საქართველოში ორჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე საფრანგეთში და სამჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე იტალიაშიო. ელას! — წამოიძახა პირმრგვალმა, სწავლული დესპანის პირობაზე საკმაოდ ახალგაზრდა კაცმა და წვეროსან ამხანაგს გადახედა. სკამზე მიგდებულ წვეროსანს, წელში გახრილი და ფეხებგაჩაჩხული რომ ღეჭავდა რაღაცას, პოზა არ უცვლია, არც „ელას!" წამოუძახია ამ სტატისტიკის გამო და ყბაც არ გაუჩერებია, თითქოს ამაზე მეტი საოცარი და ფანტასტიკური რამე ჰქონდა გაგონილი მანამდე. იცოხნებოდა, ძირს იხედებოდა და, ესმოდა თუ არა რაიმე, გაუგებარი იყო. ჩახვეული, თხელი წვერი უპრიალებდა სინათლეზე წითლად. ჭორფლიანი სახის კანი უჩანდა ბალნიდან და წაბლისფერ წვერს უწითლებდა.

— მიხვდი, რა უთხრა ვიკამ? — მიუბრუნდა გოგი ბესოს.

— დაახლოებით.

— ოფიციალური ცნობაა, ჩვენთან ორჯერ მეტი სტუდენტიაო, ვიდრე საფრანგეთში, სამჯერ მეტი, ვიდრე იტალიაშიო...

— გავიგე, კი...

— მერე? — მოკლესახელოიანი ფირმა პერანგი და ამერიკული შავვარსკვლავებიანი თეთრი ბოტასები ეცვა. მკლავებდაკუნთული, სპორტული აღნაგობის კაცი უხერხულად წრიალებდა საკუთარ კაბინეტში და წვეროსანის პოზა და მდუმარება აღიზიანებდა. ეს მწერალია, უთხრა მოულოდნელად წვეროსანს, ბესოს გახედა და წამოენთო, ჩემი ორსიტყვიანი ინგლისურიც ვერ გაიგოო, მაგრამ წვეროსანმა გულით გაიღიმა, წამოდგა, ბესოს რომ ეგონა, ჩემკენ წამოვიდაო, გასასვლელს მიაშურა ხმაურით და ხვანჯრის სწორებით. საპირო ოთახში (ტუალეტი არ თქვა) მიდისო, წამოიძახა შეწუხებულმა გოგიმ.

— წავიდეს მერე, არ უშვებ?! — ჰკითხა გაოცებულმა ვიკამ.

— ისეთ დღეშია იქაურობა, შიგ არ შეისვლება...

— რა ვქნა მე... — სიგარეტი ამოიღო ჩანთიდან გამხდარმა, გულმოხსნილი კაბიდან ლავიწის ძვლებამოყრილმა თარჯიმანმა.

— არა, კაცო, არ შეიძლება, დაველოდო უნდა... რაღაცნაირად შევიყოლიებ, იქნებ გადაუაროს, შენ დამლაგებელი მოძებნე, ცოტა რაღაც... — ვარსკვლავებიანი ბოტასების დაგუდული ჭრაჭუნით გავიდა და ბესოც გაჰყვა.

— მე ამის დედა ვატირე... — თქვა გზაში.

ორმეტრიანი წვეროსანი მამაკაცი

სქელძირიანი, ქუსლმოქცეული ფეხსაცმელებით წრიალებდა ფართო ფანჯარასთან და საჭირო ოთახს შეიძლება სულაც არ ეძებდა, მაგრამ გოგიმ ხმამაღალი ინგლისურ-რუსულ-ქართული ლაპარაკი და ხელების ქნევა დაიწყო.

კროსვორდს ხსნიდნენ მოპირდაპირე კაბინეტში შურას თანამშრომლები. ღია კარიდან ჩანდა, როგორ ეხმარებოდნენ ერთმანეთს და მაინც არა გამოდიოდა რა. რატომ წვალობთო, უნდოდა ეთქვა ბესოს; გამოვა ჟურნალის შემდეგი ნომერი და წერია პასუხები შიგო, სხვისი სიტყვების გამეორება დააპირა და გადაიფიქრა. ცოტა ხანი მეკროსვორდეებთან გაჩერდა, უთხარით შურას, გეძებდათქვა, დაუბარა ბოლოს განაკიდეს გაჩერებულ თეთრხალათიან ყმაწვილს. შეუმჩნევლად არ უნდოდა გასვლა, თორემ ხმის ამოღებასაც არ აპირებდა. რა გეჩქარებათო, შეწუხდა ყმაწვილი ამ სიტყვებზე, მოვა აუცილებლად, დაელოდეთ, მანამდე კროსვორდით შეიქციეთ თავიო. კროსვორდს კი უკეთესად ხსნიდნენ იმ განყოფილებაში, სადაც ბესო შეთავსებით მუშაობდა. თვით მისი განყოფილების გამგე ითვლებოდა კროსვორდების უდიდეს მცოდნედ და მოყვარულად. გრაფას დახედავდა თუ არა, დაუთვლელად ცნობდა უჯრათა რაოდენობას, სიტყვას მიაწვდიდი და, აკლია ამას ბგერა ან ერთით მეტიაო, გეტყოდათ დაუფიქრებლად. წინასწარ ჰქონდა ზოგიერთი პასუხი გამზადებული, მაგრამ ხანდახან, რაც სავსებით ბუნებრივია, ყოვნდებოდა, შევიწროებული სისხლძარღვები ებერებოდა მელოტ თავზე, ენაზე მომდგარ სიტყვებს იხსენებდა და ვერ იხსენებდა; ეხმარებოდნენ, სიტყვებს ესროდნენ, ჩუქნიდნენ, სამახსოვროდ უტოვებდნენ. იგი თავს აქანებდა, უკმაყოფილო შორისდებულებით იგერიებდა ყასიდად ჩაწოდებულ არარსებულ არსებით სახელებს, გეოგრაფიულ დასახელებებს და ტექნიკურ ტერმინებს. გაზეთის კითხვით თვალგაშტერებული სულიკო სათვალეს იხსნიდა და, რატომ წვალობთო, [illegible]დურობდა იქაურ მეკროსვორდეებს, მოითმინეთ ორად ორი კვირა, გამოვა მომდევნო ნომერი და წერია შიგ პასუხებიო, ირწმუნებოდა. ლაპარაკობს რა ესეცო, ბრაზობდა განყოფილების გამგე.

სიკვდილი თან დაჰყვება, ბოლოს თავზე დაადგება ადამიანს; არათუ სიკვდილის, სიკვდილთავდამდგარი კაცის დანახვაც ჭირს. ფერდი ატკივდა (რამდენჯერმე შეახსენა თავი) იმ დღიდან ბესო იძეს, ჟორიას ჭირი შეეყარა, ეგონა. რა არი ადამიანიო, რა რთული, ამავე დროს, რა სუსტი და იოლად მოწყვლადი ნაწილებისაგან არის აგებული. რამდენ გარეგან, შინაგან სნეულებას, სტიქიურს, პოლიტიკურს, სოციალურ, ეროვნულ კატასტროფას უნდა გადაურჩეს, რომ დაბერდეს თუნდაც. არადა ერთდროულად, ერთი ხნისანი ხომ არ დავიხოცებით, გინდაც თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით, უფროს-უმცროსობით ხომ არ ჩავიცლებით ხვიმირაში. რიგს ვერ დააწესებს, უკვდავებას ვერ დაუშვებს, სიცოცხლესაც ვერ შეაჩერებს; თუ არ მოკლა, ვერც გააჩენს. როგორ შეიძლება გონიერი არსება სამუდამოდ გამოეთხოვოს სინამდვილეს, აცდეს მოძრაობას, გაეთიშოს დროს, რომელიც მის გარეშე არ არსებობს. თუ ჩვენთან ერთად ქრება სინათლე, სამარადჟამოდ ესვენება მზე და ბნელდება ვარსკვლავიანი ცა, რად მინდა გონება. რატომ დამსაჯე, დასასრულის შეგრძნების უნარი რატომ არ წამართვი! მკილი ვარ, მომე ძალი მკილისა, მომე მოთმინება მკილისა, მომე ხვრის უნარი მკილისა, მაინც ხომ მკილი ვარ — შემოქმედი ჩემნაირი მკილისა!

მაგნოლიის ხე ხარობდა რკინიგზის სადგურის ქვის შენობასთან. ცალპირ მწვანე, ცალპირ მოყანგისფრო პრიალა ფოთლებით შეჯავშნული, მოქლივილე ჩიტებით დახუნძლული მაგნოლია ელავდა მზის ჩასვლისას, კლასელები წაიყვანა ჟორიამ სადგურში. დე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაჩემი მატარებლის წასვლა-ჩამოსვლის დრო და საათს აცხადებს რადიოთიო, თქვა სკოლაში. არ დაუჯერეს, რატომ აქამდე არ გაამხილე, თუ ასე იყოო. დაიბნა, არ ჩათვალა, ალბათ, საჭიროდ. იქნებ გაამხილა კიდეც და აღარ ახსოვდათ. ერთი პირდაფჩენილი, შავი რადიო იდგა იმ დროს ვოგზლის შენობის სახურავზე და იმაშიც თუ ჟორიას დედა იჯდა, ვინ ირწმუნებდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, თუ მთელ ქალაქს არა, თუ მთელ სკოლას არა, მთელ კლასს ხომ უნდა სცოდნოდა აქამდე. რკინიგზელის ფორმა — კიტელი შიგ კოფთა და ქვედაწელი კაბა კი ეცვა, მაგრამ იგი კონდუქტორს, თუნდაც სადგურის მორიგეს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე დიქტორს. მოკლედ შეკრეჭილი თმით, ბეჭებში წახრილი, საქმიანი და მუდამ მოღიმარი მამაკაცივით დადიოდა სადგურის მიდამოებში, მაგრამ თანაკლასელებს შიგ რადიოში არ უნახავთ, წამოდით და ხმას გაგაგონებთ დედაჩემისასო.

მაგნოლიის ხის ძირას იდგნენ ჩანთებით. მტრედებივით ასხდნენ ტოტებზე ყვავილები მაგნოლიას. ხალათის სახელოთი იწმენდდნენ ცხვირს, თხუპუნებდნენ ბიჭუნები მაისის იმ ნესტიან ამინდში, შავ რადიოს, ბაქანზე გაჩერებულ ქუთაის-ტყიბულის მატარებელს უყურებდნენ. ორთქლმავალი ქშინავდა სადგურის შენობის სახურავს იქით. ჩიტები ჟღრიალებდნენ მაგნოლიის ჯავშანა ფოთლებში და ათეთრებულ ყვავილებში. მატარებელი ესა და ეს დგას მეორე ლიანდაგზე, ახრიალდა რადიო. მართალი ყოფილა, მართალი ყოფილაო, აჭაჭყანდნენ ბავშვები და ჩიტები გაილურსნენ. მატარებელი ესა და ეს, გაიმეორა რადიომ. ჩიტები აჟღრიალდნენ. ამდენი და ამდენი წუთის შემდეგ...

მართალი ყოფილა, მართალი ყოფილა, აყვირდნენ და ჩიტებს გააკმენდინეს ხმა, შავ რადიოს ლაპარაკი აღარ აცალეს.

— ეს არ არის დედაჩემი. — თქვა მოწყენილმა ჟორიამ. ეთქვა არიო, ვინ ამოწმებდა.

— ...ვიღაც სხვამ გამოაცხადა დედაჩემის მაგივრად.

— შვილო ჟორიაო, — უთხრა დედამ საღორიის საავადმყოფოში, — შენი დარდი მიმყვება მარტოო, რაფრად, რანაირად წავა შენი ცხოვრებაო...

იმ მაგნოლიის ხეზე კი ზამთარ-ზაფხულ ჟივჟივებდნენ ჩიტები. ვიდექი ხოლმე და ვუყურებდი ხეს. მოწმენდილ ამინდში ხვამლსა და კავკასიონს ვხედავდი. მაგნოლიიდან ჩრდილო-დასავლეთით, თითქო სულ ახლო სპეტაკი თოვლით აელვარებული მწვერვალები ჩანდნენ. გამოვარდებოდა ბოგდანოვი თეთრი ხალათით სასადილოდან:

— რავა ხარ, ბიჭო, რავა დაიკარგე!. შემოდი ერთი წამით, ას-ასი დავლიოთ, შამპანურს გავხსნი.

—ახლა არა, სხვა დროს...

— რას აკეთებ აბა აქ, შემოდი, შემოდი!

— კაცს ველოდები, სხვა დროს იყოს!

— ასე იცი სულ, წელიწადში ერთხელ ჩამოდიხარ, ველარ უნდა დაგელაპარაკო!

— სხვა დროს, სხვა დროს!

— ბონდოია, სად წადი, შე ოჯახდანგრეულო!

— დაგიდგათ მწვანე კვირა, ველარ გაძლოთ ორი წუთი უჩემოდ! — უკანვე გარბოდა თეთრხალათიანი ბონდოია ბოგდანოვი.

მერე იყო და ის სადგური, ქვის ის კარგი შენობა დაანგრიეს და ახალი ველარ ააშენეს. აღარც კი უნდა დაგვენგრია წესითო, თქვეს, მაგნოლიის ხე მოჭრეს, სხვა ხეებიც მიაყოლეს, აცისფრებული მწვერვალები კი ჯერჯერობით ვერ დაფარეს. ისინი მაინც ჩანან იმ ნანგრევებიდანაც, მშრალი ზამთრის მოწმენდილ ამინდში ილანდებიან მოჩვენებებივით, გაუნელებელი დარდივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ...როგორ და, სისუსტეს, უხასიათობას ვუჩიოდი. ვსვამდი კიდეც, როგორ არ ვსვამდი, თავი არ შემიკავებია, არ შემიზღუდია, ვსვამდი ჩვეულებრივად, 'სხვებსავით. სისუსტე და უხასიათობა კი თანდათან მერეოდა, რულზე ჯდომა აღარ მიხაროდა, მანქანის ტარება მეზარებოდა. გლანდებია ყველაფრის მიზეზიო, გლანდებს აბრალებდნენ. საშველი რომ არ დამაყენეს, ამოვიჭერი· გამოვკეთდი თითქოს და მერე ისევ ისე გავხდი. დავწექი მერე ჩვენთან, ქუთაისში, მიმკურნალეს, მოვმჯობინდისავით. მუშაობა მაინც გამიჭირდა. მანქანის ტარება ველარ შევიხალისე ძველებურად. მერე ძიღურაო, სოფელია ლეჩხუმში, უკვდავების წყლად აქებენ, ვსვი ის წყალიც, არაფერი... მერე ექიმბაშიო შინაური წამლებითო. ერთი ქალი მიმასწავლეს ბოლოს ლეყერეთს. წავედი. ქოხია ტყის პირას, ძველი ხის ოდა. კალო. პატარა ვენახი. ბოსტანი. კარგად მოვლილი. მწვანილი ყოველნაირი: პილპილი, ყვითელი ყვავილი — ზაფრანა, პრასი, ჩემო ბატონო, პრასი რავა არ მინახავს, მაგრამ იმნაირი — არა. მსხვილები, დიდროვანები, გახასხასებულნი... გამოვიდა წელში მოკუზული დედაბერი. ავუხსენი ჩემი გაჭირვება. მოგიმზადებ მაგ წამალსო, ფული არ მინდა, სვი და, თუ მოგიხდა, მეორედ მოსვლაზე გადამიხადე გასამრჯელოო. მივეცი მაინც ნაწილი, არ იღებდა და არ მოვეშვი· ვინ გასწავლა, ბებია, წამლის გაკეთებათქვა. ჩემით ვისწავლეო. რანაირად, მე ვუთხარი. ამ ოცი წლის წინათ ვკვდებოდი, ღვიძლისაგან ყვითლად ვიყავი გადადებულიო, ექიმებმა ვერ მიშველეს, მასვეს წამლები, ვერ მომარჩინესო, მერე მოვიაზრე ჩემითო, მივაგენი ბალახებს, გადავურიე, გადმოვურიე ერთმანეთში, გამოვხარშე, გავახამე თუ პირიქითო.·. დავლიე, მოვრჩი და ახლა ქე ვარ, რავარც მიყურებო. ჩემს ხნობამდე მოგყრის ეგ წამალი და მერე შენით ისაშველეო, ასე მითხრა. აგაშენებს ღმერთი, ბებია, მე ვუთხარი, სხვა მე არაფერი მინდათქვა. დალევის წესი გამოვკითხე და ჭამაზედაც მოველაპარაკე· ჭყინტი, სულ უმარილო ყველი მირჩია. ნადუღითქვა? ნადუღიც კარგიაო, მითხრა, მარა ჭყინტი ყველი ჯობია, ახალი ამოყვანილი ყველიო. ნადუღი მაინც თხელია, შეჭამ და ღვიძლში აიტიტყნებაო. ქე მივხვდი, ღვიძლსა და კუჭს რომ ვერ ანსხვავებდა ერთმანეთისაგან, მარა რაღას ვიზამდი ანდა რას ვჩიოდი, რას ვკარგავდი, ცდა ბედის მონახევრეაო და, ვცადე ისიც და, გინდა დამიჯერეთ, გინდა არა, მომიხდა. გამოვკეთდი, ნამდვილად მოვმჯობინდი; აშენდა იმ ქალის ოჯახი, ის რავა უნდა მომკვდარიყო ისე მალე· ანდა იმ საფლავგანათლებულმა რავა არ დატოვა საიდუმლო. შეიძლება შეთავაზა კიდეც ვინმეს, მაგრამ არ ისწავლიდნენ, არ დაიჯერებდნენ, ხომ ვიცი ახლანდელი ხალხის ამბავი. სხვებმა კი თქვეს შემდეგ, ჩვენ არ გვიშველაო, მაგრამ მე ჭეშმარიტად მომიხდა, ღვიძლი არ ვიცოდი სად მქონდა რამდენიმე წელი. მერე იყო და, სოსოია რომ მოკვდა, უბედური, მასზე შევიქენი გლახად. პური ვჭამეთ ერთად და აღარ გამოვიდა მეორე დღეს სამსახურში· ერთმანეთს ვენაცვლებოდით ავტობუსზე. შორი რეისებით დავდიოდით. არასოდეს დღე არ ჩაუგდია, სოსოიაზე მოგახსენებთ, მაგრამ იმ ღამით ცოტა მეტი მოუწია დალევა და ველარ წამოდგა, ალბათთქვა. სხვა წამყვა იმ დილით. დავბრუნდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მეორე დღეს არ მოვიკითხე რატომღაც· მესამე დღეს მითხრეს, კიდევ არ გამოჩენილაო, არ მომეწონა, რა თავის აგდებაათქვა, მეწყინა კიდეც, მერე ვიფიქრე, არაფერი უსაშველო ჭირდეს იმ კაცსთქვა, გავედი ისევ სხვასთან ერთად ცვლაში, დავბრუნდი, არ გამოჩენილაო, შევფიქრიანდი, მარა დაღლილი ვიყავი და სახლში წავედი. მეორე დღესაც ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიცალე, მეზობლის წლისთავი იყო და იქ გადავედი, დილით მივაკითხავ ადრეთქვა. ცოლ-შვილი ზღვაზე ყავდა სოსოიასაც გაშვებული. კაი ბიჭი იყო უბედური. შეთვისებული ვიყავით ერთმანეთთან. მივედი, რაღა ბევრი გავაგრძელო, მივადექი კარს, არავინ გამომეხმაურა, არ არის სახლშიო, მეზობელმა მითხრა კიდეც, არ დავიჯერე, გულმა არ გამიშვა და შევამტვრიე კარი. ჩვენ მტერს... მომკვდარიყო. ტახტზე იწვა გაუხდელად, ტელეფონის ყურმილი ჰქონდა გადაგდებული. დარეკვას აპირებდა, ალბათ. ეს დრო იყო დაახლოებით, ცხელოდა მაშინაც და სუნი ადენოდა. იმ სუნმა წამახდინა. სუნს ცოდნია თურმე წყენა ღვიძლზე, მითხრეს ასეაო და რამდენად მართალია, ვერ გეტყვით. იმ ღამითვე გავხდი ცუდად, მანთხევინა სისხლი და ჩავწექი. წამოვდექი, ვერ გამოვკეთდი· აქაც დავდიოდი პროფესორთან, არ მინდა გვარი გითხრათ, რა მაქვს დასამალავი, მაგრამ მაინც... ექიმი კარგი, სახელიანი, მაგრამ ცოტა ფულსაა დახარბებული, რა ქნას იმანაც. იაპონური წამლები მაშოვნინა და ცოტა ქე შემაქესეტა. ის კარგია, ჩვენი არვარგაო; უკაცრავი პასუხია და, ერთი ნაგავია ორივე, ახლა ვხვდები. ავტობუსიდან ტაქსზე გადავჯექი ამასობაში. იქაც ქე გამოვდიოდი რაღაცას, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობას არ ვეხარბებოდი. ცოლი მსახურობს, ჩემო ბატონო, მოლარეა სადგურში, ბავშვი ერთი გვყავს, მეტი არა... სხვებსავით მომთხოვნი და თავგადადებული ჩამცმელი არაა. მომზადება კი დაგვიჯდა ძვირი, მაგრამ ალალია მაგისათვის, გარეთ არ გასულა, ბიჭს არ დალაპარაკებია ჯერ. ყველა საგანში ვამზადეთ ორი წელი. ატესტატი კაი გამოიტანა· არც ის გვიშოვნია მუქთად, მაგრამ მაინც... ეკუთვნისო; ჩვენც ვიცით, რომ ეკუთვნოდა, მაგრამ რომ არ წავხმარებოდით, არ მისცემდნენ.·. ახლა თუ პირველ ორ საგანში ხუთს გამოიტანს, დანარჩენი საგნების ჩაბარება აღარ დაჭირდება და მოისვენებს. მოვისვენებთ ჩვენც. მოილებს კი?.. მთლად უპატრონოდ არა ვართ და მაინც მეშინია. ეგ მოეწყობოდეს და ჩემ თავს აღარ ვჩივი, რაც არი, ეგ არი, ჩემზე ახალგაზრდა წავიდა სოსოია...

— ჩვენ შრომასაც ნუ ჩაყრი წყალში!.. — გაიღიმა პროფესორმა, კვერცხივით თავი და ყლალი თმა რომ ჰქონდა, — უკეთესობას ხომ გრძნობ? ასე იყავი, რომ მოდი? ბევრად უკეთესად ხარ!

— უკეთესად ვარ, კი!.. — უგულოდ დაეთანხმა და იჭვნეულად ახედა. — ახლა კი ვარ.

— შემდეგაც კარგად იქნები, აბა რატომ მოდი აქ, უიმედო ავადმყოფებს არც ვიღებთ, შენი ფეხით მოდი და შენი ფეხით უნდა წახვიდე··

— ის სისხლი რომ არ დამენახა, ის აჭრილი სისხლი...

— ეგ არაფერი, ხდება ეგეც, ჯობდა რომ არ დაგმართნოდა, მაგრამ მოხდა და რას ვიზამთ, ხომ აგიხსენი, სისხლს ღვიძლთან საერთო არა აქვს-მეთქი, კაპილარი სკდება კუჭში და იქედანაა.·. ყველაფერი კარგად იქნება...

მე რატომ არ მიჯერებო, გული მოიყვანა მკურნალმა ექიმმა პროფესორის გასვლის შემდეგ·

— ...იგივე არ გითხრა, რასაც მე გეუბნებოდი!.. იგივე არ გაგიმეორა?! ხომ აგიხსენი, კუჭის ამბავია-მეთქი!..

მკურნალი ექიმიც ტყუოდა, რასაკვირველია, მაგრამ ისე დამაჯერებლად, ისე დარწმუნებით, რომ ავადმყოფს მის გულწრფელობაში კი არა, ცოდნაგანათლებაში ეპარებოდა ეჭვი. იმ დედაბრის არ იყოს, მგონი, კუჭსა და ღვიძლს ესეც ვერ ანსხვავებს ერთმანეთისგანო, ფიქრობდა ხანდახან და უიმედობის გრძნობა, შებინდებისას რომ ეუფლებოდა, კიდევ უფრო უმძაფრდებოდა· ბრგე და ღონიერი ექიმი რამდენიმე ადგილას მუშაობდა ერთდროულად. დამდუღრულივით გარბოდა სამუშაოს დამთავრების შემდეგ, თუმცა პალატაშიაც უჭირდა გაჩერება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიოდა და გამოდიოდა ოთახიდან ოთახში, კაბინეტიდან კაბინეტში. ავადმყოფები არ უჩიოდნენ, თუმცა მის იმედად და ანაბარად დარჩენასაც არ აპირებდნენ. ბესო იაძე, მაგალითად, ამ მოუსვენარ, ბრგე კაცს ვეტექიმს, უფრო სწორად, ვეტფერშალს ამგვანებდა და ამით სულ არ ამცირებდა, პირიქით, პატივისცემითაც კი იმსჭვალებოდა მისადმი; აქაც რომ მოღვაწეობდა და სხვაგანაც, ოთხ დღე-ღამეში ერთ ღამეს რომ სასწრაფო დახმარების მანქანაში ითენებდა, უკვირდა.

ორნი იწვნენ სამსაწოლიან პალატაში· ჟორია იაძისა და მეელექტრონე რობინ (რობინზონ) მამისთვალოვის გამგებლობაში იყო პატარა, არცთუ მთლად მყუდრო, მზიანი ოთახი. ფანჯარასთან იდგა ცარიელი, აულაგებელი საწოლი, რომელსაც მნახველები ჩამოსაჯდომად, დასასვენებლად და ზოგჯერ ღამის გასათევადაც იყენებდნენ. აგვისტოს ხვატში მამაკაცთა თერაპიულ განყოფილებაში სხვა დროსთან შედარებით ხალვათობა იყო, მაგრამ მესამე საწოლის სიცარიელით გამოწვეულ სიკეთეს მაინც ბესო იაძის წყალობას მიაწერდნენ, არცთუ უსაფუძვლოდ. მთავარმა ექიმმა სცა პატივი სწორედ ბესოს, რომელიც ახლა თავის გამოთავისუფლებულ, აულაგებელ, დაჩონჩილსაბნიან საწოლზე იჯდა. პალატის ექიმისა და პროფესორის უსიტყვო ნებართვით უდროო დროსაც შემოდიოდა აქ· ერიდებოდა მხოლოდ განყოფილების გამგეს, რომელიც ჯერჯერობით შენობის ბაქანზე, ღია ცის ქვეშ დაყრილი, დამტვრეულ-დაშლილი რკინის საწოლების თვლითა და აწყობა-გამართვით იყო დაკავებული. ექთნები და დამლაგებლები მოთაფლული ჰყავდა და კათედრის დოცენტი ქალის გულის მონადირებასაც აპირებდა. წიგნს ვაჩუქებ ბოლოს და ბოლოსო, ფიქრობდა, მაგრამ წარმატების იმედი არ ჰქონია; დოცენტი ძალიან უკარება ჩანდა. ლამაზი ექიმი ნაშუადღევს ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი შეანათებდა მწყრალ თვალებს და არც ავს ეუბნებოდა, არც კარგს. წამით, წუთს რომ უდრიდა, მიაშტერებდა ყავისფერ, თითქმის გამჭვირვალე თვალის კაკლებს, შეტრიალდებოდა და ზურგს აჩვენებდა· წმინდად გადავარცხნილი, უკან გამოწნული და სიბრტყლივ დახვეული თმა აუბზიალდებოდა ფანჯრიდან შემოსულ მზის შუქზე. მკვრივ თეძო-გავას, ტერფებში გვარიანად მოღუნულ ფეხებს, წვრილ წელს და ბეჭებს მძიმე ავადმყოფებიც აყოლებდნენ ხოლმე თვალს. რამდენჯერმე გამოელაპარაკა ქმარგაყრილ, უშვილო დოცენტს, მაგრამ საერთო ენა ვერ გამონახა· დაუზარებლად, ამომწურავად, ცივად გასცა პასუხი ქალმა და ზედმეტი შეკითხვებისა და ლაპარაკის ხალისი დაუკარგა. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, გასართობად არ მოვდივარ აქო, ეტყოდა. ჟორიას ჰყავს ძმები, მაგრამ ფულსა და საშოვარს გადაყოლილები გვიანობამდე ვერ იცლიან; ცოლსა და ქალიშვილს კიდევ სხვა გაჭირვება ადგათ, სხვა ცეცხლი უკეთიათ და, რაც მთავარია, არ იციან, რა უსაშველო ჭირს მათ ძმას, ქმარს და მამას; მე და ჟორია კი ერთად გავიზარდეთ და მეც, შეიძლება უპირველესად მე, არ მჯერა სინამდვილის, არ მჯერა თქვენი, არ მჯერა პროფესორისაც, რომლის გულწრფელობაში და მიხვედრილობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ იქნებ, ერთი ალილოს არ იყოს, ისიც ცდება, იქნებ თქვენც ცდებითო.

შეიძლება ვცდები კიდეცო, სიამოვნებით ეთანხმებოდა პროფესორი და უფრო მეტ უიმედობას ნერგავდა.

ავადმყოფი კი უმეტესწილად თვლემდა, დუმდა, ოხრავდა ხანდახან. სხვაზე მეტს გრძნობდა, სხვაზე მეტს ხვდებოდა და არ ამხელდა; იუცოდინარებდა მედიცინაში ისედაც გაუცნობიერებელ თავს; ყველაზე უკეთესად ატყუებდა საკუთარ თავს, რადგან ის თავი სხვაზე მეტად ეცოდებოდა და არ ეთმობოდა. თვლემდა, ძილ-ღვიძილშიც

ეროვნული

ფიქრობდა, ვაიო, იძახდა მისდაუნებურად; გტკივა რამეო, ეკითხებოდნენ. არაფერიო, ფხიზლდებოდა, გვერდს იცვლიდა, თავსასთუმალს ისწორებდა.

— აბა რა გაწუხებს, მითხარი — ჩასძახა იმ დღეს ბესომ.

— ათასი რამე. შენ რომ წუხდები, ისიც მაწუხებს, სოსოია მახსენდებოდა ამწუთას... — ბალიში გაკეცა, საწოლის რკინის გისოსს მიაკუჭა, იდაყვით დაებჯინა, თავი ზევით ასწია, ძილს დაუსხლტა, წიგნის კითხვით გართული მამისთვალოვი შეათვალიერა. წყნარად ახველებდა მამისთვალოვი, ხიხინებდა, შიგადაშიგ ნახველს ყლაპავდა, თუთუნის ყლარტის სუნს უშვებდა პირიდან.

— მკვდრებს მართლა წვავენ თბილისში? — მოულოდნელად ჰკითხა ყორიამ.

მამისთვალოვმა სათვალე მოიხსნა, წიგნის გვერდი ჩაკეცა, წამოჯდა, წიგნი სასთუმალქვეშ შედო და ფეხების ფათურით მოძებნა ფლასტები.

— არა, კაცო, თბილისში არაა მაგნაირი რამ! — წამოიძახა დასიცხულმა ბესომ, პერანგი ჩაიხსნა თითქმის ჭიპამდე, ახსლდასველებული ცხვირსახოცით მოიწმინდა ყელ-მკერდი.

— როგორ არ არი... — ფეხი გაუყარა რობინმა ფლასტებში. — მე თავად დავამონტაჟე ელექტრონი შიგ...

— სად შიგ?

— შიგ, რა... ვმუშაობდი პროვოდებში, მანტიორი კაცი ვარ, ასე რომ ვთქვათ, გამოსცადეს უჟე, გახსნეს კიდეც, ლენტი გაჭრესო, რომ იტყვიან. არი მოკლედ. ისე არ მუშაობს, თუ რომ უპატრონო არ ნახეს, ან თუ ვინმემ თავისი დილიხორით მოინდომა, გინდა თუ არა, დამწვითო... ეგრეა რა. მე ვნახე ჩემის თვალით, მკვდარი რო არ წამოდგა!.. ასე აქნევდა ხელებს: აქეთ, იქეთ, მერე აქეთ, მერე იქეთ, შემდეგ აქეთ, შემდეგ იქეთ... ვიყვირე: რას შვრებით, ცოცხალი შეაგდეთ შიგ?! — ძველი მეელექტრონე ფეხზე იდგა, გამხმარ, ძვალმსხვილ, ამოსახსრულ მკლავებს გამეტებით იქნევდა და მსმენელს აჩვენებდა, როგორ იგრიხებოდა ფეხზე წამომდგარი, დენის წრედში შეგდებული მიცვალებული. თვალგაფართოებული მიჩერებოდა ყორია რობინ მამისთვალოვს და, ბესოს გასაოცრად, სხვა რამეზე ფიქრობდა თურმე. მამისთვალოვი რომ გავიდა, რა ყოფილა ეს ისტორიაო, თქვა.

—...ისტორია, ჩვეულებრივი ისტორია, ჩვენი, სხვისი, ადამიანების ისტორია, მონათმფლობელობა ავიღოთ, თუ გინდა...

ყავისფერთვალებიანი ექიმი შემოვიდა და ყორიას მეტი აღარაფერი უთქვამს. თეთრი ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ექიმი ღია კარში დადგა, მიაჩერდა ყორიას და ვერ შეხედა მამისთვალოვს, გვერდულად რომ შემოვიდა პალატაში, საწოლზე დაჯდა და ხიხინი დაიწყო.

— კიდევ მოწიე სიგარეტი? — მიუხედა ბოლოს ექიმმა.

— არ მამიწევია, ექიმო! — გულგრილად უპასუხა მამისთვალოვმა. ეწეოდა და სვამდა კიდეც ჩუმ-ჩუმად და ცოტ-ცოტას, მაგრამ თავის მართლებას არ ცდილობდა. როგორც ექიმს არ აწუხებდა ავადმყოფის უსაქციელობა, ისე ავადმყოფს არ აინტერესებდა, სჯეროდათ თუ არა მისი.

დოცენტი ქალი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა შუა კარში, ოთხკუთხედ სინათლეში ჩანდა მკვრივი გავით და მოლუნული ფეხებით.

— წავედი, აბა, მე, ლექტორი მყავს კიდევ სანახავი. — თქვა ბესომ.

— აბა შენ იცი, ჩემი თავი სულ არ მედარდება! — გამოცოცხლდა ყორია.

ბესომ კიდევ ერთხელ შეავლო ექიმს თვალი, ამოგლეჯილ ლინოლეუმს, კისერი რომ მოიმტვრია კინაღამ შემოსვლისას, გადააბიჯა, გადაიარა დერეფანი, დაეშვა კიბეზე, დაემშვიდობა წავკისელ მეკარეებს, კიდევ კარგი, გასვლისასაც რომ არ მთხოვენ ფულსო, გაიფიქრა და წავიდა.

გოვენ წიქარაშვილი დაუხვდა სადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბაზოსთან. მანქანა გააჩერა თუ არა, ნაცნობი კისერი და ნაბდის ქუდი დაინახა. იდგა სქელკისერა კაცი, ირწეოდა და მანქანისაკენ იხედებოდა. ჩამოსულაო, ფიქრობდა ბესო და მანქანას კეტავდა; მიყურებს და ვერ მცნობსო, ეღიმებოდა. ხედავდა და მართლა ვერ ცნობდა თურმე გოვენი უსათვალოდ. შენ ხარო, გაიკვირვა ბოლოს, გაეცინა ცოტა ხნის შემდეგ. მთიდან ჩამოსული და მზემოკიდებული აყანყალდა ხელახლა.

— ჩამოხვედი და შეუბერე ხომ?.. მორჩა ექსპედიცია?

— მორჩა, ჩამოვიყვანე ჯგუფი, პირველამდე უნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ წამოვედით, არ გაჩერდნენ ბავშვები; ხათაბალაა, ამდენი სტუდენტის პატრონობა არ გინდა!.. ჩამოვედი და ბიჭებიც ვნახე, გირეკეთ შენ, გადადებული გაქვს ტელეფონი... გამოცდებს ხომ არ იბარებ შენც?.. თუმცა რა, ვინ უყურებს მაგას... „შაშვის მშობლებში“ ვიყავით. მოვიდა ის, ხომ იცი, რა გვარიია?.. სამსახურში მოვიდა, წავისადილოთო, გირეკეთ შენ. მომკლა, კაცო, ჩემმა სიძემ, დის ქმარმა, უთხრას იქნება ბესომ შურასო, კომისიის თავმჯდომარეაო; საიდან გაიგო; უთხრასო ორი სიტყვაო. ხომ იცნობ შენ ჩემ სიძეს, მაყვალას ქმარს, როგორ არ იცნობ, უთხრასო. ბუხუმ მომიყვანა აქ, მომიყვანა და წავიდა, საქმე მაქვსო. ფრანგულის სპეციალისტია ბუხუია. ხომ? რა არი ეს ბუხუია. ეტყვი შენს ცოლისძმას? კომისიის თავმჯდომარეა თურმე, საიდან გაიგო?! ეტყვი?

— ვეტყვი, თუ ვნახე, არ გამოვა არაფერი, მაგრამ ვეტყვი.

— ეტყვი?

ნარის დაურეკა ამ ლაპარაკში ბესომ. ხაზზე სხვა აბონენტი ჩაერთო, რამდენჯერმე გათიშა, ხელახლა აკრიფა ნომერი, დაუკავშირდა ნარის; უცხო აბონენტი ვერ მოიშორა, თუმცა ნარი უცხოსაც არ მორიდებია; თავისუფლად ლაპარაკობდა და ბესო მიხვდა, ქმარი და დედამთილი გაგულებული ჰყავს.

— მარტო ხარ?

— მარტოა, კი. — უპასუხა მამაკაცმა. ბესომ შეიცადა, მაგრამ მამაკაცის ხმა აღარ გაუღია, ინამუსა და ყურმილი დადო, ეტყობოდა.

— ელაა შინ, — უთხრა ქალმა.

— ის ვინ იყო?

— აბა რა ვიცი.

— მარტო ხარ-მეთქი?

— ელაათქვა, ხომ გითხარი!

თოთხმეტი წლის, ჯერჯერობით მხოლოდ სატელეფონო-სამიჯნურო ქსელში გახვეულ ელას დედის ავანჩავანი არ აინტერესებდა და ბესომ ხმას აუწია, საქმე მაქვს გადაუდებელიო.

— რა საქმე, მე უსაქმო გგონივარ?!

ამ უკმეხობის იქით უნებისყოფობაც იმალებოდა და კაცი შესახვედრ დღეს და ადგილს აზუსტებდა ერთ ალაგას მოყანყალე გოვენის თანდასწრებით, ნარის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად.

— რაიო? — იკითხა ღიმილით გოვენმა, როცა მასპინძელმა ყურმილი დადო. — ცხელა აქ, ხომ იცი, ეტყვი... შურა ქვია შენ ცოლისძმას?

— შურა ქვია, კი, მე მაგის ნათლიის... გააკეთეთ რამე თუ ტყუილად იწანწალეთ ისევ?

— ტყუილად. დავისვენეთ მთებში...

— ჩაიწერეთ რამე?

— არაფერი.

— რატომ?

— სისულელეა, აღარაფერია ჩასაწერი, სისულელეა.

ტელეფონმა დარეკა. შენი იდიოტი ცოლი სადააო, ნარიმ იკითხა.

— წავიდა დასასვენებლად.

— ჰო, კარგი, მე არ მეცლება.. — მეტის თქმა საჭიროდ არ ჩათვალა, ყურმილი დადო.

— ეტყვი შენ შურას?

— ვეტყვი, ბიჭო, ვეტყვი, რა დაგემართა!.. ვეტყვი შენი ხათრით, მაგ კაცისგანაც პატივნაცემი ვარ; ვეტყვი, მაგრამ არაფერი არ გამოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიდე, გადავცე აბა?

— გადაეცი, მხოლოდ ძალიან ნუ დააიმედებ... ჩაგაწერინოს მაინც ჯგუფის ნომერი, გამოცდის დღე, იქნებ ბიჭიც ვაჩვენოთ, ბიჭი ჰყავს, ხომ?

ტელეფონმა დარეკა კვლავ. ისევ ნარის ელოდა და მამაკაცის ყვირილზე შეკრთა.

— ალიო ვარ, ლვაბერიძე, ალიო, რავა ხარ, შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე... ამასწინეებზე გნახე ტელევიზორში და ვიტირე... რახანია არ მინახიხარ. შენ სახელს რომ გავიგონებ, სულ ვტირი; ხომ ხარ მაგრად, შენ შემოგიარე... მართლა უნდა შემოგიარო, საქმე მაქვს; არცა მაქვს ისეთი არაფერი, არ შეგეშინდეს. ნახვა მინდა უბრალოდ; გივია რავაა? ხვალ გცალია? გიტარა წამოვილო? შენ თუ გინდა, წამოვილებ, შენ რომ მითხრა, რას არ წამოვილებ... არაფერი საქმე არა მაქვს, მენატრები... ახლაც ცრემლები მომდის, შენი ხმა რომ მესმის; ბუხუია რავაა, მაგას შემოვევლე, ყველა მომიკითხე, სად არიან შენები? ჰო, კარგი, ხვალ მოვალ!..

— ღვაბერიძე იყო? — იკითხა გოვენმა. — იყო, ხომ? — სიცილი წასკდა, წავალო, თქვა მოულოდნელად და მართლა წავიდა. ტაქსი გააჩერა და სიძეს აკითხა ჩუღურეთში. კარგადაა საქმეო, ახარა, მაგრამ ხალისიანი სიძე უხასიათოდ დაუხვდა. დავიღუპე მგონია, ხვალ საბუთების შეტანის ბოლო დღეა და ჩემმა დებილმა შვილმა ფაკულტეტის გამოცვლა მომინდომა, ეკონომიური აღარ მინდა, ფილოლოგიურზე უნდა შევიდეო.

— ...გესმის, კაცო?! ფილოლოგიურზე მაგის მომწყობი ვარ მე?! რა უნდა თანაც ფილოლოგიურზე, ვინ რა ხეირი ნახა მაგ ფაკულტეტიდან; რაღაცას რომ ჯღაბნის მაგ მკვდარძაღლი, იმის იმედი აქვს, მაგას იქ ის გონია... რაო, რა გითხრა ბესომ? ვეტყვიო, ხო? კაცია ბესო. არ უთხარი, რაც დაჯდება თქვა...

— შენ გიჟი ხომ არა ხარ! ყველას ერთი საზომით როგორ ზომავ; რას ქვია, რა დაჯდება, მართლა ის ხომ არ გგონია, იმისი არ იყოს; არ გაგიგოს, თუ არა, დაგკარგავს სამუდამოდ!

— მაშინ ჰაერზე დაგპირებია, ტყუილი ამბავია; ისტორია ბოლოსა აქვს მაინც. მაგ ახლა სულ არ მადარდებს. გული გამისკდება სადაცაა, ჩემსას რა ვუყო, ის მითხარი. ვილაც-ვილაცები მოძებნილი მყავდა და ახლა ასე სახელდახელოდ ვინლა გამოვჩხრიკო... უეჭველი დახიშტულია. მიდი, უთხარი რამე, შენ უფრო დაგიჯერებს, დავუძახებ და რაღაც ჩააგონე!

— არ გინდა, ბიჭო, შენ სწავლა?! — მკაცრად ჰკითხა გოვენმა ყბებგანიერ, ვეებერთელა ბიჭს, ქვემოდან ახედა და შეეცადა სიმთვრალე არ დატყობოდა; მოახერხა კიდეც, რადგან კოკას (ასე ერქვა ბიჭს) გვიანობამდე არაფერი გაუგია.

— არ გინდა სწავლა?!

— რატომ არ მინდა! — ფრჩხილი მოიკვნიტა კოკამ და გოვენს მოეჩვენა, როგორც სიკვდილი, ისე სწავლა არ უნდოდა მის ხელში გაზრდილ ბავშვს და გული აუჩვილდა კინაღამ.

— მინდა; რომ არ მინდოდეს, ფილოლოგიურს კი არ ავირჩევდი; ეკონომიურზე ვამბობ უარს, სწავლაზე კი არა. — უპასუხა კოკამ და მეორე ფრჩხილს მიადგა. ამ არგუმენტს წყალი აღარ გაუვიდოდა და გოვენი ქუთუთოების ხამხამს მოყვა ჩვეულებისამებრ.

— ბიძაშენსაც ფილოლოგიური აქვს დამთავრებული და ხარისხი აქვს დაცული... რად გინდა მერე... დადის მთამთა, ტყე-ტყე, ალმა-დალმა უფულოდ, იწერს ზეპირსიტყვიერებას, რომელიც აღარაა თურმე, იყოს თუ გინდა, რა ყრია შიგ, შაურს მოგცემს ვინმე?.. აგერაა და თვითონ გეტყვის სიმართლეს, გლახა ხომ არ უნდა შენთვის, სისხლი და ხორცი ხარ მაგისიც. მეტი არც გვყავს ბიჭი სანათესაოში... ბიძაშენივით ნასწავლი რომელია, რომელსა აქვს ამდენი წიგნი წაკითხული?!

კოკა, ფართო, მოყვითალო სახეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ფერისმჭამელები აჯდა, თავწახრილი ისმენდა და ისევ ფრჩხილებს იკვნეტდა. მამა დინჯად, მოთმინებით მოძღვრავდა და გოვენ წიქარაშვილი ფიქრობდა, ეს რა მჭევრმეტყველი ყოფილაო და თანდათან ფხიზლდებოდა.

— შეხედე, თვალები აქვს ამოღამებული!

„მთვრალია და აბა რა იქნება!“

— ..რა გამოვიდა მერე ამ კითხვით, იკითხეთ და წერეთ, თუ გინდათ. დარჩები, შვილო, პატიოსანი კაცის სახელით და საქმეში არ გაგრევენ, ეს პატიოსნება კი რა პურს გაჭმევს, იმასაც ნახავ. იმას გაჭმევს, რაც სხვას აჭამა. ბიძაა შენი, რა დასამალია და ერთი კოსტუმის ანაბარა დადის ზამთარ-ზაფხულ. განათლებულია, ნაკითხია; პატიოსანიაო და ორ კაცს ვერ შეიყვანს ერთდროულად რესტორანში. შეიყვანს? თვითონ თქვას! ერთი ბიჭი ჰყავს, გააჩენს მეორეს?

— რატომ, კაცო!

— ათი თუმანი მასესხე უცბად, ვიღუპებიო, რომ უთხრა, გასესხებს? ასესხებ? თავით რომ დაკიდო, ხანდახან აბაზი არ გადმოუვარდება ჯიბიდან, სიტყვაზე ვამბობ, მაგრამ ასე არ არი?! ათ თუმანზე არაა საქმე. ათ ბოთლ ღვინოს გაუგზავნის ვინმეს? ჩავარდა, ვთქვათ, ამნაირი მომენტი. ამას რომ წიგნი აქვს წაკითხული, ზოგს აფიშა არ ექნება იმდენი დანახული, მაგრამ რად გინდა, ერთ სუფრას გადაიხდის?.. კანდიდატი კაცია, სტუდენტები აბარია, ეხვეწებიან, გამოცდებზე დარჩით და არ რჩება, იმიტომ, რომ პატიოსანი კაცია. ეს არის საქმე! სხვა მის ადგილზე სხვანაირად მოიქცეოდა. ეს ზის დოცენტის ხელფასზე და არის, სანამდე იქნება, იმასაც ვნახავ. აბა, კაი დედის შვილია და გადაუღუნოს ცოლს ჯამაგირი, მტერი გყავს, მოყვარე გყავს, ჭირია, ლხინია. აქეთ რომ მოგიტანს, იქით უნდა მიუტანო, აქეთ რომ გცემს პატივს, იქითაც უნდა სცე, ასე კი არ არის საქმე, რისი მიმტანია ახლა ეს?!

— რატომ, კაცო!

— სიტყვაზე ვამბობ... ჩამოვიდა სხვა მთიდან და რა იმის ის ჩამოიტანა.. ათასი მანეთი მარტო ერთი საგნის მომზადებას ჭირდება. დაამთავრებს ამის გოგია და ვნახავ, რას მოამზადებს. თუ სკოლის ცოდნით შევა უმაღლესში? ერთი ყავს და ვერ მოუმზადებია, ორი რომ ყავდეს, რას იზამს. მე შენ გეტყვი, მოსაწყობი ფული აქვს გადადებული, დატოვებს გოგიას უსწავლელს..

— რატომ, კაცო!

— სიტყვაზე ვამბობ... თვითონ ბავშვმა თუ ისაშველა, სხვაა. ვიღაც ხერკელაშვილი ყოფილა, მოეწყო თავისითო, არ მჯერა, მაგრამ, ვთქვათ, ხერკელაშვილი მოეწყო, ამის გოგია მოეწყობა? მეტი არაა ჩემი მტერი. გავუმართავდი ხელს, მაგრამ მეც აღარა მაქვს. ან შენ სანამდე გეყოლები, დღესაა კაცი და ხვალ აღარაა. რაც მაქვს, ისიც აღარ გექნებათ და დარჩები ისე... ეკონომიური თუ არ გინდა, იურიდიულზე ვცადოთ, სანამ გვიან არაა. ძნელია, მაგრამ ვიბრძოლებ და გავახერხებ, მთავარია, უნივერსიტეტში შევრგოთ თავი, აბა, სამედიცინოზე მოწყობის საშუალება მე არა მაქვს, შვილო!

მაღლივი კორპუსის ეზო და შემოგარენი ხალხით იყო გადალილოჭრელებული. მხოლოდ ნათელას ეცვა ორი წლის წინ გარდაცვლილი დედის საპატივცემულოდ თალხი კაბა და შავი წინდები. კოფთის გახდა გაებედა და სქელი, ჭორფლიანი მკლავები და ღია ჩალისფრად შეღებილი თმა მისადაგებოდა შეშილიფებულ ქალს. ცალ ხელში კოფთა და ჩანთა ეჭირა, მეორეში — გაკეცილი გაზეთი, რომელსაც თავზე იფარებდა დროდადრო. საჩრდილობელი ხე არ იდგა ახლომახლო და მოჩარდახებულ თავშესაფარზეც არავის ეზრუნა. აგვისტოს მზე პირდაპირ შენობის შუშის ფასადსა და ხალხს მიდგომოდა. დახრუკულ ხაჭაპურებს, თბილ ლიმონათს და გაფშეკილ ღვეზელს ყიდდნენ ღია ფარდულში: ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინს დაატარებდნენ და დასიცხული ადამიანები ნაყინით იგრილებდნენ ყელს და სტომაქს. ნაყინს ნთქავდნენ. ძირს ესკიმოს ჯოხები, კევის ქაღალდები და გაზეთის ნახევები ეყარა. მსუბუქი მანქანებით იყო გაჭედილი გზის ცალი მხარე, გადაღმა ეზო და ჯუჯა ნაძვნარიც.

ბესო იაძემ მზე ხელით მოიჩრდილა და ხალხს დაუწყო თვალიერება. კარგა ხნის შემდეგ შეამჩნია ნათელა, რომელსაც შეშფოთებული, თუმცა რაღაცნაირი აღტაცებული, საზეიმო განწყობილებაც ემჩნეოდა. ვაჟურად შეკრეჭილ თავს, ქედს, მოკლე წარბებს და ამობურცულ უპეებს უნათებდა მზე, შეღებილ თმას იისფერს აღებდა. ახლა, სწორედ ამწუთას შევიდა ნარგიზა, სალმის მაგივრად უთხრა მიახლოებულ ბესოს, გვიან რომ შევიტანეთ საბუთები, ბოლო ჯგუფში მოხვდა ამიტომაცო. აბა, კარგა ხანს არ გამოვა და ამ მზეში სანამდე გინდა იდგეო, გაოცდა ბესო. არა უშავს, ვიქნები, სად წავალ აბა, თანაც ჩემიანი არის აქო და წარუდგინა გამხდარი, ქოლგიანი ქალი, მოღიმარი, მოჭუტული თვალებით რომ იხედებოდა. ჩვენებურიაო, დაუმატა და საკუთარი ქმარიც მოიკითხა ბოლოს და ბოლოს. დღეს რომ ნარგიზამ ვერ ჩააბაროს, საავადმყოფოში მიმსვლელი აღარა ვარ ანდა როგორ უნდა მივიდე, კაცი გადაირევა, ამ ამბავს ვერ გადაიტანსო. რას ამბობო, გაეცინა ბესოს და, მართლა რომ ჩაიჭრას ის შტერი, სად გინდა წახვიდეო, გაიფიქრა; ქოლგიან ქალს, მოწკურული, მოღიმარი თვალებით რომ მოჩერებოდა, დაემშვიდობა და ბუხუ მიქაშავიძესთან დაბრუნდა. მანქანასთან ჰყავდა მარტო დატოვებული და ვიღაც ახალგაზრდა კაცთან ერთად დაუხვდა. წარმოსადეგი, ჯანმრთელი, თუმც მოშვებულ-მოღვერილი კაცი, ბუხუს ძმაკაცი რომ ეგონა, უცნობი აღმოჩნდა. ბუხუს ზედაც არ უყურებდა თურმე. ნერვიულობისაგან თითებს იქაჩავდა და ძვლებს იტკაცუნებდა ფალანგებში, ბესოს მანქანაზე მიყუდებული და წინ გადმოხრილი. წელში იმართებოდა ხანდახან და საჯდომს ზედ მოტორის ხუფზე ახვანხალებდა მაღლივი კორპუსის აღსავლის კარისაკენ მზერამიპყრობილი. ფრთას გაღუნავს ან ხუფს ჩატყლიჟავსო, გაიფიქრა ბესომ და გამოელაპარაკა. გოგო გასვლოდა გამოცდაზე. თექვსმეტი წლის არც კი არის ჯერო, პასპორტიც არა აქვს, უპასპორტოდ მივაღებინე საბუთები, სკოლაში ადრე შევიყვანეთ, ადრე დაამთავრა ამიტომაცო. რატომ ღელავო, დაუყვავა, მანქანას გავაცალო იქნებაო. იფიქრა, მაგრამ ტანსრულმა კაცმა ხელები გულზე დაიმწყვდია და პირდაპირ კაპოტზე შემოჯდა, ფეხები გაჭიმა, ქუსლებით დაებჯინა მხოლოდ მიწას. წელს რომ არ მოეწყოს, გადავირევიო, თქვა. გაისად რომ ჩაირიცხოს, რა მოხდებაო, დაინტერესდა ბესო, თექვსმეტი წლისა არ ყოფილა, იმეცადინოს და კიდევ ჩააბაროსო. რას ამბობ, კაცოო, გაიღიმა პირბადრმა კაცმა და მანქანიდან ჩამოხოხდა. გულკეთილი ჩანდა, მაგრამ ამნაირ შეკითხვას ბევრს ვერ აიტანდა, ეტყობოდა, სულ რომ არ ჩაირიცხოს, რა იქნება, არ მოეშვა ბესო, უცხო ენები აითვისოს, წიგნი იკითხოს, მუსიკას მოუსმინოს, ჭრა-კერვა, ქარგვა ისწავლოს, გათხოვდეს, შვილები გააჩინოს, შვილები აღზარდოს, არ შეიძლება?

— ერთის მეტი არ მყავს და...

— მით უმეტეს.

ეს მით უმეტეს რაღა იყო, სულ ვეღარ გაიგო, მოიღუშა, წარბები შეყარა სქელ მუცელზე მობოშებული ქამარი გაისწორა, შარვალი გაიწმინდა საჯდომზე, შემდეგ ისევ თითების ტკაცატკუცი ატეხა და მალე წავიდა, შეჯგროვილი ხალხი გაარღვია, ალვის ხის ნერგს მიადგა, რაღაც ჩრდილში და ფოთლებში გარგო მაინც დამწუხრებული თავი.

გამხდარმა ბიჭმა მაღლივი კორპუსის კიბე ჩამოირბინა და ამხანაგებისკენ გაიქცა კისრისტეხით, დედას და ბებიას,

დაფეთებული ბატებივით რომ ავარდნენ, გვერდი აუარა.

— ასე ჩამოვრბოდი ერთ დროს მეც! — თქვა ბუხუმ, — დედაჩემს და ბებიაჩემს ეგონათ, გავკეთდით, აწი არაფერი გვიჭირსო. სულ ხუთები მივიღე. ცოტა კი წამიკრეს ხელი, მაგრამ ჩემით გავედი, მაშინ სად იყო ამნაირი ამბავი. რას ლაპარაკობ... თავდაპირველად კარგადაც ვსწავლობდი, მერე და მერე ვუკელი და ვუკელი, დავამთავრე რალაცნაირად...

— აღარც გიმუშავია მერე...

— ფაქტიურად არა, ვის ჭირდება ფრანგულის სპეციალისტი... სადაა ამდენი ფრანგულის მასწავლებლის ადგილი. სოფლად ფრანგულს, — ვინაა იქ წამსვლელი, მაგრამ მაინც, — ფაქტიურად არ ასწავლიან, ქალაქშიც — აქაიქ. იმდენიც არ ვიცი, თარჯიმნად რომ გამიშვან, კონსულად და ატაშედ მე არავინ დამნიშნავს.. . — ახვიხვინდა ბუხუ, ტუჩები მომუწა. სქელ ულვაშზე დაიფარა ხელი. ბესოზე უმცროსი, — უფროსი ჩანდა. მარტოობა აღარ შვენოდა, მაგრამ შეუჩვეველს შეჩვეული მერჩია უკვე და სხვანაირი ცხოვრება ვერ წარმომიდგენიაო, არ ამბობდა, თუმცა თქმასაც აღარაფერი უკლდა. მშობლები, ისინი მიმყოფოს კარგად ღმერთმა, მესმარებიან კიდევო, ამბობდა ხშირად, ჭადის ფქვილსა და ყველსაც კი მიგზავნიანო.

— ...დავიწყებ მოკლე ხანში მუშაობას, მასეც კი არ არის საქმე, მხოლოდ მკურნალობის ერთი კურსი მინდა ჩავიტარო ბოლომდე...

— რა გჭირს სამკურნალო?

— კანის ის რომ მაქვს, რაღაც, ქვევით...

— გექავება ხომ კიდევ ნაშალი, რა ხანია აღარ მიკითხავს...

— აბა, ბიჭო!.. ცხარე ველარ მიჭამია და მწარე... ღვინოც მწყენს, ვერ მოვიცალე და ვერა... ისე, ბევრი რამეც ვცადე და არ მიშველა... რეჟიმი ვერ დავიცავი. ექიმბაშთან მიმიყვანეს, ექიმბაში კი არა, ექიმია, ბიოლოგიურ[illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა დამთავრებული და შინაურ წამლებს ამზადებს. მოგარჩენო, მითხრა, სრული გარანტია მომცა. ჩემი წამალი სვი, ერთი წლის განმავლობაში ღვინო არ დალიო, ცხარე არ ჭამო, სიგარეტი არ მოწიო, ქალს არ მიეკარო და, რაც მთავარია, არ მოიფხანოო. ქალბატონოთქვა, მე ვუთხარი, ერთი წელი თუ არ მოვიფხანე, მოვრჩენილვარ და ეგ არი, თქვენი წამალი რაღად მინდათქვა! — ბუხუ ისევ ახვიხვინდა, შებრუნდა, მანქანას შემოუარა. შენ დღეს მეტი აღარაფერი თქვაო, გააფრთხილა გამხიარულებულმა ბესომ და ბუხუ მიქაშავიძეც დადინჯდა. ბოცომკალების, მლოცველების, კუტკალიების და ჭრიჭინების ხმა წამოყვა ნიავს ვერეს ხეობიდან. მოულოდნელად მობერილმა ნიავმა გახურებულ ასფალტზე და ბეტონზე თავმოყრილი ხალხი შეაჩოჩქოლა ბევრმა მიიხედა კიდეც ხევისაკენ. გამოუშვეს მგონიაო, შენიშნა ბუხუმ და წყნეთისკენ გაიხედა.

— რა გამოუშვეს? — ვერ გაიგო ბესომ.

— გრილი ჰაერი. უშვებენ დროდადრო, თვითონ ლურჯად რომ გადაგრილდებიან, ქვევითაც გამოუშვებენ ხოლმე... — გაიღრიჯა ისევ და ბაგე-ულვაშზე აიფარა ხელი, კბილები მაინც არ გამოაჩინა.

— ხომ გითხარი, დღეს მეტი აღარაფერი თქვა-მეთქი!

წყნეთიდან აშვებულმა ნიავმა კი ტილოს დიდრონი ფარდები შეარხია მეცხრე სართულის ღია ფანჯრებში და შევიდა დიდ აუდიტორიაში, სადაც ქართულს წერდნენ დასიცხული აბიტურიენტები. კომისიის ერთმა წევრმა ქვევით ჩაიხედა, აზიმზიმებულ ხალხს შეავლო თვალი, მშვენიერი დასწრებაო, გაიღიმა კმაყოფილმა, კიბეზე ამომავალ პინგვინებს დახედა, მერხებთან მიკუნტულ საკუთარ პინგვინებს დაად-

გა თვალი: შინაური პინგვინები გარეულ (გარეთ მყოფ) პინგვინებს შეადარა, გაიბადრა. სიტყვა სიტყვას მიაბა უნებურად, რითმა არ დამავიწყდესო, გაიფიქრა: კალმისტარი დააძრო და ქაღალდის ნახევზე დაწერა: ხინკალი-მიტკალი. სიტყვებს შუა სტრიქონები იგულისხმა და ბოლო მერხს მიაჩერდა შთაგონებული, გლეჯვის კაფიას გამოვიყვან აქედანო, დაიქადნა. ბოლო მერხზე მჯდარ გასაცოდავებულ ყმაწვილს კი, გაკეცილ „შპარგალკას“ რომ მალავდა, გააცია. ჩემი სახელი და გვარი ჩაიწერა ნამდვილადო, მუჭში ოფლი, მკერდში გულისძგერა იგრძნო. ჰაერი არ ეყო და მთქნარება დაიწყო; მოკაფიე ლექტორმა რომ ქაღალდი შეინახა და ფანჯარას მიადგა ისევ, დამშვიდდა, თუმცა წერა კარგა ხანს ვერ განაგრძო. თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, შეთქმულებივით რომ იკრიბებოდნენ ყოველ გაზაფხულს ამ შენობაში, აბიტურიენტებს რეპეტიტორების შერქმეულ სახელს — პინგვინებს ეძახდნენ. სიცხეში გაშვებულ პინგვინებს გვანან საცოდავები და ამიტომ დავარქვითო (მათ არ დაურქმევიათ), იმართლებდნენ თავს, როცა არც ერთს პინგვინი, მით უმეტეს, დასიცხული პინგვინი არ ენახა. სალაღობო ლექსებს თხზავდნენ გამოცდებზე ისინი; ქაღალდის ნახევებზე, ჩამორთმეულ რვეულებზე დაწერილ კაფიებს (ხინკლის თემატიკას რომ არ შორდებოდა) აწოდებდნენ ერთმანეთს იქვე, სერიოზულად კითხულობდნენ იქვე და აღტაცებას იმ სიტუაციაშიც ვერ ფარავდნენ; გულმოდგინედ ინახავდნენ შემდეგ იმ ნაგლეჯებს, ათეთრებდნენ, იმახსოვრებდნენ და სიამაყით ამზეურებდნენ საამისოდ არცთუ მთლად შესაფერის საკრებულოებში. სიზმარში ზოგჯერ აღმოჩენას გააკეთებს კაცი, მოთხრობის სიუჟეტს მოიგონებს, მიზიდულობის ახალ კანონს შექმნის, ლექსს შეთხზავს ხოლმე და, ძილ-ბურანში გაბურბუსალებულს, თავი გენიოსი ჰგონია; მთავარია, არ დამავიწყდესო, ფიქრობს, წვალობს, შფოთავს, [illegible]დება და წარმოუდგენელი სისულელე რჩება ხელთ. ასე ემართებოდათ გამომცდელებსაც, მხოლოდ იმ კაი დედმამიშვილებს თავიანთი ნამოღვაწარი სიზმარშიც გენიალური ეგონათ და სიცხადეშიც, სიცივეშიც და სიცხეშიც.

თავდახრილი და მკლავაწეული ჩამოდიოდა ნარგიზა კიბეზე. ხელში საგამოცდო ეჭირა და დაღლილსა და დასიცხულს სახე უცინოდა, ზოლებიანი, უმკლავებო, წელში გაშვებული, სრული კაბა ეცვა, უხდებოდა, რადგან ბიჭური ტანი არ უჩანდა და ბრტყელ ბეჭებსა და ვიწრო თეძოებს შორის შეუსაბამობა აღარ იგრძნობოდა. შეჩერდა, ხალხს შეავლო თვალი, ფერდაკარგული დედა დაინახა და სხვას დაუწყო მაინც ძებნა. თვალებზე საგამოცდო ფურცელი აიფარა, ერთ წყება ხალხს გადაავლო თვალი ზემოდან, დედა გაახსენდა, გული არ წაუვიდესო, შეეშინდა და თითები გაფარჩხა.

— ხუთი მიუღია, — წამოიყვირა ნათელამ, — მოგიკვდეს დედა, როგორ დაიტანჯე, შვილო!

ნარგიზამ ბოლო საფეხურიც ჩამოათავა, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელების ფხაკუნით გამოიქცა. მორბოდა. თეთრწინდებიან ფეხებს გან-გან იქნევდა და მუხლს მუხლს არ აცილებდა. რალაცნაირად, იდაყვებში მოხრილი ხელებით და წინწამოწეული მკერდით ნაწილ-ნაწილ მოფრინავდა ცხელ ჰაერში და დედას უახლოვდებოდა. ყოჩაღ შენ, შვილო, ყოჩაღო, ესმოდა ნათელას ხმა.

მე კი არავინ მეტყვის ყოჩაღო, ჭირი მოვჭამე მაგის ხუთიანისათვის იმ კაცსო, ფიქრობდა ბესო.

სამსახურში შეიარა ნაშუადღევს. განყოფილების გამგე მაგიდაზე გადაშლილ კროსვორდიან ჟურნალს დასჩერებოდა. კონდიციონერი მუშაობდა და ვენტილატორიც იყო ჩართული; ღია ფანჯრიდან ვაზის მსხმოიარე ლერწი, მსხვილი ისრიმი და ერთ ალაგას შეთვალული კუმპალიც ჩანდა. საშა და სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკო ჭადრავს თამაშობდნენ. ილიაში საქალალდეამოჩრილი უცნობი წამოდგომოდათ თავს. შესვენებააო, გაუცინა უცნობმა ბესოს განყოფილების გამგემ თავი წამოსწია, მდინარე ირტიშის მარჯვენა შენაკადის სახელი მოითხოვა.

— ბატონო?! — მიტრიალდა დამსწრე-მეთვალყურე.

— ირტიშის მარჯვენა შენაკადი.

— ირტიშის?.. — დაფიქრდა უცნობი. — ირტიშის... ირტიშის არ ვიცი.. — ისე უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს ობის შენაკადების სახელები იცოდა.

— ვეუბნები, მოითმინეთ, ბატონო სიმონ, ერთი კვირა, გამოვა მორიგი ნომერი და წერია შიგ პასუხები-მეთქი და არ შვრება, ერთ-ორ კვირას როგორ ვერ მოვითმენ. — ჩაილაპარაკა სულიკომ და სვლა გააკეთა.

— ლაპარაკობს რა ესეც! — თქვა სიმონმა.

ბესო იაძე გახმოვანებაზე ჩავიდა. ხმის ჩამწერი საამქროს ფოიეში სტატისტები ისხდნენ და პოლიტიკაზე საუბრობდნენ. ბესო სტატისტებს, რომლებსაც იგი გუნებაში ლოცმანებს ადარებდა, მიესალმა და ხმის ჩამწერ პავილიონში შეუხვია. ამასობაში სტატისტებმა რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს და ბესო მიხვდა, რომ პოლიტიკიდან გამოცდებზე გადავიდნენ. ვიღაცამ მისი ცოლისძმის სახელი ახსენა. რას ლაპარაკობო, გაიკვირვა ბეჭგანიერმა მსახიობმა და სულ მალე პავილიონში შემოიძურწა, რეჟისორის ასისტენტს ჰკითხა, გჭირდებით თუ არაო.

— არა ჯერ! — წამოიძახა მაგიდასთან მიყუნცულმა გოგომ, დაბალი ნათურა აანთო, წინ გაშლილ, გრაფებად დახაზულ ფურცლებს დახედა, გადახაზული და გადაუხაზავი კადრები ჩაათვალიერა და, ჯერ არაო, გაიმეორა. ის ნაჭერიც ვერ ჩაგვიწერია, რომელსაც ვწერდითო, დაუმატა უკმაყოფილოდ. ბეჭგანიერმა, დაბალი ტანის მსახიობმა რაღაც ჩაილაპარაკა, გარეთ გასვლა დააპირა თითქოს თავდაპირველად, მაგრამ მიმართულება შეიცვალა და ბესოს მიუახლოვდა ბოდიშებით და პატივცემულოს ძახილით. ჩემი მკვიდრი, მკვიდრს ხაზი გაუსვა, მამიდაშვილის ქალიშვილი აბარებს, იქნებ თხოვოთ თქვენს სიძეს ობიექტურობის თვალსაზრისითო. სიძე თქვა ცოლისძმის მაგივრად, მაგრამ ბესოს ამისთვის ყური არ უთხოვებია, თუმცა „ობიექტურობის თვალსაზრისიც“ არ იცოდა, რას ნიშნავდა დახმარებას დაპირდა მაინც. არტისტის მკვიდრი მამიდაშვილის გვარი და სახელი სიგარეტის კოლოფს დააწერა და თავად ეს კაცი რა გვარია, ვიცოდე მაინცო, ინატრა. მსახიობი კი ამ ცალყბა დანაპირებითაც დაკმაყოფილდა, მოვალეობა მოიხადა და საქმის არა უნაღვლია რა, ისევ ფოიეში გავიდა და ლოცმანებს შეუერთდა. ლოცმანების შემხედვარე ბესო ხმის ჩამწერ საამქროს ადარებდა ვეშაპს, ვისი ნასუფრალითაც სტატისტები იკვებებოდნენ. ერთ წამოძახილზე, წამოყვირებაზე, წამოღმუვლებაზე, სიცილზე, ტირილზე, ტაშზე ან კბილების კრაჭუნზე ინაზღაურებდნენ ნახევარი, ზოგჯერ მთლიანი დღის გასამრჯელოს და გადასაღებ მოედანზე, სადუბლიაჟო საამქროში ან ტელევიზიაში გარბოდნენ ახალი სამუშაოს (ამნაირი ბედი ერგოთ) მოსაპოვებლად. ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ, მაგრამ ხშირად უქმად იდგნენ ჩამწერი საამქროს შუშაბანდიან ვესტიბიულში, იდგნენ, დავობდნენ, კამათობდნენ, ივიწყებდნენ ყოველდღიურ საზრუნავს და ელოდნენ. იმ დღეს ხმის ოპერატორი გაჭირვეულდა, სხვენში ბეღურები ჟივჟივებენ და აღარ ჩავწეროო. აღარც წერდა, ფეხზე ჩამომწყდარ სტატისტებსაც. აღარ ეძახდა. ასე ჟივჟივებენ მაგენი, რაც აშენდა ეს პავილიონიო, უხსნიდა საამქროს უფროსი ოპერატორს. ჰოდა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ამ მოვლენასო, თავისაზე იდგა ოპერატორი, რთული ნაჭრები დამრჩა, ავერ არის დამდგმელი რეჟისორი და

ჟივჟივ-ჭიკჭიკით ვერ გავახმოვანებთო. ასეაო, ეუბნებოდა პავილიონის ხის კედელზე აყუდებული, მოთმინებადაკარგული რეჟისორი ბესო იაძეს; არ ეშველა ამ საქმეს არაფერი, დღემდე ბეღურები ვერ გარეკეს სხვენიდანო. კარაქიანი პურითა და მურაბიანი ჩაით გაზრდილი კატები კი ყავთ მემონტაჟეებს, მაგრამ ჩიტს კი არა, თაგვს არ ერჩიანო; კუდი რომ გაუსვას ცხვირზე თაგვმა, თავს გვერდზე გაწევენ, იმნაირი კატებიაო. შენ კი ამოგჭამს თვალებს, თუ სული ამოგძვრა და მარტო დაგიგულაო, დაუმატა ხმის ოპერატორმა. ერთი გასინსილებული კატა, რომელიც ბესომ შემოსვლისასაც შეამჩნია, კუდაპრეხილი გადი-გამოდიოდა ფოიეში, მინის კარის ალუმინის ჩარჩოს ეხახუნებოდა ზანტად და ვერაგულად ათვალიერებდა სტატისტებს. გარეთ გამოსულ ბესოსაც გამოხედა უინტერესოდ და აბრჭყვიალებული თვალებიც გამოაყოლა. ბესო მანქანაში ჩაჯდა და ხელმარჯვნივ, ვაზის დაისრიმებული ლერწის იქით ბატონ სიმონის მელოტი თავი და ნახევარი შუბლი დაინახა. კროსვორდს დაჩერებოდა, ეტყობოდა, არაფრით არ უნდოდა ორ კვირას მოთმენა: წინასწარ, სხვისი დახმარებითა და საკუთარი მონდომებით აპირებდა კითხვებზე პასუხის გაცემას.

ლექტორი ქარჩავა სახლში აღარ ათევდა ღამეს, მაგრამ ცოლის საშუალებით უკავშირდებოდა ახლობლებს და ხვდებოდა იმათ, ვისთვისაც თავის არიდება არ შეიძლებოდა ან არ თვლიდა საჭიროდ. ბუხუ მიქაშავიძის მეზობლად გადასახლებულიყო ნათესავის ბინაში. ძნელი მოსაგნებიაო, უხსნიდა ბესოს ტელეფონით, რამდენჯერმე მე თვითონ მეცვალა მხარიო. არ იცოდა, რომ ბესო იაძე ხშირად დადიოდა იმ ქუჩაზე და იმ სახლსაც საგანგებოდ აკვირდებოდა. ორშპილიანი, ლილისფრად შეღებილი სახლი სინაზე გადაკიდებულ დედაკაცის ამგვარივე ფერის გრძელ ნიფხავს აგონებდა. როცა წინა ზაფხულს ბუხუ მიქაშავიძესთან [illegible] შობდა ქაღალდს, დღეში რამდენჯერმე მანქანით, ხან ფეხითაც აუვლიდა და ჩაუვლიდა იმ სახლს. აკვირდებოდა ლილისფრად გახუნებულ შენობას და ხან ერთ, ხან მეორე სადარბაზოსთან შეგროვილ ხალხს ათვალიერებდა. პანაშვიდი იყო თითქმის მუდამ დღე. ნიადაგ წყნარად იდგნენ სადარბაზოებთან მოქალაქენი და ხმადაბლა საუბრობდნენ; ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ, სახლს მარტო არ ტოვებდნენ; უყურებდნენ, ესალმებოდნენ, გზას უთმობდნენ ერთმანეთს, ადიოდნენ, ჩამოდიოდნენ კიბეზე და ცოტა ხანი ისევ იდგნენ ვიწრო ტროტუარზე და მოკირწყლულ ქუჩაში. ორშპილიანი, შპილიც არ ეთქმოდა, ორკოშკიანი თუ ორგოდოლიანი სახლი კი სინაზე გადაკიდებული ნიფხავივით დუმდა, არც ავს ამბობდა, არც კარგს, არც სიმღერის ხმა ისმოდა, არც ტირილი გამოდიოდა მისი წიაღიდან. იმ ღამით უპანაშვიდოდ დარჩენილი, კარფანჯრებდაღებული სახლი ტელევიზორს გაეცოცხლებინა. სიცხით შეწუხებულ მობინადრეებს, ეტყობოდა, ერთ ტალღაზე, ერთ არხზე ჰქონდათ ჩართული ტელევიზორები. ქარჩავა ახალი დაბრუნებული იყო პირველი გამოცდიდან. ნაწერებს ვასწორებდით, აქამდე ჩაკეტილები ვიყავითო, ამბობდა აგზნებული და ანერვიულებული და მოკლე ქოჩორს იტკეპნიდა ქვასავით თავზე; ლაპარაკობდა, სულს ითქვამდა დროდადრო და დაბნეული უყურებდა ბესოს, როგორ მომაგნოო, უკვირდა.

— ...ექვს საათზე ვარ ისევ ასადგომი, აღარც კი მინდოდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ დაუბანელი ვერ გავჩერდი, წყალი მოვუშვი და შენც დარეკე. დავლიოთ რამე? პირველად ხარ, რაც არ უნდა იყოს; ჩემი ბინა არაა, მაგრამ მაინც ბავშვი აქა გყავს? როდის მოიყვან? ჯერ არც გინდა. იმდენი მაჩვენეს, რომ ერთმანეთში ამერია უკვე. ვანიჩქასაც უნდა ვანახოთ, მარტო მე არ ვეყოფი, გამიჭირდება... ისტორიაშიც თუ ხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მიიღო, აღარც გავაო, ასე არ მითხარი? მიიღებს კი?! სიფრთხილეს თავი არ ტკივა, მართალი ხარ. მზად უნდა ვიყოთ მაინც. სწორი ქენი, ახლა რომ მოდი, მერე შეიძლება ვერც გენახე, ვანიჩქაც აქაა ბედად, შენ უარს ვერ გეტყვის. ისე, ბავშვმაც უნდა შეგვიწყოს ხელი. ზოგიერთი ისეთი თავხედია. ნახევარ ან ერთ ნიშანს კი აღარ ჯერდება... შეიძლება ასე?! შამპანური მგონი მაცივარშია, არ დალევ? ვანიჩქა ვნახოთ მაშინ. პაროლს ახლავე მოგცემ. ამ პაროლებსაც ველარ ვიგონებ, ველარც ვიმახსოვრებ, გატენილი მაქვს ჯიბეები, ნახევარი გადავყარე... ძალით მაძლევენ, გიჟები არიან... ეს ვისია? ჯოლოგაძე, ჯოლო, ჯოლო... გადაირევი პირდაპირ, ხომ მოეწყო ხერკელაშვილი თავისით. ჩამოვიდა სოფლიდან უპატრონოდ და მოეწყო, მართლა ისე კი არაა საქმე. ახლა დამიგდე ყური: „ქართველი მწერლები ერის სამსახურში იდგნენ მუდამ...“ — ასე დაიწყოს; რა თემაც არ უნდა დაწეროს. არ გინდა გადაწერა, ეს წაიღე ბარემ, აქ გადატანის ნიშანია... ეს პაროლი კირკაძესაცა აქვს გაცემული... ბოლო სიტყვა უნდა გადაიტანოს როგორმე. მუ ცალკე დაწეროს, **დამ** ცალკე, გაყოს აუცილებლად **მუ-დამ.** ეს პაროლებიც ემთხვევა უკვე ერთმანეთს. ხუთიექვსი პაროლი ყველასა აქვს გაცემული. მერე იწყებენ ძებნას, სირბილს; შენთან ხომ არ არის, ჩემი აქაა, ეს ვისია, შენი იქაა, იმისი იქაა, ეს ვისია, ის ვისია, დააფრიალებენ ნაწერებს. თანაც ათასი თვალი მოგჩერებია. უნდობლობა რანაირი; ზოგი იქვე გთხოვს, კოლეგებზე გეუბნები, იქვე გეხვეწება მოუმატეო. მოუმატე კარგია! კაცმა არ იცის, რა აქვს აბიტურიენტის მშობლებისათვის ნათქვამი. შეიშლები, ისეთი ამბავია. გინდა დამიჯერე და გინდა არა, არც ერთი თემა ახლა უპაროლოდ არ იწყება, ჩვენთან ასეა და იმ ხერკელაშვილმა რანაირად დაწერა, ვერ გეტყვი. ერთი უპაროლო ნაწერი რომ მანახია, ერთ ნიშანს მოვუმატებ, სარისკოა, მაგრამ მოვუმატებ და ჩემს [illegible] დავაკლებ ბოლოს და ბოლოს. აჭრილია და არეული ყველაფერი. არ უნდა დავთანხმებულიყავი... წელსაც ბარემო შარშან რა დღეც დამადგა, ის ვითომ არაფერი. წადი რა, დაისვენე, რას იკლავ თავს ამ სიცხეში! მე აწი აღარ გამოვალ იმ შენობიდან, დავიდგამ აუდიტორიაში საწოლს გრიშასავით. წავიდეთ ახლა ვანიჩქასთან. დავრეკავდი, მაგრამ ყურმილს არ აიღებს... ბატონი ვანო დაუძახე, გაეხარდება... — გაჩუმდა, როგორც იქნა, და ქოჩორი დაიტკეპნა საშვილიშვილოდ; მიიხედ-მოიხედა, რაღაც რჩებოდა და ვერ გაიხსენა, ჯიბეზე ხელი მოისვა, პაროლი მოგეცი თუ არაო, იკითხა, პასუხისათვის აღარ დაუცდია — კარი გააღო.

ერთი სადარბაზოდან გამოვიდნენ, მეორეში შევიდნენ. ერთი და იგივე ტალღაზე ჩართულმა ტელევიზორებმა დაიგრიალეს ანტენებით გაჭედილ კოშკებშუა და ივანე ბუხაიძის ბინის კარსაც მიადგნენ. ვახ, რა ცხელა, თქვა ქარჩავამ, შენ აქეთ გამოდი, საჭვრიტინებელს მოშორდი, თვარა არ გაგვიღებსო, გააფრთხილა ბესო, ზარი დარეკა და საკლიტურს მიადო პირი, მე ვარ, ბატონო ვანო, მე ვარო, გაიმეორა რამდენჯერმე. კარს უკან რაღაც გაჩხაკუნდა, რაზაც შეტრიალდა ცოტა ხნის შემდეგ და გასაღებიც გადაბრუნდა. ბატონი ივანე დაუძახეო, უთხრა კიდევ ქარჩავამ და თმის დაჭნეხაც მოასწრო ქვასანაყ თავზე.

— იცნობთ, ლაპარაკი არ უნდა, ბესო იაძეს! — მიახალა კარებშივე.

— როგორ არა, მობრძანდით, ბატონ ბესოს ვინ არ იცნობს! — გაიღიმა ვანიჩქამ და, რაღაც მაქვს კიდეც, მგონი, მაგის დაწერილი წაკითხულიო, გაიფიქრა, ეცვა სპორტული შარვალი და გახამებული, საყელოაწეული, თეთრი პერანგი, რომელიც კარის გაღებამდე ჩამოირგო შიშველ ტანზე. ფანჯრებმოღებულ, ნახევრად ჩაბნელებულ კაბინეტში დასხდნენ, საიდანაც დიდი ოთახი და ხმადაწეული, აციმციმებული ტე-

ლევიზორი გამოჩნდა. სიგრძივ სახედალარულმა ვაზიჩქამ, ანუ ბატონმა ვანომ, საგამოცდო სისტემის არასრულფასოვნებაზე, მანკიერ მხარეებზე, ნაკლოვან სტრუქტურაზე და მოსალოდნელ, უფრო სწორად, სასურველ, სავარაუდო ცვლილებებზე დაიწყო ლაპარაკი დამჯდარი ხმით. საერთოდ, მე რომ მკითხოთო, სწავლა, უმაღლესი განათლების მიღებაც არ არის სავალდებულოო, დაასკვნა: ჩემი შვილი ჯარში გავუშვი, სამაგალითოდო. ,

— ჯარშია ახლაც? — იკითხა ბესომ, რათა როგორმე სიტყვა ჩაეგდო და საუბარში ჩართულიყო.

— არა, ბატონო, ახლა დიდია, დაამთავრა უმაღლესი, იოლად მოეწყო, იმიტომ რომ ლიმიტი ჩამოიტანა, პარტიაშიც იქ მიიღეს; ასეა, პატივცემულო ბესო, საქმე! — ხელი ხელზე დაადო, გაუცინა და რამდენჯერმე ჩაახველა სტაჟიანი, ნაღდი მწეველის ხველებით. შემდეგ ზოგიერთი გამომცდელის არაობიექტურობაზეც გაამახვილა ყურადღება. არ უნდა ხდებოდეს ასე და ამნაირად, არაო, და მაგალითებითაც დაასაბუთა თავისი მოსაზრება. ლაპარაკობდა და ქარჩავასკენ იხედებოდა დროდადრო, სანდოა ეს კაცი თუ არაო, ეკითხებოდა თვალებით. ქარჩავა თავს უქნევდა, ისე იქცეოდა, თითქოს ის ათასჯერ მოსმენილი ამბებიც აინტერესებდა. სქელი წარბები აჯდა სიგრძივ დაღარულ სახეზე ბატონ ივანეს; მკაცრი გამომეტყველების პატრონს თვალს ვერ გაუსწორებდი, სანამ არ გაიცინებდა, თუმცა როცა იცინოდა, თვალის მოშორება არ მომინდებაო, ვერც მაშინ იტყოდი. ბესომ პირადად მიცვალებულის გამპატიოსნებელს მიამგვანა. სწორედ ამნაირი ადამიანები ბანენ და პარსავენ რაიონში მკვდრებსო, ფიქრობდა და დუმდა. ამოიღე რაცა გაქვსო, უთხრა წასვლისას ქარჩავამ. რა ამოვიღოო, დაიბნა ბესო და პაროლი გაახსენდა. ქარჩავამ პაროლი ვანიჩქას აჩვენა და გაუგებარი ქართულით უთხრა რაღაც, სათქმელი გააგებინა და წამოდგა. ასე როგორ გაგიშვათო, შეწუხდა ბატონი ვანიჩქა და გამოაღო ფრთხილად, კიდევ არავინ იყოს დადარაჯებულიო, შეეშინდა.

უკაცრიელ ქუჩაში, ტელევიზორების ღრიალზე დაემშვიდობა ქარჩავას და, ტყუილად დავიმალე მგონიაო, გაიფიქრა, მანქანაში რომ ჩაჯდა. თოფის სროლის ხმა ისმოდა ისევ ღია ფანჯრებიდან. რაღაც საინტერესო, სათავგადასავლო კინოფილმი გაუშვეს, ეტყობოდა, აგვისტოს პირველში. მისაღები გამოცდების პირველ დღეს. დავიმალე ერთია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შეიძლება ერთმაც მიგანოა და მეორემაცო: ერთი აშლილია უკვე, რას ლაპარაკობს, არ იცის, მეორე ნამეტანი თვითდაჯერებულია და როგორ წავა მაგათი საქმე ღმერთმა არ იცისო. ქარჩავა პაროლებს ხევს საგამოცდო წერის დაწყების წინო, გაგონილი ჰქონდა ესეც. მაგრამ არ სჯეროდა: თუ სცემს, რაღაცას ხევსო, ვერ გებულობდა: რომ არ კაფიობდა, ნაღდად იცოდა და ეს აიმედებდა. არ მივიდოდი, მაგრამ ნარგიზას მეორე ხუთის იმედად ჩემი მტერი გაჩერდაო.

ღამის თორმეტ საათს ალარაფერი უკლდა, შინ რომ მიბრუნდა. იქაური ფანჯრებიდანაც ზუსტად იმნაირი სროლის ხმა და ხმაური გამოდიოდა, ქარჩავასას რომ ისმოდა. აღარ აძინებენ ამ ბავშვებს თუ რაშია საქმეო, გაიფიქრა, გააჩერა მანქანა და სადარბაზოსთან თავმოყრილი ხალხი დაინახა. გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ღამისმთევლებს თუ მასთან ჰქონდათ რაიმე საერთო, მაინც ვერ წარმოიდგინა. ჩაკეტა მანქანა, სახლისაკენ წავიდა და ხალხიც მისკენ მოტრიალდა. ერთი ტანმაღალი კაცი გამოეყო დანარჩენებს და წელკავგამჯდარივით წამოვიდა. ღიმილზე და რადიკულიტიანი კაცის მიხვრა-მოხვრაზე იცნო ჯონდი ფაღავა. ხომ მშვიდობააო, იკითხა სუნთქვააჩქარებულმა. ჯონდის ღიმილმა შეაგულიანა, თორემ ხმის ამოღებას თუ მოახერხებდა, არ ეგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშვიდობაა, კი, რავა ხარ შენ. გონგებ გაგიცინე შორიდან, კაცი ყოველთვის ცუდს ფიქრობს ამნაირ დროს. შენთან არიან, მხოლოდ შენ ცოლისძმას ეძებენ, შურას, აქ ათევს ღამეს?

— არა, კაცო, ღმერთი, რჯული; შენი გოგო ხომ მოეწყო?

— ჩემი კი, — გაეცინა ჯონდის. — ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში. მაგატომ არ მოვსულვარ, ეს ჯემალია ჩვენი, ვერ იცანი?

— აბა ჯემალი? ო, ჯემალ, სალამი, როგორა ხარ?... ეს კოტეა? კოტე, გამარჯობა, ვალიკო, გამარჯობა, როდის ჩამოდი?!

ქალებიც ეცნაურა, მხოლოდ ზოგიერთის ვინაობა ვერ გაიხსენა. ერთმანეთის მიყოლებით მოდიოდნენ სიბნელიდან და საკოცნელად მოიწევდნენ, გონზე მოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. სიცხე-პაპანაქებაგამოვლილ, ახლახან გადაგრილებულ, ასაკდაჩენილ ქალებს ღამის ტუალეტის სასიამოვნო სუნი ასდიოდათ მაინც. არ არის ჩემთან შურა, თვალით არ მინახავს რა ხანია, სათითაოდ უმტკიცებდა ყველას და ეგონა, ტყუოდა: არ ჯერათო, ხვდებოდა და თავს იმართლებდა. ერთი შეპატიება შეიპატიეა კიდეც ყველანი, მაგრამ გვიანიაო, იუხერხულეს. შურას გამოჩენის იმედი რომ ჰქონოდათ, ღამესაც იქ გაითენებდნენ ალბათ; ახლა კი შინ შესვლაზე უარი განაცხადეს და ბესოსაც აღარ შემოუხევია ჩოხა არავისთვის. რაღაი არ არისო, ქალებმა თქვეს, ჩვენი სახელი უხსენეთ, ჩვენი ტელეფონის ნომრები ჩაიწერეთ, თუ არ შეწუხდებით, იქნებ თავად შეგვეხმიანოსო. კი ბატონო, არ დაგზარდებითო და მართლა ჩაიწერა რამდენიმეს მისამართი ქუჩის ნათურისა და მთვარის შუქზე. ტელევიზორების ღრიალი მიწყდა ამასობაში და სიჩუმე გამეფდა. ბესომ შევება იგრძნო, ეს ხმა მაწუხებდა თურმე აქამდეო, მიხვდა. ქალები კი, ხეებქვეშ შეყენებული მანქანები და ქმრები რომ ელოდნენ, ბოდიშებით იხევდნენ უკან და შუქჩრდილებში უჩინარდებოდნენ. დაბნეული ბესო წამსვლელ-მომსვლელს აყოლებდა თვალს და ყურს უგდებდა მისი სკოლის ყოფილ დირექტორს, რომელსაც მათემატიკის მასწავლებელი ჰყავდა ჩამოყვანილი რომელიღაც რაიონიდან. დამსახურებული პედაგოგიაო, უხსნიდა ბესოს, სამაგალითოდ მომზადებული შვილი ჰყავსო. დამსახურებულ პედაგოგს, გამხდარ, შავ კაცს, ღმერთმა არ იცოდა როდინდელი, მაკინტოში ეცვა. სახლიდან ახალგამოსულს არ ჰგავდა და, როგორ გალია ეს მწველი დღე ამნაირად ჩაცმულმა, ძნელი დასადგენი ჩანდა. ჩვენ გვინდაო, ამბობდა მაკინტოშიანი ნერვიულად, თქვენმა სიძემ (ცოლისძმაო, ახსენებდა ვალიკო), თქვენმა სიძემო ობიექტურად გამოსცადოს, ობიექტურად შეაფასოს, ყურადღება მიაქციოს, რათა სხვამ ნიშანი არ დააკლოსო. დაკოჟრილ, დაბედღებულ ხელს იქნევდა და აშკარად ეტყობოდა, მარტო ფორმულებით და განტოლებებით არ ირჩენდა თავს. რაც ეკუთვნის, ის დაუწერონ, თუ ეკუთვნის, ბატონო, სამი, სამი დაუწერონ. მომატებას არ ვითხოვ, მარა, თუ ეკუთვნის ხუთი, დაუწერონ, ბატონო, ხუთი, არც დაკლებას ვითხოვო. ეს თავისთავად ასე იქნებაო, გულწრფელად არწმუნებდა ბესო და ხერკელაშვილის მაგალითი მოჰყავდა. მე მაინც თქვენს იმედზე ვარო, ამბობდა მასწავლებელი. კი ბატონო, მე ჩემსას ვიზამ, გავაფრთხილებ, თუ შევძელიო. აბა შენ იციო, ეჯაჯგურებოდა ღიმილით ვალიკო და ღონივრად ართმევდა ხელს გამომშვიდობებისას.

ერთმა იმუბნელმა ბიჭმა, აქამდე რომ გარე-გარე დაიშტიმებოდა და სიმთვრალეს მალავდა, ბესო გვერდზე გაიხმო ბოლოს, ბოდიში მოუხადა, ხალხში არ მინდა გელაპარაკოთო, თუმცა ჯონდი ფალავას მეტი აღარავინ იყო დარჩენილი. ციხეში შემთხვევით მოხვედრილი და იქიდან ახალი თავდახსნილი, მოხდენილი გარეგნობის, უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა, სასურსათო მაღაზიის მუდმივი და მოუშორე-

ბელი მუშტარი თუ ბინადარი, აპირებდა და ვერ იწყებდა სამსახურს და თავს, შეიძლება არცთუ უსაფუძვლოდ, ამადლიდა საზოგადოებას. არის ერთი კაციო, უხსნიდა ბესოს, ათი ათას მანეთს იძლევა ნიშნის დაწერაშიო. ,

— ...ლიუბოი ნიშანში, სტაჟი აქვს, დეპუტატობის საბუთიცა აქვს და სამიც ყოფნის, ერთი სამის დაწერა თქვენთვის არაფერს არ ნიშნავს და მაყუთს დებს წინასწარ, ახლავე ჩამოვამსერებინებ თავისი ხელით... უთხარით გიწერთქვა...

ბესომ ლოყები მოკუმა და ჯონდის მიაჩერდა. ახალგაზრდამ რაღაც იგრძნო და ტონი შეცვალა, თუმცა ბესო არც გაბრაზებულა. იცოდა, გზააბნეული ნაციხარი ცდებოდა, ჯერ ადრესატი ეშლებოდა, მერე ტყუოდა: ტყუოდა თუ ტრაბახობდა, ეშმაკმა უწყოდა. ტრაბახსაც ქელარ დაარქმევდი მის საქციელს. ამნაირ საქმიან, უსაფუძვლო ფსევდოკონტაქტებს მეტ-ნაკლები წარმატებით ამყარებდა იგი ნაცნობ-უცნობებთან. არც უჯერებდნენ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), არც აძლევდნენ, არც ენდობოდნენ. ათი ათასს კი არა, პაპიროსის ღერში ჩასატენ ფხვნილს აღარ ენიაიავებოდნენ.

— ...ჩვენ რომ არ გამოვართვათ, ჩემო უფროსო ძამიკო, სხვა გამოართმევს, ვიღაც ქაჯი შეიტყაპუნებს ჩვენს მაგივრად, აქვს სიმონას და არ ავიღოთ? ჩვენკენ გადმოყაროს გოიმმა, არ ჯობია!

ძნელი იქნებოდა ამ უსიამო საუბრის გაწყვეტა, ჯონდის რომ არ ემარჯვა. შენ გიცნობ მეო, უთხრა ახალგაზრდას (მართლა იცნო თურმე), ხვალ მოდი და დღის სინათლეზე მოვილაპარაკოთო. სინათლე რატომ ახსენა, თავადვე ვერ გაიგო, მაგრამ ამ სიტყვამ სასწაულებრივად გაჭრა. მართალი ბრძანდებით, დღის სინათლეზე გამოვალო, თქვა მოულოდნელად ახალგაზრდამ, ჯონდის მიაჩერდა, იცნო იმანაც, შეტრიალდა და გაიქცა, გამართული ტანით აირბინა პატარა აღმართი და გულამომჯდარი გაჩერდა ხესთან, სული მოითქვა, ცოტა ხნის შემდეგ და წავიდა.

დილით ადრე ადგა ბესო.

მოუსვენარი დღე მექნებაო, იგრძნო და არც შემცდარა.

ერთმანეთის მიყოლებით მოვიდნენ: ბუხუ მიქაშავიძე, გოვენ წიქარაშვილი, ჯონდი ფაღავა: მოგვიანებით გამოცხადდა ალიო ღვაბერიძე, რომელსაც ორი კაცი მოჰყვა, ლიფტში გადაყროდა ღა, როგორც თავად განაცხადა, დაახლოებოდა ორთავეს. საქმეზე არიან, დილიდან დაგეძებენო, უთხრა ბესოს ჩუმად, ხვევნა-კოცნის შემდეგ. გამოირკვა, რომ იმ ორ კაცსაც იქ გაეცნო ერთმანეთი. სამაგიეროდ ერთ საქმეზე მოსულიყვნენ. კორნელის ვეძებთო. ამბობდნენ, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით იდგნენ, არც მიდიოდნენ, არც რჩებოდნენ და ისედაც დაბნეულ ღვაბერიძეს უსაშველოდ აბნევდნენ. ვინაა კორნელიო, ფიქრობდა ალიო და თვლემა ერეოდა. არ იყო კორნელი და მაძებრებიც წავიდნენ. ბესომ სტუმრები გააცილა, შემობრუნდა, კედელზე მიყრდნობილ, ფეხზე ჩამოძინებულ ღვაბერიძეს ხელი მოკიდა და აივანზე გაიყვანა, სადაც ჯონდი, გოვენი და ბუხუ ლაპარაკობდნენ; მისი ამაღლებულება ღვაბერიძეო, გამოაცხადა.

— ოო! — იყვირა თვალებდაბლიპტულმა ღვაბერიძემ. — ჯონდის ვენაცვალე, ჯონდის შემოვევლე, ჯონდის ჭირიმე! — სამთავენი გადაკოცნა ყვირილითა და ხმაურით.

— შენ რას შვები, როგორა ხარ? — წყნარად ჰკითხა ჯონდიმ, ეზოში ჩაიხედა, სიგარეტის ნამწვი ჩააგდო და ისევ ღვაბერიძეს მიაჩერდა ღიმილით. — რა არი, რავა ჭაში ნარახუნებ ვედროს დამგვანებიხარ!

— ძალიან გავსუქდი, აღარ მეტევა არაფერი; რა მითხარი, რას დამგვანებიხარო?.. ჭაში ჩაშვებულ ვედროსავით მარახუნებს ცხოვრება და აბა რას დავემგვანებოდი: დამერღვა რეჟიმი, ოჯახური სიამტკბილობა, ნივთიერებათა ცვლა, სისხლის მიმოქცევა, ას ოცი

კილო გავხდი, სამოცდაათ კილოზე მეტი რომ არ უნდა ვიყო წესით; დავიბრიცე, დავმრგვალდი, წონამ დამძალა და ვერ წამაქცია... გული ალმომაჩნდა სტამბოლის კაუის... შენ რა მითხარი, რას გავხარო? ხო, ხო, ხო, ვაი დედა, დავიხრჩობი საცაა ხველებით, შაქარი! არ იშლი ხომ შენსას!.. ბუხუ როგორაა, ბუხუს ვენაცვალე, გიგზავნიან ჭადის ფქვილს?

— იშვიათად.

— რა ჭადი იცის, ბიჭო, თქვენსკენ!

— შენ რა ქენი? — გოვენს მიუბრუნდა ბესო. — გადაეცი შენს სიძეს ჩემი დანაბარები თუ აღარც გაგახსენდა?!

— როგორ არა, პირდაპირ იქ წაველდი აქედან, ნეტავი არ მივსულიყავი, გამათახსირა ბავშვთან. ჯერ მეხვეწა: ჭკუა დამირიგე, მიშველეო და გავბრიყვდი, ავყევი...

— ბავშვს?

— მამამისს... თვალსაჩინო მაგალითად გამომიყენა. ამნაირი კრეტინი გამოხვალ, თუ პატიოსნად იცხოვრეო, სულელის მეტს რა უნდა ლიტერატურაშიო, მოკვდები მშიერი, ამნაირი სულელი დარჩებიო, მერე მოგიყვები დაწვრილებით...

— რაო, რაო, რა გითხრა, რა გამოხვალო?! — ტუჩები აუთამაშდა ღვაბერიძეს, ცოტა უკლდა ჩაბჟირებას.

— ბიჭს უთხრა ჩემზე, ამასავით სულელი იქნები, თუ დისერტაცია დაიცავი და პატიოსნად, ხელფასით იცხოვრეო...

— რაო? ვა, ხა, ხა, ხა, — კარის სახელურს ჩამოეკიდა ღვაბერიძე, ისევ ვერ გაიგო, ვინ ვის რა უთხრა და ვინ ვის რა უპასუხა, მაგრამ სულელი და პატიოსანი დაუკავშირა ერთმანეთს და ამაზე გადაფიჩინდა. კორნელი გამოჩნდა ამასობაში; დიდი, შავი პორტფელით ცალბეჭჩამოგდებული შემოვიდა, გამხდარი, პირტიტველი, ნისკარტცხვირა ბიჭი შემოიყვანა, თავაზიანი ღიმილით მიესალმა დამხვდურებს და მძიმე პორტფელი (სკამზე დადებდა, ეგონათ) ოთახის კუთხეში მიაყუდა. რა აქვს ნეტავი ამდენი შიგო, გაიფიქრა მასპინძელმა, და კორნელის აივანზე მოსვენება შესთავაზა.

— არა... დრო არა მაქვს, გავრბივარ, მაჩვენე ბავშვი.

— დავრეკავ ამწუთას, ჩამოვა ახლავე. მამამისიც ჩამოვიდეს?

— არა, კაცო, — დაიღრიჯა კორნელი. — ნამეტანსაც ნუ დააიმედებ, შევხედავ უბრალოდ, იქნებ დავიმახსოვრო და ყურადღება მივაქციო, თუ რამე ეცოდინა, თუ არა და, შენც იცი, ძალიან ახლობელი რომ იყოს, მაშინ კიდევ რაღაცას...

— არაფერი, ნახე მარტო. მე ჩემს მოვალეობას მოვიხდი, მოვკვდი, აღარ შემიძლია, უნდა გადავსახლებულიყავი აქედან, შენ რომ არ მოსულიყავი. ორი ტიპი მოვიდა, გიკითხეს, არ არიმეთქი, არც გელოდი...

— ერთად, კაცო? ვახ შენი!.. — შუბლზე მიიჭირა დიდი ხელისგული. — გადაირევი კაცი, სადაა ბავშვი?

— დამაცადე, ვრეკავ, გავიდა ზარი. შოთა, მე ვარ, ბესო, ჩამოვიდეს თიკო, შენ არა, ჰო, კი... — ყურმილი დადო. — ერთი გოგო ყავთ და გადამკვდარი არიან ბებიები, ბაბუები, ნათესავები, მშობლებზე აღარ ვლაპარაკობ. კარგი ხალხია, სხვათა შორის...

კორნელი სკამზე დაჯდა, გულისპირი გაიხსნა და ცხვირსახოცით გაინიავა სახე, დღეს დაიწვება ქალაქიო, თქვა, ცხვირწვეტიან ბიჭს მიუბრუნდა და, ეს არის ბესო იაძეო, უთხრა.

— ...არ თქვა ახლა, არ გამიგონია ბესო იაძეო; თუ არ გაგიგონია, ქართულ ლიტერატურაში ნიშანს ვერ დაგიწერ, გენაცვალე... — ბავშვი შეაშინა (ბავშვს არ შეშინებია) და მასპინძლის გულიც მოიგო ამ ორსვლიანი კომბინაციით, რომლის შენიღბვა არც უცდია, პირიქით, თვალიც კი ჩაუკრა კარის კარბაზე მიყუდებულ, ძილის პი-

---

რეზო ჭეიშვილი
მეოთხე სიმფონია

რზე მისულ ღვაბერიძეს. ზარი დარეკეს და ბესო იაძე, რომლის გვარი და სახელი აბიტურიენტს მართლა არ გაეგონა, კარის გასაღებად წავიდა. გამხდარი, ცხვირნისკარტა ბიჭი, ნაადრევად ზრდაშეწყვეტილ უპერსპექტივო კალათბურთელს რომ ჰგავდა, უხეიროდ იცინოდა და ირწეოდა პიანინოსთან, ბესომ მეზობლის გოგო სამზარეულოდან ლოჯიაში გაიყვანა და კორნელი გამოიხმო. მარტოდ დარჩენილმა ბიჭმა (ღვაბერიძეს ვერ ხედავდა) შვება იგრძნო, გრძელი, წვეტიანი თითებით გაასწორა ნოტები, იდაყვი ჩამოადო პიანინოს და ჭერს მიაჩერდა. ფეხზე მძინარე ღვაბერიძეს გაღვივებულმა სიგარეტმა შეახსენა თავი, იწვოდა თუთუნი და ცეცხლი სითბოგანელებული ვერცხლისწყალივით ჩადიოდა ქვევით; თითებს რომ მიადგა, ფეთიანივით გაიქნია სიგარეტის პატრონმა ხელი; გამოფხიზლდა, კორნელი და ბესო რომ ვეღარ დაინახა, გაოცდა, აწიორებულ ბიჭს თითებზე სულის ბერვით მიუახლოვდა და, რაზე აბარებ შენო, ჰკითხა წყნარად.

— მეტალურგიულზე.

— მეტალურგიულზე (სხვა ფაკულტეტი ეთქვა, ერჩია)... მერე, მეტალურგიულზე აბარებ და ბესო იაძე არ გაგიგონია?! მწერლების გვარი და სახელი არ უნდა გქონდეს გაგონილი?! რა ხართ ეს მეტალურგები, გადასარევი ამბავია, ბესო იაძე არ გაგიგონიათ, ჯონდი ფაღავა არ გაგიგონიათ, გოვენ წიქარაშვილი — მეცნიერების კანდიდატი არ გაგიგონიათ, მოსე ხონელი არ გაგიგონიათ, შალიკო ძიძუაშვილი არ გაგიგონიათ, აბა, ვინ გაგიგონიათ' — თანდათან აუწია ხმას, ნელ-ნელა გაწითლდა და აივნისკენ გააპარა თვალი, როგორი ეფექტი მოვახდინეო, დაინტერესდა. აივანზე მყოფთ ამ სცენისათვის თვალი არ მიუდევნებიათ, მაგრამ ღვაბერიძე მაინც კმაყოფილი დარჩა, სამზარეულოში გავიდა, გამოაღო მაცივრის კარი, დაკვირვებულად შეიხედა შიგ, ცივ „ბორჯომს“ მიაგნო და დასიცხულ ხახაში ხრიალით გადაუშვა ყინულივით წყალი.

— არ გაუგონია! — ჩაილაპარაკა ამჯერად თავისთვის. რატომ არ წაგიკითხავს, არ გისწავლიათო, არ უსაყვედურებია, რატომ არ გაგიგონიაო, ამაზე გადაირია, რადგან თავად მხოლოდ და მხოლოდ გაგონილი ჰქონდა ყველაფერი.

კორნელი გამოვიდა ლოჯიიდან, პორტფელი მოძებნა, ღვაბერიძესაც დაემშვიდობა, — კარგი ბაჭში ყოფილა ძალიანო, თქვა ღიმილით თიკოზე, წაიყვანა თავისი აბიტურიენტი, რომელსაც ამ ხნის მანძილზე ხმა არ ამოუღია და ბეჭჩამოგდებული წავიდა. ვინ იყოო, იკითხა ცოტა ხნის შემდეგ თვლემამოდეულმა ღვაბერიძემ.

— არის ერთი... — მეტი ახსნა-განმარტება საჭიროდ არ ჩათვალა.

— მომიწყვეთ მეც ვიღაცა! — იყვირა უცბად ღვაბერიძემ.

— გყავს ვინმე? — დაინტერესდა გოვენ წიქარაშვილი, ღვაბერიძის მარტო ხმის გაგონებაზე რომ ეცინებოდა.

— არავინ არა მყავს, მაგრამ გამოვძებნი, რა გაცინებთ, სასაცილოა ეს ამბავი?! დაწერეთ, ბიჭო, ჩემზე რამე, დაწერეთ. გაფიცებთ ყველაფერს, ან წიგნში ჩამაგდეთ, ან კინოში გამომიყვანეთ, ან თეატრში. გამომიყვანეთ და, როგორ გამომიყვანთ, არა აქვს მნიშვნელობა. არა ვარ დასაკარგავი კაცი, გეუბნებით. მოვკვდები და მერე ინანებთ. დაწერეთ რამე, რაც გინდათ, ის დაწერეთ: გინდ გლახა, გინდ კარგი, რაც გინდათ, მთავარია, არ დამკარგოთ, დედის სულს ვფიცავ, არ მეწყინება, სულ ერთია, რაც გინდათ, ის დაწერეთ... სად მივდივართ ახლა ჩვენ?

სამხატვრო აკადემიის შენობის წინ და უკან ხალხი აღარ ტრიალდება. კანტიკუნტად მიმავალ-მომავალ დასიცხულ მოქალაქეებს დარჩენოდათ ასპარეზი. მსუბუქი მანქანები კი ქუჩის ორთავე მხარეს იყო მაინც გაჩერებული.

მოჩუქურთმებული, დიდი კარი გაიღო და მაღალი ბიჭი გამოვიდა ჩარჩო-

იანი სურათებით. ხესთან ელოდა დედაბერი, რომელიც მანქანასთან მარტოდ დარჩენილ ბესოს, დაკვირვებით რომ ათვალიერებდა იქაურობას, რატომღაც იქამდე არ შეუნიშნავს. მაღალ ბიჭს მოგრძო სახე და დიდი ხელები ჰქონდა. რაიო, ეკითხებოდა დალეული, წაკუზული დედაბერი და მაღლა ახედვა, შვილიშვილის მზერის დაჭერა უჭირდა. ბიჭი აბუზული და შეფიქრიანებული იდგა, ჩარჩოიანი სურათები ზემოდან ხელით და ქვემოდან ფეხსაცმლის ჭვინტით ჰქონდა დაკავებული.

— გამომატანეს ესენი, კიდევ იმეცადინეო, გაისად მოდიო, ასე მითხრეს...

— გაისად მოდიო? — ყურზე აიფარა ცალი ხელი.

— გაისადო.

— გაისად ჯარში წამიყვანენთქვა, ვერ უთხარი?

— ჯარში ისედაც წამიყვანდნენ.

— მოწყობილი მაინც წახვიდოდი.

— ჩამოვალ და მოვეწყობი...

— მე კი ვეღარ ჩამომისწრებ...

— იმეცადინეო, მითხრეს, კარგია ესენიო, მარა კიდევ ხატეო...

— კიდევ ხატეო?

— ჰო...

დედაბერმა ამოიოხრა და ბიჭიც გაჩუმდა. სდუმდნენ ერთხანს. წაკუზულ ბებიას ზევით ახედვა უჭირდა. ბიჭის თვალების დანახვა ენატრებოდა. წახვალ და ვეღარ ჩამომისწრებ, ვაი, გაუხარელად გაზრდილოო.

ჯონდი ფალავამ ჩარიცხულთა სია ნახა და გახარებული წამოვიდა. შვილი რომ მოწყობილი ყავდა, იცოდა, მაგრამ სიაში თამუნია ჯონდის ასული ფალავას დანახვაზე აუფერადდა სახე და თვალები. წელზე ხელშემოდებული, ოდნავ წახრილი ჩამოდიოდა მარმარილოს კიბეზე ბუხუს, გოვენისა და ღვაბერიძის თანხლებით. გარეთ გამოსვლისას ღვაბერიძე უზარმაზარ კარში გაეხიდა, ბესოს ანიშნა, კარგადაა საქმეო და მიუხედა სათვალიან კაცს, რომელმაც ვერაფრით გვერდი ვერ აუარა. ბობრი ბიჭი მოდიოდა მარტოდ ქვემოდან. მოკლესახელოიანი პერანგი ეცვა, სახელოები კიდევ ზევით იღლიებამდე ჰქონდა აკეცილი და ძვალმსხვილი, თეთრად და გრძლად დაკუნთული მკლავები მძიმედ ეკიდა ბეჭებზე. გახარებული ჯონდი, გატკიცინებული ცხვირსახოცით რომ იწმენდდა ტუჩებს, ბობრს დააკვირდა.

— გამარჯობა. სოსია არა ხარ შენ?.. რა ქენი?

— ვერ მოვეწყვე.

— კიდევ, კაცო?

— დამაკლდა ნიშანი. — ბიჭი შეჩერდა, ჯიშიანი, თუთუნისფერი, მოკლედ შეკრეჭილი თმით შემოსილი თავი გადახარა, ჭროლა თვალები წაჭუტა.

— სპეციალობებში რა მიიღე?

— ხუთები. ისტორიაში სამი, ქართულში სამი... — მიაყარა ბოლო პასუხებიც, შემდეგ შეკითხვებს აღარ დაელოდა.

— მერამდენედ აბარებ?

— მეშვიდედ.

— ჯარი? — დაინტერესდა ღვაბერიძე, ხეზე ხელმიყრდნობილი თვლემდა და ეს ლაპარაკიც ესმოდა თურმე.

— ვიყავი ჯარში, ლიმიტი ვერ ჩამოვიტანე.

— ვერა, ხომ! — თავი ჩამოუვარდა და კინაღამ წაიქცა.

— გეძინება შენ? — ჩუმად ჰკითხა გოვენმა.

— ასე მემართება ამ ბოლო დროს... სიმსუქნის გამო სისხლი ნელა გადის საძილე არტერიებში და ჟანგბადი ვეღარ მიაქვს თავში... — სიგარეტი დააგდო ტროტუარზე, ფეხით გასრისა და ამ მშვენიერი ახსნა-განმარტების შემდეგ გამოფხიზლდა.

— ცოტა უნდა ჭამო, ალბათ...

— სულ არ ვჭამ. შენ იყავი წასული?

— კი, თუშეთში.

— თუშეთში? იწერ ხომ? ჩაიწერე რამე?

— ჩავიწერეთ, კი.

— არი რაიმე ფასეული?

— არაფერი, აბსოლუტურად არაფერი...

— ხედავ შენ! — თქვა და თვლემა მოერია ისევ. მეშვიდედ ჩაუბარებია წელსო, გაიგონა ჯონდის ხმა.

„ვის ჩაუბარებია მეშვიდედ?“

— ...ხატვა ისწავლა ამასობაში, ყველაზე უკეთესად ხატავს... ბრმაც ხედავს ამას და ველარაფერში ედავებიან. მეტი ნიშანი არაა და იმ ხუთს იღებს. გაასწრებს ყველას ერთად აღებული სამი ხუთით და რეკავენ ისტორიაში სამს, წამოეწევიან, რეკავენ ქართულში სამს, გაასწრებენ, რეკავენ ქართულ ზეპირში... ამას ობიექტურად ცდიან, სამს და, კარგად იყავი! მეცინება, მაგრამ რა ვქნა!

„შაშვის მშობლებში“ შევიდნენ გადასალამოებულს.

თამუნიას გასტუდენტების აღსანიშნავი სუფრა გაშალეს ეზოში. იქაც ცხელოდა და შაშვის მშობლების დღეგრძელობის მიუხედავად ქეიფი გვიანობამდე არ აეწყო და ჯონდი ფალავამ დამკვრელები მოიყვანა. ფიჭვის ხის ქვეშ ჩამწკრივდნენ დოლით, აზიური გარმონით, კლარნეტითა და საქსაფონით. ამ უკანასკნელმა ინსტრუმენტმა, რომელიც მედუდუკეს ეჭირა, დააბნია კიდეც მუსიკაში არცთუ მთლად სრულყოფილად გათვითცნობიერებული სუფრის წევრები.

**შოთია ვა̃რ̃, გივორგაძე, ზესტაფონელი, სახლიცა მაქვს, კარიცა მაქვს, კაი რესტრანიც...** — წამოიწყო მედოლემ

— ტექსტიც ამათია და მუსიკაც. — განმარტა ჯონდიმ.

— რომ არ გეთქვა, ვერ მივხვდებოდით! — ტუჩ-კბილზე აიფარა ხელი ბუხუმ.

**...ჯან, ჯან გოგიაჯან,**
**კაი რესტრანიც...**

დასცხეს ერთხმად, ინსტრუმენტები შემართეს და ააყლრიალეს ხმამაღლა. ზესტაფონელი და რესტორანი იყო გარითმული, თანაც რესტორანს კი არ ამბობდნენ — რესტრან-ს.

**ბუხუია ვარ, მიქაშავიძე, ხიმონეთელი...**
**სახლიცა მაქვს, კარიცა მაქვს, ჭადი და**
**ყველი...**

შეეშველა ალიო ღვაბერიძე. მაგათზე ნაკლები რითა ვარო, ჩაილაპარაკა და იგივე ტექსტი გაამეორებინა დასტას, მხოლოდ კალაპოტიდან ვერ ამოაგდო.

**...შოთაია ვარ, გივორგაძე,**
**ზესტაფონელი,**
**სახლიცა მაქვს, კარიცა მაქვს,**
**კაი** (პაუზა) — **რესტრანიც...**

რესტორანის ხსენებაზე შავ მედოლეს ელიმებოდა, ლექსი იმის დაწერილი იყო აშკარად.

**..ჯან, ჯან შოთიაჯან,**
**კაი რ̃ესტრ̃ანიც...**

დილით მოვიდა ნარი.

ელოდა ბესო და მაინც გაუკვირდა დანახვა. კარგა ხანი ხმაც ვერ ამოიღო. კარი ჩაკეტა და იქვე გაჩერდა უხმოდ.

— აბა რა საქმე გაქვს, მითხარი! — მკაცრად მოითხოვა ქალმა და ფრთხილად მოათვალიერა იქაურობა, მერე რატომღაც ზევით აიხედა, რაღაცასააყოლა თვალი. ბესოს ხმის ჩამწერი საამქრო, სხვენში მოჟივჟივე ჩიტები და საამქროს ზანტი და ვერაგი კატები მოაგონდა. კარი ჩაკეტა, ქალს წინ გაუძღვა, არავინაა, გააფრთხილა. ნარიმ კისერი წაიგრძელა, ჩაიღიმილა, გახტა და ისე გავიდა კაბინეტში, დაჯდა მაგიდასთან, სიგარეტის კოლოფს დასწვდა იმწამსვე, ღერი ამოიღო, მოუკიდა და კვლავ ზევით აიხედა მოჭუტული, მოციმციმე თვალებით.

— სულელი ვარ, ასპროცენტიანი კრეტინი!

— რატომ ხარ სულელი? — კრეტინზე თავი შეიკავა. ღელავდა ისედაც, ხმასაც ვერ იმორჩილებდა წესიერად.

— მე რომ ჭკუა მქონდეს, აბა აქ მოვიდოდი? — სიგარეტი ჩააქრო და თავზე წამომდგარ, გულგაღეღილ მამაკაცს ახედა. ყელზე უსვამდა იგი ხელს, პატარა, ფერმკრთალ ყურებს უსინჯავდა

— შენ მე მართლა სულელი ხომ არ გგონივარ! — დაიფრუტუნა და თავი გააქნია ღონივრად.

— როგორ გეკადრება!

ეროვნული

ნარი იატაკს დააჩერდა ღიმილით. ბესოს კრუტუნი შემოესმა. ლოყას უხახუნებდა ქალი ხელზე, კაცმა ყურებიდან ყელზე გადაინაცვლა და ნახევრად მოღიავებული უბისკენ ჩააცურა თითები.

— რას შვრები? — სუნთქვა აჩქარებოდა. მოთვინიერებულს გავდა და მეტი უფლება მისცა ბესომ ხელებს. ნარი გაყუჩდა. ამოიოხრა რატომღაც და მოულოდნელად გააქნია ისევ თავი, მართლა კრეტინი ხომ არ გგონივართ, წამოიყვირა.

— გეკადრება?!

— თქვი, რა საქმე გაქვს!

ბესო დაიხარა და ტუჩებში ეძგერა. ქალმა ძლიერი, მრგვალი თავი გააქანა, ტუჩი ტუჩს აარიდა.

— რა იყო ,რა დაგემართა!

— ჯერ მითხარი, რა საქმე გქონდა?.. — დაარბილა ხმა და თვალმოწკურულმა ამოხედა.

— ამაზე მეტი საქმე რა უნდა მქონოდა!..

ამჯერზე ერთდროულად ეძგერნენ ერთმანეთს. ტახტზე რომ გადაინაცვლეს, ქალმა ისევ გაძალიანება დაიწყო, აფართხალდა, წამოხტომა დააპირა და იქვე დარჩა მაინც. არ გინდა, არ გინდაო, ჩურჩულებდა, ხან არიდებდა, ხან თავადვე ეძებდა ტუჩებს. წამოდგომას აპირებდა და არ დგებოდა.

— კარგი რა! — გაუჯავრდა სუნთქვაარეული კაცი. თვალდახუჭულმა ნარიმ თავი შერგო ბალიშქვეშ და ხმა აღარ გაუღია. შემდეგ აღარაფერი ახსოვდა. საერთოდაც არ იცოდა, რას ჩადიოდა, რას აკეთებდა; ვერ გაეგო, რას ერჩოდნენ, რატომ აკარგვინებდნენ აზრს და გონებას? არაფერი მისი ბრალი არ იყო, არაფერს მისი ნებით არ ჩადიოდა. აიძულებდნენ და ნებდებოდა, ერეოდნენ და იჩაგრებოდა. არადა, მართლაც აღარაფერი ახსოვდა ერთ მომენტში და ეს მომენტი მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე წამი გრძელდებოდა. მანამდე ყველაფერი ახსოვდა და იმ წამების შემდეგ ყველაფერი ხსოვნას ბარდებოდა; იმასა და იმასშუა ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო. სხმარტალებდნენ, მშვიდდებოდნენ, ფხიზლდებოდნენ სხვა დროსაც და ძულდათ კიდეც ერთმანეთი ცოტა ხნით. ერთარსებად იქცნენ, გაითიშნენ მაშინ. შენ არა ხარ ნორმალურიო, ამოილაპარაკა ღრმა პაუზის შემდეგ ქალმა, გაჩუმდა და უცბად წამოიწია, კაცს ხელი ჰკრა და წამოჯდა, სახეშეჭმუხნილი დააჩერდა შიშველ, სქელ თეძოებს, უკმაყოფილოდ, ზიზღითა და სიამოვნებით ამოილაპარაკა რაღაც, შიშველი ფეხების ტყაპანით გაიქცა და სააბაზანოში შევარდა. ძალიან გაჯავრდაო, მაინც დაიჯერა ბესომ, თვითკმაყოფილება უაზრობად ჩათვალა, სისულელეა ყველაფერიო, გაიფიქრა და ნარის ღიღინიც მოესმა სააბაზანოდან. რას მღერისო, დაინტერესდა, მაგრამ მელოდია ვერ ამოიცნო და სიტყვებიც ვერ გაარჩია.

ჯონდი რომ მოვიდა, დაბანილ-დავარცხნილი ნარი ტელეფონის მაგიდასთან იჯდა, ვიღაცას ურეკავდა, უკავშირდებოდა, ითიშებოდა და ხელახლა კრეფდა ნომრებს.

— კარგადა ხარ? — იკითხა წინა კარში ჯონდიმ. — რამდენი დავლიეთ თუ იცი გუშინ?.. წავიდეთ ქორიასთან?

— აუცილებლად. ჯერ აქეთ გამოდი, სტუმარი მყავს... — შეიპატიჟა ბესომ.

ქალს არ ელოდა, მაგრამ არ შემკრთალა. ტილოს თეთრი ქუდი გადაიძრო და ხელი ჩამოართვა თავაზიანად. საქმეზე გამოვიარეო, მოიბოდიშა მაინც. რას ბრძანებთო, გაუღიმა ნარიმ, მე თავად ამწუთას მოვედი, ფეხად შემოგასწარითო. რეკვა განაგრძო და მამაკაცის ჩაციებული მზერა რომ იგრძნო, ყურმილი დადო, ორივე ხელით დააწვა აპარატს, მკერდზე გადაჭიმულ თეთრ-ვარდისფერ ლიფს დახედა სიამოვნებით.

— მე ბიძათქვენს ვიცნობდი, ვალოდია შუშაბერაშვილს, ბიძა იყო თქვენი, არა?

— დიახ, კი, დედის ძმა... — უპასუხა ფრთხილად, ამ შეკითხვის მიზანი ვერ გაიგო, წელში გასწორდა, იმ დილით გატკიცინებული თეთრ-ვარდისფერი ლიფი ჩამალა უბეში.

— კარგი კაცი იყო, — ბესოსკენ გაიხედა. — მოკვდა საწყალი, ხუთი გამოცდა ჩავაბარე უნივერსიტეტში.

— თან წაიღო მერე?

— რა უნდა წაეღო?

— რაც ჩააბარე; მოკვდაო, ასე არ თქვი!

— მას შემდეგ ერთად ვმუშაობდით უმაღლეს სასამართლოში... — ჩაიცინა ჯონდიმ და დოინჯშემოყრილი გავიდა სამზარეულოში მაცივარში შეგულებული „ბორჯომის“ დასალევად.

— რა ლამაზი კაცი იყო ეგ ერთ დროს, გიჟდებოდნენ უფროსკლასელები, დატყობია ხანი, დედა ვატირე ამ ცხოვრების!.. — მაგიდაზე მიმოფანტული თაბახის ქაღალდები აკრიფა, მარაოსავით დაიჭირა და ახურებული ყელმკერდი მოინიავა. — ბიძაჩემისაგან მახსოვს, მართალია; რამდენჯერ მინახავს ათარბეგოვზეც, სასამართლოს შენობაში, ვექილია ხომ?

— ადვოკატთა კოლეგიის წევრი იყო, რედაქციაში მუშაობს ამჟამად.

ნარიმ შავი ჩანთა გახსნა, პირამიდონის აბი ამოიღო, პირში ჩაიდო, ჯონდის შემოტანილი ცივი წყალი დააყოლა, მადლობა გადაიხადა და წყლის მომტანი მოურიდებლად შეათვალიერა ამჯერზე, ლამაზია ახლაც თავისებურადო, დაასკვნა და დაფიქრდა. ლამაზი თუ ყოფილი ლამაზი ვექილიც დადუმდა. პირველად ნახა ნარიმ კაცი, ვისი ყურადღების მიპყრობაც (როგორც საჭირო იყო) ვერ მოახერხა. იგი არც მისი მოციმციმე, ეშმაკური თვალებით (განსაკუთრებით რომ აქცევდნენ მამაკაცები ყურადღებას) დაინტერესდა, არც სავსე მკერდსა და ტანს დახარბდა. გაუკვირდა, მაგრამ არ განაწყენებულა; როცა გამოცდებზე ჩამოვარდა სიტყვა, მოიწყინა, ვისაც პატრონი არა ჰყავს, რა ეშველებაო, ჩაილაპარაკა. მართალი ბრძანდებითო, უგულოდ დაეთანხმა ჯონდი, მაგრამ ის ვიღაც ხერკელაშვილი ხომ მოეწყო შარშან თავისითო?

— ...ჩამოვიდა თურმე სოფლიდან მარტო, ჩააბარა, მოეწყო... გაზეთებმა დაწერეს, ტელევიზორით გადმოსცეს რამდენჯერმე...

— გუშინ რა მოხდა, თუ იცი, სამედიცინო ინსტიტუტში? — ხერკელაშვილით აღარ დაინტერესებულა, ტელეფონსაც გაანება თავი. — დაიწყო წერა, გამოაცხადეს თემები რადიოთი და შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი; მე ჯერ ვერც გავიგე, რაში იყო საქმე... ატყდა ყაყანი, ყვირილი. იხუვლეს, გადათელეს შესასვლელი კორდონი, ჩამოიღეს კარი, ჩემო ბატონო, შეიქნა ერთი ამბავი, ერთ ქალს გული წაუვიდა, გამოიძახეს სასწრაფო. იქა ვარ, ჩემი დისშვილი აბარებს. არ მითხრათ, დავეხმარებიო, ჩაიჭრა უკვე. მოკლედ, შეწყდა წერა. შეშინებული ბავშვები ფანჯრებს მოადგნენ. გამოვიდნენ რექტორატიდან. დაწყნარდით, გაგვაგებინეთ, რა გნებავთ, რითა ხართ უკმაყოფილოო; ყველას ერთად ვერ მოგისმენთ, ვერც მიგიღებთო, თქვენ ბევრნი ხართ, ჩვენ ცოტანიო, ამაში მართლები იყვნენ, გამოყავით წარმომადგენლები და შემობრძანდითო. ხუთი ქალი, ხუთი კაცი აირჩიეს. თვითონ აირჩიეს თავიანთი თავი, უფრო სწორად, და შევიდნენ. რა გამოვიდა მერე, არაფერი... წერა დაწყებულია და თემებს ველარ შევცვლით, ამ საქმეს დღეს აღარაფერი ეშველება და შემდგომისათვის თქვენს პრეტენზიებსაც გავითვალისწინებთ აუცილებლადო, წარმოგიდგენიათ? ისე გავბრაზდი, დღესაც მტკივა თავი... — სულმოუთქმელად ლაპარაკობდა და ბესო იაძე ღიმილს ვერ იკავებდა, რადგან ქალი ამ დროს ბუნებრივი და გულწრფელი ჩანდა. გამკივანი ხმა აღარ ჭრიდა ყურს, ყელზე მკრთალად დაჩენილი ნაოჭები არ ხვდებოდა თვალში.

— რა თემები მოვიდა, არ იკითხავ? აქა მაქვს, ამოვიწერე. — შავი ჩანთ:

გახსნა ისევ, სწრაფად გაქექა და ცალხაზიანი რვეულის გაკეცილი ფურცელი ამოიღო. — აქ მიწერია: პირველი, „გრიგოლ ხანძთელის საშინაო და ვარსქენ პიტიახშის საგარეო ურთიერთობის შეპირისპირება V-XI საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე“, მეორე, „გურამიშვილის ტრაგედია უგმიროდ,“ და მესამე, თავისუფალი თემა, ეს ისეთი არაფერი, „ალისფერია ჩემი სამშობლო“, ან ეს რა არი, რატომაა მაინცადამაინც ალისფერი?.. ეს ჩემი დროშაც ალისფერიაო და სხვა სისულელე. ეს დაწერა ჩემმა დისშვილმა და ჩაიჭრა კიდეც, ვერ დაწერა, ალბათ. ზეპირში დაგეხმარებიო, ამან კი მითხრა, წერა ძნელიაო, უარი მითხრა; არ ჩაჭრილიყო, ან ზეპირში როგორ დამეხმარებოდა, მაინტერესებდა. დღეს რა მოვიდა, გეტყვით: „გოგია უიშვილის დახასიათება“, რად უნდა გოგია უიშვილს დახასიათება, „მუშა ბოქულაძე“ და „რად მიყვარს ჩემი სოფელი“. ზოგს არა აქვს ეს სოფელი, მაგრამ ვისაც აქვს, იგი დაწერს, დავუშვათ... შეადარეთ ახლა დღევანდელი და გუშინდელი თემები. რა დააშავეს იმ ბავშვებმა, გუშინ რომ ის საშინელი თემები აწერინეს!.. სად წავიღე ის ქაღალდი, ვერც ვიმახსოვრებ ზეპირად... „გრიგოლ ხანძთელის საშინაო და ვარსქენ პიტიახშის საგარეო პოლიტიკის შეპირისპირება V-XI საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე“, ამის მომტანს თავად ემფატიკურ ხმოვანზე აქვს სადოქტრო დაცული; მე შევყავდი საგამოცდო კომისიაში, მაგრამ საშამ მითხრა, არ გინდა, აუცილებლად გაილანძღებიო... რომელი საათია, უი, უი, წავედი, ბიჭიკო მოვა და კარი დაკეტილი დახვდება, მე თუ არ გადავუღე საჭმელი, შიმშილით მოკვდება...

წავიდა. გაცილება არ ისურვა. ეზომდეც არ გამომყვეო, თხოვა ბესოს ღია კართან. ლიფტის ცხაურისაკენ გაიწია, გახტა თითქოს და კაბინაში ისე შევიდა; ნიშნის მოგებით გამოყო თავი, ცოტა ხანში, გაიღიმა, ხელი აწია და გაქრა. პირველ სართულზე კაბა და გულისპირი გაისწორა ხელახლა, შავი, მოგრძო ჩანთა ამოიდო იღლიაში, კოპები შეიკრა და გეოგრაფიის გაუთხოვარი მასწავლებელივით წავიდა.

— ბიჭიკო ვინ არი? — იკითხა ტახტზე მისვენებულმა, დაფიქრებულმა ჯონდიმ.

— ქმარია ნარისი...

— გასაგებია... — მეტი აღარაფერი უკითხავს.

შენ რა კარგი რამე მითხარი, შეახსენა ჯონდიმ ბესოს, საავადმყოფოს რომ მიადგნენ მაშინ, გამოცდები რომ ჩააბარე იმ შუშაბერაშვილს, თან წაიღო თუ არა, რომ მოკვდაო.

— რა უნდა წაეღო? — ვერ გაიგო ბესომ.

— რაც ჩააბარეო, ასე არ მითხარი! — გაეცინა ჯონდის.

შუშაბერაშვილმა ბესოს ნარი გაახსენა, ამას სხვა რამეც აინტერესებს ალბათო, ივარაუდა და შეცდა. ჯონდის ნარი აღარ ახსოვდა. საავადმყოფოს შესასვლელში იდგნენ უკვე და კართან შეგროვილ, დაჭვირთულ მნახველებს უყურებდნენ. უმრავლესობას სანოვაგე, მოსაკითხი, ერთს ბალიში და ერთს ქვეშაგები ჰქონდა მოტანილი. სქელი, ჯანიანი კარისკაცი გაჩაჩხული იდგა შუა კარში, ზურგით ჩარჩოს იყო მიყრდნობილი და ცალი ფეხი წირთხლზე ჰქონდა მიბჯენილი. სქელი დედაკაცი ლანძღავდა უშვერი სიტყვებით, მაგრამ კარისკაცი ყურს არ აპარტყუნებდა. წამალი მაქვს მოტანილი ავადმყოფისათვის და არ მიშვებს ეს გათახსირებულიო. კარისკაცი გინებას რომ შეჩვეული იყო, ლაპარაკი არ უნდოდა, მაგრამ სმენაც დაქვეითებული ჰქონდა ალბათ. ორი თეთრხალათიანი თანამოძმე ედგა, მაგრამ არც ისინი აცხადებდნენ ლანძღვაზე პროტესტს. ერთი ხვანჯრის ღილებს იკრავდა, მეორე დაჩონჩილ მანეთიანებს ითვლიდა და კეცავდა სახალხოდ. ბესომ ქალები მიწი-

მოწია და კარში გაჩხერილ კაცს მიესალმა. კაცმა ფეხი ჩამოიღო და აბეზარ დედაკაცს უთხრა, გაიწიეთ, ქალბატონო, თუ შეიძლებოდეს, გაატარეთ ეს ადამიანიო. ქალი დროებით მიაჩუმა, ბესო გაუშვა, ჯონდი ფეხით შეაჩერა. ჩემთან არიო, უთხრა ბესომ და სამმანეთიანი ჩაუდო ჭუჭყიანი ხალათის ჯიბეში. გამოატარეთ, ქალბატონო, ამასთან ყოფილა, — ფეხ-ხერგილი ჩამოუშვა კარისკაცმა.

— ...დაიხიეთ ცოტა უკან, დააქცია მთავარმა ექიმმა ქვეყანა წელან, ნუ შევგროვდებით ამ შემოსასვლელში, ამ ქალბატონმა ნახა თავისი თვალით, რა ამბავი დაათია მთავარმა ექიმმა, თქვენ წამალი თუ მიგაქვთ, მიბრძანდით!

— ...ახლომახლო გორებიდან ჩამოდიან ესენი და საავადმყოფოებს ეტანებიან, ერთი დღე და ღამე აქ მორიგეობენ, სამი დღე შინ მუშაობენ, ყვავილებს უვლიან, ყიდიან, აკეთებენ ფულს, გაურკვეველი ეროვნული წარმოშობის ბავშვებს... — უხსნიდა ჯონდი ბესოს და სვენებ-სვენებით, მოაჯირზე ხელგაუშვებლად ადიოდა მაღალ კიბეზე. — რას ვფიქრობ, თუ იცი: ჩვენი საქმე წასულია და წასული. გადაშენების გზაზე ვდგავართ, მაგრამ რაღაცაში უნდა იყოს საქმე. ამდენ ჭირსა და უბედურებას გავუძელით და ახლა უგუნურება, უშვილძირობა დაგვღუპავს ვითომ?! გადაშენება ნამეტანია, მაგრამ არც უმაგისობა ჩანს. ამით რა მინდა გითხრა... ცოტა შევისვენოთ, კიდევ ზევითა ვართ ასასვლელი?

— ერთი სართული დარჩა.

— რევოლუციის წინ ქართველებმა, კერძოდ, თავადაზნაურობამ გაყიდა, გაანიავა მამულები, არღანზე დაამღერეს ზოგიერთებმა ქონება. სულელებად გვთვლიდნენ მაშინ. ჩვენ ვყიდდით, ვქეიფობდით, სხვები ყიდულობდნენ, აგროვებდნენ და მარხულობდნენ. მოხდა რევოლუცია და ოხრად წავიდა ყველაფერი. ვინც იმღერა და იქეიფა, ვინც სვა და ჭამა, იგი დარჩა მოგებული. ვინ გამოვიდა სულელი? ჩვენ თუ სხვები? ახლა რა ხდება: ჩვენ არ ვმრავლდებით, სხვები მრავლდებიან, ჩვენ არ ვაჩენთ, ისინი აჩენენ, ისინი ყრიან, ჩვენ ვდებთ. წინათგრძნობით, ქვეშეცნეული კარნახით ხომ არ ვმოქმედებთ?.. არსებობს, ჩემზე კარგად იცი, კოლექტიური ინსტინქტი და წინასწარგრძნობა შესაბამისად. იქნებ იწყება კატასტროფა, იქცევა იქნებ ქვეყნიერება და განსაცდელს გავურბივართ. თუ არავინ არ უნდა გადარჩეს, ჩვენც არ გადავრჩებით, ცხადია, მაგრამ ცოტანი დავიხოცებით სამაგიეროდ, თუ ცოტანი უნდა გადარჩნენ, ჩვენც ცოტანი გადავრჩებით და ავღორძინდებით ალბათ თანაბარი უფლებით. შენ თუ უკეთესად იცი, მითხარი, არ დამიმალო ამ გამოცდებმა და უსმელობამ გამომათაყვანა საბოლოოდ. მე პირადად აგერ გეუბნები, გადაწყვეტილი მაქვს და სიკვდილს ჯანმრთელი არ ჩავბარდები არაფრით, არც ერთ ორგანოს არ ჩავიტან საფლავში მთელს, რაში დამჭირდება... საწყალ ჟორიას ღვიძლი აწუხებს ხომ მარტო? აფსუსი არ არის. ყველაფერი რომ ტკიოდეს. მესმის კიდევ... მოვედით?

— არა ჯერ.

ჩაუარეს კარლია პალატებს, დერეფნებში დადგმულ საწერ მაგიდებს, მუდამ მწერალ ექიმებს, მოხანხალე ავადმყოფებს, გადახედეს მზით დათუთქულ ბეტონის ღია ბაქანს, სადაც დაშლილი და აუწყობელი ძველთაძველი რკინის საწოლები იყო დახვავებული. თერაპიული განყოფილების გამგე რკინის საწოლებს ითვლიდა, ფეხებს, ზამბარებს უმოწმებდა. იმ დღეს კაბინეტში ეახლა. საშვი თხოვა ნარგიზასათვის. ერთი გაცემულია და მეორეს ვერ გავცემო, უკმეხად უპასუხა ლოყებშევარდნილმა, მელოტმა კაცმა. მძიმე ავადმყოფია, ან შვილი უნდა ადგეს თავს, ან მეუღლეო, აუხსნა. ერთიც არ არის საჭირო და ორივეს თავმდგმურობა ვინ გაიგონაო, ჩვენც მშვენივრად ვადგევართ და ვუულითო, თუ მაინცდამაინც, ხან ერთმა ისარგებლოს ერთი საშვით,

ხან მეორემო. ასეც შეიძლებოდა და უსაშველოდ შემოსვლის სხვა იოლი ხერხებიც არსებობდა, მაგრამ ბესო იაძე მაინც მთავარ ექიმთან ჩავიდა. მაგ კაცისათვის ნუ მათხოვნინებ რამეს და მომკალიო, დაიღრიჯა მთავარი ექიმი, თუმცა მაინც დარეკა. არავინ უპასუხა და, გასულია, ეტყობა, თავად დამირეკოს, თუ ნახოო. აბრუნდა, კაბინეტში არ დაუხვდა. ბაქანზე გასულიყო და საწოლებს ითვლიდა თაკარა მზეში.

მას შემდეგ აქაა მგონიაო, გაიფიქრა ბესომ და მარჯვნივ შეუხვია. პალატები სავსე იყო ხალხით. ღია კარიდან მნახველები, ჩანთები, ქვაბები, თეფშები და საზამთროს ნაჭრები ჩანდა. შეცხელებული საჭმლისა და წამლების სუნი გამოდიოდა ყველა ოთახიდან. ის ხალხი ვის ყარაულობს ქვევით, გამაგებინა, და არ მინდა მეტი არაფერიო, ფიქრობდა ჯონდი და მძიმე ავადმყოფთან მოსალოდნელი შეხვედრით გუნებანაქცევი, საჭმლის და წამლების სუნით გაღიზიანებული, აღარაფერს ლაპარაკობდა.

რობინ მამისთვალოვი გარეთ, ფანჯარასთან, მზით გავარდისფრებულ ტილოს ფარდებთან იდგა. პალატიდან გამობრძანებულს მიამგვანა ბესომ და არც შემცდარა. სავსე იყო ავადმყოფის ოთახი. ცარიელ საწოლზე, სკამებზე და მამისთვალოვის ქვეშაგებზეც ისხდნენ ჟორიას ძმები, რძლები, ძმისშვილები, ნათელა, ნარგიზა და წითური კაცი, რომელსაც ახალი სანდლები და მწვანე ნასკები ეცვა.

ჯონდი ფაღავას დანახვით გაოცებულმა ჟორიამ წამოდგომა დააპირა, არ დაანებეს, არ ადგე, არ ადგეო, შეუძახეს აქეთ-იქიდან. სხვას არ დაუჯერებდა, მაგრამ ჯონდიმ წამოწევის უფლებაც არ მისცა, დაიხარა, აკოცა და იქვე ჩამოუჯდა თავთით. ჩემი ადგილი აღარაა აქო, იფიქრა ბესომ და დერეფანში გაბრუნდა, მამისთვალოვს ჰკითხა, როგორ დაწვეს უპატრონო მკვდარი, თუ გახსოვსო.

— როგორ არ მახსოვს, კაცო, გადავირიე, რომ დავინახე, ადგა, კაცო, მკვდარი... ჩავრთე რუბილნიკი თუ არა, ადგა. ასე იგრიხებოდა, აქეთ იქეთ... ისევ აქეთ, მერე ისევ იქეთ, აქეთ... რას შვრებით, ვყვირი, ცოცხალი შეუშვით შიგ?! ისე, დაწვა ჯობია, პრინციპში. დაგწვავენ, ვსიო... გინდა ადექი, გინდა წამოჯექი, ეგ არი რა!.. — მოიწყინა მამისთვალოვმა და მსმენელსაც გაუფუჭა გუნება. პალატაში კი მშვენიერი, შეიძლება ითქვას, შესანიშნავი განწყობილება სუფევდა. სასაცილო ამბებს ყვებოდნენ გამოცდებთან დაკავშირებით; შიგადაშიგ ერთხუთიან ნარგიზას აქებდნენ, გვასახელა ნამდვილად და ასე ამნაირად უნდა გაყვეს საქმეს ბოლომდეო. კაბა არ გამოიცვალოო, ურჩევდნენ, იღბალი გაგექცევაო.

— მომილოცავს, მომილოცავს, მომილოცავს... — თავი დაუქნია ჯონდიმ დედა-შვილს და ჟორიას ხელზე ხელი დაადო.

— რა დროსია ჯერ მოლოცვა, ბატონო ჯონდი! — ღრმად შეისუნთქა ჰაერი და ხელით კაბა მოისინჯა მუხლებზე.

— ისტორიაშიც ხუთს მიიღებს, მომზადებული ყოფილა... — დაამშვიდა ჯონდიმ და თავისი ქალიშვილის გასაჭირი, უკან მოტოვებული საგამოცდო ბატალიები გაიხსენა: განგებ გაამუქა, გააშარჟა მოვლენები და საზოგადოება კიდევ უფრო გაამხიარულა. არ იქნება მაგი მართალიო, სერიოზულად შეეპასუხა რამდენჯერმე კაცი, მწვანე ნასკები და რომაული სანდლები რომ ეცვა. დარდი მაგაზე დაგდგომია, თუ არ იქნებაო, გაიფიქრა ჯონდიმ და ნარგიზას გადახედა. შებრუნებულ სკამზე იჯდა ნარგიზა, იდაყვები საზურგეზე ჰქონდა დაწყობილი, ისმენდა და არ ლაპარაკობდა; ნელსაცხებელმიუკარებელ სახეს, მკრთალ ყავისფრად დაწინწკლულ უპეებსა და ცხვირის ნესტოებს უციაგებდა ტილოს ფარდებს შორის შემოისრული მზის სხივი; სითბო ელა-

მუნებოდა და ვერ ხვდებოდა, რა იყო. ხან თვალებს ჰუტავდა, ხან ტუჩებს აცმაცუნებდა.

დაბალი ტანის დამლაგებელი იდგა კარში ცოცხით. გულგრილად იხედებოდა ოთახში, როგორ გამოვგავო, ფიქრობდა. საავადმყოფოში დაბერებულ, მუდამ თავ-ნიკაპახვეულ დედაკაცს აღარც არაფერი უკვირდა, აღარც არაფერი ეუცხოებოდა; სინანულის, მწუხარების, შიშის თუ თანაგრძნობის ნიშანწყალი აღარ ჰიატობდა მის მზერაში. თვინიერ მემაწვნეს ადარებდა თავდაპირველად ბესო, მაგრამ როცა ნახა, სწორედ იმ მემაწვნეს ერთნაირად გაჰქონდა პალატებიდან მონარჩენი საჭმელები, ნახმარი სახვევები, საცვლები და სხვა უწმინდურობანიც, თავისივე შედარება უარყო, თუმც უხმოდ მოფაჩუნე ქალისადმი ზიზღი არ გასჩენია, თანაგრძნობის სურვილიც არ დაბადებია სამაგიეროდ.

— სხვა დროს მოდი, მარო, მერე გამოგავე... — ურჩია მამისთვალოვმა და ქალი წავიდა. ბესომ თვალი გააყოლა და ჯამზე დაგროვილ ვაშლის ნაღინჯრებს, საზამთროს კანებს და ბლის კურკებს დახედა მისდა უნებურად. ბესო რომ არა, ჩემი ქალიშვილი ხუთს ვერ მიიღებდაო, თქვა სრულიად უადგილოდ ჟორიამ. არ დაუწერდნენ, ნიშანს დააკლებდნენ აუცილებლადო, შეეხმიანენ, მაგრამ ჟორიას მეტი აღარაფერი უთქვამს, წუნარად ამოიოხრა და საწოლში გასწორდა. დედას გადამეტებულად სჯეროდა და მამასაც სწამდა შვილისა. შნოს და მარიფათის იმედი არ ჰქონია, თორემ ცოდნა-მომზადებაში ეჭვი არ ეპარებოდა. დარწმუნებულიც იყო, ეკუთვნოდა და იმიტომ დაუწერეს მაღალი ნიშანიო, მაგრამ ბიძაშვილის ცდასა და მონდომებას სხვაზე (ცოლზე, თუნდაც ქალიშვილზე) მეტად აფასებდა და ეშინოდა, სიმართლის თქმით ბესოს დამსახურებას, რაიც ამჯერზე მხოლოდ გულშემატკივრობაში ვლინდებოდა, ჩრდილი არ მიდგომოდა, და თავად ბესოს შემდგომი დახმარების ხალისი არ განელებოდა: ამიტომაც აღნიშნა, ბესოს გარეშე ხუთს ვერ მიიღებდაო და ნათესაობის შეხედულების (ნიშნის დაკლების თაობაზე) უარყოფა არ უცდია, პირიქით, განმტკიცება სცადა, მაგრამ გაეთიშა წამით იქაურობას, ბინდი გადაეკრა თვალებზე და წინანდელზე ხმამაღლა ამოიოხრა.

ცოლი ფეხზე წამომდგარიყო და, ხომ არაფერი გინდაო, ჩასძახოდა. ჯონდი, სასთუმალთან რომ უჯდა, კარის კარბასთან დაინახა, მამისთვალოვი აღარ ჩანდა დერეფანში და სანდლებიანი ნათესავიც, ყველაფერზე რომ იძახდა, არ იქნება მაგი მასეო, წასულიყო.

რა დამემართა? უკვირდა თითქოს ქვევით ჩაძირულს და დამჩატებულს. გადაიღალე დღესო, უმტკიცებდა წელში წახრილი ნათელა. ქმარს სულ ახლოდან სცემდა ცოლის ნაცნობი სუნი, რომელიც აღარ აღიზიანებდა, გულის აჩქარებაშიც არ შველოდა. კიდევ თალხი კაბა და შავი ჩულქები აცვია ამ სულელსო, ფიქრობდა ბესო, კისერქვემოთ დაჩენილ ამობურცულ ქედს უყურებდა.

— რა არის მაინც ადამიანი... — ამოილაპარაკა კარგა ხნის დუმილის შემდეგ მანქანაში ჯონდიმ. — შესვლისას რომ ვაკოცე, ხომ გახსოვს?

— კი (არ ახსოვდა), მერე რა?

— არაფერი... ხომ არ გადამედება ჟორიას ავადმყოფობა-მეთქი, ვფიქრობდი ამწუთას...

ბესომ ჯონდი დატოვა და გოგენ წიქარაშვილს ააკითხა.

გოგენი მარტო იყო შინ. წელზევით შიშველი იჯდა ორპირ ქარში, მეთორმეტე სართულის გამოყრუებულ ბინაში და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. საღამოვდებოდა, კარ-ფანჯრებდაღებულ ოთახში მაინც ცხელოდა, გამდნარი ასფალტის ალმური ადიოდა იქამდეც. მანქანის ნაცნობი საყვირის ხმა გაიგონა, ადგა და აივნიდან გადაიხედა. სატელეფონო ჯიხურთან ბესო იდგა და მანქანის ღია კარზე ხელი ჰქონდა ჩა-

მოდებული. მანქანა კი გაცილებით გრძელი და თეთრი ჩანდა ზემოდან, ვიდრე ახსოვდა. ხომ არ გამოცვალაო, გაიფიქრა კიდეც და გაეცინა. სწორედ ამ წუთას ნეკროლოგს წერდა გუნებაში ბესოზე და ასე დაბარებულივით, ახდენილი სიზმარივით საიდან გამომეცხადაო, გადაირია. ერთხელ უდროოდ გარდაცვლილ მეცნიერმუშაკზე ნეკროლოგი დააწერინეს საუწყებო გაზეთისათვის. დაავალეს და დაწერა. ხელნაწერს რომ თვალი გადაავლო, გული აუჩვილდა, გადაბეჭდილი ნახა და უკმარობა იგრძნო, მჭლე და ცივი მოეჩვენა, დასტამბული მოეწონა, მაგრამ უკეთესად შემეძლოო, გაიფიქრა; ახლობელზე და უახლოესზე გაცილებით გულდასათუთქად დავწერდიო და რამდენიმე ცოცხალი მეგობარი გაიხსენა, სახელდახელო, სამგლოვიარო ტექსტი მოხაზა და გაშტერდა, რაზე ვფიქრობო. ამ უცნაურმა მოთხოვნილებამ თუ სურვილმა კი რამდენჯერმე შეახსენა შემდგომში თავი. მიმწუხრის ჟამს, მეთორმეტე სართულზე მარტოდ დარჩენილს, ზოგჯერ ისევ დაბეჭდილი, შავხაზშემოყოლებული ნეკროლოგი ელანდებოდა: ცოცხალ სამძიმარს წერდა ცოცხალ მეგობარზე გუნებაში და თვალები ეცრემლებოდა, გონზე მოდიოდა, რას ჩავდივარო, ბრაზობდა, ჩემი აქ გაჩერება აღარ შეიძლება, ისევ მთაში უნდა წავიდეო. მთები რომ ჩამუქდებოდა, საღამოს ნისლში და თქორში რომ ჩაიხუთ-ჩამწვანდებოდა თბილისი, ცოლი, შვილი გოგია და დედა ახსენდებოდა, უძრაობის, ნისლის, თქორის, ჩახვეული სიმწვანის სევდაში ეხვეოდა.

ბუხუ მიქაშავიძესთან წავიდნენ. აუხვიეს სახნისის ქუჩაზე, გაუპირდაპირდნენ ორშპილიან, ლილისფერ სახლს და პირველ სადარბაზოსთან შეგროვილი ხალხი დაინახეს.

— აქ კიდევ პანაშვიდია! — თქვა ბესომ. რა მოხდა მერეო, გაიკვირვა გოვენმა, მაგრამ ბესოს აღარ უპასუხია. ძველ ნაგებობებში შეჩხერილ, ბეტონის ბარჯგებზე შეყენებულ მრავალსართულიან ახალ სახლთან გაჩერდნენ, მანქანიდან გადმოვიდნენ, ლერი ჯინჯველიძე და ბუხუ მიქაშავიძეც იქ დაინახეს; ბეტონის სქელ ბარჯგებთან იდგნენ და მიწას ჩასჩერებოდნენ.

— ეძებთ რამეს? — იკითხა ბესომ. ბუხუმ თავი დაუქნია, კიო, უმიზეზოდ გაიცინა და სქელ ულვაშზე დაიფარა ხელი. ლერი ჯინჯველიძესაც გადაუარა სიმწრის ღიმილმა და ბესო იქვე მიხვდა, სასაცილოდ რომ არ ჰქონდათ საქმე.

— რა დაგემართათ? — ახლა გოვენმა იკითხა.

ლერიმ თავი ასწია და გოვენს მიაჩერდა. ახლა შეგვაწუხებს თავისი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილითო, გაიფიქრა ბესომ, მაგრამ ლერი ამ შეკითხვასლა დასჯერდა და, ბეჭედი გადმომივარდაო, უპასუხა.

— ბუხუიას აივნიდან?

— აბა!.. წარმოგიდგენია... თითზე წამძვრა. თხილი ვჭამე, გაუკაჭლავი თხილი, ნაბწკვენები შემრჩა ხელისგულზე და აივანზე დავიფერთხე, თითქოს ოთახში არ შეიძლებოდა ამის გაკეთება, ვითომ ბეწვი არ აგდია ამის იატაკზე... გამოვედი აივანზე, გავუსვ-გამოვუსვი ხელები ერთმანეთს და წამძვრა; ვიგრძენი და ჩამოვაყოლე თვალი კიდევაც, სად დავარდა, ისიც დავინახე, გამოვიძახე ლიფტი, ეს აივანზე გავუშვი, არავინ აიღოს, ჩაიხედე-მეთქი, ჩამოვედი... რამდენი ხანი მოვუნდებოდი ჩამოსვლას? ჩამოვედი და აღარ დამიხვდა. ვის შეიძლებოდა აეღო? ეს იძახის, კაციშვილს არ გამოუვლია აქო, მეც არავინ დამხვედრია, ბავშვები თამაშობდნენ ეგერ ღობისგადაღმა, მაგრამ აქეთ არ გამოუხედიათ. ოცდაოთხგრამიანი ოქრო იყო, ნაღდი ბაჯაღლო, აი, აქ დავარდა თითქოს...

— აქ კი დავარდა, მაგრამ შეიძლება ათ მეტრში გახტა მარჯვნივ, მარცხნივ ან პირდაპირ, უკან კედელია...

— სულ დავიარეთ აქაურობა, გოჯ-გოჯ, მტკაველ-მტკაველ გადავქექეთ მიწა და ასფალტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად უნდა წასულიყო, აბა? — ჩაფიქრდა გოვენი, მხრებში ჩამძვრალ კისერზე მოისვა ხელი; მიიხედ-მოიხედა, იღბალი მაქვს (არ ჰქონდა) და ვნახავო, ეგონა და, სად დავარდა ზუსტად,, ის ადგილი მაჩვენეთო, მოითხოვა.

— ზემოდან ასე მომეჩვენა, რომ აქ დავარდა, — გრძელი ფეხის წვერით მოხაზა ლერიმ წრე, — და ზუსტად, ბეჭედი კი არა, მე სად ვდგავარ, ისიც არ ვიცი...

პირდაპირ, თუმცა ძალზე მოშორებით მსუბუქი ავტომანქანები იდგნენ. მარჯვნივ და მარცხნივ დაგვილი ბაღი და ეზო, უკან მისუფთავებული საჩეხი ჩანდა და, თუ ვინმეს მართლაც თვალდახელშუა არ ჰქონდა აორთქლებული, შეიძლებოდა ნახვა ჩამავალი მზის სინათლეზეც კი.

— რა უნდა გექნათ, თუ იცით? უნდა გადმოგეგდოთ იმავე სიმძიმის, იმგვარივე ლითონი, ახლაც არაა გვიან, — განაგრძო გოვენმა და ამ მოსაზრებულობამ გააოცა თავადვე. ლერი ჯინჯველიძე ახლა უკვე მიაჩერდა მრავალმნიშვნელოვანი მზერით და იმ ირონიული ღიმილით, კარტის თამაშისა და მისალები გამოცდების მსვლელობის დროს რომ არ შორდებოდა სახიდან.

— ჩავატარეთ ეგ ექსპერიმენტიც... — გაიცინა ბუხუ მიქაშავიძემ. — გადმოვაგდებინე საშას ზემოდან რკინის მანეთიანი და კინაღამ გადმოყვა თან... დავარდა ზუსტად აგერ, გაგორდა ბორდიურისაკენ და გაჩერდა აგერ, ორ მეტრში...

— ოქრო სხვაა და რკინა სხვაა, გადმოგიგდიათ თქვენც რა! — ხელი აიქნია გოვენ წიქარაშვილმა.

— ოქროც გადმოაგდო მამიამ, წაიძრო ბეჭედი და გადმოაგდო... — წაიმღერა გალიზიანებულმა ჯინჯველიძემ.

— არ უნდა გამოგვეჩინა და კარგი იყო არა. აქვს, მე შენ გეტყვი...— თქვა ბუხუმ და გოვენს მიუბრუნდა. — არც ამხტარა და არც დამხტარა, გაგორდა და ისიც აქ გაჩერდა...

— აბა, აღარ ყოფილა საშველი!

— არა და, ადით ზევით...

— გამოცდებზე არა ხარ? — ჰკითხა ბესომ ლერის.

— კი, — უპასუხა მიწაზე თვალდაბჯენილმა. — გვიან მეწყება გეპეიში...

— ადით მართლა, ტყუილად რაღას უნდა უყუროთ! — გაიმეორა ბუხუმ და ლერი ჯინჯველიძემ ამ სიტყვებზევე დაიფერთხა ხელები, ბრძოლა წაგებულად ჩათვალა, როგორც შეეტყო.

მამია, ვინც ბეჭედი გადმოაგდო საცდელად, გამომძიებელი გახლდათ, თავად ასე ასაღებდა თავს, მხოლოდ, რას იძიებდა, არ ამხელდა და სხვებს არ აინტერესებდათ. საქმიანად შემოივლიდა საღამო ხანს, წააგებდა, ასევე საქმიანად, მხოლოდ ცოტა შეფიქრიანებული დატოვებდა საზოგადოებას და რამდენიმე დღე აღარ გამოჩნდებოდა. ჭადრაკს ეთამაშებოდა იმჟამად ალექსანდრეს და დავი ჰქონდა ახალი ნათქვამი. ჰიპოდრომის მეცხენე და ცნობილი კინომსახიობი ნარდს შეექცეოდნენ უდავოდ, — მარსი ოინით. პატარა ოთახში ქალები ყოფილიყვნენ გამოკეტილნი და აივანზე, საიდანაც ბეჭედი გადავარდა, დერმატინგადაკრულ, საექიმო ტახტზე ერთი მოკლე კაცი იყო წამოწოლილი. გრილად ყოფნა მოსწონდა, მაგრამ საეჭვოდ აპრიალებული თავსასთუმალი არ ეპიტნავებოდა, ხან ხელისგულს იდებდა საფეთქლებთან, ხან ცხვირსახოცს იფენდა და წვალობდა.

ხელცარიელი ლერი და ბუხუ ამოვიდნენ გოვენის და ბესოს შემდეგ, ვერ ნახეთ ხომო, უმიზეზოდ გაიცინა ალექსანდრემ და, გამომძიებლის ნერვების მოსაშლელად, ვისი სვლააო, იკითხა ნახევარსაათიანი ფიქრის შემდეგ.

— რაც არი, ეგ არი! — თქვა ლერიმ.

ჭიპები დაჭრილია, ქაღალდი მზად არისო, განაცხადა მასპინძელმა და გოვენს მიუბრუნდა:

— შენ არ ითამაშებ, ხომ?

— მე არა, ჭადრაკი თუ ვინმეს უნდა, უფულოდ...

— მაშინ ეგერ თამაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არა, მეჩქარება, მალე უნდა წავიდე! — მოგვიანებით ამოღერღა აივანზე წამოწოლილმა ლექტორმა.

პატარა ოთახიდან ტანიამ გამოიხედა, როგორა ხართ, ჰკითხა ბესოს, გმადლობთ, არა მიშავს, შენ რა შვრებიო, კითხვა შეუბრუნა ბესომ და თვალი მოჰკრა ვიღაც სხვა გოგოს, რომელიც ფეხაკრეფით გამოვიდა ჰოლში, სააბაზანოს კარი გამოაღო, შეიხედა, რაღაც შეაგდო, ოთახში შებრუნდა, შეიხურა კარი და მორყეულ სავარძელში ჩახტა ტელევიზორის წინ. ჟანგიანი ზამბარების ჭრაჭუნზე მიხვდა ბესო ამას და ლერი ჯინჯველიძეს მიუბრუნდა, ეს ვინღა იყოო, ჰკითხა.

— რა ვიცი, მოათრია კიდევ ბუხუიამ ვიღაცა... — ვერ იყო ხასიათზე ბეჭდის დამკარგავი, ძვირფას თეთრ შარვალში და ფირმის მოკლესახელოებიან პერანგში გამოწყობილი ხუჭუჭთმიანი კაცი. ერთი მაგის დედაც ვატირეო, ამოილაპარაკა, ჭიპები რომ დათვალა, ოცდაოთხი გრამი ბაჯაღლო იყოო, აღნიშნა მაინც და პარტნიორებს გადახედა მუქარით:

— მოდი ახლა, ალექსანდრე, სანამ უნდა გელოდოთ!.. თანაც ბეჭედი კი არ იყო, перстень, წარმოგიდგენიათ!.. — перстень რუსულად თქვა, მკვეთრი მახვილი გაუკეთა, მაგრამ ბეჭდის სახესხვაობით ვეღარავინ დააინტერესა.

ხუთნი დასხდნენ მრგვალ მაგიდასთან: გამომძიებელი, ალექსანდრე, მსახიობი, ბესო იაძე და ლერი ჯინჯველიძე; მეცხრე კინოსტუდიაში წავიდა, მასპინძელს კი ჩასადები ფული არ აღმოაჩნდა და ბესოს უთხრა, მე დავისვენებ შენს სასარგებლოდ და, თუ რამე მოხდა, შეგენაცვლებიო.

— კი, ჭირიმე, როგორც შენ იტყვი.

ტანია გამოვიდა და ვარდისფერი პერანგი გალანდა ფანჯარასთან, ზედ სათამაშო მაგიდის თავზე. ნახე, რა ვიყიდეო, ბუხუს უთხრა. ზუსტად ამნაირი შარშან როსტოვში შევიძინე ქვედა საცვლიანადო, აქ უქვედასაცვლოდ მომყიდეს, ტრიკო გადამიმალესო, სამაგიეროდ როსტოვული ქვედა საცვალი არმავირში მომპარეს მაშინვე, სამჯერ მეცვა სულო.

— ჰო, კარგი ,— გაბრაზდა ბუხუ. — გადი ახლა, დაგვაცალე!.. სულელია ეს შობელძაღლი!

ნახევრად შიშველი ტანია ფოსტლების პარტყაპურტყით შევიდა მეორე ოთახში, კარი მიიხურა და უფრო მორყეულ სავარძელში ჩაეკვეხა, ეტყობოდა, რადგან ჟანგიანმა ზამბარებმა ადრინდელზე უფრო უსიამო ჭრაჭუნი ატეხეს.

ბუხუს მეზობელმა ლექტორმა, აივანზე წამოწოლილი რომ ისვენებდა და მალე წასვლას აპირებდა, ფეხი აითრია და გოვენს უთხრა, მოდი, ჩვენ ნარდი (ჭადრაკთან მწყრალად იყო) ვითამაშოთო. ბუხუ გოვენ წიქარაშვილს სხვებთან შედარებით უცხოდ თვლიდა, დაუსაქმებელს რომ უყურებდა, ეუხერხულებოდა და ლექტორის გამოწვევამ გაახარა, პარტნიორები სათამაშოდ წაახალისა და რადგან თავად ბესოს კარტში იხედებოდა, თავისუფლება იგრძნო. მხოლოდ ფულზე არ ვთამაშობო, გაიმეორა გოვენმა და ნარდის ქვებში უგერგილოდ აურია ხელი.

— მანეთი, ორი მანეთი, სიმბოლურად მხოლოდ... — ქვების დალაგება დაიწყო ლექტორმა კოტიტა თითებით.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დავით მჭედლური

### უცნობი ქართველი მეომრის გახსენება თრიალეთზე

ვხედავ — შემოდგომის ღრუბელს
ხენეშსა და შეუხედავს,
დიდგორის მთა შეაგუბებს,
სხვა შეხებას ვერვინ ბედავს.

ყველას გვყოფნის ფიქრი ჩვენი,
შემოდგომაც ყველას გვყოფნის,
მიწა ყინვით იხლიჩება,
სადღაც უკვე მოდის თოვლიც.

თრთვილი ადევს ძველი ვაზის
რტოს დამჭკნარს და მტევანშემხმარს,
მაგონდები, ვინც მანდ დარჩი,
სადღაც უსახელოდ წევხარ.

სადღაც თრიალეთის მიღმა,
სადაც უკვე ჩვენ არ ვსახლობთ,
დავიწყებულ სამშვილდესთან
ანდა მარაბდასთან ახლოს.

ანდა ტანძიასთან ახლოს,
შენი ძვლები განისვენებს,
ზოგჯერ ქარი შეგიშფოთებს,
ზოგჯერ წვიმა დაგისველებს.

წივის მარტოსული ძერა,
ჰკრავს ირაოს და სულს ითქვამს,
მძიმე დროა, ფოთოლცვენამ
კიდევ ერთხელ მოგვაკითხა.

### თოვლზე გიწერდი ამბავსა

თოვლზე გიწერდი ამბავსა,
თოვლი დიოდა წყლადა,
შენზე წუხილმა ამავსო,
სულმა კივილი სცადა.

შავი ღრუბელი მაფარეს,
შავსა ტალახსა მრიეს,
შავი მიამბეს ზღაპარი
ამწეწეს, ამამღვრიეს.

სევდა ხმალივით ამყარეს,
ყელზე საბელი მაბეს,
ცაზე ვარსკვლავი დავთვალე,
ზღვა ცხრილით ამოვხაპე.

მაინც შენამდე მოვედი,
კვლავ თოვლზე გიწერ ამბავს,
ცოცხლდება მკვდარი იმედი,
შენკენ საცეცებს ძაბავს.

თოვლზე ნაწერო ამბავო,
ქვეყნად გაგფენენ წყლები,
— რომ ისევ სამზეოსა ვართ,
ყინჩად ვცოცხლობთ და ვკვდებით.

### სადღაც გაგონილი

„კაი ლექსების წერას რა უნდა..."
**ტარიელ ჭანტურია**

ჩვეულებრივი სტრიქონისათვის
გაღება უნდა ყველაზე ძვირფასს,
გაღება უნდა ცხრაკლიტულ კარებს,
მონახვა უნდა ათასგვარ სიტყვას.

ჩვეულებრივი ფერებისათვის
ცისა და მიწის შემოვლა უნდა,
გაძლება უნდა დამცინავ მზერას
მოთმენა უნდა ტალახის გუნდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი რიტმებისათვის
ათასი რიტმის გახედნა უნდა,
უნდა სამყაროს ქარებში შეჭრა,
ქვესკნელში ძვრომა და სულის ხუთვა.

ჩვეულებრივი ლექსებისათვის
ყველაზე წმინდა ცრემლები უნდა,
უნდა გაძლება დამცინავ მზერას,
მოთმენა უნდა ტალახის გუნდას.

●

მოგისმენიათ? —
საგვარეულო მიწურის ბანზე
ფერმიხდილი მწირი ბალახი
როგორ იწყევლის გაჩენის წუთს
ქარიან დღეში.

●

დიდი ხანია აღარ იწყება
გაზაფხულის დღესასწაული
დილის ძილში შემოჭრილი
დედის ჩურჩულით:
— გუგული მოფრენილა!
— გუგული მოფრენილა!

●

ის ორი ცრემლია შენი საგზალი
პირველად რომ დაგეცემა,
დანარჩენი მხოლოდ წყალია.
და სამყაროს ქარები უმალ შეგაშრობენ
როგორც კი მათ პირისპირ გახვალ.

## ვინაც წავიდა

ვინაც წავიდა — დაბრუნდება ოდესმე
შენთან,
შენს კარს მიახლის უკანასკნელ
გულის ფეთქვას
და მტვერივით გაიფანტება.
რათა კვლავ შეჰკრა, გამოძერწო,
სული შთაბერო და უბრძანო:
— ხელმეორედ აიდგი ფეხი,
ხელმეორედ გაბრუნდი, გასწი
და სამყაროს გზებს მიაშურე .

## სოფელი, წვიმა...

წვიმა რეცხს ხეებს და სახურავებს,
სასაფლაოს და საქონლის ბილიკს,
და არის წვიმა, თუმცა ხმაურობს,
სიცოცხლესავით მოკლე და თბილი.

წვიმა რეცხს მიწას და უხარია —
სასაფლაოზე ბალახი მღერის,
შენ კი უმწეოდ შეჰყურებ წვიმას,
დამფრთხალი, როგორც პატარა მწერი.

წვიმა რეცხს მიწის მტკივნეულ ხაზებს,
მიდის ღვარად და ერთმანეთს ერთვის,
საფლავის ბორცვებს გარშემო უვლის
და ჩადის ათას იდუმალ ხვრელში.

ახლა საქმეზე არავინ ფიქრობს,
ყველა მდუმარედ დამდგარა კართან,
ყველა შეიპყრო უეცარ წვიმით
გადარეცხილი წარსულის დარდმა.

წვიმა რეცხს მიწის მტკივნეულ ხაზებს,
სასაფლაოს და საქონლის ბილიკს,
და არის წვიმა, თუმცა ხმაურობს,
სიცოცხლესავით მოკლე და თბილი.

## მთების პირისპირ

ისევ ნოემბრის წვიმა მოვიდა,
ისევ აივსო სამყარო სევდით,
მწუხრის სიმღერა მოისმის ტყიდან,
სწუხს განძარცული ტყეების ტევრი.

შენ დაგიტოვეს სხივი ირიბი
და მაინც ჩრდილი აღწევს ნათელში,
გამოაფინე ქვეყნის პირისპირ
ჩრდილთა სამყარო უდიადესი.

და ასე ვცხოვრობთ და გვეჩვენება
ადევნებული ლანდი სატანის,
თითქოს იშლება ჩვენი ხსენება
ან სხვა სამყაროს ვართ ბინადარი.

მშიერი ღამე... და მგელძაღლების
ყმუილს უსმენენ, ვისაც ჯერ სმენა
შემორჩა კიდევ და ხელდაკრეფით
უცდი სამყაროს თოვლით ავსებას.

ხსოვნა შორია და უადგილო,
როგორც ბალახის მწვანედ ხასხასი,
გახსოვს წარსული, გსურს აღადგინო
ასჯერ წაშლილი თითქოს ნახაზი:

ჩვენ ვბრუნდებოდით მთების სიღრმეშ.
განმარტოებულ ნისლის კოტორთან,
ტყე უჩვეულო ძალით ილხენდა,
თითქოს რაღაცა იგრძნო ფოთოლმა.

მაგრამ ამაოდ, თურმე ამაოდ,
ამაოდ დაშვრა ცა და ხმელეთი,
არ გვეყო ნდობა და სითამამე,
ვერ გავუწოდეთ ერთურთს ხელები.

ჩვენ ვართ ლაჩრები და გვირჩევნია,
მარტონი ვუსხდეთ საკუთარ ვარამს,
თითქოს ვიყავით ბედის რჩეული
და რჩეულებად დავრჩებით ხვალაც.

ჟამი კი მიდის, სავსეა სული,
სულში ათასი ქარი ირევა
და თმაში თეთრი, გულში ძაბუნი,
სიტყვაში შიში, გრძნობაში — ურვა

ჩნდება. გარს დიდი მთები გვარტყია
და წვიმაც არის ძალზე ხანგრძლივი.
ეს სთველი მაინც არაფერს იტყვის?
— სთველი ნოემბრის წვიმით დაღლილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირმა მებურიშვილი

●

დაავიწყა ლექსებმა
შინისაკენ გზაწვრილი,
ეზოს გაყოლებაზე
ალვები — ცადაწვდილი.
დაავიწყა თვით ძმაც და
მეგობარი ყოველი,
იყო ლექსის ცისფერი
სინანულით მქსოველი.
ის წუხილით ვიდოდა
მრავალზე უმრავლესით.
სული ედგა შორეულ
ბარათების ალერსით.
დაავიწყა ლექსებმა
შინისაკენ გზაწვრილი,
ეზოს გაყოლებაზე
ალვები – ცადაწვდილი.
დაავიწყდა...
და წყვილი
ცრემლი რად სდის,
არ იცის:
ხილვა თუ მოენატრა
ჭყვიშის ფერმიმკრთალი ცის.
მიზეზს დარდის, ხალისის
ვერ მიუხვდა ვერავინ,
თვითონ იყო საკუთარ
ბედის გამომკერავი.

## გაუგზავნელი წერილი შვილს

შენი სოფლად ყოფნა შემშურს,
როგორ ვმალო აბა შური,
მენატრება მკრთალი ზეცა,
შემოდგომა აბაშური.
მიკიაფობს ცრემლი თვალზე,
შენთან ყოფნას სანამ ვდარდობ...
მენატრება ჩვენი ოდა,
ეზო, შენი სანავარდო,
ვნატრობ ჰაერს, გრილს და მჭვირვალს,
და ღვთაებრივ სიცინცხალეს,
ისმენ ალბათ „ჩელას" მეგრულს
და მიირთმევ ცხარე-ცხარეს,
შენი სოფლად ყოფნა შემშურს,
როგორ ვმალო აბა შური,
მენატრები, შემოდგომაც
მენატრება აბაშური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მოვიჩქარი შენკენ და თოვლს სახეს
ვუშვერ,
ბედმა შენი ნახვა ასე გამიძვირა,
ადრე გაზაფხულზე აყვავებულ ნუშებს
ჰგვანან თეთრი ხენი... ალერსს შეეწირა
და ჩემს სუნთქვას ცხელს,
ფიფქი მოფარფატე,
მომეახლა ცხადად ჩემი სიქალწულე
და დაცდენილ კვნესას სულში ველარ
ვატევ...
და ხუნდები ჩემი უფრო შევიძულე
ისე მინდა შენთან, ისე მომენატრე!
მოვალ თავშიშველი და თოვლს სახეს
ვუშვერ,
ისე როგორც მაშინ, ამ ათი წლის
წინათ,
დაემგვანენ ხენი აყვავებულ ნუშებს
და ჩემს ალერსს ფიფქთა წყება შეეწირა.

●

შენი გალია ფანჯარასთან იდგა,
იქნებ ჯობდა, იქ არ მდგარიყო,
იმ ფანჯრის მიღმა რა არ ხდებოდა,
მე ძლიერ მიყვარს ჩხრეკა ჩემი
ბავშვობის დღეთა.
შენც იქ გპოულობ.
ჩემი ოთახის ვიწრო სარკმლიდან
ერთდაიგივე კადრს ვხედავ მუდამ
და ქუჩაც — დაზიანებული ფირფიტა —
იმეორებს მელოდიას დაჟინებით,
ჯიუტად.
და მე ვივსები შენეულ სევდით
შენი გალია ფანჯარასთან იდგა.
და ჩემი ბედი შენსას
ჰგავს, ჩიტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

# ცეცხლში განბანილნი

## მოთხრობა

**განაღე კარი, დაგმანული თორმეტი კლიტით და შეაბიჯე ტანჯვასა შინა... ნუ შეგაშინებს ცეცხლის ტკაცუნი და ნუ შეგაკრთობს უხილავის კვნესა და გმინვა... განაღე კარი და განიბანე ცეცხლში, რომელიც დიდხანს გელოდა, და განინათლე სული წყვდიადში, ყოვლის განჭვრეტით, მაღალი სული! იყავ ნათელი ამ უზღვავ ბნელში და მალე იგრძნობ, — უკვალოდ ქრება ყოველი, გარდა სიყვარულისა! ქარში დაშლილი ვარდის ფურცლებად გადაეფანტე იისფერ მინდორს, გახდი უფალი საკუთარ თავის, რათა კუთვნილი სამყარო ზიდო! დაიცხრე რისხვა! მოთოკე ვნება! დამალე ცრემლი! ღმერთი იყავი! რახან გაბედე ეშმაკთან შებმა, არ გაიკეთო ყალბი ნიღაბი! ო, ვნება შენი, ვნება ხელოვნის, უზარმაზარი, ყოვლისდამნთქმელი, სევდანი შენნი, უსაშველონი, წარიხოცება როგორც ფანტელი! წარიხოცება, როგორც უმწეო და უსუსური ნისლი დილისა, ჰოი, სინათლევ ბნელის ქაოსში! მშვენიერებავ ნათლის სხივისა! განაღე კარი, დაგმანული თორმეტი კლიტით და შეაბიჯე ტანჯვასა შინა!**

### I

დიდი სიფრთხილით ჩამოგვქონდა დაღმართზე კლდიდან ჩამოტეხილი ქვა. მოსლიპულ მიწაზე ფეხი ცურავდა. სამნი ვიყავით, — მე, თალაგვა და ზევახი. ხანდახან მოვბრუნდებოდი და ვხედავდი, როგორ გვითვალთვალებდა ზორბა, ცხვრისტყაპუჭიანი ზედამხედველი. შუბლზე ოფლი მასკდებოდა, მინდოდა ჩამემუხლა, მაგრამ ზურგში მის ავ მზერას ვგრძნობდი და ვიცოდი — დადგომა მათრახის წვეტს უდრიდა.

მალე დაღმართი ჩათავდა. ქვა სათანადო ადგილას მივიტანეთ და დავაგდეთ.

ახლა კი შევისვენეთ მცირე ხნით. იქვე მოვირთხით ფეხი.

— სულ რამდენი ქვა ჩავიტანეთ დღეს? — ხრინწიანი ხმით იკითხა ზევახმა.

— თერთმეტი თუ თორმეტი, — თქვა თალაგვამ.

ზევახმა მძიმედ ამოისუნთქა და კლდეს ახედა, სადაც ჭიანჭველებივით ირეოდნენ მონები.

— თუთია ყოფილა ცუდად, — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— რა მოუვიდა?

— რა ვიცი... ღამეებში არ სძინავს... სიცხისგან იწვის, თურმე.

— შენ საიდან იცი?

— ნონაიმ მითხრა დღეს დილით.

ეროვნული

ნონაი თუთიას მეგობარი იყო.

— ინახულებ?

— ჰმ, როგორ?

— აქამდე როგორ ხვდებოდი?

— მაშინ ავად არ იყო. ისე კი... ქალთა სადგომში მე ვინ შემიშვებს.

შორიდან დაგუდული ყვირილი მოისმა.

ავიხედეთ.

ზედამხედველი ხელს გვიქნევდა.

— წავიდეთ! — თქვა ზევახმა. — ვერა ხედავთ, რა ამბავშია ეგ პირძაღლი!

●

შუაღამე გადასული იყო, მონების სადგომში ჩემსა და ზევახს გარდა, ყველას ეძინა. ზევახი ხშირად იცვლიდა გვერდს... ბოლოს შემანჯღრია.

წამოვჯექი.

— რა მოხდა? — ვკითხე ჩურჩულით.

— თუთია უნდა ვნახო, — თქვა ჩახლეჩილი ხმით.

— თუთია?

— ჰო!

ერთხანს ხმა ვერ გავიღე.

— რომ გაგიგონ?

მან ხელი ჩაიქნია.

— გამშოლტავენ, მეტი რა?

— არა, მეტი არაფერი!

— შენ კი არ გინდა ცირას ნახვა? — მკითხა მან.

— როგორ?

— გარეთ გამოიხმე.

— კეთილი, — ვთქვი მცირე ხნის დუმილის შემდეგ.. — მაგრამ სიფრთხილე გვმართებს.

მან თავი დამიქნია.

ფრთხილად გამოვედით სადგომიდან და ეზოს ბოლოსკენ გავემართეთ.

ქალთა სადგომთან დაყენებულ დარაჯს ეძინა. ფრთხილად შევიპარეთ მიწურში. აქა-იქ ჭრაქი ბჟუტავდა. კართან იამზე შეგვეფეთა. ხელით ვანიშნეთ, მოგვიახლოვდა.

— რა მოხდა, რამ მოგიყვანათ შუაღამისას? — იკითხა მან.

— თუთია როგორ არის? — მოუთმენლად ჰკითხა ზევახმა.

— ახლა რა უჭირს, ჩაეძინა! — მიუგო იამზემ.

ზევახმა შვებით ამოისუნთქა.

— ცირას ვერ დაუძახებ? — ვუთხარი მე.

იამზემ შემომხედა... გაიღიმა და თავი დამიქნია. რამდენიმე ხნის შემდეგ დამშვიდებული ზევახი უკან ბრუნდებოდა, მე და ცირა კი ხშირ ლელიანში ვიყავით შეყუჟული და ერთმანეთს ცხარედ ვკოცნიდით.

2.

ირიჟრაჟა. კლდის მხრიდან ვეება მზე ამოცურდა და დილის ნამი წამში შეიშრო. ცირას გადავხედე. უზრუნველად ეძინა ჩემს გვერდით. შიშველ, მკვრივ მკერდზე ორი ალუბალივით აჯდა, ორი მაგარი კერტი. შავი თმა გაშლოდა... თავი უკან გადაეგდო. მივცურდი მასთან და ხელი წელზე შემოვაჭდე. თვალი გაახილა, გაიღიმა, წამოჯდა და მომეყრდნო.

— მეგონა, გძინა! — ვთქვი მე.

თავი გაიქნია.

— წასვლის დროა, ცირა, ვინ იცის იქნებ გვეძებენ კიდეც.

— გეშინია?

— მე შენთვის ვამბობ.

— ჩემზე ნუ წუხარ, — იგი მომეხვია.

სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. მკერდით მის მკერდს ვეხებოდი, ფეხებით — ფეხებს, თითებით — თითებს.

უცებ გამახსენდა, რომ მთელი დღე ცხელი მზისგულზე ლოდები უნდა მეთრია და გული შემეკუმშა.

— რა მოგივიდა? — მკითხა ცირამ.

— არაფერი.

— რა ვიცი, ისე შეკრთი, რომ...

— არაფერია, — ამოვისუნთქე მძიმედ და დავუმატე; — წავიდეთ, ცირა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად შევიპარე მიწურში და ჩემს ადგილას მივეგდე. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა, ყველას ეძინა, მოხუცი აზურის გარდა.

— რა მოხდა, აზურ? — ვკითხე მე. — სამუშაოდ რატომ არ გვიხმეს?

— ბატონის ბრძანებაა, დღეს დაგვასვენონ! — თქვა მან.

გამიკვირდა.

— რა მოხდა ასეთი?

— მზიას დაბადების დღეა! — გაიღიმა მან.

მზია ჩვენი ბატონის, ასპარუგის ქალიშვილი იყო.

უხმოდ ჩავემხე ნარზე.

ზევახს გადავხედე.

მოღუშული იწვა და ეძინა.

ერთხანს ვიწრიალე, მერე წამოვდექი და აზურის გვერდით დავჯექი...

— შენ სად იყავი? — მკითხა მან.

— იქ! — უმიზნოდ გავიქნიე თავი.

გაიღიმა.

— კარგია სიყმაწვილე, — ამოოხვრით თქვა მან. — აი, სიბერე კი...

— სიბერეც კარგია, თუ ბატონი ხარ, სასახლეში ცხოვრობ და მსახურნი გახვევია გარს, — ვთქვი მე. — ჩვენი კი სიყმაწვილეც დაწყევლილია და სიბერეც.

— ღვთის ნებაა ყველაფერი, — ამოიოხრა მოხუცმა. — ზოგი ბატონია, ზოგი ყმა.

ერთხანს ასე ვისხედით.

მერე მოხუცმა გარეთ გაყვანა მთხოვ

მზე უკვე კარგად ამოსულიყო.

ცაზე ერთი ნამცეცი ღრუბელიც არ მოჩანდა.

— დღეს, ალბათ, თითო ნაჭერ შემწვარ ხორცს და ღვინოსაც დაგვირიგებენ, — თქვა მოხუცმა.

არაფერი მითქვამს.

— კარგია ღვინო, — ჩიფჩიფით განაგრძო მან. — როცა ღვინოს ვსვამ, ასე მგონია, მზეს ვეწაფები-მეთქი.

ეზოში ცირას მოვკარი თვალი. ჩუროში იდგა და ნონაის ესაუბრებოდა.

— ახლავე მოვალ, —ვუთხარი მოხუცს.

ნელი ნაბიჯით მივუახლოვდი ქალებს.

— როგორა ხარ? — გამიღიმა ცირამ.

მხრები ავიჩეჩე.

— იცი, რომ დღეს მზიას დაბადების დღეა?

თავი დავუქნიე.

— ღმერთი სწყალობდეს მზიას, ჩვენს თვალისჩინსა და ერთადერთ პატრონს, — თქვა ნონაიმ.

მე ვდუმდი.

— დღეს ხორცსა და ღვინოსაც დაგვირიგებენ, ალბათ, არა? — იკითხა მან.

— ალბათ. — ვთქვი მე. — ცირა რაღაც უნდა გითხრა.

ცირა გამომყვა.

ნაწნავში ხელი მოვკიდე.

— წავიდეთ? — ვკითხე.

— სად? — გაიღიმა მან.

— ისევ იქ... ლელიანში.

ერთხანს დუმდა.

— ახლა არ შემიძლია, — თქვა. — ვახშმობისას მოვალ.

უცებ ყვირილი მომესმა. მივბრუნდი, ზედამხედველი წათაია აზურს რაღაცას უყვიროდა.

— მაშ, ვახშმობისას მოვალ! — ვუთხარი მე.

სწრაფი ნაბიჯით გავეშურე ბერიკაცისკენ. ჩემს დანახვაზე წათაიას კიდევ უფრო მოეღუშა სახე.

— ხომ გითხარი, ახლავე მოვა-მეთქი, — თქვა მოხუცმა.

— ღამით სად ეგდეთ შენ და ზევახი? — დაიღრიალა ზედამხედველმა.

არაფერი მითქვამს.

— არ გესმის, რას გეკითხები ძაღლო?!

ისევ დუმილი.

მათრახის წვეტი პირველივე მოქნევაზე თვალში მომხვდა, თვალის უპე ჩაიხა და სისხლმა იფეთქა.

სახეზე ხელები ავიფარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წათაია გაშმაგებით მიშენდა მათრახს. მე არ ვინძრეოდი.

— ოჰო, მაშ, უტეხნი ვართ? — გესლიანად ჩაისისინა მან, — კეთილი, ჯერ ეს იკმარე, მერე კი... ვნახოთ!

იგი წავიდა.

აზურს გადავხედე.

თავჩაქინდრული იდგა.

— არა უშავს! — მითხრა ბოლოს.

სადგომში შევედი.

მონები ნარზე წამომსხდარიყვნენ.

ზევახი წარბშეკრული იჯდა ხისგან უშნოდ გამოჩორკნილ სკამზე, სახეზე წითლად უელავდა ნაიარევი.

— არა უშავს, — გავიმეორე მოხუცის ნათქვამი.

— ჰო, არა უშავს, — თქვა მანაც, — თუთია კარგად იყოს და...

3.

ვახშმობამდე უქმად ვიყავით ყველანი, მხოლოდ ცხენები წაასხა რამდენიმე კაცმა მდინარეზე და ისინიც მალე დაბრუნდნენ. დაბინდდა თუ არა, სავახშმოდ დავსხედით. ვახშამზე მართლაც ყველას გვერგო ნახევარ-ნახევარი ხელადა ღვინო. ხორციც იყო, მაგრამ ისე ცოტა, რომ სათქმელად არ ღირს. სამაგიეროდ ოსპის წვენი ბლომად დაგვირიგეს. პურიც საკმარისზე მეტი იყო. ზედამხედველები დათვრნენ. ზოგი სად მიეგდო და ზოგი სად. სულ ბოლოს წათაია მობარბაცდა ჩემთან.

— მაშ, გუშინ სად იყავი, არ ამბობ, არა? — მკითხა მან.

უსიტყვოდ მივაჩერდი.

— კარგი, — თქვა, — არაფერს გეტყვი... — ერთხანს დადუმდა. — გტკივა?— მკითხა უცებ და ტლანქი ხელი ნაიარევზე შემახო.

— არა, — მივუგე მე.

— კარგია, თუ არა. ისე, მე გავიგე, გუშინ სად ბრძანდებოდი, — ჩაიხითხითა მან. — გემოვნება გქონია, — ტუჩები გააწკლაპუნა, — კარგი გოგოა ცირა!

იგი მკერდს იფხანდა და შემრიგებლურად იღიმებოდა.

— დღესაც ხომ არ უნდა შეხვდე?

— არა! — მივუგე მე.

— თუ გინდა, წადი. — მითხრა მან. — მაგრამ ღამით კი სადგომში უნდა იყო.

გაკვირვებით შევხედე. ეტყობა, ღვინოს მოელბო მისი ძაღლური გული.

— რას მიყურებ! — გამიმეორა. — წადი, ჰო, წადი!

●

როცა დათქმულ ადგილას მივედი, ცირა უკვე იქ დამიხვდა, ბალახზე პატარა სუფრა გაეშალა, თვითონაც მიწაზე იჯდა.

გვერდით მივუჯექი.

— დალიე, — მითხრა ხმადაბლა და ღვინიანი ფიალა მომაწოდა.

მოვსვი, მერე ხელი მოვხვიე. სახეზე ალმური ასდიოდა.

მივიზიდე, ჩემს ნებას დაჰყვა...

ერთხანს ასე იყო.

უცებ შეტოკდა და ხელი გამაშვებინა.

— აქეთ ვიღაცა მოდის!

მივიხედე.

ხშირი ლელიანი გადაიხსნა და იქიდან წათაიას და მისი მეგობრების უშნო ღიმილით დალმეჭილი სახეები გამოჩნდა.

— არ გაუშვათ! — იღრიალა წათაიამ, როცა დაინახა, რომ გასაქცევად მოვემზადეთ.

ოთხმა ღონიერმა ხელმა მიწაზე დამანარცხა, ცირა წათაიას მკლავებში უმწეოდ ფართხალებდა.

— ეგ რა ჯანდაბად გინდათ, — ღრიალებდა წათაია.

— აგრე უფრო უპრიანი იქნება! — თქვა ერთმა ზედამხედველმა.

ხეზე მიმაბეს.

მერე კი... მერე ხელებშეკრულ ცირას ტანსაცმელი შემოაფლითეს და ვნებისაგან აღგზნებულნი და ახორხოცებულნი, რიგში ჩადგნენ.

ეროვნული

როცა ყველაფერი დამთავრდა, გულწასული ცირაც ხესთან მოათრიეს და ჩემს ზურგს უკან მაგრად მიაბეს.

— დილით ბატონს მოვიყვანთ და ვანახებთ. — თქვა წათაიამ, — სხვისთვისაც მაგალითი იქნება.

●

გაშტერებული ვუმზერდი ერთ წერტილს. ზურგს უკან ცირას შეკავებული ქვითინი მესმოდა. მეც ვტიროდი. ხელები დაბუჟებული მქონდა, სახსრები მტკიოდა, თავი მისკდებოდა, გული გამალებით მიცემდა, ოფლი მასხამდა...

— ნუ ტირი! — ჩახლეჩილი ხმით ვთქვი.

ჩემივე ხმა ვერ ვიცანი.

ტირილი ერთი წამით შეწყდა...

— რა ბედნიერი მეგონა ეს დღე და რა უბედური გამოდგა! — გავარჩიე ბოლოს მისი სიტყვები.

— ბედნიერი! — ვთქვი მწარედ.

— შენ არ იცი... შენ არაფერი არ იცი. — ჩურჩულებდა ის.

— რა უნდა ვიცოდე?

— ჯერ მეგონა, რომ მეჩვენებოდა, — დაიწყო მან მცირე ხნის დუმილის შემდეგ, — ახლა კი ნამდვილად ვიცი, რომ ბავშვი გვეყოლება.

ერთხანს ჩუმად ვიყავი.

— არ უნდა მეთქვა? — მკითხა შიშნეულად.

— შენ ჩემი სიყვარული ხარ, ცირა, — ვთქვი მე.

— მაშ გიხარია?

— რომ შემეძლოს ფეხებს დაგიკოცნიდი, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— ნუთუ არ გესმის, რომ არა თუ შვილები, ჩვენივე თავიც კი ჩვენ არ გვეკუთვნის!

იგი ერთხანს დუმდა.

— ფეხებში ჩავუვარდები მზიას, — თქვა ბოლოს. — იქნებ გული მოულბოს მამამისს და ბავშვი დამიტოვონ.

— შენ ჩვენ პატრონს არ იცნობ, ცირა! ის სიკვდილივით ულმობელია!

ახლა უკვე ხმამაღლა აქვითინდა ცირა.

ჩემთან შედარებით ბედნიერი იყო იგი...

ტირილი შეეძლო!

●

არასოდეს დამავიწყდება ის ღამე. ეს რაღაც კოშმარი იყო. მაგრამ ღამეზე უფრო საშინელი დილა გამოდგა.

უცნაური დღე გათენდა. მზე სისხლისფრად ვარვარებდა და სისხლადვე იღვრებოდა, მისი შხეფები წითლად მიღებავდნენ სახეს და ხელებს, თითები ერთმანეთზე მეწებებოდა მზის სისხლისაგან. ტანში მამტვრევდა, ვიღლვეოდი და ისევ ვკოწიწდებოდი. ცირას ხმა არ ისმოდა. შემეშინდა, შევეხმიანე. პასუხი არ გამცა, მაშინ ხმამაღლა დავიწყე ყვირილი.

ჩემს ყვირილს ვიღაცები ყვირილითვე გამოეპასუხნენ.

ავიხედე.

თავზე წათაია და მისი მეგობრები მადგნენ.

— რა გაყვირებს?

არ ვიცი, რას ვყვიროდი, მაგრამ ეტყობა, ისინი მიხვდნენ რაღაცას, რადგან მყისვე ცირასკენ მიბრუნდნენ. მე კი კვლავ ვყვიროდი, ვყვიროდი და ვაგინებდი წათაიას, ვაგინებდი ბატონს, ვაგინებდი ღმერთს, — ყოვლადძლიერსა და ყოვლადუსამართლოს... ვაგინებდი ყველას და ყველაფერს და ველარ ვგრძნობდი მათრახებისაგან მოყენებულ ტკივილს... მათრახებისაგან, რომელსაც გაშმაგებით მიშენდნენ ზედამხედველები!

4.

გონს საპატიმროში მოვედი.

ირგვლივ ბნელოდა.

მე ჯაჭვით ვიყავი კედელზე მიბმული. უცებ დავიძაგრე, ვცადე ჯაჭვები დამეწყვიტა, ამაო გამოდგა.

ვიღაცის ჩახველება ჩამესმა.

ყურს არ დავუჯერე.

ვინ უნდა ყოფილიყო?

— ვინ არის აქ? — ვთქვი ჩახრინწული ხმით.

უცებ საკანს შუქი მოეფინა.

ჩემს წინ ჩემი ხნის ჭაბუკი იდგა, რომელსაც ხელში ჭრაქი ეჭირა.

— ვინა ხარ? — გავიმეორე მე.

— არავინ! — მხრები აიჩეჩა მან. — მეც შენსავით პატიმარი ვარ!

— აქ როგორ მოხვდი? — ვკითხე.

— სასჯელს ვიხდი, — თქვა ყმაწვილმა. — შენ როგორღა მოხვდი?

დავფიქრდი. მერე დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი.

ჩემს ნაამბობზე მას სახე ექუფრებოდა.

ერთხანს დუმდა.

— იქნებ ცოცხალია — მკითხა ბოლოს.

— არა, — ვთქვი მე. — მოკვდა.

— შეიძლება ცდები?

— ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, უპასუხოდ არ დამტოვებდა.

— და თუ გულწასული იყო?

თავი გავიქნიე.

ყმაწვილი ჩაფიქრებული დადიოდა აქეთ-იქით.

— ახლა დაღლილი ხარ, — თქვა ბოლოს... მოდი, დავიძინოთ... ეს ყველაფერს აჯობებს.

იგი ჭრაქთან მივიდა და ჩააქრო.

●

როცა გამეღვიძა, პირველად ვერ მივხვდი, სად ვიყავი.

ჭრაქი აინთო და გარკვევით გავარჩიე, რომ ჩემსა და უცნობი ყმაწვილის გარდა საკანში კიდევ იყო ვიღაც. ისიც ჩემსავით მიებათ კედელზე, სახე ტანჯვით დაღრეჯოდა, მე მიმზერდა.

— ზევახ, შეენ? — ვკითხე მე.

— ჰო... გიკვირს?

— შენ რიღასთვის?

— ბატონმა გაიგო, რომ იმ ღამეს თუთიასთან შევიპარე...

— ცირაზე რას მეტყვი? — ვთქვი ხმის კანკალით.

მან თავი ჩაღუნა.

ყველაფერს მივხვდი.

გმინვა აღმომხდა.

უცნობი თავჩაქინდრული იდგა.

— ასეც ვიცოდი, — ვთქვი მე — ხმა რომ არ გამცა, უკვე მაშინ ვიცოდი, რომ მკვდარი იყო.

უცებ საკნის კარი გაჭრიალდა.

გარედან თვალისმომჭრელი შუქი შემოიჭრა.

თვალები დავხუჭე.

როცა გავახილე, კარი უკვე ჩაკეტილი იყო, იატაკზე კი ვიღაც უცნობი კაცი ეგდო გონწასული.

უცნობი მალე მოსულიერდა.

ეს იყო შედარებით ახალგაზრდა კაცი, რომელსაც გაჩეჩილი თმა-წვერი, მაღალი შუბლი და ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა, შიშველ მკერდზე ჯვარი ჰქონდა ამომწვარი.

მან ელვისებური მზერით შეგვათვალიერა, მერე მოვიდა და ყველა სათითაოდ გადაგვკოცნა.

— ჩვენ ყველა ძმები ვართ, — გვითხრა მან. — ახლა მით უმეტეს.

სიტყვა არავის დაუძრავს.

— თქვენც ამის გამო ეწამებით, არა? — ხელი მკერდზე ამომწვარ ჯვარზე დაირტყა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ზევახმა.

უცნობი ჩაფიქრდა, კიდევ ერთხელ შეგვავლო თვალი.

— მე იმ ღმერთის ფეხთა მტვერი ვარ, ვინც კაცში განსხეულდა, ჯვარს ეცვა ჩვენთვის და შემდეგ ცად აღვიდა, — ბრწყინვალე და ნათელმოსილი.

ხრინწიანი ხმით გაიცინა ზევახმა.

— სად არის მერე შენი ღმერთი?

— აქ! — თქვა უცნობმა და ამომწვარ მკერდზე ისევ დაირტყა ხელი.

— ხან მზე იყო ჩვენი ღმერთი, ხან მთვარე, ხან ხისგან გამოჩორკნილი ბომონები... და აი... მოვიდა იგი... ღმერთი ერთადერთი და ჭეშმარიტი... მეც აქა ვარ... მოწაფე მხსნელისა! მაშ, გამომყევით!

იგი კედელს აეკრა.

ზევახის ხრინწიანმა სიცილმა კიდევ ერთხელ შესძრა საკანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილი, მაგრამ თუ შენი ღმერთი ასე ძლიერია, სთხოვე მას ეს ჯაჭვები მოგვაშოროს, ეს კარიც დაამსხვრიოს და გაგვაპაროს აქედან... მაშინ გამოგყვებით!

— მე სულის ხსნაზე ვლაპარაკობ, — თქვა უცნობმა, — ახლა ეს უფრო საჭიროა ჩვენთვის.

ზევახი მძულვარებით უმზერდა უცნობს, მერე ღვარძლიანად ჰკითხა:

— ეს ოხერი სული როგორ უნდა ვიხსნათ მაინც?

— უნდა ირწმუნო ჭეშმარიტი ძე ღვთისა!

— აქედან დაიკარგე, შე დაკონკილო, შენი ჯვარცმული ღმერთით! — იღრიალა ზევახმა, — ახლა კი ვხვდები, ვინცა ხარ! ამ რამდენიმე ხნის წინ ყური მოვკარი, ვიღაც მაწანწალა დაეთრევა სოფლებში და რაღაც სისულელეს ქადაგებსო... ვიღაცები მართლა დაგირწმუნებია, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ჯვარს უცვიათ მერე!

— ისინი ახლა სამოთხეში არიან! — თქვა უცნობმა.

— სამოთხეში კი არა, მიწაში ლპებიან! — იყვირა ზევახმა.

უცნობი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე მუხლებზე დაეშვა, ხელები გულზე დაიკრიფა და თქვა:

— ღმერთო, მიუტევე, ღმერთო მიუტევე, ღმერთო მიუტევე!

5.

უცებ ყმაწვილი კაცი აწრიალდა, კართან მივიდა და დააყურადა.

— აქეთ მოდიან! — თქვა ხმადაბლა

საკნის კარი გაიღო და წათაია შემოვიდა, თან ვიღაც დაბალი კაცი ახლდა, რომელსაც ხელში ჯაჭვები ეჭირა.

—აი, ესეც უნდა შევბორკოთ, — თქვა წათაიამ და ხელი უცნობისკენ გაიშვირა.

ყმაწვილი კაცი ერთბაშად მოსწყდა, წათაიას ეძგერა, წააქცია და ხელები ყელში წაუჭირა.

მეორე მედილეგე დაიბნა, შემდეგ დანა იშიშვლა, მაგრამ აქამდე ჩუმად მდგარი უცნობი ხელში სწვდა, დანა წაჰგლიჯა და ძლიერი დარტყმით მიაგდო კედელთან.

წამში გათავდა ყველაფერი. ორივე მედილეგე მკვდარი იყო, ხოლო ყმაწვილი კაცი წართმეული ძალაყინით გვიმტვრევდა ბორკილებს.

როცა ჯაჭვები ძირს დაცვივდა, ყველანი კარს ვეცით. თუმცა ყველა არა. უცნობი საკანში დარჩა მუხლმოდრეკილი.

— რას სჩადი? — შეჰყვირა ზევახმა.

— მადლს ვწირავ ყოვლადძლიერს ჩვენი გადარჩენისათვის! — მიუგო უცნობმა.

— მადლი გარეთ შესწირე. — დაუყვირა ზევახმა, — ახლა კი გავიქცეთ.

უცნობს, ეტყობა რჩევა ჭკუაში დაუჯდა.

გარეთ რომ გამოვედით, წინ დარაჯი შეგვეფეთა, ჩვენს დანახვაზე უკან-უკან დაიწყო დახევა. ზევახმა მისკენ გაიწია, მაგრამ დარაჯმა ელვის სისწრაფით მოუსვა სოფლისკენ.

— ჩქარა, ტყისკენ გავიქცეთ! — იყვირა ყმაწვილმა. — მერე გვეძებონ, რამდენიც უნდათ!

— რა გქვია? — ვკითხე ყმაწვილს, როცა ტყეში შევედით.

— თორღვა! — მიპასუხა მან.

— შენა, ძმობილო, შენ რა გქვია? — ჰკითხა ზევახმა უხმოდ მიმავალ უცნობს.

— თოთია! — მოკლედ მოსჭრა უცნობმა და მკერდზე ამომწვარ ჯვარზე კიდევ ერთხელ დაირტყა ხელი.

6.

მე, ზევახი, თორღვა და თოთია კოცონთან ვსხედვართ. ღამეა. კოცონი თვალისმომჭრელად ელავს. ცეცხლის ენები გველივით იკლაკნებიან და შუაზე ხლეჩენ ღამის სიბნელეს. ცახცახებს მოლურჯო ალი... კვამლი ასდის ცეცხლს

და დამწვარი ბალახის სუნით იჟღინთება არემიდამო. თორღვა მოხიბლულივით უმზერს კოცონს, თოთია რაღაცას ბუტბუტებს, ზევახი ამთქნარებს და ძილი ერევა, მე კი ვზივარ და გუშინ ტყეში მოკლული ტახის ხორცს შევექცევი. ახლა ჩვენ არაფერი გვიჭირს, ცხენებიც გვყავს. იარაღიც გვაქვს, ხორციც და ღვინოც. ცალ-ცალკე სიარულს ვერიდებით, მხოლოდ თოთია იქცევა ცოტა უცნაურად, როცა რომელიმე აღალს თავს ვესხმით და ვძარცვავთ, არაფერს ამბობს, მაგრამ თუ ვინმე გაგვიძალიანდება და ძალად შემოგვაკლავს თავს, თოთია მთელი დღეები იკარგება სადღაც... თუმცა მერე ისევ გვიბრუნდება, სახეგაცრეცილი და გამხდარი, ჩვენ არ ვეკითხებით, სად იყო, მაგრამ ვგრძნობთ, რომ დაღვრილი სისხლი აძრწუნებს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ორი კაცი გვემსხვერპლა. ერთი თვითონ თოთიამ მოკლა, რათა მოღერებული მახვილისაგან თავი გადაერჩინა.

— არა კაც ჰკლა! — მთელი ხმით ყვიროდა იმ ღამეს ძილში თოთია.

როცა გაიღვიძა, მას და თორღვას შელაპარაკება მოუხდათ. თორღვამ ლაჩარი უწოდა. თოთიამ მასზე მიიწია, მაგრამ გავაშველეთ. საღამოობით მაინც არ იშლის ხოლმე ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას. ჩვენ ვუსმენთ, მერე ძილი გვერევა და ვიძინებთ. თოთიას ეს სწყინს, მაგრამ ბოლოს ისევ გვირიგდება. ერთხელ ზევახთანაც იჩხუბა. ზევახს არაფრით არ სურდა დაჯერება, რომ ღმერთი შეიძლება ადამიანმა დაიმორჩილოს და ჯვარზე გააკრას.

— ამ შემთხვევაში ის ღმერთი კი არ ყოფილა, არამედ... — და მან აქ უწმაწური სიტყვა იხმარა. თოთიამ რამდენიმე ხანს უყურა, მერე გაიქნია და ისეთი ძალით სთხლიშა ყურისძირში თავისი გამხმარი მარჯვენა, რომ მიწაზე გაშხლართა ეს დევივით კაცი. კიდევ კარგი, გავაშველეთ. ახლა კი თორღვაზე მოგიყვებით. იგი მეზობელი სოფლის მკვიდრი აღმოჩნდა. 12 წლისა ყოფილა, როცა შეგირდად მიუბარებიათ ქვევრის მთლელთ. მას ჩუქურთმის ჭრაში საოცარი ნიჭი გამოუჩენია. სამი წლის შემდეგ მის ბატონს ასპარუგი სწვევია და თორღვა შეუსყიდია, მაგრამ თორღვას, რატომღაც, უარი უთქვამს ახალ ბატონთან მუშაობაზე. ამის გამო სამი წელი დილეგში იჯდა, მერე რაც მოხდა, თქვენც იცით. მოკლედ, ასეა ეს ამბები. ახლა კი ღამეა და კოცონს ვუსხედვართ. ზევახს ძილი ერევა, თოთია ლოცულობს, თორღვა ცეცხლს ჩაშტერებია, მე კი — გუშინ ტყეში მოკლული ტახის ხორცს შევექცევი.

7.

დილით, როგორც კი გავიღვიძეთ, ზევახმა შემოგვთავაზა, სოფლის თავში გავსულიყავით და რომელიმე აღალს დავლოდებოდით.

ცხენებზე შევსხედით და ბილიკებით სოფლის თავისკენ გავეშურეთ.

შემოდგომის ცივი დილა იყო, ცაზე ღრუბლები ირეოდა, ირგვლივ სიჩუმე იდგა. ნელი ჩორთით მივდიოდით.

მალე წისქვილთან მივედით.

აქედან სოფლის შარა იწყებოდა.

ხშირფოთლოვან ჩეროში შეყუჟულნი, უხმოდ გავყურებდით გზას.

უცებ გზაზე სამი მხედარი გამოჩნდა. ორი მათგანი ქალი იყო.

მათ მშვიდად მოჰყავდათ ცხენები და აინუნშიც არ აგდებდნენ, რომ აქ სეირნობა არც ისე უხიფათო იყო მგზავრებისათვის.

— იცანი? — ჩახლეჩილი ხმით მკითხა ზევახმა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

თავი გავიქნიე.

— მზიაა...

გაკვირვებით შევხედე.

მერე მგზავრებს დავაკვირდი.

მართლაც, მზია იყო, ასპარუგის მხოლოდშობილი ქალიშვილი.

— ეგ ხელიდან არ უნდა გაგვისხლტეს, — თქვა ზევახმა.

— კაცი ვინღაა? — ჩურჩულით იკითხა თორღვამ.

— ვერ ვიცანი. სასახლის დაცვიდან იქნება ვინმე, — თქვა ზევახმა.

— შენ და თოთიამ მზია შეიპყარით, — გვითხრა თორღვამ და ხანჯალი ამოიძრო ბუდიდან. — მე და ზევახი იმ ყმაწვილს მოვუვლით.

— მეორე ქალი? — იკითხა ზევახმა

თორღვამ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი.

სწრაფად გამოვაჭენეთ ბედაურები შარაზე.

მოსეირნენი შეკრთნენ, მერე ხმამაღლა შეჰყვირეს და ცხენები სოფლისკენ გააჭენეს.

ელვის უსწრაფესად წამოვეწიე მზიას და მის ცხენს ხელი სადავეში ვუტაცე.

ცხენი შეტორტმანდა და მხედრიანად ძირს დაეცა.

ჩამოვხტი.

მზიას წამოდგომაში დავეხმარე.

იგი გაფართოებული თვალებით მიმზერდა.

ცხენზე შემოვისვი ძვირფასი ნადავლი და დანარჩენთ გავხედე.

თოთიას, ზევახს და თორღვას მცველი განეიარაღებინათ...

ის თვალზე ხელდაფარებული, მუხლმოდრეკილი იდგა შარაზე.

მზიას თანმხლები ქალი კი ისევ ცხენზე იჯდა და შეცხადებულივით კიოდა.

— ხმა ჩაიწყვიტე! — დაუღრიალა ზევახმა და მუშტი მოუღერა.

კივილი შეწყდა.

— ახლა კი წაეთრეთ შინ და ასპარუგს გადაეცით, რომ მისი მშვენიერი ქალიშვილი ჩვენთანაა, — დაუყვირა ზევახმა.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე ტყეში ვიყავით და სწრაფად მივქროდით ჩვენი თავშესაფრისკენ.

8.

ასე გახდა ჩვენი ტყვე მზია. იგი მალე შეგვეჩვია. ჩვენ მაინც ვერ ვენდობოდით და ღამ-ღამობით ხელ-ფეხს ვუკრავდით, მორჩილად იტანდა ამას. ლამაზი იყო მზია. ხშირი, წაბლისფერი თმა ჰქონდა, მუქი ცისფერი თვალები, მაღალი მკერდი, სწორი, ჩამოქნილი ფეხები. ოთხივე უცნაურ გრძნობას განვიცდიდით მისდამი, ამიტომ ვცდილობდით მალე მოგვენახა კაცი, ვისი პირითაც გამოსასყიდი თანხის რაოდენობას შევუთვლიდით მამამისს.

ასეთი კაციც მალე ვიპოვეთ. იგი თვალახვეული მოიყვანა თოთიამ ჩვენთან, როცა ერთი თვის მორიგი ყარიბობის შემდეგ დაგვიბრუნდა.

ეს იყო ხნიერი კაცი, მას თაღლითის მზერა და მეჩხერი წვერი ჰქონდა.

კაცი მდუმარედ იდგა ჩვენს წინ და თორღვას შეჰყურებდა, რომელიც მიწაზე დადგმული პატარა ზანდუკისკენ იშვერდა ხელს.

— აი, წაიღებ ამას, — ამბობდა იგი. — და სამი დღის შემდეგ, ოქროთი პირთამდე სავსეს წისქვილში მოიტან. იქ ერთი ჩვენთაგანი დაგხვდება... ასპარუგს გადაეცი, ღალატი თავში არ გაივლოს, თორემ მის ქალიშვილს ვეღარასოდეს იხილავს.

ამ დროს მზიაც გამოვიდა სამალავიდან.

უცნობმა სწრაფი მზერა ესროლა მას, მერე თავი ჩაჰკიდა.

— მაშ, წისქვილთან, სამი დღის შემდეგ? — იკითხა ყრუ ხმით.

— ჰო, სამი დღის შემდეგ, — მიუგო თორღვამ. — ახლა კი, გასწი!

უცნობმა ზანდუკს ხელი დაავლო.

ჩვენ მას თვალები ავუხვიეთ და თოთიას ჩავაბარეთ.

მალე ორივენი თვალს მიეფარნენ.

●

მზია გაფართოებული თვალებით გაჰყურებდა მიმავალთ.

— სამ დღეში სახლში იქნები, მზია! — ვუთხარი მე.

— ალბათ, მოგენატრა შენიანები, არა? — ჰკითხა ზევახმა რბილად.

მზიას არაფერი უთქვამს.

მერე თორღვას მიაჩერდა.

თორღვა გაფითრებულიყო და ხელში მათრახს აწვალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოთია მალე დაბრუნდა.

თვალები ნაღვლიანი ჰქონდა.

— აბა, ნუ მოვიწყენთ, — წამოიძახა ზევახმა. — მზია, სუფრა გააწყვე! მე ხორცს შევწვავ!

მალე ყველანი სუფრას ვუსხედით.

სადილზე ზევახმა უზომოდ ბევრი დალია და დათვრა.

იგი ჯერ არეულად ბუტბუტებდა რაღაცაა, მერე ვეება ჯიხვს დაავლო ხელი, ღვინით გაავსო და მზიას მიმართა.

— უნდა გვძულებოდი, მაგრამ შეგიყვარეთ, უნდა შეურაცხგვეყავ, მაგრამ თითიც არ დაგვიკარებია შენთვის, უნდა მოგვეკალ, მაგრამ ცოცხალს გიშვებთ შინ... რატომ? იმიტომ რომ უჩვეულო და მშვენიერი ხარ, მზია! მაშ, დღეგრძელი იყავ! — ჯიხვი დაცალა, იქვე მიესვენა და ხვრინვა ამოუშვა.

ჩვენც წამოვწექით, მაგრამ დიდხანს არ ჩაგვძინებია.

ძილ-ბურანში მესმოდა, როგორ ახველებდა თოთია, ადგილს როგორ ვერ პოულობდა თორღვა... მხოლოდ ზევახს ეძინა მთვრალი კაცის ძილით.

სხვა არაფერი არღვევდა ღამის მყუდროებას.

ცის კაბადონი ურიცხვი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ვიწექი და ვფიქრობდი. ვფიქრობდი ცირაზე, რომელიც ამქვეყნად აღარ იყო, ვფიქრობდი ზევახზე, თორღვაზე, თოთიაზე, ვფიქრობდი ჩვენს ძველ და ახალ ყოფაზე, ვფიქრობდი მზიაზე. მართლაც უჩვეულო ქალიშვილი იყო მზია. რაში გამოიხატებოდა მისი უჩვეულობა? ალბათ, ყოველ მის სიტყვაში, მოძრაობაში, მოქმედებაში. თუნდაც ის რად ღირდა, რომ ყოველ ღამე, ძილის წინ, როცა დათვრვით მოუხეშავი ზევახი უხერხულად დაადგებოდა თავზე ფეხების შესაკრავად, მზია მის უნდობლობას დასცინოდა ხოლმე. მერე რა უზაკველი, წკრიალა სიცილი იცოდა... ამ ვარსკვლავებივით მომხიბლავი და უზაკველი სიცილი... მაგრამ ჩვენ მაინც ერთი წუთით არ გვავიწყდებოდა, ვისი შვილი იყო იგი. ეს გვაფხიზლებდა და ბურანიდან გამოვყავდით ხო[illegible] ახ, სასტიკი, ულმობელი ასპარუგის ქალიშვილი იყო მზია... რომელსაც, ხელში რომ ჩავვარდნოდით, ალბათ, ცოცხლად გაგვაძრობდა ტყავს. მამამისის გახსენებაზე ხშირად ჩაგვიბაგუნებია მკერდში მჯიღი და ბაგე დაგვიკვნეტია. ბევრჯერ გვიოცნებია, როგორ ვაძგერებდით ხანჯალს გულში... მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა, მზიას მამა კი მიუწვდომელი იყო ჩვენთვის. და, აი, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ შევიყვარეთ მზია.

ჰოდა... რას ვამბობდი?

ვიწექი და ვფიქრობდი...

ვფიქრობდი და ცას ავყურებდი...

ცის კაბადონი ურიცხვი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი.

სამი დღის შემდეგ მზია თოთიამ გააცილა დათქმულ ადგილას... გააცილა, მაგრამ თვითონ კი უკან აღარ მობრუნებულა. მალე გავიგეთ ასპარუგის მზაკვრობა. გავიგეთ, რომ თოთია შეეპყროთ და მალე საჯაროდ დასჯიდნენ სოფლის მოედანზე.

10

მესამე დღეს მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა სოფლისაკენ გავემართეთ.

მოედანზე ურიცხვ ხალხს მოეყარა თავი, მოედნის შუაგულში ხის ჯვარი აღემართათ, ჯვრის გარშემო მცველები იდგნენ, ამაღლებულ ადგილას ასპარუგი იჯდა. ის იღიმებოდა და გვერდით მდგომ ახოვან ჭაბუკს ესაუბრებოდა. ჩვენ არავის ვუცვნივართ, თუმცა თითქმის პირველ რიგში ვიდექით. მალე მცველებით გარშემორტყმული თოთიაც გამოჩნდა, სახეზე წითლად უელავდა ნაიარევები, ხელები მათრახებივით ეკიდა. თვალებში მაინც ის უცნაური სხივი უკრთოდა. იღიმებოდა.

ხალხი მძიმედ შეეგება მის გამოჩენას. თოთია ასპარუგის წინ დააყენეს, რათა მას განეცხადებინა, რისთვის ისჯებოდა დამნაშავე.

ასპარუგი მძიმედ წამოდგა, ერთი წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით ჩაფიქრდა, შემდეგ ხალხს მიმართა:.

— დანაშაული, რომელიც ამ ადამიანს მიუძღვის, ორმაგია. პირველი, რაღაც არარსებული ღვთაების მოძღვრების ქადაგება და მეორეც, — ყაჩაღობა. ამიტომ ჩვენც ორმაგად დავსჯით მას — როგორც მეამბოხეს, ჯვარზე გავაკრავთ, ხოლო როგორც ყაჩაღს ცეცხლს შევუნთებთ.

ხალხს ყრუ დრტვინვამ გადაუარა.

მცველებმა ჯალათს და მის თანაშემწეებს გადასცეს თოთია.

ჯალათებმა ტანსაცმელი შემოაფლითეს, ჯვარზე აიყვანეს და ხელ-ფეხით მიალურსმეს.

უცნაური სანახავი იყო წვერგაჩეჩილი, სისხლჩამომდინარე, ჯვარცმული თოთია.

— იღიმება! — დაიძახა ვიღაცამ ბრბოში.

ხალხი შეჩოჩქოლდა. მე, ზევახი და თორღვა კინაღამ გადაგვთელეს, მაგრამ მალე ყველაფერი დაწყნარდა.

— აბა, გიშველოს შენმა ღმერთმა! — დაუძახა ასპარუგის გვერდით მდგომმა ყმაწვილმა.

თოთია ოდნავ შეტოკდა... თავი დიდი წვალებით ასწია მაღლა...

— მშველის! — ამოიხრიალა, — ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მშველის!

ასპარუგმა მცველებს რაღაც უჩურჩულა.

მცველები ახლოს მივიდნენ ჯვარცმასთან და ფიჩხს დაყრა დაიწყეს. ნელ-ნელა თოთიას მუხლებამდე მიაღწია ფიჩხის გორამ.

— ცეცხლი! — გაისმა სიჩუმეში.

უცებ შემზარავი ღმუილი ჩამესმა.

თვალის მოკვრაც ვერ მოვასწარი, ისე ეკვეთა მცველებს ხანჯალმოღერებული ზევახი. მცველები დაიბნენ. ზევახი კი ხანჯლის თითო მოქნევაზე თითო კაცს ანარცხებდა ძირს და ასპარუგისკენ მიიკვლევდა გზას.

უცებ ჩემს გვერდით მყოფი თორღვაც მოსწყდა ადგილს, მცველების რიგი გაარღვია და თოთიას მივარდა.

ახლა დამალვა ღალატს ნიშნავდა.

უბეში დამალული მოკლე მახვილი ვიძრე და მხარში ამოვუდექი ჩემს მეგობრებს.

II

გონს საკანში მოვედი, ხელ-ფეხი შეკრული მქონდა, ირგვლივ წყვდიადი იდგა. კვნესა ჩამესმა. საკნის კუთხეში ორი ხელფეხშეკრული კაცი დავლანდე. მივხვდი, ვინც უნდა ყოფილიყვნენ.

— ზევახ! თორღვა!

— ჰო, ჩვენა ვართ!

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— მაპატიეთ! — თქვა ზევახმა, — ვეღარ მოვითმინე, როცა იმ ძაღლებმა თოთიას ცეცხლი შეუნთეს.

— თოთია მოკვდა? — ვკითხე.

— მოკვდა! — ამოიოხრა ზევახმა. — პეპელასავით დაიწვა.

— არც ჩვენ გველის უკეთესი დღე, — ვთქვი მე. — თუ სასწაული არ მოხდა!

— ჰმ! სასწაული! — თქვა აქამდე მდუმარე თორღვამ. — ყველაზე უფრო ის მწყინს, მზიას მამას რომ ვერ ვაძგერე მახვილი!

კარს უკან ხარხარი გაისმა, მერე კარის ანჯამები გაჭრიალდა და სინათლეზე ასპარუგი დავინახეთ, თან ახოვანი ჭაბუკი ახლდა.

— მაშ, ჩემი მოკვლა გსურდა, თორღვა? — იკითხა ასპარუგმა.

თორღვას არაფერი უთქვამს.

— არ გერჩია, ჩემთვის დაგეჯერებინა, ჩუქურთმა გეჭრა და გეხატა, ვიდრე ავაზაკებს აჰყოლოდი? — ხმადაბლა ჩაეკითხა ტყვეს. — ახლა ხომ ცოცხლად უნდა დაიბრაწო!

თორღვა დუმდა.

— ჰა, თორღვა, — განაგრძობდა ასპარუგი, — ნუთუ გეგონა, რომ საბოლოოდ გამისხლტი ხელიდან? ან ის როგორ იყო, ძაღლებო, მზიას რომ დაესხით თავს და გაიტაცეთ? შეურაცხყოფა ხომ მაინც ვერ გაბედეთ! ან რას გაბედავდით, მონებო! — ზიზღით გადააფურთხა მან... მაგრამ ხმაში რაღაც უცნაური ხიწვი შეეპარა

უცებ ზევახის ხრინწიანმა სიცილმა დაარღვია სიჩუმე.

ასპარუგი გველნაკბენივით შეხტა.

—რას იცინი? — დაიღრინა მან.

— შენზე მეცინება, — თქვა ზევახმა, — ასე გულუბრყვილო რომ ხარ!

ასპარუგი მივიდა მასთან, ქამრიდან ხანჯალი ამოიღო და ზევახს კისერზე დააბჯინა.

— აბა, თქვი, რატომ იცინი!

— მალე ბაბუა გახდები, ასპარუგ! — თქვა ზევახმა ისე, რომ თვალი არ დაუხამხამებია.

ასპარუგი ერთ წამს ჩაფიქრებული იდგა. მერე, ეტყობა, სძლია ცდუნებას, ხანჯალი ისევ შეინახა. ერთი კი შეშფოთებით მოხედა ახოვან ჭაბუკს. ჭაბუკმა რაღაც უჩურჩულა.

ისინი ზევახთან მივიდნენ, შუბლზე ჯაჭვი შემოავლეს და მოჭერა დაიწყეს.

საკანი შემზარავმა ღრიალმა შეაზანზარა.

— სიმართლე გვითხარი ზევახ! — თქვა ასპარუგმა და ოდნავ მოუშვა ჯაჭვი. — სიმართლე თქვი და აღარ გაწამებთ.

— ვიცრუე! — იღრიალა ზევახმა.

ასპარუგმა თვალი უყო ჭაბუკს.

მათ ისევ მოუჭირეს ჯაჭვი.

საშინელმა ბღავილმა შესძრა იქაურობა.

— რატომ იცრუე, ზევახ? — ჩასძახა ასპარუგმა და ისევ მოუშვა ჯაჭვი.

— გული მინდოდა მომეკლა შენთვის! — დაიყვირა ზევახმა.

— კეთილი, — თქვა მისმა ჯალათმა და ჯაჭვი მოისროლა. — თუმცა თავიდანვე არ მჯეროდა შენი... ეს ისე... გამოსაცდელად. რას გაბედავდით, ძაღლებო... — მას ენა დაება.

ერთხანს ასე იდგა.

მერე ჭაბუკს ანიშნა და საკნიდან გავიდნენ.

საკანში ისევ წყვდიადი ჩამოწვა.

არც კი ვიცი, რამდენი ხანი გავიდა ასეთ ყოფაში. საჭმელს არ გვაძლევდნენ, მხოლოდ წყალს გვასმევდნენ ხანდახან, რათა წყურვილით არ დავმხრჩვალიყავით... თან გვაწამებდნენ, გამოტეხა სურდათ, სად გვქონდა ნაძარცვი გადამალული. ზევახმა ვეღარ გაუძლო და გამოტყდა. ჩვენ არ გვისაყვედურებია მისთვის, რადგან ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამის შემდეგ სამი დღის განმავლობაში წყალიც აღგვეკვეთა. მეოთხე დღეს, როცა უკვე ცოცხალ-მკვდარნი ვიყავით, ასპარუგი გვეწვია.

მან მცველებს უბრძანა და თუნგით წყალი ჩაგვასხეს პირში. როცა ცოტათი მოვსულიერდით, თორღვას მიმართა:

— შენ დიდი დანაშაული მიგიძღვის ჩემს წინაშე! ალბათ, ხვდები, რომ სიკვდილი გელის.

თორღვას არაფერი უთქვამს.

— მაგრამ... — ასპარუგმა ნაძალადევად გაიღიმა. — გადავწყვიტე, შეგიბრალო, თუ... დათანხმდები იმაზე, რაზეც უწინ უარს ამბობდი.

იგი ერთხანს დუმდა.

— გესმის, რას ვგულისხმობ? — ჰკითხა ბოლოს.

თორღვამ მძიმედ დაუკრა თავი.

— კარგია, თუ გესმის — განაგრძო ასპარუგმა, — შენ ახლავე შეგხსნიან ბორკილებს... ოღონდ, — აქ იგი შეყოვნდა. — უნდა გაამართლო ნდობა. მე მომწონდა შენი ნამუშევრები... არ ვიცი, დაგავიწყდა თუ არა შენი ხელობა, მაგრამ ვიცი, რომ ნიჭი არ იკარგება. შენი მეგობრების სიცოცხლეც შენს ხელთ არის. ისინი მძევლებად გვეყოლება. თუმცა... მარტო მძევლები არ კმარა... სრულ თავისუფლებას ვერ მოგანიჭებთ (იქნებ ამ ხნის მანძილზე გადაიყვარე შენი მეგობრები), ისე კი, უკეთეს საკანში მოგათავსებთ. იქ მზეც გექნება, ჰაერიც, ქვაც და საჭრეთელიც, მაგრამ, გახსოვდეს: შენც უნდა ივარგო, თორღვა! ბოლოს და ბოლოს, ამაზეა შენი ბედი დამოკიდებული! რას იტყვი?

თორღვა ერთხანს დუმდა.

მერე ნელა დაიქნია თავი.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — თქვა ასპარუგმა. — შენ დღესვე გადაგიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ახალ საკანში... ესენი კი, — მან ბოროტი მზერა გვესროლა, — ჯერჯერობით აქ დარჩებიან.

ასპარუგი გავიდა.

## თორღვა

საკანს, რომელშიც მომათავსეს, საკანი არც ეთქმის, იგი მეტად ფართოა, რკინის გისოსიანი სარკმელი აქვს, რომელიც ეზოში გადის, აქ არის ტახტი, მაგიდა, სამუშაო ქვები, სინგურის საღებავი და სახატავი ფიცრები. ახლა ბნელა, ვწევარ და კედელს მივშტერებივარ. კედელი ალაგ-ალაგ დახეთქილია და უცნაურ სახეებს ვჭვრეტ· ვჭვრეტ და თან ჩემს შინაგან ხმას ვუსმენ, ვუსმენ და ხანდახან ვერც ვანსხვავებ, საიდან მოდის იგი, ჩემი სულიდან თუ მაღლიდან... სახეები კი ირევიან. აღვზნებული ვარ. არ მეძინება, ჭრაქის სინათლეზე ხატვა არ მსურს, ამიტომ საკუთარ თავთან საუბარით ვირთობ თავს, ყველაზე უფრო ის მდგომარეობა მაინტერესებს, რომელშიც ახლა ვიმყოფები და ვკითხულობ, რა ყოფაა ეს.

„შებოჭილი სულის ყოფაა ეს ყოფა“, — მპასუხობს უხილავი.

ერთხანს ვდუმდები. ჩემს წინ, ბნელ კედელზე კი ჩამომჭკნარი ვარდი ცოცხლდება... იშლება და ირგვლივ ღამის სურნელებას აფრქვევს.

„მშვენიერება შებოჭილი სულისა იშვება ღამით, — ჩურჩულებს ხმა. — დილეგებში, საკნებში, მონის სადგომებში, ქვის სამტეხლოებში... მერე ფრთებს შლის და ხდება უკვდავი!“

— მაგრამ, რატომ ხდება, რომ საკანში მას სულისთვის დიდი შვება ვერ მოაქვს?

„იმიტომ, რომ მშვენიერების ჭვრეტა და შემდეგ მისი ქვაში აღბეჭდვა ან ტილოზე გადატანა მძიმე ტვირთისაგან წამიერი განთავისუფლებაა მხოლოდ და არა სრული თავისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, თვით არის უკვდავება და მშვენიერება“.

— სრული თავისუფლება... არსებობს კი იგი?

„დიახ!“

— სად?

„ოცნებაში!“

— მაგრამ ოცნება ჩვენთან ერთად კვდება ხოლმე.

„ცდები, ოცნება — უკვდავია!“

ჭერს მივაჩერდი.

ჭერზე მზიას სახება ელვარებდა.

ჩავთვლიმე.

უცნაური სიზმარი ვნახე.

ტრიალ მინდორზე თოვლი იდო.

თოვლზე ეულად ყვაოდა ცისფერი ვარდი.

უცნაურ შუქს გამოსცემდა ყვავილი...

უცებ, საიდანღაც ყვავი მოფრინდა... ყვავილს პირი დაავლო და ცისკენ აიტაცა.

გამეღვიძა.

გათენებულიყო.

ღრუბლებიდან წითლად მოწვეთავდა მზე.

წამოვდექი და მაგიდასთან მივედი.

ქვაზე მუშაობა არ მსურდა.

სინგურში ბატის ფრთა ჩავაწე და ხატვას შევუდექი.

აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვხატავდი, უცებ რკინის კარი გაჭრიალდა და ოთახში ასპარუგი შემოვიდა. იგი მომიახლოვდა, ნახატს თვალი შეავლო, ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, მერე მაგიდასთან ჩამოჯდა.

— მითხრეს, რომ სამი დღეა, საჭმლისთვის ხელი არ გიხლია, — თქვა მან, — რაო, თავის მოკვლა ხომ არ გადაწყვიტე?

— ვმუშაობ, — მივუგე და ნახატზე მივუთითე.

— ამას როდის დაამთავრებ? — მკითხა და ხელი ნახევრად მოჩუქურთმებულ ქვისკენ გაიშვირა. — ხომ იცი, ბიძაჩემის სამარხისთვის მინდა.

— ერთ თვეში მზად იქნება.

— ეჰ, შენ რაღაც ძალიან შეგიყვარდა საღებავი...

— ჰო, მაგრამ, შენ არ დამიკვეთე ეს სურათი? ქვაზე მუშაობა ამიტომ გადავდე.

— მისმინე, — მითხრა მან. — შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიძლია ქვიდან სახის გამოკვეთა?

— რა თქმა უნდა, — ვთქვი მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— მაშ ასე, — თქვა ბოლოს და წამოდგა, — იფიქრე, რაც გითხარი, მზიას სურათი კი, ეცადე, მალე დაამთავრო და სამარის ქვაზე განაგრძო მუშაობა.

იგი გავიდა.

მე ისევ სურათს მივუბრუნდი და დაღამებამდე ვხატავდი.

მეორე დილას ხმაურმა გამაღვიძა.

ეზოში გავიხედე.

ვიღაცას შოლტავდნენ.

გასაშოლტი კაცი საშინლად ყვიროდა.

როცა ყვირილი შეწყდა და გონდაკარგული მონა გაიყვანეს, მაგიდასთან მივედი და დავჯექი.

ამ ამბავმა გამომაფხიზლა...

გამახსენდა ზევახი და ქავთარი, რომლებიც სადღაც, ბნელ ჯურღმულში იტანჯებოდნენ. რას ფიქრობდნენ ნეტა ჩემზე? იქნებ ეგონათ, რომ დამავიწყდნენ კიდეც?

ახლა ხატვა არ შემეძლო.

საჭრეთელი ავიღე და ქვის დამუშავება დავიწყე.

მუშაობაში დამათენდა.

ჩავთვლიმე...

●

როცა გავიღვიძე, სუფრაზე უამრავი ხორაგი დამხვდა. რაღა არ მოეტანათ: შემწვარი ძროხის ხორცი, წვენში ჩაწყობილი ქათმები, მოხარშული თევზი, მწვანილი და... ვეებერთელა ხელადით —ღვინო! გამეღიმა. ეტყობა, ასპარუგი ჩემი გულის მოგებას ცდილობდა. უცებ საშინელი შიმშილი ვიგრძენი, მადიანად მივაძეხი საჭმელს, როცა სტომაქი ამოვიყორე, ღვინო დავისხი... ის იყო, ფიალა მოვიყუდე, რომ... კარი გაჭრიალდა...

საკანში ნახევრად შიშველი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი შემოვიდა...

გაოცებით მივაჩერდი...

— გიკვირს? — მკითხა მან და მაგიდასთან ჩამოჯდა.

თავი გავიქნიე.

ჩაიცინა.

— ან რატომ უნდა გიკვირდეს, როცა იცი, რომ ასპარუგის წყალობა უსაზღვროა! — მან წამოსასხამი გადაიგდო და მთლად შიშველი დარჩა.

გული შემიხტა.

— რა გქვია? — ვკითხე და ხელი მუხლზე დავადე.

— ნონაი!

— ნონაი? — გავიმეორე მე.

— ჰო, რა იყო?

— არაფერი, ერთი ჩემი მეგობარი ახსენებდა ვიღაც ნონაის.

— რა ჰქვია იმ შენს მეგობარს?

— ზევახი!

— აი ის, საპატიმროში რომ ზის?

— შენ განა, იცნობ მას?

— ზევახი თუთიას ჰყვარობდა, ჩემს მეგობარს, ჩვენ ერთად ვცხოვრობდით მონათა სადგომში, მერე მე საჯალაბოში გადმომიყვანეს, თუთია კი ისევ იქ დარჩა.

მე თანდათან ახლოს მივდიოდი მასთან, ბოლოს იგი ჩემს მუხლებში აღმოჩნდა მომწყვდეული.

— რაღას აყოვნებ? — ჩურჩულით თქვა.

— გეჩქარება? — ვკითხე მე.

უცნაურად შემომხედა.

— ვინ გაიძულა ჩემთან მოსვლა? ასპარუგმა?

— მაშ ვინ? — გაოცებით თქვა ნონაიმ.

ერთხანს ჩაფიქრებული ვიჯექი.

— ნუ ფიქრობ ამდენს, — თქვა ბოლოს, — თუ მოინდომებ, შემიძლია სულ შენთან დავრჩე.

მე ვდუმდი.

— წადი, — ვთქვი ბოლოს... — წადი და ხვალ მოდი...

— რა მოგდის? — ჩამეკითხა.

— არაფერი... არ შემიძლია ასე...

დამცინავად ჩაიცინა.

— არა შეჯდა მწყერი ხესა, — თქვა ბოლოს და მოსასხამი მოისხა, მერე დაფიქრდა: — მაშ, წავიდე?

— ჰო!

— ხვალ მოვიდე? — მობრუნდა ჩემკენ, როცა კარში გადიოდა.

თავი დავუქნიე.

იგი გაქრა.

მაგიდასთან მივედი, ხელადა მოვიყუდე და დიდხანს არ მომიშორებია პირიდან.

მალე თრობა ვიგრძენი...

უცებ საშინლად მომინდა გარეთ ყოფნა.

კართან მივბარბაცდი და დავაბრახუნე.

კარი გაიღო და წინ ზედამხედველი ამეტუზა.

— რა გინდა? — მკითხა.

— გარეთ მინდა, — ამოვილუღლუღე მე. — გარეთ, ადამიანებთან!

— წადი, დაიძინე!

საყელოში ვტაცე ხელი.

ხელისკვრით მომიშორა და კარი ჩაკეტა.

იატაკზე დავჯექი.

კედელს მივაშტერდი.

თვალწინ ისევ იელვა მზიას სახებამ...

დიახ, მე მიყვარდა ასპარუგის ქალიშვილი... ვიცოდი, არც ის იყო ჩემდამი გულგრილი.

ისევ მივედი კართან და დავაბრახუნე.

ისევ გაიღო კარი.

— ნონაის უხმე, — ვუთხარი ზედამხედველს.

ცოტა ხნის შემდეგ ნონაი ჩემს წინ იდგა.

— გისმენ, — თქვა მან და ტახტზე დაჯდა.

— ნონაი, — ვუთხარი და ქედზე ხელი მოვხვიე, — მე გადავიფიქრე.

გაიღიმა.

— მოგწონს ეს ნახატი? — ხელით მზიას სურათზე ვანიშნე.

თავი დამიქნია.

— შენ ხედავ ხოლმე მას?

— ხანდახან, — თქვა და უცნაურად შემომხედა.

— სად?

— საჯალაბოს წინ... როცა მამამისთან ერთად ჩაივლის ხოლმე.

ერთხანს ჩუმად ვიყავი.

მინდოდა გამეგო რამე მზიაზე, ნონაის ბევრი რამ შეეძლო ეთქვა, მაგრამ სიფრთხილე იყო საჭირო. მე დაჟინებით მივაჩერდი მას.

მერე მივედი და ხელი მოვხვიე.

— მინდიხარ, ნონაი, — ვუთხარი და ბაგეზე დავეკონე.

●

უცნაური დილა გათენდა.

მზიას თვალებივით ნაღვლიანი იყო ცა.

ქარი ქროდა.

წვიმდა.

ნონაიმ გაიღვიძა.

შემომხედა...

გაიზმორა...

გაიღიმა და ხელი მომხვია.

— როგორა ხარ? — ვკითხე ჩუმად.

მან მხრები აიჩეჩა, წამოდგა და ოთახში შიშველმა დაიწყო სიარული.

მაგიდასთან მივიდა.

მზიას სურათს დააკვირდა.

— გიყვარს? — უბრალოდ მკითხა.

სახტად დავრჩი.

— რას ამბობ, ნონაი! — ვთქვი მცირე ხნის შემდეგ, — სად მე და სად ის!

— მერე რა — მიპასუხა მან. — მზია ყველას უყვარს.

არაფერი მითქვამს.

— ამ ნახატიდანაც ჩანს, რომ გიყვარს, — თქვა ნონაიმ. — ფრთხილად, მამამისმა არ გაიგოს... თორემ!

— ასპარუგმა, ჯერ ერთი, თვითონ დამიკვეთა ეს სურათი, და მეორეც, ამაზე უარესს რაღას მიზამს?

— ცოცხალი რომ დაგტოვა, ეს ცოტაა შენთვის?

— მე ზევახის და ქავთარის გამო დავთანხმდი.

— ჰოდა, ყველას წაგაცლით თავს!

ერთხანს ვდუმდით...

მერე ის მოვიდა, ტახტზე წამოწვა და ხელი მხარზე დამადო.

---

მერაბ აბაშიძე
ცეცხლში განბანილნი

— მომეხვიე, — თქვა.

მე დავმორჩილდი.

დიდხანს ვიწექით ერთად.

მერე მუშაობა განვაგრძე, ვახშმობის შემდეგ დაძინებას ვაპირებდი, რომ კარი გაიღო და ასპარუგი შემოვიდა.

— აბა, როგორ არის საქმე, ოსტატო? — მკითხა მან.

არაფერი მითქვამს.

— მზიამ გამომგზავნა, — სურათი უნდა წავიღო! — მითხრა.

— ჯერ არ დამიმთავრებია.

— არა უშავს, — გაიღიმა ასპარუგმა, — კოკორი ყოველთვის მერჩია გაშლილ ვარდს! — მან სურათი აიღო.

— როგორია? — ცერით მანიშნა ნონაიზე ისე, რომ ზედ არც შეუხედავს

— დიდად მწყალობ, პატრონო! — ვთქვი მე.

— ჰოო? — ცერად გადმომხედა, — კეთილი. ახლა ეს ვნახოთ.

იგი თითქმის დამთავრებულ ქვასთან მივიდა.

— ესეც დაუმთავრებელია? — იკითხა.

— ორ დღეში მოვრჩები.

— აკი გუშინწინ ამბობდი, ერთი თვე კიდევ დამჭირდებაო?

მხრები ავიჩეჩე.

— კარგი, — თქვა მან ბოლოს. — — იცოდე, თუ მზიას სურათი მოეწონა, ჩემი წყალობა უფრო გაიზრდება.

ამ სიტყვებით იგი გავიდა.

●

ტახტზე ვიჯექი და ვფიქრობდი.

ნონაი ჩემს გვერდით იწვა.

რას იტყოდა მზია ნახატზე?

ან რად თქვა ასპარუგმა, გაუშლელი კოკორი ყოველთვის მერჩია ვარდსო? როგორ შეძლო ამ უმკაცრეს კაცს ხელოვნების ასე შეგრძნება, როგორი იყო იგი? სად იყო აქ ჭეშმარიტება?

„ჭეშმარიტება მისი გაორების ზღვარზე დგას,“ — ჩამესმა ხმა.

— არ მესმის.

„ორად განყოფა სულისა ძველთაგანვე ცნობილია“, —თქვა უხილავმა.

— ჰო, მაგრამ მიკვირს, როცა ვხედავ, ჩემივე მედილეგე რა რუდუნებით ეპყრობა ჩემს ნამუშევრებს!

„რა გაკვირვებს? ასეთია დიდი ძალა ხელოვნებისა! ხელოვნება იგივე სულია შენი... ბორკილახსნილი და აღზევებული, მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო...“

—როდის?

„როცა ბორკილი ედო... ახლა ზეიმობს და ნეტარებს იგი, თუმცა ხორცი იტანჯება, მაგრამ იტანჯება კი იგი?“

— ნუთუ ამაში ეჭვი გეპარება?

„ღმერთმა ხომ გამოგიგზავნა ვიღაც!“

— ვინ, ნონაი? — გამეღიმა მე. მერე ჩავფიქრდი. ნონაის გადავხედე, ტკბილად ეძინა. მეც მის გვერდით წამოვწექი და ჩავთვლიმე.

როცა გავიღვიძე, ნონაი ჩემს გვერდით აღარ იყო.

უცებ კარი გაიღო და საკანში რიდეჩამოფარებული ქალი შემოვიდა.

ერთხანს უხმოდ ვუმზერდი, მერე წამოვდექი და სკამი შევთავაზე.

მან რიდე მოიხსნა.

გაოცებისაგან შევყვირე.

ჩემს წინ მზია იდგა.

ერთხანს ორივე ვდუმდით.

— მომენატრე, — ვთქვი ბოლოს. — ძალიან მომენატრე.

არაფერი უთქვამს.

— გუშინ მამაშენმა შენი სურათიც კი წამართვა, — ვუთხარი.

მზიას გაეღიმა.

— განა ის სურათიც, მეც და შენც მამაჩემს არ ვეკუთვნით?

— არა, მზია, — ვთქვი მე, — შეიძლება ხორცი ეკუთვნოდეს ასპარუგს, სული კი ღვთისაა. ღვთისა და შენი!

— ჰო! — დაიჩურჩულა მან. — მაგრამ ახლა მითხარი, როგორა ხარ?

— როგორც მხედავ! ვხატავ, ჩუქურთმას ვჭრი, ვსუნთქავ, თავისუფლებაზე ვოცნებობ!

— ჰო, თავისუფლება... — თქვა მზიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ უშენოდ თავისუფლებასაც არა აქვს აზრი, მზია! — გახსოვს იქ, ტყეში?

— ჰო, როცა ოქროზე მცვლიდით, არა? — დაცინვით თქვა მან.

სახტად დავრჩი.

ერთხანს ვდუმდით.

— რაც იყო, იყო! — თქვა მან ბოლოს. — მე მადლობის სათქმელად მოვედი.

— რისთვის?

— ნახატისათვის. რა გინდა ამის გასამრჯელოდ?

ჩავფიქრდი. ვგრძნობდი, მზია სამაგიეროს მიხდიდა, მაგრამ როგორ შეეძლო ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის სამაგიეროს გადახდა?

— საწამლავი, მზია! — ვთქვი მე.

მას წარბიც არ შესტოკებია.

ვუყურებდი და ვერ ვცნობდი.

— მაშ, საწამლავი? — თქვა ბოლოს

— ჰო!

— კეთილი... ამაზე შემდეგ... მაგრამ აკი ერთი წუთის წინ სიყვარულს მეფიცებოდი?

— მერე რა?

— თუ ვინმე გიყვარს, განა შეგიძლია ისე განშორდე წუთისოფელს, რომ მასზე არ იფიქრო?

—თუ ამით მას ტანჯვას არ მივაყენებ...

მზია შეკრთა.

— შენ ასე ფიქრობ? — იკითხა ჩუმად.

მე თავი ჩავკიდე.

იგი მომიახლოვდა.

— მეც მიყვარხარ, თორლვა... — მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა მან. — მიყვარხარ და მძულს შენი ნონაი! რატომ დათანხმდი, შენთან გყოლოდა იგი?

შევჩქვიფდი.

— ახლა კი წავალ, — თქვა მან და კარისკენ წავიდა.

— ხომ მოხვალ კიდევ? — ვკითხე და ჩემივე ხმა ვერ ვიცანი.

მზიამ ერთხანს მიყურა, მერე თავი დამიკრა და საკნიდან გავიდა.

იატაკზე დავეცი, შუბლი იატაკს დავარტყი და ასე გავირინდე.

●

მთელი სამი დღე ქვაზე ვმუშაობდი.

როცა დავამთავრე, ზედამხედველს ვაცნობე.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან ასპარუგი შემოვიდა.

იგი შუბლშეკრული ათვალიერებდა ქვას, ბოლოს გაიღიმა და უბრძანა გაეტანათ.

— აბა, ახლა საქმე! — თქვა მერე ხელების ფშვნეტით.

უხმოდ მივაჩერდი.

— გახსოვს, ქვიდან სახის გამოკვეთაზე რომ ვსაუბრობდით? — იკითხა მან.

თავი დავუქნიე.

— ჰოდა, გვაჩვენე, რა შეგიძლია!

— ვისი სახე უნდა გამოვკვეთო?

— ჩემი!

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— მე ვიცი, რომ შენ კარგად მიცნობ, — დაიწყო მან, — ისიც იცი, რომ ჩემში მეორე ასპარუგიც ცხოვრობს — ხელოვნების მფარველი და მოყვარული... ჰოდა... — მან კუშტად შემომხედა. — შენ სწორედ იმ ასპარუგის სახე უნდა გამოკვეთო... გესმის?

— ყველაფერი კარგად იქნება, — ვთქვი მე.

მან ხელი ხელს შემოჰკრა.

ოთხმა მონამ საკანში დიდი ლოდი შემოათრია.

—მაშ, შეუდექ საქმეს! — დააგდო სიტყვა ასპარუგმა და გავიდა.

ქვას მივუახლოვდი.

ხელი შევახე.

ხავსით იყო დაფარული.

მესიამოვნა ხაოიანი ზედაპირი.

ხელზე დავიხედე:

თითებზე ფოთლები მიმკრობოდა.

ტახტზე დავჯექი და სივრცეს გავუშტერე თვალები.

სივრცეში თანდათან იკვეთებოდა უცნობის სახე...

ეს სახე შიშისმომგვრელი იყო...

არა, ასპარუგს არ მოეწონებოდა იგი!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

●

ერთი კვირა გავიდა ამ ამბის შემდეგ.

მე მუშაობას შევუდექი.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვცდილობდი ქვაში სახის გამოკვეთას.

მიჭირდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი და მუშაობას განვაგრძობდი.

კვირის ბოლოს ისევ მეწვია მზია.

მას შავი, სისხლისფრად დაწინწკლული კაბა ეცვა.

უხმოდ ჩამოჯდა სკამზე.

— მაშ, დაკვეთას ასრულებ? — მკითხა.

— ჰო, — ვთქვი მე. — ჩემი ნება რომ იყოს, არ შევასრულებდი!

— ასე გძულს მამაჩემი?

მწარედ გამეღიმა ამ გულუბრყვილო შეკითხვაზე.

— მე ვცდილობდი გამეგო შენი მომავალი ბედი — მითხრა.

— მერე?

— ვერაფერი ვათქმევინე, დუმს...

არაფერი მითქვამს.

— მე ყველაფერს ვეცდები, თორღვა!

— რატომ, მზია?

— მინდა, ბედნიერი იყო...

— აკი ვარ ბედნიერი...

— რითი?

— თუნდაც იმით, ხანდახან რომ მეწვევი ხოლმე.

მზია ერთხანს დუმდა.

— მეც მეშინია მისი, — თქვა ბოლოს ჩურჩულით. — ვიცი, ღმერთი ბოლოს დასჯის მას!

გაკვირვებით შევხედე.

— შენ გძულს ასპარუგი? — ვკითხე.

— არ ვიცი, — თქვა მან, — ისე კი, ვგრძნობ, რომ მართალი არ არის. ამიტომ ჩვენ დავისჯებით! ყველანი! ყველანი! —მან სახეზე ხელები აიფარა.

— მე შენ მიყვარხარ, მზია,— ვთქვი და ახლოს მივედი მასთან. — შენ უკვდავების წყარო ხარ, საამო და რაკრაკა... რა შენი ბრალია... ის მამაშენია, შენ — შენ ხარ.

— სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი მისი, — გაიღიმა მან მწარედ.

არაფერი მითქვამს...

ბოლოს მზია წავიდა.

●

მუშაობას განვაგრძობდი.

მზიასთან შეხვედრები ხანდახან ამომაგდებდა ხოლმე კალაპოტიდან, მაგრამ ეს დროებითი იყო. ასპარუგი ხშირად მოდიოდა. პირველად მეშინოდა, ერთმანეთს არ შეჰყროდა მამა-შვილი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მზია ასპარუგის შინ არყოფნისას მოდიოდა ხოლმე. და აი, ბოლოს ნამუშევარიც მზად იყო.

ასპარუგი ჩაფიქრებით უმზერდა მას.

დიდხანს დუმდა, მერე სახეზე კმაყოფილება გამოეხატა, მოვიდა და მხარზე ხელი დამადო.

— ყოჩაღ, — თქვა, — შენ კარგად გაგიცვნივარ.

ქვისგან გამოკვეთილი ასპარუგი კი მკაცრად იყურებოდა, თუმცა ამას სიმკაცრეს ვერ დავარქმევდით. ტუჩის კუთხეებში ისეთი ნაოჭები არ ჰქონდა, სისასტიკის ჟამს რომ ჩნდებოდა ხოლმე. აქ იგი მოწყალე ჩანდა... თან ძლიერი. ეტყობა, ეს მოსწონდა, მსგავსება კი მართლაც დიდი გახლდათ.

— ჰო, შენ ნამდვილი ოსტატი ხარ, — თქვა მან. — მაშ, ორ თვეში მოახერხე ეს?

— თავადაც ხომ უწყით, პატრონო! — ვუთხარი მე.

— შენ ჯილდოს ღირსი ხარ! მთხოვე რაც გსურდეს!

ერთხანს ვდუმდი.

— თავისუფლება მიანიჭე, პატრონო, ქავთარს და ზევახს, — ვთქვი ბოლოს ჩახლეჩილი ხმით.

შეკრთა.

— თავისუფლება? — გაიმეორა მცირე ხნის შემდეგ, — ძალიან დიდ ფასს ხომ არ ითხოვ ორი თვის ნამუშევარში?

არაფერი მითქვამს.

— არა, თორღვა, — თქვა ბოლოს,

— სხვა რამე მომთხოვე.

— სხვა?! სხვა არაფერი მინდა!

— ძალიან კარგი, — მრისხანედ გადმომხედა. — ამას კი, — ხელით ქანდაკებაზე მანიშნა. — რაღაც აკლია. გასამრჯელოს ღირსი მართლაც არა ხარ... გაიტანეთ! — ბრძანა.

მცველებმა ქანდაკება წაიღეს.

ასპარუგი ოდნავ დაცხრა.

— შენ, ალბათ, ფიქრობ, რომ სასტიკად გექცევი, — თქვა ბოლოს. — მაგრამ გაიხსენე ვინა ხარ. შენ მონა ხარ... ჩემი საკუთრება... ბედნიერად უნდა თვლიდე თავს, რომ ცოცხალი ხარ!

— ეს დიდი ბედნიერება არ არის...

— მაშ რა არის ბედნიერება, — დაცინვით იკითხა მან. — თავისუფლება?

— დიახ!

— მაგრამ ღმერთმა არ ინება ეს... შენ მონა ხარ... ჩემი მონა!

— მე ხომ მონობისაგან თავის დაღწევას არ ვცდილობ, მე მსურს ამ საკანს გავშორდე მხოლოდ!

— რა მნიშვნელობა აქვს მონისთვის, მონათა სადგომში იქნება თუ დილეგში? — აგდებით აიქნია მან ხელი, — სჯობია ის მთხოვო, ზევახი და ქავთარიც უკეთეს სადგომში მოვათავსო.

გამახსენდა ის დღეები, როცა ჩვენ ერთად ვიყავით ტყეში. როგორ გვეშინოდა მაშინ ასპარუგის ხელში ცოცხლად ჩავარდნისა. ვიგრძენი, ახლა რომ ჩემს მეგობრებს დავენახე, არაფერს თხოვდნენ ასპარუგს.

— არა, ამას არ გთხოვ, — ვთქვი მე. — მაგრამ ერთი სათხოვარი კი მაქვს!

— თქვი!

— მეც მათთან ერთად ჩამაგდე ჯურღმულში!

— ეს რატომ? — წარბი ასწია მან.

— მე აღარ ვიმუშავებ შენთვის!

ასპარუგმა მრისხანედ დააკვესა თვალები:

— იცი კი, რა გელის მაშინ?

— ვიცი, — ვთქვი მე. — ცეცხლი, გახურებული რკინა და ჯოჯოხეთი... მაინც უარზე ვარ.

— რა ძალლმა გიკბინა? — შემჰყვირა მან. — ხომ არ გგონია, ჩემი ჯალათის მარწუხები ვერაფერს დაგაკლებენ?

არაფერი მითქვამს.

— სამ დღეს გაძლევ! იფიქრე! — მრისხანედ თქვა ასპარუგმა და საკნიდან გავიდა.

●

ასპარუგის გასვლის შემდეგ ტახტზე დავჯექი. მისი სიტყვები გამახსენდა, რა ძაღლმა გიკბინაო. ცვლილება მართლაც დიდი იყო ჩემში. თითქოს ახლა პირველად ვიგრძენი, რომ თავისუფლების გარეშე სიცოცხლეს ფასი არა აქვს. პირველად ტყეში ვიგრძენი ნამდვილი თავისუფლება... ის კი, ვისაც ერთხელ მაინც უგემია იგი, ვერასოდეს შეეგუება მის დაკარგვას. ეს იყო და ეს.

●

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მეწვია ასპარუგი. სახეზე ღიმილი ეფინა... თვალები შემპარავად უციმციმებდა.

— მე დიდხანს ვიფიქრე იმაზე, რაც მითხარი, — დაიწყო მან. — და მივხვდი, რომ მართალი ხარ.

გამიკვირდა.

— რაში ვარ მართალი? — ვკითხე ჩახლეჩილი ხმით.

— თავისუფლების გარეშე სიცოცხლეს მართლაც არა აქვს აზრი, — თქვა მან. — ამიტომ... გადავწყვიტე, შეგიწყალო!

ერთიანად ავკანკალდი.

— მაგრამ, — განაგრძო მან — ერთი პირობით!..

ყურადღებით მივაჩერდი.

— შენ ქვისაგან უნდა გამოკვეთო მახვილმოღერებული მეომარი! მე მას სოფლის მოედნის შუაგულში დავდგამ.

— ამიერიდან, რასაც ისურვებ, ყველაფერს გავაკეთებ, პატრონო! — ვთქვი მე, — მაგრამ განა უკვე გათავისუფლებული უკეთ არ შევასრულებ სამუშაოს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არა, არა, — გაიღიმა მან. — ამის თაობაზე მე ჩემი მოსაზრება მაქვს.

ერთხანს ვდუმდით.

— მაშ, თანახმა ხარ? — მკითხა ბოლოს.

თავი დავუქნიე.

— შემოიტანეთ! — გასცა ბრძანება ასპარუგმა.

მცველებმა საკმაოდ დიდი ზომის ქვა შემოათრიეს.

მალე საჭრეთლით ხელში ქვის წინ ვიდექი.

●

ხუთი თვე თავაუღებლად ვმუშაობდი... მთელ ძალ-ღონეს ვახმარდი მახვილმოღერებული მხედრის გამოკვეთას. ამაში რაღაც სიმბოლურსაც ვხედავდი: თითქოს მე ვუღერებდი მახვილს მონობას. მზია ხშირად მოდიოდა ჩემთან. იცოდა, რომ ეს ჩემი ტყვეობის უკანასკნელი დღეები იყო და უხაროდა... ვერ აგიწერთ იმ გრძნობას, რომელიც დამეუფლა, როცა მივხვდი, რომ ქანდაკება უკვე მზად იყო. დიდხანს ვუმზერდი მეომრის სახეს, მერე კი, თუმცა გვიანი იყო, მცველს ვთხოვე, ასპარუგისთვის ემცნო ეს ამბავი.

ცოტა ხნის შემდეგ ასპარუგი ჩემს წინ იდგა.

იგი დიდხანს უმზერდა ქანდაკებას... ბოლოს მოტრიალდა და თქვა:

— მხედარი შენ გგავს!

გამეღიმა. მაგრამ ასპარუგი არ იღიმებოდა.

ერთხანს ვდუმდით.

— ესე იგი... — ვთქვი მე.

— ესე იგი, შენ შეცდი, როცა სულელად ჩამთვალე, — თქვა მან, — გეგონა, შენი ხელოვნებით მომხიბლავდი და შენს ქანდაკებას დავდგამდი სოფლის შუაგულში!

— მაგრამ მსგავსება მეტად მცირეა... თანაც მის გასწორებას რამდენიმე დღე თუ დასჭირდება!

— არ არის საჭირო! — თქვა მან. — შენ მაინც ჩემი ტყვე იქნები!

— მაგრამ პირობა?! — შევხრიალე მე.

— პირობა? — გაიმეორა. — პირობა დარღვეულია!

ამ სიტყვებით იგი გავიდა.

მეხდაცემულივით ვიდექი.

უცებ საშინელმა მძვინვარებამ შემიპყრო. ხელი დავავლე ჩაქუჩს და ქანდაკებას შემოვკარი! რამდენიმე დარტყმის შემდეგ ქანდაკებას ვეღარ იცნობდით. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, მცველები შემოცვივდნენ, ჩაქუჩი გამომგლიჯეს, შემკრეს და ტახტზე დამაგდეს.

●

ორი დღე-ღამის განმავლობაში ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი. არავინ შემოდიოდა ჩემთან, გარდა მცველებისა, რომელთაც წყალი და პური შემოჰქონდათ ხოლმე. მესამე დღეს, საღამოთი, მზია მეწვია. მას სახე ჩატეტკოდა. უხმოდ მოვიდა და ჩემს სასთუმალთან დაჯდა.

— იტანჯები? — მკითხა მცირე ხნის შემდეგ.

თვალები დავხუჭე.

— ახლა კი მისმინე, თორღვა, — დაიწყო მან. — მოისმინე ჩემი აღსარება:

მე ჩუმად ვიყავი.

— ალბათ, იქ, ტყეში შენიშნავდი, რომ გულგრილი არ ვიყავი შენდამი. როცა ეს გრძნობა აღმოვაჩინე ჩემში, შემეშინდა... რადგან საშინელებად მიმაჩნდა მონის სიყვარული, ეს ჩემთვის დაუჯერებელი იყო, მაგრამ შემდეგ ვიგრძენი, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. შენ კეთილშობილი ადამიანი გამოდექი... და აი... ახლა ისევ აქა ხარ... ტუსაღი, პატივაყრილი... ხვალ, როგორც ამბობენ ჯურღმულში უნდა ჩაგაგდონ, დიდხანს ვემუდარე მამას, მაგრამ ამან დააეჭვა რაღაცაში და უფრო გააცოფა იგი... ჯურღმულში კი, ვიცი, სიკვდილია და სიკვდილზე უარესი! ამიტომ მეც შენთან მოვდივარ, თორღვა! მაპატიე, რომ მეტი არაფრის გაკეთება არ შემიძლია შენთვის!

მე თვალები გავახილე...

მის ხელში პატარა თიხის ჰურჭელმა იელვა.

წამოწევა ვერ მოვასწარი, რომ მან საწამლავი სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— რა ჩაიდინე, მზია? — შევყვირე მე.

მიბნედილი თვალებით შემომხედა.

კართან მივვარდი და ბრახუნი ავტეხე.

— სჯობია, ჩემთან მოხვიდე! — ჩურჩულით თქვა მზიამ.

მე მუხლებთან დავუვარდი მას... ვკოცნიდი, ვეხვეოდი, ათას საალერსო სახელს ვეძახდი... მაგრამ უკვე გვიან იყო!

მზიას სული წუთისოფელს განრიდებოდა და იმ სამყაროში გადასახლებულიყო, სადაც მარადიული თავისუფლება დავანებულა... სადაც არც მონები არიან, არც ბატონები!

## ასპარუგი

დიდი უბედურება დამატყდა თავს, აღარ არის მზია... ჩემი ქალიშვილი... უბედურებას სირცხვილიც დაერთო, უკანასკნელ წუთებში იგი მონის მკლავებში იხილეს... მონისა, თავხედი, მეამბოხე მონისა. არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე, დავიტირო თუ დავწყევლო მისი გაჩენა და მის სამარეზე ფეხიც არ მივადგა, სამარე... მზიას სამარე... უკანასკნელი ჩემი იმედი შურისძიებაა... სწორედ იქ, დილეგში მივემართები ახლა... თორღვა, ზევახი და ქავთარი ერთად სხედან მიწისქვეშეთის ბნელ ჯურომულში და ჩემს განაჩენს ელიან... ალბათ, როგორ ოცნებობენ სწრაფ სიკვდილზე! მაგრამ მე ვიცი, როგორც დავტანჯო ისინი!

დილეგში ნესტისა და ობის სუნი იდგა. თორღვა, ქავთარი და ზევახი ერთმანეთის გვერდით იყვნენ მიბმული კედელზე. მცველს ვუბრძანე, ჩირაღდანი ახლოს მიეტანა თორღვასთან.

— როგორა ხარ, თორღვა? — ვკითხე და თვალებში ჩავხედე.

არაფერი უთქვამს.

— აბა, თორღვა, — განვაგრძე მე, — ახლა მომიყევი, იქ, ტყეში, როგორ შეაყვარე თავი ჩემს ქალიშვილს, როგორ შეაცდინე და პატივი აჰყარე.

— ეს მართალი არ არის, — თქვა მან. — შენი ქალიშვილი უცოდველი იყო

— იქნებ ისიც ტყუილია, რომ იგი შენს სანახავად მოდიოდა ხოლმე ზემო საკანში?

— ის უცოდველი იყო! — ყრუ ხმით გაიმეორა თორღვამ.

— კეთილი, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, — ვთქვი მე, — ახლა მითხარი, რატომ მოიკლა თავი?

თორღვა დუმდა.

— ხმა ამოიღე, ძაღლო! — შევყვირე და მთელი ძალით ჩავარტყი წიხლი.

იგი ტკივილისაგან დაიგრიხა, მერე შემომხედა და თქვა:

— შენ ამას ვერ გაიგებ, ასპარუგ!

— არც მინდა გაგება! შენ შეურაცხყავი მთელი ჩვენი გვარეულობა, ამისათვის სამაგალითოდ დაისჯები...

— ეჰ, ასპარუგ, ნუთუ შვილის სიკვდილმაც ვერ მოალბო შენი გული? — ამოიხრიალა უცებ ზევახმა.

ზევახს შევხედე.

მერე მცველებს შევავლე თვალი.

ისინი თავჩაღუნულნი იდგნენ. გულის სიღრმეში რაღაც ჩამწყდა... მზიას სახე ამოტივტივდა სიბნელეში. ერთხანს ასე ვიდექი, მერე მძიმედ გამოვედი საკნიდან და დარბაზში დავბრუნდი.

დარბაზში უკვე მოეყვანათ ნონაი. ძალზე მაინტერესებდა ამ ქალის ნახვა. იგი თვითონ გავუგზავნე თორღვას ტყვეობაში გულის გადასაყოლებლად, მაგრამ შემდეგ, როგორც გავიგე, ამ ქალს შეჰყვარებია იგი და თავის მოკვლაც უცდია, როცა თორღვა ჯურღმულში ჩააგდეს.

მდუმარედ შევჩერდი მის წინ. მცველებს ვანიშნე, დარბაზიდან გასულიყვნენ.

მათ დატოვეს დარბაზი.

— მაშ, თავის მოკვლა გინდოდა, ნონაი? — ვკითხე მე, ხელი თავზე დავადე და თვალებში ჩავაჩერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ჩემო პატრონო, — მიპასუხა და მშვიდად შემომხედა.

ხელი გავუშვი.

დარბაზში დავიწყე ბოლთის ცემა.

— რატომ, ნონაი?

— მიყვარს, პატრონო!

— ვინ, ნონაი, თორღვა?

— ჰო, — ჩუმად თქვა მან.

არაფერი მითქვამს.

ნელა მივედი მასთან.

მშვენიერი იყო, ხორცსავსე და ბრწყინვალე.

— რა გამჭვირვალე კანი გაქვს, ნონაი, — ვუთხარი მე. — მონა ქალს არც შეშვენის ასეთი თეთრი კანი... — ხელი გულისპირში ჩავავლე და კაბა შემოვაძარცვე.

— მოდი ჩემთან, — ვუთხარი და ტახტზე წამოვწექი.

იგი არ განძრეულა.

— მოდი, გესმის! — გავიმეორე მე.

იგი ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა.

ერთი საათის შემდეგ ნონაი უკვე იცვამდა.

მე თვალებმოჭუტული შევყურებდი, მის მზერაში შიშნარევ ზიზღს ვგრძნობდი და ეს სხეულს მიდუნებდა.

— შენ არ მოიქეცი ახლა სწორად, პატრონო, — თქვა თავჩაღუნულმა ნონაიმ.

— რატომ, ნონაი? — ვკითხე რაც შემეძლო ტკბილი ხმით.

— მზიას ხსოვნას უნდა სცე პატივი.

სახე შემეცვალა.

— მზიას? — ვთქვი ჩახრინწული ხმით, — მზიას სახელის ხსენებას როგორ ბედავ?

— ის ხომ მზე იყო ჩვენი, პატრონო, — თვალები გაუბრწყინდა მას.

— ვისი, ჩვენი?

— ჩვენი, — უძლურთა, საპყართა, მონათა, ტყვეთა, ტუსაღთა და განდგომილთა...

ერთხანს ვდუმდი, ყელში ისევ მომაწვა რაღაც.

— წადი! — ვუბრძანე ნონაის.

იგი გავიდა.

მეორე დილით მზიას საფლავზე გავედი, დიდხანს ვიყავი იქ.

როცა მივბრუნდი, მცველებს ვუბრძანე, ნონაი მოეყვანათ ისევ.

რაღაც დაუოკებელ ლტოლვას ვგრძნობდი ამ ქალისადმი, სიძულვილნარევ ლტოლვას.

იგი ფერდაკარგული შემოვიდა.

— ნონაი, — ვუთხარი მე, — მითხარი, ბედნიერი იყავი თორღვასთან?

მას არაფერი უთქვამს.

— ჰო, მე ვგრძნობ, რომ ასეა, — ვთქვი ჩაფიქრებით, — მაგრამ მაინც, რით მოგხიბლა მან?

მშვიდად შემომხედა.

— არ ვიცი, — თქვა ბოლოს.

— გინდა, მე გითხრა, რით მოგხიბლა?

ნონაიმ თავი დამიქნია.

— ის ტანჯულია, ნონაი, მსხვერპლი... თან ჩვენთვის უცხო ცეცხლით იწვის.. — და უცებ შემზარავად ვიყვირე: — მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორ შეეძლო მზიას მისი შეყვარება, როგორ?!

ყვირილზე მცველი შემოვიდა, ხელით ვანიშნე, იქაურობას გასცლოდა.

— გაათავისუფლე იგი! — თქვა უცებ ნონაიმ.

მე შევჩერდი.

ერთხანს დაძაბული ვუსმენდი ჩემივე გულისცემას. მერე ნონაის მივუბრუნდი.

— გავათავისუფლო, ვინ? ჩემი დამაქცევარი? ჩემი დამღუპველი?

— მას არ დაუღუპიხარ, შენ,

— მაშ ვინ?

მან ხელი მაღლა ასწია.

— ღმერთმა.

ერთხანს ბოლთას ვცემდი დარბაზში.

— რაში სჭირდებოდა ღმერთს ჩემი დაღუპვა?

— შენ სასტიკი ხარ! — ჩურჩულით თქვა ნონაიმ.

განცვიფრებით მივაჩერდი.

— ხომ არ ფიქრობ, რომ ზედმეტს ბედავ? — ვკითხე მე.

მან თავი გაიქნია.

მე მივუახლოვდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ ამ ზედმეტის თქმაც გიხდება, ნონაი!

მე მას ხელი წავავლე და როგორც უსულო ნივთს, ისე დავეუფლე აბრეშუმით მოგებულ ტახტზე.

როცა ნონაი წავიდა, ერთხანს უაზროდ ვიწექი, მერე ბაადურს ვუხმე. ბაადური ჩემი სახლთუხუცესის ვაჟი იყო, ახალგაზრდა ჭაბუკი. მსიამოვნებდა ხოლმე მასთან საუბარი, რადგან მოსაზრებული და მამაცი ყმაწვილი გახლდათ. როცა იგი შემოვიდა ვუთხარი:

— ცუდად არის შენი პატრონის საქმე, ბაადურ.

ბაადური ერთხანს დუმდა.

მერე შემომხედა:

— რატომ პატრონო?

— მზია მიხმობს თავისთან, — ვთქვი მე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— დარდს არ უნდა შეაჭმევინო გული, პატრონო, — თქვა ბოლოს: — ეცადე, მოიშორო იგი... რამით გაერთო...

— გავერთო! — მწარედ გავიღიმე მე.

— ჰო, — თქვა მან. — შენ საჭირო ხარ შენი ხალხისთვის.

— ეჰჰ, ხალხი, — ვთქვი მე. — ხალხი სასტიკად და ბოროტად მთვლის, ჩემო ბაადურ!

— ურჩი მონები შეიძლება გთვლიდნენ კიდეც, — თქვა მან. — მაგრამ დანარჩენმა ყველამ იცის, რომ სამართლიანი და მოწყალე ხარ!

— რა ვიცი, რა ვიცი, — ორაზროვნად ვთქვი მე. უცებ ჯვარზე გაკრულ თოთიას სახემ იელვა ჩემს წინ, მაგრამ ეს წამიერი იყო.

— მშვილდ-ისრით შეჯიბრი მოაწყვე ან სანადიროდ წადი, — თქვა ბაადურმა, — ან არადა, ქერბოქაის უხმე.

— ქერბოქაის? — გავიმეორე მე და გამეღიმა. — სად არის, მართლა, ქერბოქაი, რამდენი ხანია, აღარ მინახავს.

ბაადურსაც გაეღიმა.

— მზიას გარდაცვალების შემდეგ საჯალაბოში იმალება, —თქვა მან. — რათა შენი უნებლიე რისხვა არ დაატყდეს თავს.

ქერბოქაი ჩემი კარის მასხარა იყო ერთი ციდა კაცუნა, უზარმაზარი თავითა და მოკლე ხელებით.

— მაშ მემალება? — ვთქვი მე.

— ჰო, პატრონო!

— კარგი — ამოვიოხრე ბოლოს. — მოვაწყოთ მშვილდ-ისრით შეჯიბრება, ქერბოქაისაც ვუხმოთ... სანადიროდ კი ჯერ ვერ წავალ... რაღაც სუსტად ვგრძნობ თავს.

●

ჩემი მცველთა რაზმი, დაახლოებით ასი კაცი, ერთ რიგად იყო ჩამწკრივებული.

გვერდით ბაადური და მამამისი მედგნენ, აქვე იყვნენ მეჭურჭლეთუხუცესები, მოლარეთუხუცესები, მეჯინიბეთუხუცესი და სხვანი და სხვანი.

ბაადური წინ წამოდგა და განაცხადა:

— პირობა ასეთია: ვინც თავს ისახელებს ამ შეჯიბრებაში, უფლება ეძლევა, დღევანდელ ნადიმში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც ჩვენი პატრონის, ასპარუგის დარბაზის კარზე გაიმართება.

მცველთა რაზმი აჩოჩქოლდა.

ეს დიდი პატივი იყო.

იცოდნენ, რომ ნადიმზე მოწვეულ, შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოისარს დაუჯილდოებელს არ დავტოვებდი.

უცებ მზია გამახსენდა.

მასაც უყვარდა ხოლმე ასეთი ასპარეზობის ყურება.

გუნება მომეშხამა.

ხელით ასპარეზობის დაწყების ნიშანი მივეცი.

მცველებს ისარი ორასი ნაბიჯით დაშორებულ, ხეზე ჩამოკიდებული თასისათვის უნდა მოერტყათ, სროლა მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა.

ისინი სათითაოდ გამოდიოდნენ წინ, უმიზნებდნენ და ისროდნენ...

ათმა მათგანმა უკვე სცადა ბედი, მაგრამ ვერ მოახვედრეს.

— ჯილდოს ათ ოქროს ვუმატებ, — იყვირა ჩემს გვერდით ვიღაცამ.

მივბრუნდი.

ჩემს წინ ქერბოქაი იდგა.

იგი შეშინებული შემომცქეროდა თავისი მწვანე თვალებით.

არ ვიცოდი, გამცინებოდა თუ გავწყრომოდი ამ პირველ გახუმრებაზე მზიას სიკვდილის შემდეგ.

ბოლოს მაინც გამეცინა, მისი შიშისაგან გამოთაყვანებული სახის შეხედვაზე სხვებიც ახარხარდნენ.

— საიდანა გაქვს, ქერბოქაი, ათი ოქრო? — ვკითხე დაყვავებით.

მან კეფა მოიფხანა... მერე ჩურჩულით თქვა: — მართალი გითხრა, არა მაქვს ჩემო პატრონო, შენ უნდა დაგესესხო ისევ.

— ჰმ! — ცერად გადავხედე მე.

უცებ ერთ-ერთმა მცველმა მოახერხა თასისთვის ისარი ეტყორცნა.

მინდორს მხიარულმა ყიჟინამ გადაუარა!

— ხომ ხედავ, ათი ოქროს მიღების სურვილმა როგორ გაახალისა მეომრები? — თქვა ქერბოქაიმ.

— ვხედავ, ჩემო კარგო, ვხედავ! — სიცილით ვთქვი მე. — ჩემთან ნადიმზე სუფრად დაჯდომას კი არაფრად თვლიან, არა?

— დღევანდელი კვერცხი გერჩიოს ხვალინდელ ქათამსო, — თვალისდაუხამხამებლად მომიგო ქერბოქაიმ და თვალი ჩამიკრა. იგი უკვე გახალისებული იყო. სწორედ ასეთი მინდოდა მენახა.

კიდევ ერთმა მცველმა მოახერხა მიზანში ისრის მოხვედრება და ამით დამთავრდა კიდეც შეჯიბრი.

შინ დაბრუნებისთანავე, დარბაზის გვერდით მდებარე ოთახში ჩავიკეტე ბაადურთან ერთად.

— მცირედ მაინც გადააყოლე გული, პატრონო? — მკითხა მან.

— ჰო, — მივუგე და დავამთქნარე.

უცებ ნინაი გამახსენდა და ბრაზმა კინაღამ დამახრჩო. რა ძაღლურ-მორჩილებით იღებდა ჩემს ალერსს... მაგრამ თვალებში ძაღლური სიავეც უკრთოდა ამ დროს... ეს კი... ვერ იყო დიდი ნეტარების მომანიჭებელი.

— არა უშავს, რაიმეს მოვიფიქრებ შენთვისაც! ვთქვი ჩაფიქრებით.

— რა ბრძანე, პატრონო? — მკითხა ბაადურმა.

— არაფერი, — ვუთხარი მე... —ისე ვთქვი, ჩემთვის.

— ხვალ სანადიროდ წავიდეთ, — თქვა ბაადურმა, — იქ კიდევ უფრო გახალისდები.

— ვნახოთ! — ამოვიოხრე მე. უცებ ქერბოქაი გამახსენდა და სიცილი წამსკდა. რა შეშინებული თვალებით მიმზერდა შეჯიბრზე.

კარზე ვიღაცამ დააბრახუნა.

გამიკვირდა.

ამ დროს არავის ვაძლევდი უფლებას, შევეწუხებინე.

— ვინ არის? — გავძახე მე.

— ქერბოქაი ვარ, ქერბოქაი, პატრონო, — დაიჩხავლა კარს უკან მასხარამ.

— ძაღლი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო, — ვთქვი სიცილით, — რა გინდა, ქერბოქაი?

— ფულის სასესხებლად მოვედი, პატრონო, — დაიძახა ქერბოქაიმ. — მცველები შეპირებულ ოქროს მთხოვენ.

კარი გავაღე და ქერბოქაი შემოვუშვი.

— ფული რომ არ მოგცე, ქერბოქაი, მაშინ რას იზამ? — ვკითხე მე.

მან კეფა მოიქექა.

— ჩემს თანამდებობას გავყიდი! — თქვა უცებ.

— მერე, ვის რად უნდა შენი თანამდებობა? — ვკითხე სიცილით.

— ეჰ, პატრონო, გეტყობა, კარგად არ იცნობ ადამიანის ბუნებას! — თქვა მან. — მე ბევრი ადამიანი ვიცი, ვინც შენს ძაღლობაზეც კი არ იტყვის უარს

— კარგი, მაგრამ შენ რაღა გეშველება? — ვთქვი და ზანდუკიდან ოქროთი სავსე ქისა ამოვიღე.

— მეე, — მკითხა ქონდრისკაცმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქისის დანახვაზე ტუჩები მოილოკა.

— ჰო, შენ!

— აღებული ფულით ლამაზ მონა ქალს შევიძენ, — ხმადაბლა თქვა მან.

ახლა ბაადურსაც გაეცინა.

— ნუთუ ასე გიჭირს, შე საბრალო? — ვკითხე მე და კვიმატმა აზრმა გამიელვა.

ქერბოქაიმ რაღაც ჩაიბურტყუნა.

— საერთოდ, თუ ყოფილხარ ქალთან? — დავინტერესდი მე.

— ჰმ, როგორ არა, — დაიჭყანა ის. — ბევრჯერაც... მაგრამ საკუთარი ლამაზი მონა ქალი მაინც სხვაა.

— მაინც, ვისთან ყოფილხარ ქერბოქაი, ვინ იყო ის ბედნიერი? — ჰკითხა ბაადურმა.

— იყო ერთი, — თქვა ქერბოქაიმ, — საჯალაბოში მუშაობდა... მართა ერქვა, ხუთი წლის წინ გარდაიცვალა.

— მაშ, ხუთი წელია, რაც ქალი არ გინახავს? — ვკითხე მე, თუმცა ისიც ძლიერ მიკვირდა, ვინ მიუშვა თავისთან ეს მახინჯი.

— ჰო! — თავი მოისაწყლა ქერბოქაიმ, თან ქისას შეჰყურებდა.

— აჰა, შენ, — ვუთხარი და ქისა გადავუგდე, — არ ვიცი, შიგ რამდენია, მაგრამ ათ ოქროზე მეტი ნამდვილად არის. რაც შეეხება ლამაზ მონა ქალს, — ვთქვი ჩაფიქრებით და ნონაი ატივტივდა ჩემს თვალწინ, — დღეს ნადიმზე გადავწყვეტ მაგ ამბავს.

ქერბოქაიმ ცნობისმოყვარედ შემომხედა, მერე ჩაიხითხითა და მადლობის უთქმელად გავარდა გარეთ.

საღამო ხანს ნადიმი გაიმართა. მარცხნივ ბაადური მეჯდა, მარჯვნივ — მამამისი — მახარა, სუფრაზე ისხდნენ კარისკაცნი და აზნაურნი. ჩემს უკან ნონაი იდგა და სასმისს ღვინით მივსებდა ხოლმე.

კარისკაცნი ჭამდნენ და სვამდნენ, მსახურები საჭმელს დაატარებდნენ, ქერბოქაი მასხარაობდა.

შუაღამისას, როცა ნადიმი ღრეობაში გადავიდა, ქერბოქაის ვუხმე.

იგი ბარბაცით მომიახლოვდა.

— რა ჰქენი, ქერბოქაი? — ვკითხე მე. — მიეცი შეჯიბრებაში გამარჯვებულთ ათი-ათი ოქრო?

— ათ-ათი? — ჩაიბურტყუნა მან. — ათ-ათი რატომ უნდა მიმეცა? გამარჯვებული ორი იყო, ამიტომ ხუთ-ხუთი ოქრო ერგო თითოეულს.

მე გამეცინა.

დიდებულნიც აროხროხდნენ.

— მაშ, გამოდის, რომ სიტყვა გატეხე? — ვუთხარი მე.

— მე მართალი ვარ, — ჯიუტად თქვა ქერბოქაიმ.

— აი, მე კი არ გავტეხ ჩემს სიტყვას, — ვთქვი და ნონაის გადავხედე.

ქერბოქაი გაფაციცებით შემყურებდა, სახეზე სიფითრემ გადაჰკრა.

— მოგწონს? — ვკითხე და ნონაიზე ვანიშნე.

ქერბოქაის უფრო ჩაეტეტკა სახე.

ნონაის გადავხედე.

მას მკვდრის ფერი ედო.

— როგორ არ მომწონს, — ძლივს ამოღერღა მასხარამ.

— მაშ, წაიყვანე, — ვთქვი მე. — ამიერიდან ეს ქალი შენია.

ნონაიმ ყრუდ დაიგმინა.

— რა იყო, ნონაი? — ვკითხე მე. — არ მოგწონს შენი ახალი პატრონი?

ნონაი სახეზე ხელაფარებული იდგა.

ქერბოქაი ნელა მიუახლოვდა მას.

ხელი ფრთხილად დაადო ხელზე, ნონაიმ ხელი გამოჰგლიჯა.

დიდებულებმა გადაიხარხარეს.

ქერბოქაიმ რაღაც ბრაზიანად გადახედა მათ.

— ოჰო! — ვთქვი მე, მაგრამ გამახსენდა, ვისთან მქონდა საქმე და ქერბოქაი უფრო გავაღიზიანე:

— არ უნდიხარ, ქერბოქაი?!

მას არაფერი უთქვამს.

ისევ დაადო ხელი ნონაის.

ახლა კი აღარ განძრეულა ქალი.

— წავიდეთ, — ჩახლეჩილი ხმით თქვა ქერბოქაიმ.

— რად უნდა წახვიდეთ! — ხმამაღლა ვთქვი მე და მაშინვეე დავუმატე, — თუმცა, ჰო! დამავიწყდა რომ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი წლის განმავლობაში ქალთან არ ყოფილხარ. გეჩქარება, ქერბოქაი?

ნადიმის წევრებმა კვლავ გადაიხარხარეს.

— რა გინდა, კარგი ლუკმა გერგო ამ ნადიმზე, ქერბოქაი! — უთხრა ქერბოქაის ბაადურმა. — ასეთ ნაჭერზე მეც არ ვიტყოდი უარს.

— მზიას სახელს გაფიცებ, პატრონო, შემიბრალე! — თქვა უცებ ნონაიმ.

მონადიმეთა შორის სიჩუმე ჩამოვარდა.

მზიას სახელის ხსენებაზე თავში სისხლი ამივარდა.

— ბევრს ნუ ყბედობ, — დავუსისინე ნონაის, მერე ქერბოქაის ვუთხარი — შენი მონა ამდენს როგორ უნდა ბედავდეს ჩვენს წინაშე?

— წამოდი, ნონაი! — ჩუმად თქვა ქერბოქაიმ.

— არსად არ წახვალთ! — ვთქვი მე და მერიქიფეს ვუხმე — ჰეი, ყველაზე დიდი ყანწი მოართვით ქერბოქაის...

მერიქიფემ მალე ღვინით გალიცლიცებული უშველებელი ყანწი მიაჩეჩა ხელში ქერბოქაის.

— დალიე ჩემი სადღეგრძელო და წადი, — ვთქვი მე.

სასაცილო იყო მასზე უფრო გრძელი ყანწით ხელში მასხარა... დიდებულნი ერთმანეთს აკვდებოდნენ სიცილით.

— ხომ იცი, ღვინოს არ ვეტანები, პატრონო! — თქვა ჩუმად ქერბოქაიმ. თანაც, ამხელა ყანწს რა დამალევინებს.

— მაშ, არ გინდა მადღეგრძელო? — წარბი შევიკარი მე.

— პატარა სასმისით გადღეგრძელებ!

— არა! — ვთქვი მე, — დალიე!

ქერბოქაიმ უხალისოდ მოიყუდა ყანწი, რამდენიმე ყლუპის შემდეგ ხველა აუვარდა და სასმისი ძირს დაუშვა.

უშნოდ დაიღრიჯა.

— დალიე, ახლა უკვე მთელი ხმით ვუყვირე.

მან ისევ მოიყუდა ყანწი.

ახლა უკვე დიდხანს სვამდა.

მალე ისევ დაუშვა.

— არ შემიძლია, — ამოიხრიალა.

— კეთილი, ვთქვი მე და ჩავფიქრდი.

— შენი ამ ბოლოდროინდელი მოქმედება არ მომწონს, ქერბოქაი, — დავიწყე ბოლოს... — ჩემს მეომრებთან მიცემულ სიტყვას არ ასრულებ, ჩემს სადღეგრძელოს არ სვამ, სუფრიდან გარბიხარ. რა გეკუთვნის ამისთვის?

— არ ვიცი, — თქვა ღვინითა და შიშით გამოლენჩებულმა ქერბოქაიმ.

— აი, რა სასჯელი გეკუთვნის! — ვთქვი მე. — შენ ახლა დარბაზის ბოლოში დადგები, მაგ ყანწს თავს ზემოთ დაიჭერ, ის მსროლელი კი, რომელსაც ხუთი ოქრო აკმარე, ახლა ყანწს ესვრის ისარს.

— მოარტყამ? — მოვუტრიალდი მცველს. — უფლება გექნება, აქვე, ჩვენს წინ დაეუფლო ქერბოქაის მხევალ ქალს — ნონაის! მერე კი ისევ ქერბოქაიმ წაიყვანოს.

დარბაზს ყრუ დრტვინვამ გადაუარა.

მცველმა ჩაიღიმა, მერე ჩაახველა და ქერბოქაის დარბაზის ბოლოსაკენ ანიშნა.

ქერბოქაი დიდხანს გვიმზერდა ამღვრეული თვალებით, მერე ბარბაცით გაეშურა დარბაზის ბოლოსაკენ და ყანწი თავს ზემოთ ასწია.

ისარი ზედ ყანწის ბოლოს დაესო...

ყანწიდან ღვინომ იფეთქა და ქერბოქაის გადაესხა ცხვირ-პირზე.

ერთი წამის შემდეგ მცველი ნონაის დასდევდა დასაჭერად მაგიდებს შორის.

ყველაფერი ერთმანეთში აირია.

მცველი დაეწია ნონაის და თვალებანთებული მამაკაცების წინ დაიმორჩილა ნოხებით მოგებულ ტახტზე.

— ახლა წაიყვანე შენი მონა, ქერბოქაი, — ჩაიხითხითა მცველმა. — სიტყვა სიტყვაა. იგი ისევ შენ გეკუთვნის.

მთლად შიშველ ნონაის მთვრალმა ქერბოქაიმ ხელი მოჰკიდა და ნელა გავიდნენ დარბაზიდან.

ერთხანს სიჩუმე იყო, მერე ისევ ახმაურდნენ დარბაზისერნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მეორე დილას, როცა გავიღვიძე, რაღაც უსიამოდ ვგრძნობდი თავს. წინა ღამით ნაქეიფარს, თავი მტკიოდა, სახსრები მტეხდა, თავბრუ მეხვეოდა, უცებ ნონაის სიტყვები გამახსენდა, მზიას გაფიცებ, შემიბრალეო, ამაზე გავბრაზდი და თორღვა მომაგონდა. გადავწყვიტე, მომენახულებინა იგი და საბოლოოდ გამომეტანა მისთვის და მისი მეგობრებისათვის განაჩენი. მაგრამ. რა განაჩენი? მათთვის ყველა სასჯელი მცირედ მეჩვენებოდა.

ტუსაღებს დატანჯული სახეები ჰქონდათ. თორღვა მაინც მთლად გამოცვლილიყო. სახეზე ცვილისფერი ედო. ყვრიმალები ჩასცვენოდა, სახსრები დასივებოდა, თვალები შეშუპებოდა, ენას ძლივს აბრუნებდა პირში.

— როგორა ხარ, თორღვა? — ჩავძახე მე.

მან თვალები გაახილა, დიდხანს მიმზირა, მერე თვალები ისევ დახუჭა და რაღაც ამოიხავლა.

ზევახს და ქავთარს გადავხედე. ისინი შედარებით უკეთესად გამოიყურებოდნენ.

— წყალი აღარ მისცეთ ამათ! — ვთქვი მე და მათზე მივუთითე,—ამას კი, თორღვაზე ვაჩვენე, — ასვით და აჭამეთ. ეგ მჭირდება ერთი სანახაობისთვის.

— წყალი აღარ მივცეთ, პატრონო? — მკითხა ერთმა მცველმა ენის ბორძიკით.

მე ჩავფიქრდი.

— რამდენიმე წვეთი მიეცით დღეში, — ვთქვი ბოლოს, — იმდენი, რომ მთლად არ ჩაძაღლდნენ.

●

დარბაზი გავიარე და შიდა ოთახში შევედი.

კარი ჩავიკეტე.

გავიხადე.

ტახტზე წამოვწექი.

თავი ისევ მიბრუოდა.

თვალები მივლულე.

უცებ რაღაც შრიალი შომესმა...

თვალები ავახილე და... შეძრწუნებულმა მთელი ხმით ვიღრიალე...

კარებთან მზია იდგა.

მე ტახტიდან გადმოვვარდი...

მერე ძლივძლიობით წამოვიმართე და ფორთხვით მივედი მასთან.

როცა მივუახლოვდი, მის წინ დვემხე.

— ნუ გეშინია, მამა, — თქვა მან

— მე არ მეშინია, — ვუთხარი —უბრალოდ, მიხარია შენი ნახვა, ისიც მიხარია, რომ აქ არ მტოვებ დამიგყავარ.

— მე შენს წასაყვანად არ მოვსულვარ, მამაჩემო, — ნაღვლიანად გაიღიმა მან. — მე სათხოვნელად მოვედი შენთან.

— მთხოვე, რაც გსურდეს! — შეუძახე მე.

იგი ერთხანს სდუმდა.

— მოწყალე იყავ ადამიანების იმართ, მამაჩემო, — თქვა ბოლოს.

— მაგრამ მათ შენი თავი წამართვეს, მზია, — კვნესით აღმომხდა მე.

— მათ არ წაურთმევიათ ჩემი თვი შენთვის, — ამოიოხრა მზიამ.

— მაშ ვინ? — წამოვიყვირე მე.

— მაგას თვითონ უნდა მიხვდე! —თქვა მან და... გაქრა.

ჰაერი არ მყოფნიდა.

ოფლში ვცურავდი.

სახეზე ხელები ავიფარე და ავქვითინდი.

მზიას აჩრდილის გამოცხადების შემდეგ ჩემი საქმე ცუდად წავიდა... მთელი ღამეები არ მეძინა, თუ ცოტა ხანი ჩავთვლემდი, სიზმარში მზიას ვხედადი ხოლმე. ყველაზე უფრო ერთი სიზმარი დამამახსოვრდა: მეზმანა, უღრან ტყეში ვიყავი და მზიას ვეძებდი, რომელიც სადღაც იქვე იყო. მისი ხმა მესმოდა, მაგრამ ვერ გამეგო, საიდან მოდიოდა ეს ხმა. ბოლოს თეთრ რაშზე ამხედრებული თოთია გამომეცხადა, რომელსაც ხელში ჯვარი ეჭირა, თვალები კი უცნაური შუქით უბრწყინავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ხ/ლით ცისკენ მიმითითა, მე ცხენს ჩავეშლაუჭე...

ცხენი ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში, უცე ძუა ხელებშუა გამისხლტა და ძირს ჩამოვვარდი.

ჩემს თვალწინ ცისფრად მოკამკამე ტბა გაიშალა...

ტბის ფსკერზე მზია იყო გაწოლილი, მე ტბაში ჩავედი და ხელი მოვხვიე ჩემს ქალიშვილს.

ეს მხოლოდ მისი ლანდი აღმოჩნდა...

ზემოდან კი მისი წკრიალა ხმა ჩამესმა:

— მე აქა ვარ, მამა!..

— სად! — დავიყვირე და ცისკენ აღვაპყარი ხელები.

— მაღლა! ცაში! შემინდე და სხვასაც შეიწყალე!

ამ ზმანების შემდეგ, მეორე დღეს, საშინელი ქარი ამოვარდა და თითქმის მთელი კვირა ქროდა. სასახლიდან გარეთ არ გამოვდიოდი. ბაადურთან ერთად ვიყავი ოთახში გამოკეტილი და სხვადასხვა ამბებზე ვთათბირობდით. ამ დროის განმავლობაში არც ერთი მონა არ გაროზგილა ჩემს სამფლობელოში. ეს ამბავი ყველას უკვირდა, მაგრამ ყველაფერს ჩემს ავადმყოფობას მიაწერდნენ. დიახ, მე მართლაც ავად ვიყავი.

მზია მიხმობდა თავისთან.

ამას ცხადშიც ვგრძნობდი და სიზმარშიც.

როცა ბაადურს ეს ვუთხარი, მან წარბი შეიკრა და თქვა:

— დასტაქარს უნდა მიმართო, პატრონო!

მე გამეცინა.

— რაში სჭირდება მომაკვდავს დასტაქარი?

— მომაკვდავს რა გიგავს, პატრონო! — თქვა მან.

— უკვე ყოველ ღამე სიზმარში ვხედავ მზიას, ბაადურ! — ვთქვი მე, — იგი მთხოვს, მოწყალე ვიყო!

— მერე, განა ეს ცუდია? — მკითხა ბაადურმა.

— მე სხვა თარგზე ვარ მოჭრილი, ჩემო ბაადურ, — ამოვიოხრე მე. — არ შემიძლია ჩემი მტრის შეწყალება... მართალია, ქალიშვილი ძალიან მიყვარს, მაგრამ...

ერთხანს ჩაფიქრებული ვიყავი.

— არა, შურისძიებაზე აღარ ვფიქრობ, — ვთქვი ბოლოს, — რადგან ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. ის კი არა, უკვე მებრალებიან კიდეც ზოგიერთნი... აი, თუნდაც ქერბოქი! მაგრამ განა ის მასხარა არ არის, ჩემო ბაადურ? განა ღმერთმა არ გააჩინა ისეთად, რომ ყველამ დასცინოს და გაამასხარაოს? ის კი მემალება, რადგან ნაწყენია ჩემზე! ახლა თოთია ავიღოთ, განა მეამბოხე და ყაჩაღი არ იყო და ამისათვის არ დაისაჯა? — მაშ რატომ მეცხადება ყოველღამ თეთრ რაშზე ამხედრებული? ისინი, ვინც ჩემი ბრძანებით თუ ჩემს გამო დაიღუპნენ, არ ყოფილან უდანაშაულონი... მაგრამ მე მაინც მებრალებიან... — ვთქვი და დავდუმდი.

— არც ასე ვარგა, პატრონო, — შემპარავად თქვა ბაადურმა.

— მაშ რას მირჩევ? — ვკითხე თავაულებლად.

— სამართლიანი იყავ, პატრონო! — თქვა მან, — ეს უკეთესია, ვიდრე ზედმეტი სიკეთე ან ზედმეტი სისასტიკე.

— განა მე უსამართლოდ მოვქცევივარ ოდესმე ვინმეს? — ვთქვი მე.

— ამას ახლა შენ ამბობდი, პატრონო, მეც იმიტომ გავბედე და შეგახსენე.

— ჰო, შენ მამაცი კაცი ხარ, ბაადურ, — ამოვიხვნეშე მე. — მამაცი და სამართლიანი. ამიტომ მირჩიე, რა ვუყო თორღვას.

— თორღვას? — გაიმეორა მან. — არ ვიცი, პატრონო... ეს უკვე შენ უნდა გადაწყვიტო.

— ჰო, ეგ უკვე მე უნდა გადავწყვიტო, — ვთქვი ჩაფიქრებით.

უცებ რატომღაც ქერბოქაი გამახსენდა და გამეცინა.

— მართლა, ბაადურ, ხომ არ იცი, სად არის ქერბოქაი?

ბაადურსაც გაეღიმა.

— ვიცი, — თქვა და ხმაში სისუსტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევნიშნე. — საჯალაბოს გვერდით, თავის ოთახშია ჩაკეტილი. ნონაიც იქა ჰყავს. მხოლოდ საჭმელ-სასმელისთვის გამოდის გარეთ... ეს საჯალაბოს მოსამსახურეთაგან გავიგე.

## ქერბოქაი

უზომო იყო ჩემი, ქერბოქაის რისხვა, როცა ასპარუგმა ასეთი შეუარცხყოფა მომაყენა. მართალია, ჩემი ცხოვრების არსი სხვათა გართობა და მასხარაობაა, მაგრამ როცა დავინახე როგორ ხდიდნენ ნონაის ნამუსს, კინაღამ ხელი დავავლე დაბლა დაგდებულ მახვილს და ასპარუგს გულში ვაძგერე. მე დიდი ხანია მომწონს ნონაი, თუმცა ამას მოწონებასაც ვერ უწოდებს კაცი. მიყვარს, დიახ, მიყვარს, იგი. ეს ასპარუგმა კარგად იცოდა, ხშირად შემიმჩნევია, როგორ შემომხედავდა, როცა ნონაის ვუთვალთვალებდი ხოლმე, მაგრამ ნონაისთან სიახლოვეს როგორ წარმოვიდგენდი!

ჩემი სიგონჯეც რომ არად ჩავაგდოთ, აკი ასპარუგი თვითონ ცხოვრობდა მასთან!

ასეა თუ ისეა, ნონაი ახლა ჩემთანაა. იმ დღის შემდეგ, როცა შეურაცხყოფილი წამოვიყვანე დარბაზიდან, არც ერთხელ არ მაღირსა შემოხედვა იმ წუთამდე, სანამ არ მიხვდა, მისგან არაფერს ვითხოვდი. მაშინ კი რაღაცას მიხვდა და, ცოტა არ იყოს, ალერსით გამომელაპარაკა. მე სიხარულისგან გული ამიძგერდა.

— ვერ გავიგე, რა თქვი, ნონაი, — ვუთხარი.

— მე ვამბობ, რომ შენ კეთილი ხარ, — თქვა მან ჩურჩულით.

— კეთილი, — ვთქვი ჩაფიქრებით. — იცი კი, რა არის სიკეთე?

— ვიცი, — თქვა ნონაიმ. — დედაჩემი იყო კეთილი.

— გახსოვს დედა?

— ჰო! — თქვა მან — ათ წლამდე მასთან ვიზრდებოდი... მერე დაგვაშორეს.

— ახლა ცოცხალია?

— არა, — თქვა მან.

— მაშ, შენ ამბობ, რომ კეთილი ვარ? — ვკითხე მე.

— ჰო, — გაიმეორა მან.

— ეჰ, — ამოვიოხრე მე. — განა არსებობენ კეთილი ადამიანები?

— ალბათ, არსებობენ, — თქვა მან და უცნაურად შემომხედა.

— იქნებ მეც არა ვარ კეთილი, — ვთქვი უცებ. — იქნებ განზრახ ვიქცევი ასე?

იგი ერთხანს დუმდა.

— რატომ? — მკითხა ბოლოს.

— იმიტომ რომ... — ენა დამება. — რა ვიცი... რატომ...

— არა მგონია, ვცდებოდე! — თქვა ხმადაბლა.

— მე მასხარა ვარ, ნონაი, — დავიწყე მძიმედ, — პატრონის ხელს მიჩერებული... სულ იმაზე ვფიქრობ, როდის ჩამარტყამს წიხლს ან როდის რას მიწყალობებს... ნუთუ შეიძლება ასეთი კაცი კეთილი იყოს? მე ხომ ქერბოქაი ვარ, ნონაი, ქერბოქაი!

— მერე რა! — თქვა მან. — შენ კიდევ სჯობიხარ ბევრ სხვას.

თავი ჩავკიდე.

ყელში რაღაც მომაწვა.

— მაშ, არ გეზიზღები, ნონაი? — ვკითხე მე.

მან გაიღიმა და თავი გაიქნია.

— იცი, ნონაი, — ვთქვი და უცებ გავჩუმდი.

— ჰო, თქვი,

— იცი, მე ერთი ქალი მყავდა... — ვთქვი ენის ბორძიკით.

— ვიცი, მართა! — გაიღიმა მან.

— მართალია, მართა ულამაზო იყო, — ვთქვი მე, — მაგრამ ისიც მეუბნებოდა, კეთილი ხარო.

ნონაის არაფერი უთქვამს.

მე ახლოს მივედი მასთან.

— ხომ არ გწყინს, ნონაი? —ვთქვი გაუბედავად.

— რა? — მკითხა მან.

— რომ, რომ... — შევბორძიკდი მე, — რომ მე ახლა შენი პატრონი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს დუმდა.

— თავიდან მზარავდა ეს, ახლა კი... — და მან ისევ უცნაურად შემომხედა.

— ჰო, მეც ვიცი, რომ საზარელი ვარ, — ვთქვი მე. — მაგრამ არც ისე საზარელი, როგორც ასპარუგი და მისი კარისკაცები არიან, ასეა არა, ნონაი?

მან თავი დამიქნია.

მე უფრო ახლოს მივედი მასთან.

— მაშ, შემიყვარებ, ნონაი? — ვკითხე და გაუბედავად შევახე ხელი.

შიშით შემომხედა. მერე ხელი ფრთხილად გამაშვებინა.

— შეგიყვარო? — თქვა ჩურჩულით: — აკი გითხარი, რომ არ მძულხარ.

ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა.

ერთხანს ასე ვიდექი.

მერე მწარედ გამეცინა.

— ჰო, — ვთქვი ჩაფიქრებით, — ან როგორ შეგიძლია ჩემი შეყვარება.

— არა, მე ეს არ მითქვამს, — თქვა მან.

— შენ სწორედ ეს თქვი, — ვუთხარი მე, — და შენ მართალი ხარ, ნონაი!

— მე სხვა მიყვარს, — აღარავისი შეყვარება არ შემიძლია.

— გიყვარს? — შევეკითხე უაზროდ, — ვინ გიყვარს?

— თორღვა, — თქვა მან უბრალოდ.

— თორღვა... აჰ, თორღვა! — ეს ის პატიმარია, ასპარუგს რომ ჰყავს ჯურღმულში გამოკეტილი.

— ჰო, სწორედ ის.

ოთახში გავიარ-გამოვიარე.

— მაშ, თორღვაი, — ვთქვი მე.

— ჰო, გამიმეორა ნონაიმ.

— როგორ მოხდა ეს? — გავჩერდი მის წინ.

— ასპარუგმა ჯერ უბრალოდ, გართობის მიზნით შემგზავნა მასთან, — თქვა ნონაიმ, — მეც თავიდან გულგრილად ვიყავი მასთან, მერე კი... თანდათან შემიყვარდა ეს უცნაური კაცი. უცნაური ცეცხლით იწვოდა იგი... ეს ყოველ მის გამოხედვაში, ყოველ მოძრაობაში იგრძნობოდა, მაგრამ, საუბედუროდ, მას არ ვუყვარდი.

— არ უყვარდი? — შევყვირე მე.

— ჰო, სხვა უყვარდა!

— ვინ?

ნონაიმ მიიხედ-მოიხედა, მერე ჩურჩულით თქვა: — მზია.

— მზია? ვინ მზია? — დავიბენი მე.

— მზია! ასპარუგის ქალიშვილი, ნუთუ არ გაგიგია ამის შესახებ!

— რაღაც ჭორები კი დადიოდა სასახლეში! — ვთქვი მე, — მაგრამ ნუთუ ეს მართალია?

— მართალია, ქერბოქაი, მართალი.

— ნუთუ მზია... — ენა დამება მე.

— მზიამ ვეღარ აიტანა მამამისის უსამართლობა და თავი მოიკლა.

— წყეული ასპარუგი, — ვთქვი ხმადაბლა.

— ო, ასპარუგი საზარელია! — ამოიოხრა ნონაიმ, — ის თვით ულმობლობაა, თვით ბოროტება...

მე სწრაფად დავდიოდი აქეთ-იქით.

— კი მაგრამ, ეს თორღვა ვინაა ბოლოს და ბოლოს? — ვკითხე მე.

ნონაის სახე გაუცისკროვნდა ამ სახელის ხსენებაზე.

— ის ჩემი შვილის მამაა! — თქვა მან და მუცელზე ხელი დაიდო.

— როგორ თუ მამა? — გაოგნებით ვიკითხე მე.

— ჰო, ასეა, — თქვა მან. — მე ბავშვს ველოდები მისგან.

ვხვდებოდი, რომ ჩემსა და ნონაის შორის საერთო არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო. იმას, რომ იგი ჩემი მხევალი იყო, ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო! მაღალი, გედივით მოქნილი. დიდრონი, შავი თვალები და ალისფერი ტუჩები ჰქონდა. ხანდახან მიკვირდა, როგორ გაიმეტა იგი ასპარუგმა. ჩვენ მთელი დღეები ერთად ვიყავით და ვსაუბრობდით ხოლმე. იგი მიყვებოდა თორღვაზე, რომელიც ჯურღმულში იტანჯებოდა, მიყვებოდა თავის უბედურებაზე, მიყვებოდა თავის მეგობარ ცირაზე, რომელიც ნამუსის ახდის

შემდეგ ელდით გარდაიცვალა. მე ყველაფერი ეს უკვე ვიცოდი, მაგრამ მისი ბაგეებიდან თქმული კიდევ უფრო მიკუმშავდა გულს და იმ დღეს მაგონებდა, როცა ასპარუგმა ეგზომ დიდი შეურაცხყოფა მომაყენა. ასე ვსაუბრობდით ერთ დღეს, როცა კარზე ვიღაცამ დამიბრახუნა.

გავაღე.

ჩემს წინ ასპარუგის მსახური იდგა.

— პატრონი გიხმობს, ქერბოქაი! — თქვა მან. მერე ნონაის შეავლო მზერა, გაიღრიჯა და თვალი ჩამიკრა.

— ახლავე წამოვალ, — ვთქვი მე და გული ამიფანცქალდა.

ასპარუგი თავის ოთახში დამხვდა.

მან მძიმედ შემომხედა.

— როგორა ხარ, ქერბოქაი? — მკითხა ბოლოს.

— რა მიჭირს, — ვთქვი მე.

იგი ისევ დადუმდა.

— რატომ აღარ გამოდიხარ ხოლმე სასახლეში? — მითხრა მან.

მე მხრები ავიჩეჩე.

— ასე არ ვარგა, — განაგრძო მან რბილად, — თუ შენც მღალატობ?

— ღალატს როგორ გავბედავ, პატრონო, — ვთქვი მე. — უბრალოდ, ავად ვიყავი.

— განა მასხარები ავადაც ხდებიან?

მე ბოღმით ამევსო გული.

— მართლა, ნონაი როგორ არის? — იკითხა უცებ.

შევკრთი.

— იმასაც არა უშავს, — ვუპასუხე.

— ის რატომ არ გამოდის შენი ოთახიდან? თუ თაფლობის თვე გაქვთ? — იკითხა დამცინავად.

— მე ხელი არ დამიკარებია მისთვის, — ვთქვი მე.

— არ მჯერა, ქერბოქაი, — გაჭიანურებით მითხრა მან, — ნონაი ისეთი მომხიბლავი ქალია, არ შეიძლებოდა, ხელს არ წაეძლია შენთვის ცდუნებისაკენ.

— მე თითიც არ დამიკარებია მისთვის, — გავიმეორე მე.

— რატომ მერე? — იკითხა ცნობისმოყვარეობით.

— ისიც ადამიანია, პატრონო!

ასპარუგი დაფიქრდა. მერე შემომხედა.

— მერე, შენ კი არა ხარ ადამიანი?

— მას არ ვუყვარვარ! — უბრალოდ მივუგე მე.

ასპარუგმა ხელი ჩაიქნია.

— აბა, დაფიქრდი, ქერბოქაი, შენ შეიძლება საერთოდ აღარავინ შეგიყვაროს ცხოვრებაში, ამიტომ რა, არავის არ უნდა გაეკარო?

— თუმცა... — იგი ჩაფიქრდა, — რა ჩემი საქმეა.

— ნონაი ფეხმძიმედაა! — ველარ მოვითმინე მე.

— ფეხმძიმედ? — შეკრთა ასპარუგი.

— ჰო, ფეხმძიმედაა.

— აჰ! — მიხვდა რაღაცას, — ალბათ იმ ძაღლიშვილისაგან, არა?

არაფერი მითქვამს.

— ეგ ცუდია, თუ ფეხმძიმედაა, — დაისისინა უცებ და სიფითრემ გადაჰკრა.

— რატომ, პატრონო?

— თორღვას ნაშიერი დიდხანს ვერ იბოგინებს ჩემს სამფლობელოში, — გამოსცრა მან.

მე ძარღვებში სისხლი გამეყინა.

— რას უპირებ, პატრონო? — ძლივს ამოვთქვი.

— არაფერს... მერე მოვიფიქრებ, რომელ თვეშია? — მკითხა უცებ.

— არ ვიცი — ვიცრუე მე.

— კარგი, კარგი, — თქვა მან. — მაგ ცნობისთვის კი ჯილდო გეკუთვნის.

მან ქისა მესროლა.

ქისა ჩემს ფეხებთან დაეცა.

— რაო, ხომ არ გეცოტავება? — დამცინავად იკითხა მან. — აჰ, თუმცა გამახსენდა, — შენ ხომ გიყვარს ნონაი.

— რას უპირებ მას, პატრონო, — ვიკითხე ხმის კანკალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაეთრიე აქედან! — თვალები დააკვესა მან.

მე ბარბაცით გავედი ოთახიდან.

როცა ნონაის მოვუყევი, რა გადამხდა თავს ასპარუგთან, მან შიშით შემომხედა.

— კი მაგრამ, რატომ უთხარი, მე რომ ფეხმძიმედ ვარ? — მკითხა.

— რა ვიცი, — ამოვიხრიალე მე. — სისულელე მომივიდა.

— ახლა რა ვქნა? — მკითხა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— არ ვიცი, არ ვიცი, ნონაი! მაგრამ შენ რომ ერთი ბეწვი ჩამოგვარდეს თმიდან, მე მას ხანჯლით გავუპობ გულს.

ნონაის არაფერი უთქვამს.

იმ დღიდან ტანჯვად გადაგვექცა ცხოვრება მე და ნონაის... ღამ-ღამობით მესმოდა, კედლისკენ მიბრუნებული როგორ ტიროდა ხოლმე იგი. მესმოდა და ძრწოლა მიტანდა, როცა გამახსენდებოდა, რა ელოდა მას და მის პირმშოს.

ამასობაში დრო გადიოდა. მე სასახლეში თითქმის არ ვჩნდებოდი. ჩვენამდე ნელა მოაღწია ხმამ ასპარუგის ავადმყოფობის შესახებ. ამბობდნენ, რომ მძიმედ იყო ავად. ამან ცოტათი იმედი მოგვცა. ნონაის მშობიარობა ახლოვდებოდა და იქნება მანამდე ჩაძაღლებულიყო ჩვენი ავი პატრონი.

მაგრამ იმედი მთლად გადავიწყვიტეთ, როცა ოთახში ორი კაცი გვესტუმრა. ერთს არ ვიცნობდი, ახლად აეყვანა მსახურად ასპარუგს. მეორე კი ჩემი ნაცნობი იყო.

უცნობმა კაცმა გასინჯა ნონაი და მსახურს რაღაც გადაულაპარაკა. ისინი წამოდგნენ.

— მაშ, ასე, ჩემო ქერბოქაი! — ჩაიხითხითა მსახურმა, — შვილს ელოდები, ჰა?

არაფერი მითქვამს.

— იცოდე, — ბოროტი სისინით წარმოთქვა მან, — როგორც კი ტკივილები დაეწყება ნონაის, იმწუთში ...და შემატყობინო. თოროღვას ...რმში ...ერთ დღესაც არ უნდა იცოც...ოს. ...იდევ

კარგი, პატრონი მოწყალეა და თვითონ ნონაი შეიბრალა.

ამ სიტყვებით ისინი გავიდნენ.

მე გაოგნებული შევყურებდი ნონაის, რომელსაც მკვდრის ფერი ედო.

— მაშ, ჩემი შვილი უნდა მოკვდეს, — ძლივს ამოღერღა მან.

ვერაფერი ვუთხარი.

სახეზე ხელები ავიფარე და ავქვითინდი.

ნონაის მშობიარობის დროც მალე დადგა. ო, ღმერთო, როგორ ცდილობდა თავი შეეკავებინა და არ დაეკივლა... მაგრამ შემდეგ საშინელი ტკივილები დაეწყო და მისი ხმა ზეცას სწვდებოდა. მე ჯერ დაბნეული და შეშინებული შევყურებდი მის ტანჯვას. მერე კი საშინელმა გაფთრებამ შემიპყრო! ჰო, მე, ჯუჯა, გონჯი, მასხარა ქერბოქაი, განვრისხდი! სადაა ნონაის შვილის სისხლი უნდა დაღვრილიყო. ჯერ დაუღვრელი უმანკო სისხლი შურისძიებას ითხოვდა... მე, გონჯი ქერბოქაი უნდა ვქცეულიყავ უფლის მახვილად. ეს სიამაყის გრძნობით მავსებდა. ხელი დავავლე ლოგინში მიმალულ მოკლე ორლესულს, გულისპირში ჩავმალე და ასპარუგის დარბაზისაკენ გავეშურე.

ოთახში მხოლოდ ასპარუგი იყო.

იგი მაღალ სავარძელში იჯდა და დაბლა იყურებოდა.

— რაო, ქერბოქაი? — მკითხა თავაუღებლივ.

მე ახლოს მივედი მასთან.

იგი ისევ იატაკს ჩასჩერებოდა.

— მოკვდი, პატრონო! — მთელი ხმით შევძახე და მახვილი ვიძრე.

იგი არც განძრეულა.

მერე მძიმედ ამომხედა თავისი ოდნავ გაკვირვებული თვალებით.

მე შევტორტმანდი.

როგორ შეცვლილიყო იგი! ლოყები ჩაცვენოდა, სახე რაღაც უცნაური მომწვანო ფერისა ჰქონდა, თვალებში უზომო ტანჯვა იხატებოდა.

ერთხანს ორივე ვდუმდით.

— დამკარი, ქერბოქაი, — ხმადაბლა თქვა მან. — დამკარი!

მე ისევ ჩუმად ვიდექი.

— არ შემიძლია, — ვთქვი ბოლოს და ხელი დავუშვი, — შენ იტანჯები, პატრონო.

იგი ერთხანს დუმდა, მერე თვალიდან ნელა გადმოუგორდა მრგვალი, მარგალიტივით მოციმციმე ცრემლი და ძირს დაეცა.

— ქერბოქაიც კი ჩემზე კეთილი გამოდგა, — ამოიოხრა მან. — თუმცა... სიკვდილი ისედაც ახლოა.

იგი შეტოკდა.

ხელი აუცახცახდა და მითხრა:

— მცველებს უხმე.

მე შევასრულე მისი ბრძანება.

ასპარუგმა მათ ზევახის, თორღვასა და ქავთარის მოყვანა უბრძანა.

მე ნონაი შევახსენე მას.

ასპარუგმა გაიღიმა და მცველს რაღაც უთხრა.

მალე თორღვა, ზევახი და ქავთარი მის წინ იდგნენ.

— ყველამ დამტოვეთ, ამათ გარდა! —ბრძანა ასპარუგმა მისუსტებული ხმით.

როცა გარეთ გავდიოდი, ასპარუგის ხმა მომესმა.

— შენც დარჩი, ქერბოქაი.

●

ასპარუგი ამღვრეული თვალებით ათვალიერებდა სამივეს.

— აი, ისევ შევხვდით ერთმანეთს, — ამოიხრიალა მან.

სამივე ტუსაღი დუმდა.

— აი, აქ, — და მან მაგიდაზე გრაგნილი დააგდო, — წერია, რომ ამიერიდან თავისუფალნი ხართ.

ისევ დუმილი.

— რაო, მადლობასაც არ მიხდით?

— მადლობას გეტყოდი, ასპარუგ, — თქვა მცირე ხნის შემდეგ ქავთარმა. — ცირასაც თუ დამიბრუნებდი...

— თოთიას თუ დაგვიბრუნებდი, — თქვა ზევახმა.

— მზიას თუ დამიბრუნებდი! — დაამატა თორღვამ.

— მზია! — ჩურჩულით თქვა ასპარუგმა — მე კი, მე ვინ დამიბრუნებს მზიას?!

მან თავი ჩაჰკიდა.

მერე ისევ შემოგვხედა.

—გახსოვთ თოთიას უკანასკნელი სიტყვები? — თქვა მილეული ხმით: — „გიყვარდეს მოყვასი შენი!“

— გვახსოვს... ერთხმად მიუგო სამივე გათავისუფლებულმა მონამ.

— გვახსოვს და ამიერიდან არასოდეს დავივიწყებთ ამას, — დაამატა თორღვამ.

— შენ კი მშვიდად მოკვდი, პატრონო, გვიპატიებია ის ტანჯვა, რაც ჩვენთვის მოგიყენებია!

ასპარუგს თავი მკერდზე ჩამოუვარდა.

მე მივედი მასთან და თვალები დავუხუჭე...

ჩვენ ფრთხილად გამოვედით ოთახიდან.

ცოტა ხნის შემდეგ სასახლეში გლოვა გამოცხადდა...

მაგრამ ჩვენ არ გვიგლოვია ასპარუგი. ამ დროს ჩვენ, ოთხივენი ნონაის საწოლთან ვიდექით. ნონაი გაბრწყინებული თვალებით დაჰყურებდა თავის ახლად შეძენილ გოგონას.

როცა სუსტი ხმით გვკითხა, რა დაერქმია პატარასთვის, ჩვენ, ოთხივემ ერთხმად ვუპასუხეთ: — მ ზ ი ა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი გაბაშვილი

## უსასრულოდ გრძელი ღამეები

უსასრულოდ გრძელი ღამეები,
ოთახი და მკრთალი შუქი ლამპის,
ბოლთის ცემა, კვამლის კამეები,
გახსენება მივიწყებულ ამბის.

მისტიური გრძნობის საათები,
როცა მიხრწნილ, ორ იდუმალ სტუმარს
იღბლის გზებზე ემასლაათები —
ყურადღებით გისმენენ და სდუმან.

ხელთდასხმამდე ძილის უარყოფა,
დავიწყება მუსაიფის ბანგით,
ტკივილების სრული უსახობა,
ჩაის ფერში ჩამღვრეული ჰანგი.

მარტოობის დიდი სიძულვილი
და იმედი აქ მომავალ დღეთა,
მარცხიანი ჟამის მიწურვილი,
ფეხმძიმობა უნაყოფო ხეთა,

მოლოდინი მძაფრი, საიმედო,
საუბარში ღამეების დაწვა,
შეძახილი: არვინ გაიმეტო,
იღბლის ქარი სხვასაც გადააწვა...

## მიღმა სიცხადის

რუხი სადგური, დილის ლოთები,
მატარებელი მოიწევს ქშენით,
ამდენი წელი შენ გელოდები,
ამდენი წელი სავსე ვარ შენით.
იმედისფერი მახარობელი
ეჰა, გამოჩნდი ნისლი — ნირვანა,
გუშინ წავიდა მატარებელი
და არყოფნიდან ჩამოგიყვანა.
ვდღესასწაულობ, ვარ ბედნიერი
ხელები მითრთის, მცვივა ცრემლები,
ამ ქალაქს შეცვლის შენი იერი,
ვით გზას — ნაფეთქი თეთრად
ტყემლები...
კურთხეულ იყავ მრავალჟამიერ,
დალოცვილ იყავ წმინდა სანთლებით,
არ მოგითქვია სული წამიერ,
მე შენი შუქით გავსამართლდები...
რუხი სადგური, დილის ლოთები,
მატარებელი მოიწევს ქშენით,
ამდენი წელი შენ გელოდები,
ამდენი წელი სავსე ვარ შენით.

## სამთვარიო

ღამღამობით დამიწყია ბოდვა,
როცა ბაღში ქარი ამტვრევს ტოტებს,
როცა ჩემი ძველთაძველი ცოდვა
ჯალათივით სულში დააბოტებს.

როცა მთვარე ჩაიქცევა თმებში
და სეირნობს არაქაურ ნებით,
მედიუმის როგორც თეთრი თეფში,
მთვრალი სანთლის შუქის იალქნებით...

შუქი ჭაში, შუქი ფსკერზე, მერე
მორფეოსი ცაზე ცისკარს აღებს...
მე ამ ხილვით სონეტები ვწერე
და ვაჩუქე მთვარენასვამ ბაღებს.

პიანინო, კოსმიური ხმები,
ცოლი ჯდება და ბეთჰოვენს უკრავს...
ღამის სამი, მითეთრდება თმები —
შიშის წლები დარჩენილან უკან.

შეხე, ნატო, მომთვარულან გზები,
ვერცხლის ციალს მისდევს ჩემი ჯავრი,
თითქოს აჩრდილს მონუსხული მეფის
გაჰყოლია უსამშობლო მგზავრი.

მთვარის გზაზე სახრჩობელათ ჯარი
ალანდულა შუა ცის და მიწის,
შეხე, ნატო, ერთი ჩემი არი,
ერთი ჩემი ბედისწერით იწვის...

ოთარ წურწუმია

# ქოროკონები

ლამაზი, ფართო ხეივნის გადაღმა, ტროტუართან, სადაც საუკუნოვანი ჭადრების ჩრდილი გაწოლილიყო, რამდენიმე მსუბუქი მანქანა იდგა. ოდნავ მოშორებით კი, ერთ-ერთი ძველი, შინდისფერი მანქანის სალონში ბიჭები ისხდნენ და, სიცხისგან დათენთილნი, ზანტად ბაასობდნენ.

ჭადრების ძირში ნაშუადღევის მოსაწყენი მყუდროება სუფევდა. გავარვარებული მზე მხურვალედ აცხუნებდა დედამიწას სხივებს, გარინდულიყვნენ ხეივანში სიცხით დახუთული, უნიავო ხეები.

შაბათი დღე იყო.

მანქანაში მსხდომნი, პურმარილიანი, როგორც იტყვიან, „გამოსული" ბიჭები იყვნენ, ისეთნი — მაინცდამაინც ხათრსა და გრძნობებს რომ არ აჰყვებიან, არაფერი რომ არ ეშლებათ, შესაშურად „პრაქტიკულნი" და ზოგჯერ ძალიან მიწიერნიც...

ხშირად ხელჭუჭყიან, სარფიან სამსახურზეც ოცნებობდნენ, მაგრამ თავისუფალი დროის მოსაკლავი, ერთმანეთთან „საბუებუეო" ორიოდ კაპიკი კი გააჩნდათ, თუმცა ეგ იყო და ეგ... სამაგიეროდ ბევრი მუშაობითაც არ იყვნენ დატვირთულნი და, არც უფსკრულზე გაჭიმულ მავთულებზე ცეკვავდნენ ქოლგით ხელში.

ბიჭები დაღლილად, განურჩეველი სახით მისვენებოდნენ სავარძლის საზურგეებს.

— ოჰ, არა, ძმაო, არა! — ამბობდა ერთი. — საქმე ფულზე კი არაა, ალბათ, ნოდარს არ უნდოდა მასთან შეამხანაგება.

— რატომ, ჩიკო ცუდი ბიჭია?

— ცუდიო, ვინ ამბობს, მაგრამ სხვანაირი კაცია.

— მაინც, როგორი?

— რა ვიცი, ჩემი საქმე არაა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

რაღაცა ითქვა, მაგრამ ბოლომდე არა. მთქმელი სიტყვაძვირი, თავშეკავებული კაცის როლს თამაშობდა ან ვიღაცას ერიდებოდა.

— რა დასამალია, — ზაურმა ხმამაღლა განაცხადა: — გრძელი ენის პატრონია, ყველამ ვიცით ეს ამბავი.

— ვაა? — „გაიკვირვეს".

— ჰოდა, აწი მაინც კბილს...

—ისე იცოცხლა შენმა მტერმა.

— კარგი, თქვენ ის მითხარით, ვინ აუყვანიათ ნოდარს?

— კიკული.

— ოო, კიკული კარგი ბიჭია.

—ჰო, უთქმელი კაცია.

— უთქმელიო? — გაგომ ჩაიცინა. — რომელ დასამალსა და საიდუმლო საქმეს მოჰკიდეს ხელი, რაღაც ქოთნების საამქრო გახსნეს... რაო, მასაც სამი მიუცია?

— არა, სად ჰქონდა სამი.

— აბა?

— გაასწორებენ მერე ანგარიშს...

— გასაგებია.

მცირე ხნით გაჩუმდნენ, ეს საკითხი ამით ამოიწურა.

— რამე ფილმი გადის? — ვიღაცამ დაამთქნარა. — რამდენი ხანია, კინოში არ ვყოფილვარ.

— არაფერი ისეთი...

— მაინც?

* ქოროკონი — (კუთხ.) დაახლოებით: ცუდმადი, ქოსატყუილა კაცი.

— რაღაც ამერიკული სისულელეა.

— ამერიკული თუა, მთლად სისულელე არ იქნება.

— სისულელეზე ვინ დახარჯავს ფულს.

— სისულელეს არც არავინ იყიდის.

— კაცო, ყველა ამერიკული და „ფრანციცულიც“ სისულელე არაა ჩემთვის? — ზაურს გაეცინა.

— ეეჰ, ნეტაი თქვენა! — გაგომ სიგარეტი ამოიღო. — მაყუთზე ფიქრმა დამლია, რა გეკინოებათ, რამე საქმეზე მაინც ილაპარაკეთ.

— ამაში სავსებით მართალი ხარ! — დაუმოწმეს. — უყურებ პირდაბჩენილი ამ ამერიკულ ფილმებს, მაგრამ, როგორც კი დარბაზში შუქს აანთებენ, ცარიელი კედელიღა შეგრჩება ხელში...

გაგოს ძალიან ესიამოვნა ეს სიტყვები, სრული თანხმობისა და სოლიდარობის ნიშნად, გაშლილი მარჯვენა გაუწოდა მთქმელს. იმანაც, თითქოს უთოს სიმხურვალე გაუსინჯაო — წამით ხელისგულზე მიაწო თითი.

— გამიგია, კინოდან გამოსულს, თავში უნდა შეგრჩესო რამე,—შენიშნა ჯემალმა.

—ოოო? — „გაიოცეს“. — ჯემალს ვენაცვალე, რახან ამდენი გცოდნია, ერთი ისიც მოგვახსენე, მაყუთს სად და როგორ შოულობენ?

— ა, ჯემალ?

ჯემალმა დინჯად შეათვალიერა ამხანაგები.

— მაყუთი ბანკშია, — შემდეგ გულგრილად გადააწიტა.

— ჭეშმარიტებაა.

— ნაღდი ხარ.

— მაიტა ცაცი!

— გინდათ, ერთი საინტერესო ამბავი მოგიყვეთ? — გაგომ ეშმაკურად გახედა ბიჭებს.

— რომელი?

— ამ რამდენიმე საუკუნის წინ, ინგლისში, ძაღლების მსოფლიო კონგრესზე რომ მომხდარა...

— არ გვაინტერესებს, — ზაურმა ამოიხვნეშა. — შენთვის შეინახე ის ამბავი.

— მოჰყევი, დრო მაინც გავა...

— მიდი, მიდი, მოჰყევი! — წააქეზეს.

— ძაღლების მსოფლიო კონგრესზე, ყველა ქვეყნიდან მოუყრიათ მურიებს თავი, მაგრამ... კონგრესის გახსნის წინა საზეიმო წუთებში რომელიღაცა უჯიშოს ჰაერი გაუფუჭებია, წარმოგიდგენიათ?

— მაგი შენ წარმოიდგინე, — შეიშმუშნენ, გაეცინათ.

— ხო, ხო, უყურე შენ, ერთი მამაძაღლი რომ არ გამოერიოს, არ იქნება, აი, აი!

— აბა, კაცო?!

— მაიცათ, ბოლომდე მათქმევინეთ, ა? — გაგომ გვერდი იცვალა.

— მიდი ჰო, მოჰყევი თუ ჰყვები, ნუ აჭიანურებ.

— ჰოდა... გადარეულა თავმჯდომარე იმ უმსგავსობისა გამო, რა თქმა უნდა, კონგრესი ჩაშლილა. აღშფოთებულებს, ერთხმად დაუდგენიათ: დამნაშავე სასწრაფოდ მოეძებნათ და სამაგალითოდ, კანონის მთელი სიმკაცრით დაესაჯათ. ის უნამუსო, სინდისგარეცხილი მურია კი დღესაც იმალება. ამიტომაცაა, შეხვედრისას ძაღლები რომ სუნავენ ერთმანეთს — ამოწმებენ: იქნებ ესაა, ლონდონში კონგრესი რომ ჩაგვიშალაო...

— შენი ლაგვა მურია თუ იზამდა მაგ საქმეს, — ზაურმა ჯემალს გადახედა. — მიტომაც ხომ არ დაიძურწება კუდამოძუებული?

— ნურას უკაცრავად, ბატონო! — ჯემალს არ ესიამოვნა, თუ ვერ გაუგო ხუმრობა. — ბოდიში მოიხადე, ჩემი მურია მონადირეა და სწორედ რომ ჯიშიანიც უნდა გახლდეთ, როგორმე... ასი მანეთი მიმიცია ლეკვში...

—მაგრამ, თვალებს რომ სხვანაირად ბლანდავს?

— ჰმმ? — მიიხედ-მოიხედა ჯემალმა. — რა მაგრები ხართ, როგორ ყველაფერი იცით... ჩემი მურია ჯერ კურდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღელზე, ან მწყერზე გასული თუ გინახავთ?

— ოჰ, ოჰ, მართალია, — დაუმოწმა გაგომ. — ამბობენ, კუდს რომ ასწევს, „აბა, ჯღვამა, შენ იცი, აგერ ბაჰია ნაბავს თვალებსო...“ აგრე გეუბნება, თურმე.

— კი, კაცო...

— დიახ, სწორედ ასეა, როგორ მიხვდი? — ჯემალი გაგოსკენ შებრუნდა.

ამ დროს ვიღაც ინტელიგენტური, ხაზგასმულად დარბაისლური გარეგნობის კაცმა წყნარი ნაბიჯით, დინჯად ჩაუარა მანქანას. ყველაფერზე ეტყობოდა იმ მოქალაქეს, რომ სოლიდურ ფიქრებში გახლდათ გართული. ბიჭებმა კი თვალი ჰკიდეს თუ არა, გამოცოცხლდნენ, გამხიარულდნენ.

— დავით! — ხმამაღლა დაუძახეს. — ბატონო დავით!

კაცი შეჩერდა, მთელი ღირსებით შემობრუნდა.

ბიჭებმა მანქანის მონჯღრეული კარები დაუდევრად მიაჯახუნეს, გამოიშალნენ, ზმორებით გამართეს გაშეშებული ზურგები.

უცნობი შესამჩნევად შეცბა, თითქოს დამფრთხალმა შეათვალიერა ისინი, მაგრამ თავაზიანად მიესალმა.

— ბატონო დავით, საქმე გვაქვს თქვენთან, — ბიჭებმა ღიმილით მიმართეს, — სულ რამდენიმე წუთით შეგაწუხებთ...

— ბოდიშს მოვიხდით, — თავი გააქნია უცნობმა. — გვეჩქარება ჩვენ ახლა.

— ბატონო დავით, ნუ გაგვაწბილებთ.

— ჩვენ გვეჩქარება... — უცნობს შეეტყო, რომ უარის თქმა უჭირდა.

— ვაა, რამდენი ბრძანდებით? — ჰკითხა გაგომ. — ყველას ერთად გთხოვთ, ორიოდ წუთი მაინც დაგვითმეთ, ა?

— სულ ერთი-ორი-სამი წუთი, ბატონო დავით!

უცნობმა საკმაოდ მოძველებული ფეტრის ქუდი ზეასწია, მორიდებული, ძალიან „დაწურული“ ღიმილით გაიღიმა და რაღაც საკვირველი, არაამქვეყნიური შუქი ჩაუდგა თვალებში.

— ვინაა? — ხმადაბლა იკითხა ვიღაცამ.

— წიგნების მოყვარული, განათლებული, მაგრამ ავადმყოფი კაცია. — ჯემალმა უპასუხა. — თქვენი შემყურე ავადმყოფი კი არა, კაი ჭკუამთელიც შეირყევა, — გულისტკივილით დასძინა და გაიარ-გამოიარა.

—ვინც არ იცნობს, გაიცანით! — გაგომ მხიარულად წარუდგინა ბიჭებს უცნობი. — სიყვარულით სულდათუთქული და გულ-ღვიძლ „მოხრაკული“ დავით ჩახაია.

შემდეგ ხაზგასმული მოწიწებით, კრძალვითაც კი დასძინა: — ხოლო, მისი ლიტერატურული ფსევდონიმი გახლავთ — ქოროკონი.

— ძმობას გაფიცებთ, არ დაიწყოთ! — ხვეწნით მიმართა გაგოს დავითმა. — კარგით, გვეჩქარება ჩვენ ახლა...

მოულოდნელად შემოეძარცვა სიდარბაისლე, ამაყი, ინტელიგენტური პეწი და, ჯემალს შეეტყო, რომ გული დასწყდა, ეწყინა.

— ბატონო დავით, საერთაშორისო საქმეები როგორაა? — ჯემალი გამოექომაგასავით.

— დაძაბული ძალიან... აა, ზაურიც აქ ყოფილა? — დავითი თითქოს მაშველ რგოლს ჩაეჭიდაო, ზაურისკენ შებრუნდა.

— მოდი, ბიჭო, მოიწი, — ზაურმა გულგრილად გადააწიტა. — რას ახვეწიებ ამდენს ამ პატიოსან ხალხს...

დავითი მისმა სიტყვებმა უფრო დააფრთხო, თვალი აარიდა ყველას, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, უჩინარი ძაფებით შებოჭილსა ჰგავდა.

— ნეტა, თქვენ ასეთი არ იყოთ და მე შუათანა ენგურში ჩამაგდო! — ხმამაღლა ინატრა. მერე მონური, ფრთხილი კრძალვით გახედა ბიჭებს.

არავინ მიაქცია ყურადღება, არც იწყინეს რამე.

— შენ ახლა ის ლექსი თქვი, ყმაწვილკაცობისას, სიყვარულით სულდა-

თუთქულმა და გულდამწვარმა რომ დაწერე.

— აჰ, არა... არ გვცალია, ხალხი გველოდება დღეს...

დავითმა საქმით დატვირთული, უაღრესად დაკავებული კაცის იერით მიმოიხედა.

— ბიჭო, ვინ მელოდებაო? — გაგო მიუახლოვდა. — რატომ ამბობს ტყუილს, აკი პატიოსანი ვარო?

— გელოდებიან, შეენ?

დავითი წამოწითლდა, ცუდ დღეში ჩავარდა.

— კი, მართალია... წამომცდა, — მაშინვე გამოტყდა.

— აჰა! — ნიშნის მოგებით წამოიძახა გაგომ.

დავითმა თავი ჩაღუნა. მერე ფეხის ცერებზე წამოწეულმა საკმაოდ გაფხეკილი, მაგრამ სუფთა, გაპრიალებული ფეხსაცმლის ჭვინტი შეათვალიერა.

— ჰო, ტყუილია, — ჩაიდუდუნა. — აბა, რა ვქნა? — უსუსურად იკითხა, როცა თავი ასწია.

— კარგით, შეეშვით ადამიანს! — ჯემალმა ბიჭებს შეუბღვირა და დავითს მიუბრუნდა: — სხვა, შენ პირადად როგორა ხარ, ჩემო დავით! — თანაგრძნობით შეეკითხა.

— როგორ ვიქნები! — დავითს, რატომღაც სიცივე ჩაუდგა თვალებში. — სული წამართვეს...

— სადაა, ბიჭო, სული? სული არა, ისა... — გაგო ისევ მიუახლოვდა. — როდის გქონია, ვინ წაგართვა?

— ეეჰ, დავით ჩემო, ეგ მხოლოდ მიზეზია, არ გინდა ლექსი წაგვიკითხო და ეგაა. კარგი, თუ გული გიზამს, მიგვატოვე, წადი...

— შე კაცო, ნაწარმოებებს არსად აქვეყნებ, წასაკითხად არ გვაძლევ და, არც შენ გინდა წაგვიკითხო?

— აი, ეს უკვე უპატივცემულობაა.

— კარგი, წაგიკითხავთ ერთ ლექსს! — დავითმა ზურგს უკან დამალა ხელები და თავი ასწია. — წაგიკითხავთ, მაგრამ სიყვარულზე არა.

— ბიჭო, მაგია შენი შედევრი და იმაზე ამბობ უარს?

— მოიცათ, ვინმეს მართალი ეგონება! — დავითმა გაიღიმა, ესიამოვნა. მერე მოულოდნელად მოლბა. — თუმცა... კარგი, სიყვარულზე იყოს...

შემდეგ წელში გაიმართა, თვალებმილულულს, ნეტარი ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

— ეს ამბავი დიდი, დიდი ხნის წინათ მოხდა, — ხმადაბლა, შთაგონებით წამოიწყო. — მიყვარდა თავდავიწყებამდე, მიყვარდა, მიყვარდა... სახელს არ გეტყვით! — უცებ შეწყვიტა და ფხიზლად გააფრთხილა ბიჭები.

— გეყო ლაილაი, მოჰყევი როგორცაა! — უკმაყოფილოდ, მოუთმენლად შენიშნეს.

დავითი სწრაფად მიუტრიალდა, მრისხანედ შეყარა კოპები, ისე, რომ მთქმელი სასაცილოდ შეფუცხუნდა.

შემდეგ თვალები ისევ მილულა: — ჩემი სულის სამოთხეს, ცხოვრების ანკარა წყაროს, სიყვარულის ქალღმერთს...

მიძღვნის სიტყვები დაახლოებით ასეთი იყო.

— ეგ სათაურია, ლექსი მერე იწყება, — გაგომ ვიღაცას ჩაუკრა თვალი.

— უჰ, კი, კაცო, ლექსი მერე იწყება...

დავითი ამ სიტყვებზე გახევდა, მუშტებიც შეკრა, შეკუმშა, მაგრამ ამჯერად ხმა არ ამოუღია, არც თვალები გაუხელია.

— უკაცრავად, ბოდიში, ბატონო! — ბოდიში სწრაფად მოუხადეს. — ხმას არ ამოვიღებთ, აი, სულგანაბულნი გისმენთ!

— მაიცათ, რა, აცალეთ ადამიანს! — გაგო „გაწყრა“. — უჰ, რა ხალხია!

ბიჭებმა ჩუმ-ჩუმად, დავითს რომ არ დაენახა, ჩაიცინეს.

მართალია, აღარ დამამახსოვრდა ის ლექსი, არც მიძღვნის სიტყვები, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება თვითონ დავითი... როგორი ნეტარებით დაფრინავდა მისი ფაქიზი სული, უიმედო,

წარსული სიყვარულითა და ოცნებებით სავსე ლურჯი ცის უსასრულო სივრცეებში, როგორ იწვოდა, იფერფლებოდა...

— ჰაი, მალადე-ეეც! — როცა დაამთავრა, ლექსის „გენიალობით“ შთაგონებულებმა მძიმე-მძიმედ გადააქნიეს თავი.

— მუშაობს, ძმაო, კაცი.

— კი, მაგრამ ლექსია ძალიან...

— მაგრამ, ბატონო დავით, ამჯერად ცოტა, ცო-ოტა სხვანაირად აჟღერდა, ეს ლექსი, ხომ?

— ალბათ, წოუმატა რაცხა-რაცხეები, შე კაცო!

— რაცხა-რაცხეები კი არა, შედევრად უქცევია.

— შენ გაჩუმდი... თითქოს რამე გესმოდეს პოეზიისა.

— ჩვენ კი არა, დათიკო ბიძიას შემოქმედებას ეგერ ქვეყნის მეცნიერები იძიებენ, იკვლევენ, მაგრამ სულ ტყუილა...

— წვალობენ, მაგრამ ვერა და ვერ დაადგეს თავი.

— შე კაცო, დათიკოს მერე, მხოლოდ საუკუნეების მერე შეიძლება მიუხვდნენ.

— ისიც ძალიან მეეჭვება, — გაგომ გულცივად, ცოტა ზიზღითაც კი გადააწიტა.

„ბატონი“ დავითი თავაწეული იდგა. არაამქვეყნიური ნეტარებით ალსავსეს, ვითომ ეს საუბარი არც ესმოდა, მაგრამ მერე თვალები გაახილა და ფხიზლად, დამრიგებლურად თქვა: — კარგით, კაცო, გეყოთ ახლა ამდენი სიაფანდობა! — წამოსცდა ასეთი სიტყვა და ბიჭები ალაფრთოვანა, მხიარულად ახორხოცდნენ.

— იი, ნახეთ რა იკისრა ?

— „სიაფანდობაო“ ხომ ვამბობდი, ძველია-მეთქი, ძველი!

— ოღონდ, თავმდაბალია...

— მოიცათ, რა! — დავითს გააკანკალა.

— ბიჭოს! შეხედე, „ლომკები“ დაეწყო!

— ვაა, სხვა რამეებსაც ხომ არ [illegible]რულობ, შე...

— ბიჭებო, სირცხვილია, ნუ იკადრებთ! — დავითს ფერი ეცვალა, ათრთოლებული ხელებით დაიგმანა ყურები.

შემდეგ მიიხედ-მოიხედა და, შეუბრალებლად, უმოწყალოდ დამცირებულმა, რატომღაც თავზეც დაიფარა ხელი. მერე ქუჩა ძუნძულით გადაჭრა, სულაც გაიქცა, თვალს მიეფარა, გაუჩინარდა.

ბიჭები ნელ-ნელა დაწყნარდნენ.

— კომედიაა რა, ეს უბედური! — ზმორებით ჩაილაპარაკა გაგომ. — რა ხნისა იქნება, ნეტაი?

— მოიცა რა, აწი მაინც მოისვენე! — ჯემალს მოულოდნელად ბრაზით აევსო თვალები. — გამოიღვიძე, გონზე მოდი, შე უბედურო... მეოცე საუკუნე იწურება!

— ჩემო ჯლვამიკო, უფრო სწორად, მისი სამოციანი წლები! — გაგომ „დაუზუსტა.“

ჯემალმა თვალი თვალში გაუყარა, ნელა მიუახლოვდა: — ვაი, შენი ცოდვა, შენი! — ბრაზმორეულმა ჩაიდუდღუნა და შემდეგ შეტრიალდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მხრების რწევა-რწევით ჩაუყვა ბულვარის გასწვრივ ტროტუარს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამან რაო, რა მინდაო, კაცო-ო? — გაშტერებული მიაჩერდა გაგო.

— გაბრაზდა, — თქვა ვილაცამ.

— ოჰ, გაბრაზდა, თორემ...

— ისე, ჩვენში დარჩეს და, მართლა რას ვერჩოდით იმ კაცს? — ზაურმა გაიარ-გამოიარა. მერე გაგოსთან შეჩერდა, გაუღიმა. — არა ვართ დასახვრეტი?

— ნ-წწ!

— რა, ნწწ? — ზაურს ღიმილი ჩაუქრა, მოიღრუბლა. — რაა, ნნ-წწ?

— რა არი და, ჩვენც ცოდონი ვართ, აგრე ხელაღებით ნუ გაგვიმეტებ-მეთქი,

გითხარი, — გაგომ გაუღიმა, მაგრამ შესამჩნევად შეცბა, წამოწითლდა.

სხვებიც მოდუნდნენ, მოიწყინეს. ზოგი მანქანას მიეყუდა.

მეტი ხმა არავის ამოუღია.

ჩუმად იდგნენ ხეივანში სიცხით დახუთული მაღალი ჭადრებიც, თითქოს მათაც მოიწყინესო, უფრო გარინდებულიყვნენ...

# ა თ ე*

მარტის მოდუშული, ცვალებადი კვირა დილა იყო.

ფარდაგადაწეული ფანჯრის მინიდან ცის პატარა მონაკვეთი უხალისოდ შევათვალიერე, მცირე ჰოჰმანის შემდეგ ლოგინიდან წამოვდექი, ოთახში გავიარგამოვიარე, მერე მაგიდაზე სიგარეტს გადავწვდი და, ტელეფონმაც დაიწკრიალა.

— გისმენთ!

— რას აკეთებ? — დინჯად მკითხა ამხანაგმა.

— ჯერ არ ვიცი, ვნახოთ...

— მაინც, რას აპირებ?

— ?? — მხრები ავიჩეჩე.

— მეც შინა ვარ, — ჩაილაპარაკა. — დარეკე, თუ რამე საინტერესო გამოჩნდეს.

— კარგი, თუ გამოჩნდა, დაგირეკავ...

გაზეთი ავიღე და საძარძლისკენ გავემართე.

ცოტა ხანში ისევ დარეკა ტელეფონმა.

— გისმენთ.

— გამარჯობა, რას აკეთებ? — მხიარულად მკითხა ჩემმა ახლო მეგობარმა.

— არაფერს, გაზეთებს ვათვალიერებ.

— რომ გამოგიარო, წამომყვები ერთ ადგილას?

— სად მიდიხარ?

— საქმე მაქვს ერთი... თან, გავიარგამოვიაროთ.

— ჯერ წვერიც არ გამიპარსია.

— წამომყევი, მარტოს მეზარება.

—რა ვიცი, ვნახოთ... რამდენ ხანში გამოივლი?

— ახლა რომელი საათია?

— თერთმეტი დაიწყო.

— ზუსტად მითხარი.

— თერთმეტის ათი წუთია-მეთქი!

— ნახევარ საათში გამოგივლი, მანამდე მანქანასაც მივხედავ...

— კარგი, — უხალისოდ დავეთანხმე. მაინცდამაინც არ მინდოდა შინიდან გასვლა.

მალე ქუჩაში მივქროდით.

ჩემს მეგობარს თავბრუდამხვევი სიჩქარით უყვარდა მანქანის ტარება. ასეთივე თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდნენ სხვებიც. მეოცე საუკუნის მიწურული მანქანის სალონშიც მწვავედ იგრძნობოდა, ყველა სადღაც მიიჩქაროდა.

— მოიცა, რა! — ვეღარ მოვითმინე ერთგან. — ცოტა ნელა იარე.

— ნუ გეშინია.

— არა, მაგრამ...

— მე ჩემი მეთოდი მაქვს, ავარიას გავურბივარ...

— მაინც ნელა აჯობებდა...

— მთავარია, უკნიდან არ წამოგეპაროს, არ დაგარტყას ვინმემ.

— კარგი, რა! — წამოვიძახე ისევ. პირდაპირ ჩვენკენ გამოქანებული ავტობუსის ცხვირწინ შეუხვია სადღაც.

შემომხედა და გაეცინა.

— თფუ, თფუ, თფუ, გადავრჩით! — მხიარულად მაცნობა. — თბილისში ბიოტოკებით დავდივართ...

— ბიოტოკებით?

— დიახ, აი, ვინ-ვის დაჯაბნის, ვინც

*ათე — (ბერძ.) განსახიერება წამიერი სიშმაგისა. გონებასართმევს ადამიანებს.

შედრკება, პირველი ამუხრუჭებს, შორიდანვე ვგრძნობთ ერთმანეთს.

კარგა ხანს დავქროდით ქუჩებში. ისეთი გამორჩეული საქმე არაფერი გვქონდა. მერე სადღაც შევუხვიეთ და რომელიღაც სახლის ეზოში შევედით.

— შევალ, ლელიკოს ვნახავ, — ჩემმა მეგობარმა მანქანა შეაჩერა. — ახლავე მოვბრუნდები, — დაიბარა და კარი მოაჯახუნა.

გარშემო მაღალი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლაბირინთი იყო და ქვემოთ, კოხტა, ფართოშუშებიან მაღაზიაშიც საქმიანად შედიოდა და გამოდიოდა, ფუსფუსებდა ხალხი.

ოდნავ მოშორებით, კალათბურთის სათამაშო მოედნის ერთ მხარეს კი ბატკანს ატყავებდნენ. ბატკნის თავი მავთულის ღობეზე ეკიდა. ყელგამოღადრულს, დანით ხელში უტრიალებდა სპორტულკოსტიუმიანი მამაკაცი. ხელებაკაპიწებულს, არასასიამოვნო, მსუნაგი ღიმილი უთამაშებდა სახეზე. რამდენიმე პიჟამოიანი მეზობელიც იქვე ტკეპნიდა მიწას. ჩანდა, იმ „საქმეში“ გამობრძმედილ-გამოცდილნი რჩევა-დარიგებას აძლევდნენ დანიანს.

მოულოდნელად მრავალსართულიანი, გრძელი შენობის რომელიღაც სარდაფიდან ბატკნის კიკინი შემომესმა.

მივაყურადე. ალბათ, რაღაც ბედზე გადარჩენილი ბატკანი თავის ცალს მისტიროდა...

კოსტიუმიანმა სისხლში ამოსვრილი, ხუჭუჭმატყლიანი ტყავიც ღობეზე გადაჰკიდა. კოჭებთან წაჭრილი ერთი ციცქნა ჩლიქები კი მეზობელმა აიღო და სახლის შესასვლელისკენ გაემართა. გაუგებარი იყო, რატომ არ დაანება პატრონს გადასაგდებად ჩლიქები, რად უნდოდა, რად წაიღო შინისაკენ.

— ბეე-ყე-ყე-ეეე... — სარდაფში გულის გამაწვრილებლად, გაბმულად კიკინებდა ბატკანი. ბოლო ბგერებზე უწყდებოდა ხმა, თითქოს ტიროდა, შველას ითხოვდა.

ნაღვლელი მომაწყვა. ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლოდი. მერე მომაგონდა, რომ ჩემს მეგობარს მთელი ორი ათეული წელი ხორცი არ უჭამია და გუნებაში სიამაყე ვიგრძენი. ცოტა შემშურდა კიდევაც... დინჯი, ფიქრიანი ადამიანი გახლდათ, როცა საჭესთან არ იჯდა.

შემდეგ ყველაფერი უცებ მიწყნარდა. უნებურად ყურადღება დავძაბე, რაღაც დამაკლდასავით... ბატკნის კიკინი არ ისმოდა. „ყასაბი“ და მისი გულშემატკივრები იქვე ტრიალებდნენ.

მინა ჩამოვწიე, ამოვისუნთქე. მაღაზიასა და ირგვლივ მოფუსფუსე, მოღიმარ ადამიანებს შევავლე თვალი.

მოგვიანებით, დაბანილ-დავარცხნილი, რატომღაც შეცვლილი მეგობარი გამოჩნდა. გამიკვირდა, ისე გაახალგაზრდავებული მეჩვენა, მაგრამ არაფერს შევკითხვივარ.

საჭეს მიუჯდა.

სანამ მანქანას დაქოქავდა, კალათბურთის მოედნისკენ მიაბრუნა თავი.

— რა საზიზღრობაა! — მობოდიშებასავით, დაღლილად თქვა.

ხმა არ გამიცია, ცალი თვალით გავხედე.

— მარხვა მაინც არ იყოს... — გულისტკივილით დაატანა.

— მარხვა?

— ჰო, ხუთში არ დაიწყო?

— აა! — მეც უხალისოდ გავიხედე მოედნისკენ.

ხელებაკაპიწებულს მეორე ბატკნისთვისაც გამოეღადრა ყელი, უკვე ოსტატურად აცლიდა ტყავს. ჩანდა, დიდი „პურიჭამა“ მზადდებოდა...

ეზოდან გავედით.

ტრამვაის ლიანდაგიან ქუჩაზე მანქანების უწყვეტ ნაკადს შევუერთდით.

— ძლივძლივობით მივლოლავთ, — ვუსაყვედურე მეგობარს. — მიდი რა სადმე გაქანდი!

— სად მიგეჩქარება? — გაიკვირვა.

თბილისში უამრავი უცოდველი, მოსხივცისკარე, წყნარი ეზო მეგულებოდა.

ფიქრიანად გავხედე ქუჩას.

არაფერი მითქვამს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნარგიზა სოფრომაძე

●

შენი ყინულის სასახლიდან
ჩემს ქოხამდე
ერთი აუზომელი ნაბიჯია, —
გაუნათლავი საუკუნე
ყოველ ცისმარე
წარბშეკრული გადაჰყურებს
ქვემო... უკუნეთს...
ნუ ჩამოუშვებ ყინულის კიბეს!
ჩემი ქოხის სოხანეზე კვერი ცხვება...
ცეცხლი ღუღუნებს.
„ზღაპარ იყო“ —
სიზმარს ჰგავდა...
სიზმარ იყო —
სიცოცხლეს.
მოკეთეო, ამ ჩემს ქოხში
მოსვლას ნუ დაიმორცხვებ.

●

წუხელ გამქურდეს.
სიბნელეში შეყუჟულმა
შეყვარებულმა წყვილმა —
ლაბუა ბელურებმა
თვალებიდან ამომკენკეს
გადამწიფებული მთვარე.
გამქურდეს წუხელ.
დღეს კი...
არაგვზე ღამენათევმა,
უძილო მთვარემ
ღრუბლის რაშზე ამხედრებულმა
ჩამომიარა...
და რაში დუჟებს წვიმად მაყრიდა!
ჩემი ცრემლებით გამოზრდილი
ორგულა მთვარე
ნაბახუსევი ბრუნდებოდა
უცხო პატარძლის მაყრიონიდან...
გული ჩიტივით ეძებდა ბუდეს,
ერთი ტკიოდა...
ერთი უმძიმდა —
თვალს და გულს შუა
როგორ გაგვქურდეს.

## თავის წილ...

თავის წილ მიწა მაპურებს,
თავის წილ კიდევ ზეცა.
თავის წილ ყინვა მაციებს,
თავის წილ მათბობს მზეცა.
მოკვდავნი ვართ თუ უკვდავნი,
ვალში დავრჩებით მზესთან...
თავის წილ — მიწა მიგვიღებს
თავის წილ — მაღლა ზეცა.

●

ყველას სისხლი დაიღვრება,
ყველას სისხლი,
საიდუმლო კართან.
ყველაფერი მეორდება,
ყველაფერი,
სილამაზის გარდა.
ყველაფერი ჩავლილია,
ყველაფერი,
ჩასავლელის გარდა.
ყველაფერი ნათქვამია,
ყველაფერი,
ერთი ლექსის გარდა.
ყველაფერი იყიდება,
ყველაფერი,
წმინდა ცრემლის გარდა.

## რაულ მამალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბეთანია

მთებში გარინდულა
ბეთანიის ჯვარი,
მისი ჩრდილი გვათბობს,
მისი შუქი გვიცავს,

გახსნილია ფართოდ
ღვთაებრივი კარი
და ანათებს სივრცეს
და ამაღლებს მიწას.

●

ქარი არხევდა ტოტებს,
დღის სიჩუმეში ცრიდა
და გაყვითლებულ ფოთლებს
ცა იტაცებდა ტყიდან.

შორით ისმოდა ექო,
გზაზე ბრწყინავდა მტვერი
და მონატრების შუქში
დუმდა ქვეყანა ვრცელი.

●

მიწაზე დგახარ.
სივრცე დაგნათის...
მაშ, თქვი,
რატომღა გეშინია სიმარტოვისა?!

●

წვიმს ისე,
თითქოს ყოველთვის წვიმდა,
თითქოს მზის სხივი
გულს ჩაგვრჩენია ნატვრად...

და შემოდგომა
ჩუმად დაგვცინის გულში,
ვერ გაუგია,
დარდიანები რად ვართ...

## ჯანრი გოგეშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თეთრი კედელი

რომანი

— კეთილი, — ფონენდოსკოპი მოიხსნა, ჩანთაში ჩადო, მერე ჩანთის სახელური მაჯაზე გადაიცვა და ვაჟს მხიარულად უთხრა, — იმედია მალე გამოჯანსაღდები, ისეთი საცოლე გყავს...

— რას ამბობთ... — შეცბუნდა ნაია და გაბუტულ გოგონას დაემსგავსა.

— ვიცი, ვიცი... — ნიშნის მოგებით შეეპასუხა ქალი და ოთახიდან გავიდა.

ნაიამ წამით გაუბედავად შეხედა ნოდარს, თავი დახარა და ექიმს გაჰყვა.

ნოდარმა უნებლიეთ გაიღიმა და ჰაერის ღრმად ჩასუნთქვა მოიწადინა.

„ფიქრი და ოცნება მასწავლე, ფიქრი და ოცნება. ქალავ...“ კვლავ საზეიმოდ ახმიანდა გონებაში.

— შენ არ იფიქრო, თითქოს მე მეთქვას რაიმე... — უმალ თავის მართლება დაიწყო ხუთიოდე წუთის შემდეგ უკან მობრუნებულმა ნაიამ. — მე ვუთხარი, მეგობარია-მეთქი, იმან კი დაიჯინა... აჯობებდა, ჩემს ნათესავად გამეცნო შენი თავი, მაგრამ რატომღაც არ მინდოდა ჩვენი სიახლოვე ნათესაობით შემენიღბა. შენ არ იფიქრო...

— მერე რა მოხდა, — გაეცინა ნოდარს. — იქნებ სიმართლე თქვა, შენ რა, გეწყინა? — გამომწვევად მიაჩერდა.

— კარგი, არ გინდა... — თითქოს რაღაცის მიჩქმალვას შეეცადა ნაია, — ექიმმა საშიში არაფერიაო, ოღონდ სტრეპტომიცინი დაგინიშნა და ნემსის გაკეთება მოგიწევს, ექთანს გამოგიგზავნიო, შემპირდა, თან ისეთ უშველებელ ნემსს გამოვატანო... — შეშინებული სახე მიიღო ეშმაკურად თვალებმოციმციმემ.

— აჰ, არა! — შეშინებულს დაემსგავსა ვაჟიც.

— არა კი არა, კი, კი, კი... — გამოაჯავრა ნაიამ, — აბა ხელები საბნის ქვეშ!

ნოდარს კი ძალზე სურდა ყოჩაღად სჩვენებოდა. ხელების მოსახვევად ერთიანად წამოზიდა სხეული.

— არა, არა... — გვერდზე გახტა ნაია, — ხომ ხედავ, მეც ვისწავლე შენი საყვარელი სიტყვა.

გაწბილებული ვაჟი ოხვრით დაეშვა საწოლზე.

— აჰა, წამოწევაც გიჭირს, თავს ნუკი მაწონებ, ნუ გეშინია, საკმაოდ მოხიბლული ვარ შენით. აუ, გავაბი... შენ კი ასე უსინდისოდ გაშიმშილებ, რად არ იხაუზმე?

— ვისაუზმე, რაღაც მადა არ მაქვს.

— ეგ არ გამაგონო, მე ახლა აფთიაქში მივირბენ, მერე კი ისეთ სადილს დაგიმზადებ, ძალით შეგაჭმევინებს თავს, ჰო, მართლა, ექვსი მანეთი დავხარჯე...

— შენთან იყოს, როგორც სამნეო ნაწილის გამგეს, კაპიტალი აუცილებლად უნდა გაგაჩნდეს, — ხურდა რომ არ დაებრუნებინა, იუმორი მოიშველია ნოდარმა და თავისდა უნებურად ჰკითხა, — ნაია, სად მსახურობ?

— ბიჭოს, ძლივს არ მეღირსა, რაო, ბოლოს და ბოლოს, დაგაინტერესა, ვისთან გაქვს საქმე, არა?.. — ქალის ხმა ირონიამ დასერა, — მილიციის სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების მდივანი-მემანქანე გახლავართ, დამთავრებული მაქვს მბეჭდავი მემანქანის კურსები. გათხოვილი არ ვყოფილვარ, კიდევ გექნებათ შეკითხვა? — ნაადრევად დადინჯებულ ბავშვს დაემსგავსა ნაია.

— საკმარისია, ანკეტის ყველა უჯრა შევსებულია! — შეხუმრება სცადა ნოდარმა.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ №7, 8.

— არა, არაა შევსებული, — ირონიამ სულ მთლად დაჯაბნა ნაიას ხმა. — ალბათ, ფიქრობ, ჩემი ამ როლში ყოფნა ჩვეულებრივი მოვლენაა, ალბათ, ფიქრობ...

— არ ჰგინდა... — სთხოვა ნოდარმა.

— ღმერთო ჩემო, მე თავად არ ვიცი, რა დამემართა გუშინ... — ნაია საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და უმწეოდ აქვითინდა.

— ნაია, ნაია, ნაია... — შეძრწუნებული ვაჟი ალერსით შეეცადა მის დამშვიდებას.

— გაგტანჯე, არა? — ცრემლები შეიმშრალა ქალმა.

— რას ამბობ, მე ბედნიერი ვარ, მე...

— სსუ... — ნაზად აკოცა ქალმა. — სსუ, დავანებოთ თავი ჩვენი ურთიერთობის გამოკვლევას, დავიცადოთ, ჯერჯერობით კარგი ფეხის ვერ გამოვდექი... აბა, გავიქეცი, მე მალე, ათ წუთში აქ ვიქნები, — იგი მარჯვედ წამოდგა, მომხიბვლელად გაუღიმა და შავად მბზინვარე თმის სწორებით ოთახიდან გავიდა.

ახლა უნდობლობის ყოველგვარი ეჭვი და იმ ეჭვში ჩაბუდებული შიში ჩაქოლილი გახლდათ.

ის დღე ლამაზად მიილია, ავადმყოფმა გამოკეთება იწყო. საღამო ხანს სიცხემ დაუწია და, სულთან ერთად, სხეულიც სასიცოცხლოდ ალეგზნო.

ნაია თავს დასტრიალებდა, წამლებს დროულად ასმევდა, გემრიელად ასადილა და ავახშმა.

ექთანი ქალიც მოვიდა ერთი ორჯერ, ეტყობოდა, ექიმი ნაიასგან საკმაოდ დავალებული იყო.

ექთანი ხალისიანი და მიხვედრილი ქალი გამოდგა. ახალგაზრდებს ისე ეპყრობოდა, როგორც კანონიერ ცოლ-ქმარს, მაგრამ ნემსის გასაკეთებლად შემზადებული ხანამ ნოდარს გაბრუნებას სთხოვდა, ნაია უკვე რაიმეს მოსატანად სააბაზანოში ჰყავდა გაგზავნილი.

საურმაგი იმ დღესაც გვიან დაბრუნდა, მაგრამ ამჯერად პირდაპირ ნოდართან შემოაბიჯა. ღვინონასვამი უნდა ყოფილიყო, თუმცა სიმთვრალე არ ემჩნეოდა, შეგებებულ ნაიას ისე გულღიად მიესალმა, თითქოს ოდნავადაც არ გაჰკვირვებია მისი დანახვა.

— ასეც ვიცოდი! — განაწყენებით შესძახა მან. — ერთი დღე უმეთვალყუროდ დაგტოვე და, როგორ მოახერხე?!

— რა ვიცი... — გაუბედავად გაიღიმა ნოდარმა.

— აბა, მე ვიცი? დიდხანს აპირებ წოლას?..

— უკვე გამოვკეთდი, ალბათ, ხვალ ავდგები...

— ხვალ ნაადრევია... — შეესიტყვა იქვე მდგომი ნაია.

— არ გიჯერებთ, არა? — საურმაგმა ოდნავი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ქალი.

— მართლა, სულ დამავიწყდა, გაიცანით ერთმანეთი, საურმაგი, ჩემი კარგი მეგობარი, ნაია... — რატომღაც სათქმელს თავი ველარ მოაბა ნოდარმა.

საურმაგი მიუხვდა.

— მეგობარი და მდგმური... — ჩაერთო უმალ, — ოღონდ სახლის პატრონი, მგონი, მე გამოვდივარ, მოცემის მაგივრად, აქეთ ვქაჩავ, ეს ორი დღეა შევაკელი ხელი, თორემ... ვახშმიდან დაგრჩა რამე? — უცებ მთელი სიდინჯით იკითხა მან.

— როგორ არა,.. — წასასვლელად შეემზადა ნაია.

— კარგი, დღეს ვაპატიებ, ოღონდ ხვალ თუ კიდევ დაწოლილი დამხვდა... — ჩაიცინა საურმაგმა.

მერე დიდხანს აღარ დარჩენილა, რაღაც სახუმარო ამბავს მოჰყვა, იკითხა, რაიმე დახმარების გაწევა თუ შემიძლიაო და, მეგობარი საიმედო მზრუნველობით მოცული რომ იხილა, დაიმედებული წავიდა. წასვლისას კი ნაიას ოთახში არყოფნით ისარგებლა და ნოდარს თავის გადაქნევით უთხრა:

— კაი თაღლითი ხარ, ხომ იცი, ასეთ გოგოს დამალავდა კაცი, ჰე, იქნება გეშველოს, დროა, მე რას მიყურებ, მე უკვე გადაყრუების გზაზე ვარ,.. მიდი, დაეწაფე ამ ლამაზ სიცოცხლეს...

. . . . . . .

— კარგი ბიჭი ჩანს შენი მეგობარი — უთხრა უკან მობრუნებულმა ნაიამ და მხიარულად ჰკითხა: — ოღონდ მეტისმეტად ჭკუამხიარული ხომ არაა?

— რას ამბობ?!. — იწყინა ნოდარმა.

— არა, ისე ვთქვი, ოთახიდან გასვლისას მგონი დამექადნა, მაგ ბიჭს რომ რაიმე მოუვიდეს, თავის მართლება არ იფიქროთო, ჰმ... — რატომღაც წამით სევდიანად ჩაფიქრდა.

— იხუმრებდა, ისე, მგონი, ვერ იყო გუნებაზე...

— რას ამბობ, ვერ ნახე, სიცილად იყო ქცეული.

— ხევრჯერ სიცილში მწველი სევდა ინილბება. ეგ ისეთი ბიჭია...

— ჰო, წელან შენი ნახატი შეათვალიერა, ყოჩაღ, ბიჭოო, თქვა აღტაცებით, მერე კი დინჯად დაუმატა, ამ ცხოვრებისეულ ინტრიგას მაინც ერთი უშველებელი, ბდღვრიალა მზე აჯობებდაო.

— ჰო, ძალიან უყვარს სიცოცხლე... — ჩაფიქრებით თქვა ნოდარმა.

— შენ? — სიყვარულით ჩაეკითხა ქალი.

— მეც, მეც, ნაია, მეც ძალიან მიყვარს... — შუქჩამდგარი თვალებით მიუალერსა მან.

●

ორი დღე და ღამე სიყვარულსა და ურთიერთმზრუნველობაში მიილია. ნაია ავადმყოფს პატარა ბავშვივით ანებივრებდა, ნოდარი ბედნიერად გრძნობდა თავს, უნდობლობის ნასახიც კი აღარ ეტანებოდა დასაგესლად. რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ ქალს არცთუ ისე გულგახარი წარსული ჰქონდა, მაგრამ საუბრისთვის ერთხელაც არ მიუცია ბიძგი, რათა იგი ნაიას ცხოვრების მტკივნეული ეპიზოდების გამოსააშკარავებლად წარემართა. „დავიცადოთ, მოვა დრო, თავად მეტყვის, თუ რამ სათქმელი აქვს...“ გაიფიქრა ერთხელ და იგრძნო, ძალზე ეწადა მათ მეგობრობას ჯანსაღი საყრდენი ჰქონოდა.

ორივეს ალღოიანად შეეძლო წვრილმან ამბავზე საუბრის აკინძვა და იმ წვრილმან ამბავში თავიანთი სასიცოცხლო განცდების ჩატევა.

ხანდახან ქალი საყვარელი პოეტების ლექსებს უკითხავდა გრძნობის დამატყვევებელი აღტყინებით და მაშინ ვაჟისთვის კიდევ უფრო ახლობელი ხდებოდა.

ნოდარი მალე მთელი არსებით გრძნობდა ოჯახურ სითბოს და ამას აღარც სხვების წინაშე მალავდა. უკვე გულუბრყვილოდ ახარებდა მათ სიყვარულზე ექთანი ქალის გულთბილი მინიშნებები. მერე პატარა გულნარას დედის საგანგებო სტუმრობამაც სიხარული მოჰგვარა.

— კარგია, შვილო, კარგი... — უთხრა ნაიას თანდასწრებით ქალმა, — რომ წამოდგები, პატარა წვეულებაც გადაიხადეთ, არავინ გაგიმტყუნებს, ხაცოდავ დედაშენს შენზე ამოსდიოდა მზე.

— ჩვენ, ქალბატონო... — თითქოს თავის მართლება სცადა ნაიამ.

— ვიცი, ვიცი, შვილო, ცუდი არაფერი მიფიქრია, ოღონდ მომავალში აუცილებლად უნდა გახდე ჩვენი რძალი, — შესცინა მან.

— სახელი გაგიტეხე, ხომ არ მიბრაზდები, იქნებ აჯობებდა, ვინმე ნათესავი გეხმო? — სევდიანად უთხრა ნაიამ ექთნის წასვლის შემდეგ.

— გაგიჟდი, განა ცოლის შერთვა სახელის გატეხაა?!. —

— ნუ სულელობ... — პირზე ხელი დააფარა ქალმა. — ის კი არა, შენს ძმაკაცსაც უთხარი, ისე ნუ მეპყრობა, თითქოს მართლაც ოჯახის დიასახლისი ვიყო.

— საურმაგს რას გამოაპარებ... — რატომღაც თავმომწონედ განუცხადა და გაუბედავად ჩაილაპარაკა: — კარგად ხვდება, რად მიღირხარ...

საურმაგ ულენტი მართლაც კარგად ხვდებოდა ამას და ნაიასაც თავაზიანად და მეგობრულად ეპყრობოდა. არც ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენდა და, ნოდარის გულის გასახარებლად, ერთი ორჯერ რძალიც კი უწოდა. მაგრამ იმ დილით ჩვეულებისამებრ მის სანახავად მოსულმა, თითქოს რაღაცის მიმანიშნებლად უთხრა:

— სიყვარული დიდებული რამ არის, ჩემო ძმაო, ოღონდ ზოგჯერ ვერც კი გაიგებ, ისე დაურიდებლად, ისე ერთბაშად გამოგიცარიელებს გრძნობის მარაგს, გაუფრთხილდი, გამოიზოგე ეგ შენი განცდები...

— კი, ბატონო, შევეცდები, — ხალისიანად გაეპასუხა ნოდარი.

მერე საურმაგის წასვლას დაუცადა, საწოლიდან ფრთხილად წამოდგა, ნაჩქარევად შეიმოსა და სამზარეულოში მოფუსფუსე ნაიას მიაშურა... წინა დღეებთან შედარებით, თავს ბევრად უკეთესად გრძნობდა და მუხლმომაგრებულს ოთახებში გავლის და ნაიასთან ახლოს ყოფნის ჟინი მოეძალა.

ნაიას სიფრიფანა ნაჭრისგან შეკერილი ხალათი ეცვა და თითქოსდა თავის თავში მიმალული სხეული მომხიბვლელად ენაკვთებოდა.

— რატომ ადექი?!. — დანახვისთანავე გაუწყრა იგი.

— უკეთ ვარ, ცოტას გავივლი და... — ენას მოუჩლიქა ნოდარმა.

— კარგი, — გაეცინა ნაიას, — ოღონდ გარეთ სირბილი არ დაიწყო.

— შენს შემყურეს გარეთ რა მინდა?! — მიხაალერსებლად წაიწია ვაჟი.

— არ მომეკარო!.. — დამფრთხალივით შეუძახა ნაიამ.

— არ დაუჯერა, ხელები მოხვია და მკერდზე ძალუმად მიიკრა. ლამაზი, თითქოს გაწითლების მომლოდინე პირისახე დაუკოცნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, გეყოფა... — სიყვარულით ამოხედა ნაიამ.

— ნაია, ხომ გიყვარვარ, მითხარი, ხომ გიყვარვარ? — ლურჯად მოლივლივე თვალებში ჩააცქერდა ნოდარი.

— არ გინდა...

— რა არ მინდა?!

— არ გინდა სიყვარულზე ლაპარაკი.

— შენ ჩემი უნდა იყო, გესმის, ჩემი!..

— არ მიყვარს, როცა თავისუფლებას მართმევენ, როცა საკუთრებად სურთ გამხადონ.

— როგორ... — შეშფოთდა ვაჟი და ენა დაება.

— ისე... — თითქოს რაღაცამ ულმობლად შეახსენა თავიო, — იმგვარად შეტოკდა ნაია, ირონიულად ჩაიცინა და ხუმრობით დაუმატა: — არ მიყვარს, როცა ფრთებს მიკვეცავენ, რატომღაც ყველა მამაკაცს ასე ჰგონია, ქალი აუცილებლად მის საკუთრებად უნდა იქცეს, თავად კი... — თავი გადააქნია და ვაჟის მკლავებიდან ფრთხილად გათავისუფლდა.

ქალის გულგრილობა ნოდარის სულში ქარაშოტივით შეიჭრა. ნაია უმალ მიხვდა ამას.

— ნუ გეწყინება, განა თავად დარწმუნებული ხარ შენს სიყვარულში?.. — ჰკითხა და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა.

— ნაია.,. — აღმოხდა ვაჟს.

— ჰო, მეც ხომ შენი ვარ... — დაამშვიდა ქალმა. — და კვლავაც, სანამ არ შეგძულდები, შენი ვიქნები, მეტი რაი ვქნა... — ბოლოს ლამაზად მოუქცია კილოს და მოულოდნელად ჰკითხა: — მართლა მილიციაში აპირებ სამსახურის დაწყებას თუ იხუმრე?

— არა, მართლა ვაპირებ, — წამით დასუსხული სული შეუთბა ვაჟს, — იურიდიულზე მინდა ჩავაბარო.

ნაია იჭვნეულად მიაჩერდა.

— მართლა ასე გწადია?..

— ჰო, ხომ გითხარი, მამაჩემი...

— მამაშენი, შესაძლოა, მართლაც პატიოსანი და ჭეშმარიტების ერთგული დამცველი მუშაკი იყო. მაშინ, ალბათ, სხვა დრო იყო და იქნებ კიდეც ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ახლა კი... შესაძლოა, ვიღაც ვიგინდარას ხელქვეითი გახდე, საშინლად გაწვალდები, სინამდვილე შეგზარავს, ეგ შენი იდეალი დალაქავდება და მერე თუ იმ ვიგინდარასგან ჩაწიხვლას გადაურჩი, იქნებ ისე დაემსგავსო შენს უფროსს, ვეღარც კი შეამჩნიო ის მსგავსება. ჰო, ჰო, ნუ გაგიკვირდება, — ქალმა ნიშნის მოგებით დაუქნია თავი და წარბები შეაზიდა — შენი ძმაკაცი, ჯემალ თავდგირიძეც მომავალი იურისტია, ჩემი მტერი ჩავარდა მის ხელში, oო, რა სიმართლის დამცველი იქნება...

ნოდარი არ ელოდა ქალის ასე ერთბაშად გამოცვლას, არც ჯემალის გახსენება ეჭაშნიკა, თითქოს რაღაც საგანგებოდ მიჩქმალული გაშიშვლდა აზროვნებაში.

— შენ ხომ... — გაგრძელება აღარ ინდომა.

— მე, — ხელი აიქნია ნაიამ, — მე იქ შემთხვევით მოვხვდი, მბეჭდავი-მემანქანე ყველგან ესაჭიროებათ. კარგი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — ნერვულად ჩაილაპარაკა და ფიქრს მინდობილმა ჩამარცვლა: — არ გირჩევ, ნამდვილად არ გირჩევ...

ნოდარი დაბნეული შეჰყურებდა.

— სამხატვრო აკადემიაში რომ ჩააბარო... შენ ხომ ასე კარგად ხატავ? — გამოცოცხლდა უცებ ნაია.

— არ მიფიქრია, — რატომღაც დაირცხვინა ვაჟმა, — ბავშვობიდანვე ვოცნებობდი მამის გზას გავყოლოდი.

— ეეჰ, ეს სიყმაწვილე, ოცნება... ოცნება ოცნებად რჩება, ცხოვრება კი მიდის და მიგათრევს. თუ მაინცდამაინც, მხატვრობაზე გეოცნება...

— ვნახოთ, შევეცდები ერთმანეთს შევუთავსო... — თქვა ნოდარმა უხალისოდ და გაიფიქრა: „მმ, ჯემალ თავდგირიძეც მომავალი იურისტია. და თუ ბლომადაა ახეთი მომავალი იურისტები?“ უნებლიეთ ნაცნობი სერჟანტი ვარლამოვი გაახსენდა, რომელიც ზემდეგის სამხრეებზე უსირცხვილოდ „ნადირობდა“. ისიც იურისტობაზე ოცნებობდა, რათა შეძლებულად ეცხოვრა. „ერთეულები არ წყვეტენ საკითხის არსს...“ გაიმხნევა ვითომდა თავი, მაგრამ მიხვდა, რაღაც წმინდა და გამჭვირვალე მუქად შეიღება ნათელი ფერებით აღვსილ ოცნებაში.

ნაიას უკვე საქმიანობა განეგრძო და სევდიანად ღიღინებდა. არც ეს მისი გულგრილი განდგომა ესიამოვნა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა, ხელები ფრთხილად მოხვია და ჩუმად უთხრა:

— ნაია, ჩვენ უნდა გავუგოთ ერთმანეთს, თუ ეს გჭვავიჭირდა... მაინც უნდა შევძლოთ...

— დავიცადოთ, ახლა, შესაძლოა, ილუზიებით ვიკვებებით, დავიცადოთ... — ლოყაზე ეამბორა ნაია, მერე მოხერხებულად განერიდა და მხიარულად უთხრა: — თუ ასე ვიკინკლავეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაუზმოდ დავრჩებით, მაგ პრობლემების გადაწყვეტა მომავალს მივანდოთ, მიდი, რამე წიგნი წაიკითხე... თუმცა არა, დარჩი, მოდი, გიყურო, ოღონდ იცოდე, არ მომეკარო...

ნოდარს უნებლიეთ გაეცინა.

— რამე ხომ არ გეწყინა? — ჰკითხა გაუბედავად.

— საიდან მოიტანე?..

— რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა, — მომეჩვენა, თითქოს რაღაც ფიქრი გაწვალებს.

— უბრალოდ, ჩემი მართებული შეგონება არ გეჭაშნიკა...

— იქნებ ახეც არის, უნდა დავფიქრდე... — შვება იგრძნო ნოდარმა და ხმამაღლა თქვა: — პირობას ვდებ, ადგილიდან არ დავიძრა!

— აი, ყოჩაღ! სულ ცოტაც მოითმინე და საუზმეც მზად იქნება.

იგი სწრაფად საქმიანობდა, შიგადაშიგ სიყვარულით აელვარებულ თვალებს რატომღაც სევდიანად შეავლებდა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, ისე ჩურჩულებდა.

— კარგია, რომ ასე მალე გამოჯანსაღდი, აბა, შენ იცი, ფრთხილად იყავი, არ გათამამდე, შენს ექიმს აუცილებლად უნდა გაესინჯო, იმან უკეთ იცის შენი ამბავი... აი, მოვრჩი კიდეც... — უცებ მაჯის საათზე დაიხედა და შეშინებულივით წამოიძახა: — ახლა გამახსენდა, სამსახურში უნდა მივირბინო შვებულების თაობაზე, ჯერ კიდევ არ მაქვს გაფორმებული და... — წამით სახე დაეძაბა, — უჩემოდ ისაუზმე, — ჩატომღაც რიდით შეხედა და სამზარეულოდან გავიდა. — ერთი წუთით, მანდ იყავი. არ გამოხვიდე! — გამოსძახა მერე და ნაჩქარევად შეუდგა ხამოსის გამოცვლას.

— მეც რომ წამოვიდე?... — უთხრა კვლავ ერთ ადგილზე მდგომმა.

— არა, შენ სად წამოხვალ, გინდა შეგიბრუნოს? თანაც საცაა ექთანი მოვა... შეგიძლია გამოხვიდე...

ნაია დივანთან იდგა და ხელჩანთაში სავარცხელს დებდა.

— გესაუზმა, მოასწრებდი... — მიმართა გულდაწყვეტილმა.

ნაიას მრგვალ პირისახეზე თითქოს მთვარის შუქი დაეფინა, ხარბად შეათვალიერა მისკენ მომავალი ვაჟი და წასჩურჩულა:

— მოვასწრებ, მოვასწრებ...

მერე ახლოს მოსულს ეამბორა და უმალ განერიდა.

— აბა შენ იცი, თავს მიხედე... — დაუბარა თრთოლვით, სხარტად შებრუნდა და უზადოდ ჩამოსხლეტილი სხეულის მკვეთრი მოძრაობით კარისკენ წავიდა.

— ნაია, იჩქარე რა... — აედევნა ნოდარი.

— ვიჩქარებ, ვიჩქარებ, — დაბნეულად გამოეპასუხა აივანზე გასული და კიბე ჩაირბინა.

„ჩემი საყვარელი გოგონა, მე უნდა დავაჯერო, მე უნდა დავაჯერო, რომ სიყვარული ყოვლისმხსნელი და ყოვლისშემძლეა, უნდა დავუამო ცხოვრებისადმი შიში...“ გაიფიქრა სახლის ღია კართან მდგომმა, როცა ეზოდან გადასული ნაია ხელის აწევით გამოემშვიდობა.

მერე კარი მიხურა და წიგნების კარადას მიაშურა. გადაწყვიტა, ნაიას მოსვლამდე არ ესაუზმა და ჰემინგუეის მოთხრობების კითხვაში მოეკლა დრო, მაგრამ კითხვამ ჩვეულებისამებრ გაიტაცა. მერე უცებ იგრძნო, ნაიამ რომ საგრძნობლად დაიგვიანა. საწოლზე გაუხდელად წამოწოლილმა, წიგნი გვერდზე დადო ერთბაშად წამოდგა, ოთახები სწრაფად მიმოიარა, აივანზეც გავიდა და ქუჩას გახედა. ნაია არსად ჩანდა. ვაჟი ავბედითმა შფოთვამ მოიცვა, ეზოში კი ექთანმა ქალმა ჩამოაბიჯა, ნოდარი თავაზიანად შეეგება და შინ შეიპატიჟა.

— რად ადექი, თანაც ასე მკერდმოღეღილი გამოსულხარ გარეთ, — უსაყვედურა ქალმა და ნაია მოიკითხა.

— სამსახურში წავიდა შვებულების თაობაზე. ალბათ, მალე დაბრუნდება, — ისე უთხრა, თითქოს რაღაცაში საკუთარ თავს აიმედებდა.

— გასაგებია, და შენც გულმა არ მოგითმინა, ეეჰ, ასე იცის სიყვარულმა...

„ასე იცის სიყვარულმა, ასე იცის სიყვარულმა...“ მელოდიურად აჟღერდა გონებაში.

...და მერეც, როცა ექთანი ქალი ეზოს ჭიშკრამდე მიაცილა, ამ სიტყვებით იმხნევებდა თავს.

ნაია კი არსად ჩანდა. ერთხანს გარინდებული იდგა ეზოს თავთან და ქუჩის ხან ერთ თავს გახედავდა, ხან მეორეს.

მერე გზად მიმავალმა მეზობელმა გამოსძახა:

— მოგილოცავ, ნოდარ, გავიგე, ცოლს ირთავსო, ყოჩაღ, ყოჩაღ!

უხერხულად გაიღიმა, რაღაც მადლობის მსგავსი ჩაილაპარაკა და სახლისკენ შებრუნდა, იქითკენ მიმავალს, ერთი სული ჰქონდა, გზისკენ მიეხედა, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდა. ის იყო ოთახში შესულმა კარი მიიხურა, ჭიშკართან მანქანის გაჩერების ხმა გაისმა. რატომღაც შეცხა. კარის გაღებას მოერიდა. ფრთხილად მივიდა ფანჯარასთან და გაირინდა.

ეზოს ჭიშკართან ტაქსი იდგა, ეზოში კი ხათუნა მოაბიჯებდა. რაღაც უსიამოვნო ამბის გაგების შიში სალტესავით შემოეჭდო გულზე, ძალისძალად მოშორდა ფანჯარას და სტუმარს აივანზე გაეგება.

— გაუ! — მხიარულად შესძახა მოსულმა კიბე აირბინა და ხელის ჩამორთმევა არც კი უცდია, ისე ჰკითხა, — ხომ კარგადა ხარ?

— გმადლობთ, მობრძანდით... — თავაზიანად შეეხმიანა ნოდარი.

— კიდევ ხატავ ეშმაკუნებს, არა?... — დამატყვევებლად მოელვარე თაფლისფერი თვალები ვნებიანად შეავლო და ცბიერებით დასერილი ხმით ჩაილაპარაკა, — შენთან ნაიკოლამ გამომიშვა, — ყავისფერი პერანგის ჯიბიდან ორად მოკეცილი პატარა ფურცელი ამოიღო და კეკლუცად გაუწოდა, — მაპატიე, კონვერტში ჩადება მინდოდა, მაგრამ ვერ ვიშოვე... — იქედნურად ჩაიქირქილა.

ბარათი ნაძალადევი ხიდინჯით ჩამოართვა, გაშალა და გულათრთოლებულმა უხმოდ წაიკითხა. „ნოდარ ნუღარ დამელოდები, მე აღარ დავბრუნდები. რაც მოხდა, დაივიწყე და თავს მიხედე... გთხოვ, ძებნას ნუ დამიწყებ. ნაია“.

წესიერად ვერც კი აღიქვა ბარათის შინაარსი, ისე იკითხა:

— ნაია, ნაია სად არის?!.

— ნაიკოლა დასასვენებლად წავიდა... — საძაგლად ჩაიცინა ხათუნამ, — მოიწყინა აქ და... — იმ მოელვარე თვალებით ლამის სულში ჩასძვრომოდა.

— რა მოხდა?! — გულუბრყვილო იერით მიაჩერდა სტუმარს.

— რა უნდა მომხდარიყო, ხდება ხოლმე, — ისევ ჩაიცინა ხათუნამ, — აბა, კარგად, არ იდარდო, — კიდევ ერთხელ მოინდომა მის სულში ჩახედვა, მერე არხეინად შებრუნდა და კიბე ჩაირბინა.

ეზოს ჭიშკართან ტაქსი ელოდა.

— ხალათი, ხალათი დარჩა! — თითქოს სხვა ვიღაცამ წამოიძახა მის მაგივრად.

ხათუნა მარდად შემობრუნდა.

— რას მეუბნები, არ გინდა რელიკვიად დაგრჩეს?... — გამომწვევად გაექილიკა.

— გაგატან!.. — ბარათი შარვლის ჯიბეში ჩაიჩარა, მძიმედ შებრუნდა და შინ შევიდა.

ხალათი დივანზე ეფინა, შეპარვით შეათვალიერა და შეაჟრჟოლა, ფრთხილად აიღო, ფრთხილად დაკეცა და ფრთხილად გაახვია გაზეთში. თითქოს მექანიკურად მოქმედებდა. ეს იყო, ხალათს შერჩენილი ქალის სხეულის სურნელება მწვავე სევდად ეფინებოდა მის არსებას, მერე უცებ მატარებელზე დაგვიანებული მგზავრივით გაიჭრა აივანზე.

— ნელა, არ გამიტანო, ასე გეჩქარება მაგის მოცილება? — დაცინვით შეაგება კიბის საფეხურზე მდგომმა ხათუნამ. მოწყვეტით შემდგარს უკვე გაზეთშემოტკეცილი ხალათი ნაძალადევი კოპწიაობით ჩამოართვა და მოულოდნელად თბილად უთხრა, — კარგი ბიჭი ხარ, არ იდარდო, ხდება ხოლმე... — კოხტად შეტრიალდა და მოქნილი ნაბიჯით წავიდა.

ნოდარი ერთხანს თითქოს ზრდილობის გულისათვის იდგა აივანზე, მერე, როცა ჭიშკართან მისულმა ქალმა მოხედვა დააპირა, სწრაფად შებრუნდა ოთახში და კარი მიიხურა. ყურთან ხათუნას სიცილი ჩაესმა და კვლავ შეცივნებულივით შეაჟრჟოლა.

„შემიბრალეს, დროებით შემიბრალეს...“ გაოგნებულმა უაზროდ ჩაიცინა და კედელზე მიხატულ სურათს მიაჩერდა, მერე ჯიბიდან ბარათი ამოიღო, გაშალა, გულდაგულ გაასწორა და ლაღად ჩაიკითხა, ეგონა, ოდნავადაც არ განიცდიდა მომხდარ ამბავს. „შემიბრალეს, დროებით შემიბრალეს...“ უნებლიეთ სამზარეულოს მიაშურა, მაგიდაზე გაწყობილ საუზმეს თითქოს მადიანად შეექცა, თუმცა პირში ჩადებულ ლუკმას გემოს ვერც კი ატანდა. „შემიბრალეს, დროებით შემიბრალეს... მე კი სიყვარული მეგონა... ის უნდობლობის ეჭვიც რომ ჩამომეხსნა, იმ ეჭვმაც რომ ვერ მიერთგულა?...“

რამდენიმე საათი გაუნძრევლად იწვა დივანზე... მერე ის იყო, ექთანმა ქალმა, აივანთან ახლოს, ხმამაღლა შესძახა ნაიას სახელი.

ხმა არ გაუღია, გარინდებული, მშვიდად უგდებდა ყურს ქალის ხმას და რაღაც მივიწყებულის გახსენებას ცდილობდა. მერე ორიოდე წუთს მისი სმენა ეზოში მიკარგული ნაბიჯების ხმას მიაცილებდა. ბოლოს წამოდგა, ოთახში სიარულს მოჰყვა და რომელიღაც მხიარული მელოდიის ღიღინი წამოიწყო.

„შემიბრალეს, დროებით შემიბრალეს... მე კი სიყვარული მეგონა. დროა მივეჩვიო... დროა, იმუნიტეტი გამოვიმუშავო...“ ისე მხნედ ჩაიცინა, გაუკვირდა კიდეც.

განჯინასთან მივიდა და კუთვნილი წამლები უკლებლივ მიიღო. წამით ნაიას მოღიმარე სახე გაუკრთა თვალწინ. „ჭემინგუეი, უშუალოდ წერს, დალოცვილი...“ გაიფიქრა უნებლიეთ და საწოლ ოთახს მიაშურა.

„არადა, მაშინ იწყებდა დავაჟკაცებას...“ — სინანულით ჩაილაპარაკა, როცა საწოლზე წა-

მოწოლილმა სკამზე დადებული წიგნი აიღო და ჰემინგუეის ერთ-ერთი მოთხრობის გმირის, ფრენსის მაკომბერის ტრაგიკული სიკვდილის სურათი გაიხსენა.

მოთხრობების კითხვას გაგულისხმებული გულმოდგინებითა თუ აღტყინებით მიეძალა და სული იმ გამაწამებელი სევდისაგან საგრძნობლად განტვირთა.

კარგა ხნის მერე ექთანი ქალის ძახილს ისე მშვიდად უგდებდა ყურს და ისე გულმოდგინედ ცდილობდა რაღაც მივიწყებულის მოგონებას... მაშინღა შეამჩნია, დღის სინათლეს ბინდი რომ მოსდებოდა. ზლაზვნით წამოდგა, გაიზმორა, ერთხანს საკუთარ სუნთქვას მიუგდო ყური და როცა ექთანი ეზოს გადაღმა დაიგულა, მეორე ოთახში გავიდა, წამლები დალია. სამზარეულოში საუზმის ნარჩენებით ივახშმა და წინა ოთახში გასული კვლავ მხიარულად აღილინდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ფანტაზიის კალეიდოსკოპში გაცოცხლებულ წაკითხული მოთხრობების გმირებს უთვალთვალებდა, რაც თითქოს სევდიანად მოლაციცე სიამოვნებას ჰგვრიდა.

— დროა მივეჩვიო... დროა... — ჩაილაპარაკა მოულოდნელად მშვიდად.

აივანზე ვიღაცამ ამოაბიჯა. ფეხის ხმაზე უმალ მიხვდა, ვინც იქნებოდა და ოთახში სინათლე აანთო.

— მოდი, მოდი! — მხნედ გასძახა და ოთახში შემოსულ მეგობარს შეეგება.

— ბიჭოს! აი, რას ნიშნავს მზრუნველი ხელი, — ხელები ბეჭებზე მოუთათუნა და მხიარულად უთხრა, — აბა, ჯვივახშმია და ეს არის...

— სიამოვნებით, დავლიოთ კიდეც...

— ბიჭოს, ნაია, გესმის რას ამბობს! — სამზარეულოსკენ გაიხედა საურმაგმა.

— ნაია წავიდა, წავიდა ნაია... — ღიმილი უნებლიეთ შერჩა სახეზე.

— როგორ თუ წავიდა?! — საურმაგმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და მეგობარი ისე შეათვალიერა.

— საერთოდ წავიდა, როგორც ერთბაშად დაიწყო, ისე ერთბაშად დამთავრდა ყველაფერი... — ნოდარმა ჯიბიდან ბარათი ამოიღო და მეგობარს გაუწოდა.

საურმაგმა რატომღაც მრისხანე იერით გადაიკითხა იგი.

— ესე იგი, არ წაჩხუბებულხართ? — იკითხა დინჯად.

— არა... — თავი გადააქნია ნოდარმა და დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა: — დროებით შემიბრალა.

— დიდი ხანია მეგობრობდით?.. — დივანზე დაეშვა საურმაგი.

— არა, — გვერდით მიუჯდა ნოდარი, — სულ რაღაც ერთი კვირაა, [illegible]მ...

— მაგრამ მიესადაგეთ... ჰმ, ჩემო ძმაო, ერთი კვირა „სულ რაღაც [illegible]რის, აი რა დაუდევრად ვეპყრობით ძვირფას წუთებს. აბა ერთი უსასრულობის რომელიღაც წერტილზე წარმოიდგინე შენი თავი და იქიდან გამოხედე ჩვენს ყოფას. საუკუნეებს წამებად აღიქვამ, წლებს, ჩვენი სიცოცხლისა და ასაკის ძირითად ბიუჯეტს კი, ალბათ, ვერც შეამჩნევ... — ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. — დღესვე გადავაგდებდი, მაგრამ მეზარება, — ისე თქვა, გეგონებოდათ, ამის მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი, — არაფერია, მეც მომხვლია მაგგვარი რაღაც, ისე, კარგი გოგო ჩანდა, — ალბათ, გვარიანად შეეთვისე, მესმის, წინათგრძნობამ თუ მათქმევინა ამ დილით გამოზოგე ეგ შენი განცდები-მეთქი... არ დაგავიწყდეს, მამაკაცებს, ასე თუ ისე, მაინც ჩვენი ფუნქციები გაგვაჩნია. შეიძულე, ლამაზად ვაჟკაცურად შეიძულე, თავდაპირველად, ალბათ, მასაც მოსწონდი, მაგრამ შემდეგ ვერ დათმო ჩვეული თავისუფლება. მით უკეთესი შენთვის, ეს აღგზნება გაგივლიდა და მერე იმ ქალის წარსული გაგიმწარებდა სიცოცხლეს, ოჯახი კი რთული რამ გახლავს, ჩემო ძმაო. ოჯახს ჯანსაღი საყრდენი უნდა ჰქონდეს, იქნებ ხელის მოცარვა გაფიქრებს? რა ჰქნას კაცმა, თუ ჭარბი ვნების დაშოშმინება წრფელი, იმ დიდი და საოცნებო სიყვარულის მეშვეობით არ ხვდა წილად. ლამაზი აღგზნებაც მისას ითხოვს... შეიძულე! სიამაყე, თავმოყვარეობა მოიშველიე, შენი საქმე და მიზანი ისე განადიდე, მის მიერ მიტაცებული გრძნობა არარაობად გამოჩნდეს, რაც გინდა, ილონე, ოღონდ ძალიან გთხოვ, წამებულად არ ჩათვალო შენი თავი. თორემ მერე მობად გაიხდი ტკივილების შეგროვებას, თავს მოიწონებ მათი სიმრავლით... ბოლოს, შესაძლოა, შებრალება და შეწყალებაც გესიამოვნოს. შეიძულე, ვაჟკაცურად შეიძულე... და თუკი მაგ რომანტიკული ამბიდან ცალკეულ ეპიზოდებს დაიტოვებ მოსაგონებლად, ალბათ, უკმაყოფილო არ დარჩები. რა სჯობს მახსოვრობის ყულაბაში გადანახული ძვირფასი წუთების გაცოცხლებას. გადაინახე რამდენიმე სურათი, ტიტრებიც დაურთე და იმ მოკლემეტრაჟიან მხატვრულ დოკუმენტურ ფილმს სათაურად რომანტიკული ღამის სტუმარი დაარქვი, — საურმაგმა გულღიად გაიცინა და მეგობარს ხელი მოხვია.

მერე სადღაც, დასასვენებელ სახლში გაცნობილი ქალი გაიხსენა, მასთან გატარებული სიყვარულის დღეები და იძულებითი განშორების წუთები ლამაზად მოიგონა და აღტყინებულ

თხრობის წყალობით, მეგობარი იმ უდროოდ მოშთობილი სიყვარულისგან დატოვებულ[illegible] აზიარა.

...და მერე, შუაღამისას, როცა ნოდარი თავისდა უნებურად დარაჯობდა ღამის სიჩუმეს, როცა ლოგინს შერჩენილ ქალის სხეულის სურნელებას ებრძოდა, გონებაში გამამხნევებლად ჟღერდა: „მამაკაცს თავისი ფუნქციები აქვს... შეიძული, ლამაზად, ვაჟკაცურად შეიძულე!..“

●

მომღერალ ვაჟს საკმაოდ ემოციური ხმა ჰქონდა. სიმღერის მოყვარულს აუცილებლად შეიტყუებდა განცდებით დამტკბარი მელოდიის სასუფეველში, მაგრამ ორკესტრი ისე უხეიროდ, ისე ხმამაღლა უკრავდა, გეგონებოდათ, განგაშის ან პანიკის ატეხვა სურსო.

იაშა ლომთათიძე ერთხანს თავისი მყვირალა ბარიტონით გულმოდგინედ ცდილობდა იმ ბგერათა ალიაქოთის დაჯაბნას, მერე მოულოდნელად ბრაზიანად აიქნია მარცხენა ხელი და კედელთან მდგომ სკამზე დასკუპებულ მიმტან ქალს დაუდევრად ანიშნა, აქ მოდიო.

დაბალი, ერთობ მსუქანი და მაინც ლამაზი შესახედაობის ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხოლოდ ლომთათიძესა და მის სუფრას ემსახურებოდა, მკვირცხლად წამოხტა სკამიდან და იაშას სახემოღიმარმა მოაშურა.

— უთხარი, ეყოფათ, ხომ ხედავენ, ვლაპარაკობ, რაღას უკრავენ?! — შორიდან გასძახა „შეფმა“. თანამესუფრენი თავმომწონედ შეათვალიერა და ღვინით სავსე სირჩა მაგიდის კიდეს დააბჯინა.

ქალმა უმალ იცვალა გეზი და ვრცელი დარბაზის კუთხეში მიყუჟული მუსიკოსებისკენ წავიდა.

მალე ბგერათა ალიაქოთი და სიმღერა შეწყდა.

იაშამ მედიდურად მიმოიხედა, სირჩა წამოსწია და სადღეგრძელო, ჩვეულებისამებრ, ძალისძალად გაწელილი და როყიო სიტყვებით განაგრძო.

სუფრას ლომთათიძის გარდა, კიდევ რვა კაცი უჯდა: დენდი ამაღლობელაშვილი, საურმაგ ქელენტი, ფაბრიკის საგეგმო განყოფილების უფროსი შოთა ბლიაძე, ერთ-ერთი უბნის უფროსი გოგია ლაცაბიძე, მესამე უბნის მუშა და ამავე უბნის პროფბიუროს მდივანი ვარლამ ხუხუნაიშვილი, ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი ნიკოლოზ სულთანიშვილი, დირექტორის ახალი მოადგილე სიმონ თხილაიშვილი და მომარაგების უფროსი კოტე მოწონელიძე.

იაშა ლომთათიძე მასპინძლობდა, რადგან იმ სუფრასთან თავშეყრის მიზეზი თავად „შეფი“ გახლდათ.

იაშას, ეტყობოდა, სადღეგრძელოები შემოლეოდა და ახლა საწარმოს ხელმძღვანელობას თითქოს განსაკუთრებული ხაზგასმით ადღეგრძელებდა, მაგრამ პირადად ვის გულისხმობდა იმ ხელმძღვანელობაში, ნამდვილად ვერ გაარკვევდით. იქნებ დირექტორს, რომელიც საქმოსან ხელქვეითებთან ქეიფს, იმის შიშით, რესტორანში დახარჯული ფული მერე ქრთამად მოსაცემ თანხაში არ დამიქვითონო, მუდამ გაურბოდა. იქნებ დავით ხელაძეს, ვისაც ღვინის მსმელთა შორის მოხვედრაც კი აშინებდა, ისევ ლოთობა არ დამბრალდესო, იქნებ ფაბრიკის მთავარ ბუღჰალტერს, ვინც ღრეობას ყოველთვის საქმიან გარიგებას ამჯობინებდა... ან იქნებ ფაბრიკის სხვა თანამშრომლებს, მისი აზრით, ხელმძღვანელ მუშაკად წოდებულ ხალხს, რომლებიც იმჟამად სხვადასხვა მიზეზის გამო, სუფრასთან არ იყვნენ. აბა იქ მყოფთ ისე უცქეროდა, თითქოს ამ სადღეგრძელოში მათ სულაც არ გულისხმობდა. მერე მოულოდნელად, სიტყვა ძმაკაცობა ახსენა. გვერდით მჯდომი გოგია ლაცაბიძე გამოსარჩევი „გულისხმიერებით“ შეაქო, სხვა კოლეგები კი ისევ გამოსარჩევი „გულისხმიერებით“ გამოლანძღა:

— ჩემი მოპატიჟება რად უნდოდათ, სად გამექცნენ... კრება დამთავრებული არც კი იყო, აიწყვიტეს და... ფულის დახარჯვისა შეეშინდათ მაგ მათხოვრებს! ხელმძღვანელი მუშაკი ყოველნაირად კაცური კაცი უნდა იყო, ყოველნაირად... შოვნაც უნდა შეგეძლოს და დახარჯვაც! — თავმომწონედ განაცხადა ბოლოს.

...და თითქმის ყველა იქ მყოფმა შვებით ამოისუნთქა. მიხვდნენ „შეფს“ თავისი ყალიბის ხალხის დღეგრძელობა სურდა, ამდენს კი იმიტომ მიედ-მოედებოდა, რომ იქ მყოფთათვის, ცნობილი მიზეზის გამო, თავის „განსწავლულობა“ ეჩვენებინა. ბოლოს, როგორც იქნა, შემოთავაზებული სადღეგრძელო სრული გაუგებრობით, მაგრამ მაინც ერთხმად შეისვა.

დენდი ამაღლობელაშვილის გვერდით მჯდომი საურმაგი სევდიანად იცქირებოდა და ღრეობის გათავებას სასჯელმისჯილივით ელოდა.

მედიდურად გაბღენძილი იაშა ვილაცას ხელის აწევით მიესალმა, მერე მიმტანი ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთან იხმო და როცა მან მის მხართან მორჩილად დახარა თავი, ხმადაბლა რაღაც უთხრა. ქალი მხიარულად აკისკისდა. იაშამ ხელი ამოზვირთულ მკერდზე დაუდევრად წაატანა.

— შეეფ, ხალხია... — გაინაზა ქალი და მოღიმარე სახით გაშორდა.

— სირცხვილია... — უხერხულად შეიშმუშნა დენდი, რომელმაც ამ სურათს თვალი შეასწრო.

— თუ გინდა, ვეტყვი და ისე გაშიშვლდება, ნაჭერს არ დაიტოვებს ტანზე, მაგათ რასაც მინდა, იმას ვუზამ... — თავმომწონედ ჩაილაპარაკა იაშამ და ვიღაცას კვლავ ხელის აწევით მიესალმა...

. . . . . . .

მაღალი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა კაცი დინჯი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ. ფართონაკვთებიან სახეზე ჟანგისფერი ჭორფლი მოსდებოდა. სქელ, ქონდადებულ ტუჩებზე გამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა. უბრალოდ, მაგრამ საკმაოდ მოხდენილად ეცვა, წელზე მჭიდროდ შემოეჭირა ბრტყელი ქამარი, ალბათ, გვარიანად წამოზრდილი ღიპის მოთოკვას ცდილობდა.

ლომთათიძემ მას მოახლოება დააცალა, შემდეგ ხელები ფართოდ გაშალა, ორიოდე ნაბიჯი მარჯვედ გადადგა და მოეხვია.

— მოგვანატრე თავი, მოგვანატრე!.. — მოსული თავისუფალი სავარძლისკენ მიაბრუნა და თანამესუფრეებს ხაზგასმით განუცხადა, — ჩემი ძმაკაცია, გაუშ გოცირიძე!.. დაჯექი, დაჯექი, შენი ჭირიმე... — მიესიყვარულა ბოლოს და მიმტან ქალს თითების შეთამაშებით რაღაც ანიშნა.

— მელიან... — დინჯად უთხრა გაუშ გოცირიძემ და იქ მყოფთ მისალმების ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია.

— არ გრცხვენია?!. — განაწყენდა იაშა, — მოგვანატრე თავი და... ვინ არიან?

— არ გინდა...

— დაჯექი, დაჯექი, მივხედავთ...

ორივე ერთდროულად ჩაეშვა სავარძელში, სუფრის წევრები ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ გოცირიძეს. მხოლოდ დენდი არიდებდა თვალს. საურმაგი მიხვდა, მას სუფრის მიტოვება სურდა. ლომთათიძე ახლა უკვე ხმადაბლა ესაუბრებოდა ახლად შემოსტუმრებულს. მას კი სახეზე ისევ გამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა და მასპინძელს შიგადაშიგ ძუნწად ეპასუხებოდა. სხვები, რატომღაც, თითქოს მოკრძალების ნიშნად დუმდნენ. მალე გაუშ გოცირიძე იაშას მიერ შემოთავაზებულ მასპინძლობას გულღიად იღებდა. რამდენიმე ტრადიციული სადღეგრძელო ძალდაუტანებლად წარმოთქვა და სასმისებიც ბოლომდე დაცალა.

— ნაღდი ხარ, ნაღდი! — იაშამ მარჯვენა ხელი კმაყოფილებით მოუთათუნა ბეჭზე, როცა მან დაცლილი სირჩა მაგიდაზე დადგა და ფართო ცხვირის ნესტოებიდან ფრუტუნის მჟღავრი ხმა გამოუშვა.

— რა ვქნა, მე მაგათი... ამ ქვეყანას ეგენი ატყავებენ. ატყავებენ და ჩემისთანებისკენ იშვერენ თითს, ქვეყანა დაანგრიაო, ჩემისთანებით ინილბებიან, ჩვენ რას გავწვდებით მაგათ ნაოხრალს... იმ ჯიხვსაც იმიტომ მივამტვრიე რქები... — გოცირიძემ მადიანად ჩაიხითხითა და ქამრით გაკრული ღიპი აუძიგძიგდა.

სხვებმაც გაიცინეს.

— ნაღდი ხარ, ნაღდი... — კვლავ მიესიყვარულა იაშა და მეგობრულად სთხოვა, — მიდი, შენს ძმაკაცებსაც დაუძახე...

მისი თხოვნა გვარიანად შეზარხოშებულმა ლაცაბიძემ და ხუხუნაშვილმა მოწიწებით გაიმეორეს.

— რა ვიცი... — სავარძლიდან წამოდგა გოცირიძე, — ვნახოთ... — ორჭოფულად თქვა წასვლისას, მაგრამ მისახვედრი იყო, უკან მარტო არ დაბრუნდებოდა.

იაშამ ოფიციანტ ქალს სამი თითი დაანახვა და მედიდურად წარმოთქვა:

— ეგ იყო, ციმაკურიძე რომ გააბითურა.

დენდი ამაღლობელაშვილი ნაჩქარევად წამოდგა.

— წავალ ერთს... — დინჯად ჩაილაპარაკა მან და საურმაგს რაღაცის მიმანიშნებლად შეხედა.

საურმაგი მარჯვედ წამოდგა.

— დენდი ხამსონიჩ, პურის ჭამას ახლა ვიწყებთ! — გაოცებით აღმოხდა თამადას.

— წავალთ, ცოტას გავივლით და... — მშვიდად შეეპასუხა დენდი და წამოხადგომად შემზადებულ ბლიაძეს იმავე კილოთი უთხრა: — მოვბრუნდები, მოვბრუნდები, ყველა ერთად ხომ არ გავალთ... — მერე საურმაგს თავის გადაქნევით ანიშნა, წავიდეთო და ჩვეული მოზომილი ნაბიჯით გავიდა.

საურმაგი ფეხდაფეხ მიჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცოდეთ, გაზეთის კითხვა არ დაიწყოთ, არ გადაჰყვეთ ხელს!.. — ხითხითით [illegible] მათ თხილაიშვილმა.

დენდიმ რაღაც ჩაიბურტყუნა და საურმაგს მოხედა.

საურმაგმა იმ მხარისკენ გაიხედა, სადაც ლამბაშიძე ეგულებოდა.

ლავრენტი ლამბაშიძე ფეხზე იდგა და სუფრის თავში მჯდომ ვიღაც თავგადაპარსულ მამაკაცს მოწიწებით ადღეგრძელებდა.

„მდაა, რა დარბაისლური ლაპარაკი სცოდნია, შეხედე, შეხედე!..“ გაიფიქრა მან და გაეღიმა.

— აღარ ღირს უკვე მაგათთან გაჩერება, — ჩაიდუდუნა დენდიმ, როცა დერეფანში გავიდნენ, — მე, ალბათ, წავალ, შენ როგორც გაგეხარდება...

— მეც წამოვალ, ის კი არა, ნეტავი ადრე გამოვსულიყავით, — შეეპასუხა საურმაგი.

რესტორნიდან უკანა კარიდან გავიდნენ... გარეთ ოდნავ ჟინჟლავდა, მაგრამ სინესტე თითქოს ობივით მოჰკიდებოდა ჰაერს.

— არ მოგეშვება, თორემ ნამდვილად არ ღირს ამ იაშასთან ერთად რესტორანში შემოსვლა, ათას ოხერს აიკიდებს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დენდიმ და კოსტიუმის ღილები შეიკრა.

— ვინ არის?., — გაუშ გოცირიძეზე ჰკითხა საურმაგმა.

— მსმელი, გამრტყმელი და, ვინ იცის, კიდევ ვინ არაა. თუმცა ხანდახან ისეთ ხალხთან დაინახავ... არ გამიკვირდება, მალე სადმე სარფიან ადგილას დანიშნონ. არა, არ გამიკვირდება... — მთავარი ინჟინერი გაღიზიანებული ჩანდა. სიმთვრალე, როგორც სხვა დროს, არც ახლა ემჩნეოდა, რადგან იგი მუდამ ახერხებდა ღვინის სმისას საკუთარი შესაძლებლობის ზღვარს არ გადასცილებოდა.

საურმაგს ღვინო მოჰკიდებოდა, მაგრამ მაინც დაღლილობას უფრო მეტად გრძნობდა, ვიდრე სიმთვრალეს.

— ასეთებს ზოგიერთები ბევრად უფრო აფასებენ, ვიდრე პატიოსან ხალხს, აგერ ჩვენი იაშაც რომ პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა... დასწყევლოს ღმერთმა... — პიჯაკის საყელო წამოიწია მან — არ ვიცი, რას ფიქრობს ეს ხალხი, რისი იმედი აქვთ, — დენდი თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, — ლაცაბიძემ, მოწონელაშვილმა და თხილაიშვილმა რეკომენდაციებით მოამარაგეს. სხვებმა კი კრებაზე ცამდე აიყვანეს ქებით. მე რა უნდა მეთქვა, თითქმის ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ვიტყოდი და... ის კი არა, გიორგისაც გაუჭირდა შედავება... მოკლედ, ერთხმად მივიღეთ. გიორგი მოტყდა, რაღას იზამდა.., ყველაფერს ანგარიში გაუწია და... არ ვიცი, რას ფიქრობს ეს ხალხი, რისი იმედი აქვთ... — რესტორნის ბაღიდან გასული დენდი შედგა და ქუჩაში მომავალ „ვოლგას“ თვალი გააყოლა....

— ალბათ, ჩვენი დამყოლი ხასიათის იმედი აქვთ, — ჩაილაპარაკა საურმაგმა, დენდის წყენინება სულაც არ უფიქრია, ამ სიტყვებით თავის თავზე მიიტანა იერიში, მაგრამ ამაღლობელაშვილმა ეს მის მიმართ ნათქვამ საყვედურად მიიღო და დამრიგებლური კილოთი უთხრა:

— არც ისე ვარგა, შენ რომ წეღან იაშას პირდაპირ მოუნდომე გამათრახება, არც ისე, — კიდევ კარგი, არ გაუგონია. ეგ ისეთი კაცია, ყველაფერს იკადრებს. ეგეთი ავყია რომ დაჯაბნო, სხვა მეთოდია საჭირო, სხვა მეთოდი, ჯერ შენ თავად უნდა მომაგრდე, თავად უნდა გაიმაგრო პოზიციები. ახალგაზრდა კაცი ხარ და მომავალი წინ გაქვს. პარტიის წევრი უნდა გახდე, აუცილებლად უნდა გახდე. ჯერ იაშასთანა ხალხის მფარველებს უნდა გამოუცხადო ბრძოლა, ჯერ ისინი უნდა დათრგუნო, თუ არა, ამ საქმემ შესაძლოა, გიმსხვერპლოს კიდეც... ტყუილუბრალოდ გიმსხვერპლოს, — დენდი თითქოს აბნეულად ლაპარაკობდა, ნათლად ემჩნეოდა, საჭირო დასკვნების გამოტანა უჭირდა. აღიარა კიდეც: — მეც აღარ ვიცი, რა გირჩიო, გესმის, საურმაგ, ჩვენ ყველანი, ჩვენდა უნებურად, იმათ დინებას მივყვებით. ვიცი, ვიცი, ერთ დროს მეც შენსავით არ მღალატობდა რწმენა, მაგრამ ახლა... არა, რაღაც უნდა მოხდეს, აუცილებლად უნდა მოხდეს, რაღაც გარკვეული მიმართულება ხომ უნდა მიეცეს ჩვენს საქმიანობას. ჩვენს ურთიერთობას... ეს მახობრივი ღრეობა თუ არ შეწყდა. აჰ, არა, რაღაც უნდა მოხდეს, აუცილებლად უნდა მოხდეს, ან ისე, ან ასე... — ამაღლობელაშვილმა გზად მიმავალ თავისუფალ ტაქსს ხელი აუწია.

. . . . . . . .

საურმაგმა თავი შეაქანა. ფანჯარაში გაიხედა. „ვოლგა“ მის ეზოს უახლოვდებოდა.

— აი, აქ! — საურმაგმა მადლობა გადაიხადა და მანქანიდან გადმოვიდა. ეიშკრისკენ ღიღინით წავიდა.

სახლში შესული უკმაყოფილების გრძნობამ მოიცვა, კარადის თაროდან ჯეკ ლონდონის „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“ ჩამოიღო, მერე ახანთი მოძებნა, ზანდალზე დამაგრებული

სანთლები აანთო და ნათურა ჩააქრო. სანთლების შუქზე წიგნის კითხვას ნოდარმა მიაჩვია. ნოდარის თქმისა არ იყოს, ლიცლიცა შუქი ადამიანს ჩვეული რიტმიდან თიშავდა.

ჯეკ ლონდონის რომანი მხუბუქად იკითხებოდა და მისი გმირების ლამაზი ვნება და ცდუნებანი ხევდანარევი სიამტკბილობით ალიქმებოდა.

შუაღამისას ჩაეძინა. ისე მოწყვეტით ჩაეძინა, წესიერად ვერც კი ალიქვა, ასოებით აჭრელებულ ფურცელს როდის მოხწყვიტა თვალი.

„ნოდარ, ნოდარ!" საიდანღაც ჩაესმა, იმ შორეულმა ხმამ სიფრთხილის რომელიღაც ნერვი შეატოკა და მძინარემ მისი საშუალებით აზროვნების თვალი მოავლო წარმოსახვის ჩამუქებულ ეკრანს. „ნოდარ, ნოდარ!" არა, ეს სიზმარი არ იყო, ის ძახილი რეალური გარემოდან იჭრებოდა მის სმენაში, ერთბაშად გაეღვიძა და წამოიმართა.

სახლის კარზე ვიღაცა დაურიდებლად აკაკუნებდა.

უმალ წამოდგა, მკერდზე დადებული წიგნი ძირს ჩამოცურდა და იატაკზე დავარდა.

— ახლავე! — შეიძახა მან. წიგნი აიღო, დივანზე დადო და კარს მიაშურა.

კარი ჩაკეტილი არ იყო და ხელის კვრით ადვილად გააღო.

— მობრძანდით! — აზრადაც არ მოსვლია, სტუმრის ვინაობა ეკითხა.

ზღურბლზე ქალმა გადმოაბიჯა, ერთიანად სველი იყო, მან ოთახში წვიმის წვეთებთან ერთად თითქოს თქაფუნა წვიმის ხმაურიც შემოიყოლია.

— მობრძანდით! — საურმაგმა უკან დაიხია და სანთლების ლიცლიცა შუქზე სტუმარი დაკვირვებით შეათვალიერა.

მის წინ გალუმპული და თვალებგაფაციცებული ნაია იდგა.

შავი კაბა ტანზე მიტმასნოდა, შავი თმა სახეზე ჩამოშლოდა.

— ნოდარი, ნოდარი სად არის? — ჩახლეჩილი ხმით იკითხა მან და ოთახი მიმოათვალიერა.

— ნოდარი შინ არ ბრძანდებით, — მშვიდად შეეპასუხა მასპინძელი.

— მართლა აბასთუმანში ისვენებს? — როგორც იქნა, მზერა გაუსწორა ქალმა.

— დიახ, კარგა ხანია...

— მართალი უთქვამს... — თავის თავს გამოელაპარაკა ნაია და მოლიცლიცე სანთლებს გახედა.

საურმაგმა ელექტროჩამრთველს მიაშურა და ნათურა აანთო.

— დასველებულხართ, პირსახოცს მოგცემთ... — საურმაგი მეორე ოთახში გავიდა.

— არა, უნდა წავიდე, უნდა წავიდე, ოღონდ მითხარით, რომელ სანატორიუმში ისვენებს?

—ქალმა ნაჩქარევად დაიხია უკან და წყლით გაჟღენთილი ფეხსაცმლიდან წვეთები ამოშხეფდა.

— „ვარძიაში"... — დაუფიქრებლად უპასუხა ვაჟმა, მეორე ოთახის კარი შეაღო და სთხოვა: — დაბრძანდით, დაბრძანდით!

— არა, არა! — თითქმის შეჰყვირა ქალმა, ბორძიკით შებრუნდა და დერეფანში გავარდა.

საურმაგი უკან გამობრუნდა.

„დასწყევლოს ღმერთმა, — ჩაილაპარაკა მან და დერეფნისკენ გაემართა. — საიდან მომევლინა, სახეზე მგონი, სილურჯე დაჰკრავდა, ალბათ, ვიღაცამ სცემა, რაღაცნაირად გამოფიტული მეჩვენა. მეძავი ქალის ცხოვრებას ანსახიერებს თუ..."

დერეფანში გასულს უეცრად ვიღაც კიბეზე ამორბენილი შეენარცხა.

— მიშველეთ, „ვოლგა" ჭიშკართან დგას, მიშველეთ! — სასოწარკვეთილი ხმით შეევედრა ნაია და მკერდზე მთელი ძალით მიაწვა.

— რა მოხდა?! — ვაჟმა უკანსვლით შეაბიჯა ოთახში და მკერდზე აკრული ქალიც გაიყოლია.

— დამმალეთ, სადმე დამმალეთ, მე მითვალთვალებს... დამმალეთ!.. — ქალი ერთიანად ცახცახებდა, ეტყობოდა, შიშსა და სიცივეს ერთდროულად აეტანა.

— რა მოხდა, ვინ გითვალთვალებთ?! — ქალი ფრთხილად ჩამოიცილა და კარისკენ წასვლა მოინდომა.

— არა, ნუ გახვალთ!.. — ნაიამ თავად მიაშურა კარს, გულმოდგინედ ჩაკეტა.

საურმაგს უნებლიეთ გაეცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაია დამფრთხალივით შემობრუნდა, საურმაგი შეათვალიერა და ნერვული სიცილი აუტყდა.

— ჯემალ თავდგირიძე დამდევს, რესტორნიდან გამოვექეცი, მითხრა, ნოდარი აბასთუმანში გაგზავნესო და... — მან ეჭვით აღსავსე მზერით შეათვალიერა ვაჟი და ჩაძიებით ჰკითხა: — მართლა აბასთუმანში გაგზავნეს?

— გაგზავნეს? რა ჰქონდა გასაგზავნი, თავად წავიდა, — მხიარულად მიუგო და გაიფიქრა, „ეს ქალბატონი მგონი მთვრალი ბრძანდება“.

ვიღაცამ სახლის აივანზე მძიმედ ამოაბიჯა.

ნაია უმალ გახტა გვერდზე.

იმ ვიღაცამ კარის სახელური მოქაჩა.

— გააღეთ! — ბრძანა თავდგირიძემ.

— არა, არ გააღოთ! — შეიცხადა ნაიამ და თვალებგაფართოებული ოთახის კუთხეში მიიყუჟა.

— ნუ გეშინიათ! — მშვიდად უთხრა მასპინძელმა, გაუღიმა კიდეც.

— გააღეთ! — კარს მუშტი დაჰკრა მოძალადემ.

— დაიცა, ნუ ღრიალებ... — კართან მივიდა საურმაგი, გასაღები გადაატრიალა და განზე გადგა.

ნაიას ხმა არ დასცდენია, მხოლოდ კიდევ უფრო მიიყუჟა კუთხეში.

თავდგირიძემ მძლავრად მოქაჩა კარი, ოთახში მედიდურად შემოაბიჯა და საურმაგისთვის წესიერად არც კი შეუხედავს, ქალს ისე შეუყვირა:

— გამოდი, რაღას უყურებ, ხომ დარწმუნდი, სახლში რომ არაა, რომც იყოს, ფეხებზე არ მკიდია, მორჩა ბაზარი, ახლა ჩემთან წამოხვალ!

— არა, არასოდეს... — განწირული ადამიანივით ჩამარცვლა ქალმა.

— ვატყობ სიცოცხლე მოგწყინდა. შენი გასამაიმუნებელია ჯემალ თავდგირიძე? იმ ვაჟბატონისგან თავი დამაძვრენინე და ახლა ჩემს გაცურებას ფიქრობ?.. — ბრაზიანად ჩაილაპარაკა მან და სარქენად შემზადებული ბულასავით კისერწაგრძელებული ქალისკენ წავიდა.

— არ მომეკარო! — შეჰყვირა ქალმა, მერე უმწეოდ ასლუკუნდა და კედელს აეკრა.

საურმაგი გაშრა, ჯერ გაოცებამ მოიცვა, მერე სიფიცხე სხეულის ყოველ ნაწილში დაუკითხავად ჩაუსახლდა.

— ხელი, ხელი არ ახლო! — რისხვით წარმოთქვა მან.

თავდგირიძემ, რომელსაც ის იყო, პირისახეზე ხელებაფარებული ქალისთვის მხარში უნდა ჩაევლო ხელი, გაოცებით მოხედა ვაჟს, გეგონებოდათ, პირველად ახლა შეამჩნიაო.

— რაო?! — იკითხა დახშული ხმით.

— ხელი არ ახლო, თუ სურს, თავად გამოგყვება, ისე ხელი არ ახლო! — კვლავ მკაცრად გააფრთხილა.

თავდგირიძეს უდიერად ჩაეცინა.

— შენ ამ სახლის მდგმური ხარ, ხომ? — აუჩქარებლად შემობრუნებულმა მოზომილი ნაბიჯი გადმოდგა მისკენ, — ვინმეში ხომ არ გეშლები... — ირონიულად ჩაიცინა.

— არა, შენისთანა თავგასულ ხალხს ხშირად შევხვედრივარ, რითაც არ უნდა იყოს ვალდებული ეგ ქალი შენს წინაშე, მაინც ვაჟკაცურად მოქცევა გმართებს, — უნებლიედ ხმა გაებზარა საურმაგს.

— რაო?! — თავდგირიძეს, ალბათ, ეგონა მოწინააღმდეგე უცაბედად დაფრთხაო, მის წინ შემდგარმა, მარჯვენა ხელი თვალწინ აუქნია და გესლიანად უთხრა: — ვინა გდიხარ ერთი ეს მითხარი?!.

— ხელი ჩასწი! — უბრძანა საურმაგმა და იმ ბრძანების სისრულეში მოსაყვანად თავად შეემზადა.

— ჩაგწევ მე შენ! — გაშლილი ხელის მტევანი პირისახეზე დაუდევრად მიაფარა და მთელი ძალით უბიძგა.

საურმაგმა წაიბორძიკა, უკან გადაქანდა და დივანზე დაენარცხა.

— უხ, შენი! — აღმოხდა მრისხანედ, წამოიჭრა და მოწინააღმდეგეს ეძგერა.

ხელის დარტყმა რატომღაც სულაც არ უფიქრია. ალბათ, თავდგირიძეც ამან დააბნია და მკლავებზე ხელების შემოჭდობის საშუალება მისცა.

საურმაგმა იგი, როგორც ბავშვობაში ჭიდაობის დროს სჩვეოდა, ერთბაშად აიტაცა, გვარიანად წამოსწია და მერე ისევე ერთბაშად ქვემოთ დაიქნია.

ეროვნული

თავდგირიძეს მუხლმა უმტყუნა და იატაკზე გაიშოტა. დაცემისას იატაკს თავი დაჰკრა, სიმწრისაგან სახე დაემანჭა და საურმაგის მისამართით ურცხვად შეიგინა.

— უხ, შე დამპალო! — გასაოცარი სიმშვიდით უთხრა საურმაგმა. უპირატესობის გამოყენება არც უცდია.

ჯემალი მარჯვედ წამოდგა, თითქოს გულუბრყვილოდ შესცინა და უეცრივ მუშტი ნიკაპქვეშ ლაზათიანად ამოჰკრა.

— უხ, შე ნაბიჭვარო! — ჩამარცვლა მერე და მაგიდაზე მინარცხებულ საურმაგისკენ გაქანდა.

საურმაგ ულენტს კისრის ძარღვები მტკივნეულად დაეჭიმა, წამით გონება დაენისლა, მაგრამ მაინც სწრაფად აღიდგინა წონასწორობა, მაგიდის კიდეებზე ხელებჩამობჯენილმა სხეულს მომეტებული ბიძგი მისცა,იმავე წამს თავდგირიძის მოქნეული მუშტი აიცილა და მკერდზე მკერდით შეეჯახა.

მერე წელზე ხელები სალტესავით შემოაჭდო, ისევ ერთბაშად აიტაცა და ისევ ერთბაშად დაიქნია ქვემოთ.

თავდგირიძეს ამჯერადაც უმტყუნა მუხლმა, მაგრამ წაქცევამდე უნებლიეთ ქამარში მოხჭიდა ხელი და იატაკზე უკანალით დაცემულს, მოწინააღმდეგე ზემოდან დაენარცხა.

იატაკზე გაშხლართულმა ჯემალმა ქამარს ხელი უშვა, საურმაგს ყელში სწვდა და მაგრად მოუჭირა.

— ეხ, შე დამპალო! — ხმაჩახლეჩით წამოიძახა საურმაგმა, წამოიწია, ჯემალს თავი იატაკზე დაარტყმევინა და კისერზე მძლავრად მოუჭირა ხელი. თავდგირიძე ერთბაშად მოეშვა და მომაკვდავივით ახროტინდა.

— დაიხრჩო, დაიხრჩო! — შეჰყვირა კედელს აკრულმა ნაიამ, საურმაგს მივარდა, მხრებში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია.

საურმაგი უმალ მოეგო გონს, ხიფიცხის ბრჭყალებიდან თავი დაიხსნა. მოწინააღმდეგეს ხელები შეუშვა და წამოდგა.

ჯემალ თავდგირიძემ ძლივს ამოითქვა სული, თავზე წამომდგარს შიშით ამოხედა, მერე ძრწოლვით წამოიმართა.

— უხ შენი! — იღმუვლა უცებ და ¡ჯერ კიდევ წელში მოხრილმა საურმაგს ნიკაპქვეშ მუშტის ამორტყმა მოუნდომა, მაგრამ მან მარჯვედ დაუხვედრა მარცხენა ხელი, მარჯვენა კი მთელი ძალით სთხლიშა სახეში.

ჯემალ თავდგირიძემ ბარბაცით დაიხია უკან და ღია კარის ზღურბლთან ოთახში ახლად შემოსულივით შედგა.

— მომშორდი, შენს გზას ეწიე... — ძალისძალად გამოსცრა საურმაგმა.

— იცოდე, შიგანზე დაგახედებ... — დაექადნა ჯემალი.

— დამახედე... — უნებლიეთ გაეღიმა საურმაგს და კისრის ძარღვები მოისრისა.

— დაგახედებ... — ეს სიტყვა ისე გაიმეორა, გეგონებოდათ, გემრიელი ვაშლივით ჩაკბიჩაო. მძიმედ შებრუნდა და ათრეული ნაბიჯით წავიდა.

მალე მისი ფეხის ხმა წვიმის წვეთების შხაპუნმა შთანთქა.

ნაია ფრთხილად მივიდა კართან, სწრაფად მიხურა, საიმედოდ ჩაკეტა, შემობრუნდა და ზედ მიყრდნობილმა ღრმად ამოისუნთქა.

— გმადლობთ, გადამარჩინე... — კრძალვით მიმართა ვაჟს. სახეზე საზეიმო იერი დამკრავდა და თითქოს ერთბაშად შემატებოდა სილამაზე, უფრო სწორად, მის ჩვეულ სილამაზეს სევდის თალხი ჩამოსცილებოდა.

საურმაგმა პასუხად გაუღიმა. ახლა საოცრად მშვიდად გრძნობდა თავს, შეუცნობლად სიამოვნებდა, ქალის დაცვა რომ შეძლო.

— მე ჩემს თავმოყვარეობასაც ვიცავდი, — ჩაილაპარაკა, შარვლიდან ამოჩაჩული პერანგი შეისწორა და სანთლებჩამწვარ შანდალს გახედა, — რომ არ წაქცეულიყო... — ეგონა გაიფიქრა, ხმამაღლა ნათქვამი კი გამოუვიდა.

— მხეცი, ...უნდა ერიდოთ, ეგ არაფერს მოერიდება, იარაღი, ალბათ, თან არ ჰქონდა თორემ... — ნაია შეცბუნებით მიაჩერდა.

— თავადაც მერიდოს, იარაღს, საერთოდ არ ვატარებ და გაფიცხებული, ღმერთმა უწყის, რა იარაღს ვიხმარ თავის დასაცავად, ეს უფრო საშიშია... — ჩაიცინა საურმაგმა და მისდა უნებურად ჰკითხა, — კი მაგრამ, ასე თუ გეზიზღებათ, რესტორანში რატომ მიჰყვებოდით?

— ეგ სხვა ამბავთანაა დაკავშირებული, — ამოიოხრა ქალმა და გულისტკივილით სთხოვა, — გთხოვთ, ნუ დამკითხავთ...

— კეთილი, — თავი დაუქნია საურმაგმა და მიიპატიჟა: — მოდით, დაისვენეთ... ხულ

ეროვნული

მთლად სველი ხართ, ახლავე პირსახოცს მოგცემთ, ღამეს აქ გაათევთ, ისე წვიმს, გარეთ მაინც არ გაისვლება, — კარადასთან მივიდა, ქვედა უჯრა გამოაღო, პირსახოცი ამოიღო და მის შესაგებებლად წამოსულ ნაიას გადასცა.

— კარგად შეიმშრალეთ, თორემ ხომ იცით... აი, აქ მოისვენეთ, ქვეშაგები დივანშია, — უთხრა მის წინ შეჩერებულმა და პირსახოცი გაუწოდა.

ქალმა ხელი ფრთხილად მოხვიდა პირსახოცის ბოლოს, მერე თითქოს პირსახოცი უეცრივ დაქაჩესო, ისე გადაქანდა საურმაგისკენ, ხელები ცახცახით მოხვია და ჟინმორეულივით დაუწყო კოცნა.

მოულოდნელობისგან საურმაგი გახევდა, მერე მწველმა სიმხურვალემ ზიგზაგით გადაკვეთა სხეული.

ქალი ისე გახელებული კოცნიდა, გეგონებოდათ, გულს იოხებსო.

ვაჟი შეშინდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ახლა პირველად დაეტყო შიში, ქალს მხრებზე ხელი მოჰკიდა და ფრთხილად მოიშორა.

— შენ ხომ ნოდარს ეძებდი... — ჩაილაპარაკა ცივად და ქალს ლურჯ თვალებში ჩახედა.

ნაია შეტოკდა, ვაჟს დაბნეული მზერა მიაპყრო.

— ჰო, ნოდარს, ჰო, ნოდარს... — ნერვულად ჩამარცვლა, ბაგე მოიკვნიტა, ხელები სწრაფად აიფარა სახეზე, მერე დაურიდებლად გადაქანდა გვერდზე, როგორღაც კიდეც შეტრიალდა და დივანზე დაემხო.

ერთხანს ისე გაუნძრევლად იწვა, აზრმიხდილი ეგონებოდა კაცს.

საურმაგმაც ეს იფიქრა.

— ნაია... — წარმოთქვა ჩუმად და მისკენ წავიდა.

ქალი უცებ მთელი ხმით აქვითინდა. ეტყობა, მის არსებაში ემოციების რკალი ერთბაშად შეიკრა და ელვასავით დაკვეხა.

— მე ახლა ნოდარს ვკოცნიდი... მე ახლა ნოდარს ვკოცნიდი... — შეშლილივით აჩურჩულდა იგი.

— კარგი, დაწყნარდი, ნერვებს ჰყავხარ აყვანილი. ხდება... დაწყნარდი და მოისვენე... — თბილად უთხრა მასპინძელმა. დაიხარა, იატაკზე დაგდებული პირსახოცი აიღო, სკამის საზურგეზე გადაჰკიდა და საწოლი ოთახისკენ გააბიჯა. „გადავრჩი...“ გაიფიქრა უნებლიეთ და ულრმესი მადლიერების გრძნობით აღივსო იმ შიშისადმი, რომელმაც წეღან საკუთარი თავი შეახსენა.

●

წვრილად თოვდა. ციცქნა ფანტელებს ტალღისებურად მონაბერი ქარი ანანავებდა და სივცე თითქოს მიუსაფარი დევნილივით დაწრიალებდა. ახლა სადმე კინოთეატრის თბილ დარბაზში ყოფნა და იდუმალებით მოცული კინოფილმის თვალთვალი ენატრებოდა, მაგრამ ოცი კაპიკის მეტი აღარ შერჩენოდა. „ეხ, უფულობა... მოთმინებითა შენითა...“ უნდა ევლო, უნდა გადაღლილიყო და მხოლოდ ლოგინში ჩაწოლის წადილით აღვსილს შეებიჯებინა სახლში, რათა შიმშილის მოძალებას ნერვული სისტემა არ გადაეთელა. „ხვალ კი...“ ხვალინდელი დღე მომავლისა გახლდათ; „ეს სინესტე რომ არა...“ სინესტე ზოგჯერ რევმატიზმივით უჯიჯგნიდა სულს. სახლში უშეშობის გამო ღუმელი არ ედგა და სინესტე იქაც წვიმაში ნაგდები საბანივით ეხვია. „კიდევ კარგი, საზამთრო ტანსაცმელი რომ დროულად გამომიგზავნეს. ეგ პალტო და ყელიანი ფეხსაცმელი რომ არა...“ პალტოს საყელო წამოსწია, აღიღინდა. მერე თოვა შეწყდა და უმისამართოდ მიმავალი ზღვის სანაპირომ მიიხმო. ახლა, თითქოს მხოლოდ ინსტინქტს გახლდათ მინებებული. ეს იყო შიგადაშიგ, ცნობიერებაში, დენდი ამაღლობელაშვილის მიმართ აღძრული ეჭვი უნიათოდ ახმიანდებოდა. „...მართალია, თავად მოწოდებით არასოდეს ყოფილა საქმოსანი, მაგრამ მის გარშემო შემუშავებულმა ცხოვრების ნორმებმა, ბიზნესმენთა მიერ დაქირავებულ სპეციალისტს დაამსგავსა...“

სანაპიროზე ხალხი მიმოფანტულიყო. აქა-იქ თბილ სამოსში ჩათბუნებული წყვილები ერთურთს მიჰკვროდნენ და ქაფმოდებულ ზვირთებად დაგრაგნილ ტალღებს აღტაცებით მისჩერებოდნენ.

მზერაგახევებულს, რატომღაც, ეგონა, ზღვა ბორკილდადებულივით ილტვოდა თავისუფლებისაკენ და საშველად უხმობდა. მოუხელთებელი ჰალუცინაციით აღგზნებულმა ფეხიც კი წადგა და, როცა წყალი ფეხსაცმელზე გადაევლო, ტალღამიტაცებულივით გაიბრძოლა და უკან გამოქანდა. მოულოდნელად იმ ამოჩემებული ადგილისკენ მომავალ ბიჭუნასა და ქალს მოჰკრა თვალი. ქალი შორიახლო შედგა და ზღვას გახედა. ბიჭუნა კი მიწაში ჩამარხული რელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხის ამონაშვერს წაეპოტინა. ალბათ, ცდილობდა მოერყია, იქნებ ამოძრობაც ჰქონდა ჩაფიქრებული.

— საურ, აბა, საურ, ხომ დაისვარე?! — ხავერდოვანი ხმით წარმოთქვა ბავშვისკენ შემოტრიალებულმა ქალმა, ბიჭუნას ხელი მოჰკიდა და სამოსი შეუსწორა. პატარამ ახლა კენჭს გაჰკრა ფეხი. ეტყობა, თამაშს იყო დანატრებული. ქალმა რაღაც უთხრა, წამოიმართა, გასწორდა და ისევ ზღვას მიაცქერდა.

საურმაგი ელდანაცემივით გახევებულიყო, მერე მუხლებში ამათრთოლებელი სისუსტე ჩაეღვარა. ქალი და მის სხეულს აკრული ბიჭუნა მალულად შეათვალიერა, უნებლიეთ დაიძაბა და სულათრთოლებული, ცნობიერებით ლამის აბობოქრებულ ტალღებს შეენივთა. ემოციებით დასეტყვილი ცნობიერება მეხსიერების ლაბირინთებში გაიხლართა და ამაოდ ცდილობდა თავის დახსნას...

...და აი, უცებ, თითქოს ემოციების ტალღამ განბანა. შეუცნობლად იგრძნო, ყოველი მის შემდგომ სამიჯნურო თავგადასავალს იმ პირველი, ნაპარავი სიყვარულიდან შემორჩენილი ვნება აღვივებდა და ფერფლავდა. „საურ, საურ..." ეს სიტყვა სასიამოვნოდ უკორტნიდა აშლილ ეჭვებს. იდგა ფიქრებდაგუბებული, გეგონებოდათ, ზღვაში შესასვლელად ემზადებოდა. მერე ცნობიერების პრიზმაში ქალის ჟინიანი გამოხედვა გადატყდა. თითქოსდა სხვათა შორის მიიხედა. მზია გაოცებული მისჩერებოდა.

— მზია... — წაიჩურჩულა მან და ქალისკენ გაემართა.

ქალს ბიჭუნასათვის მოეხვია ხელი და ხევდიანად იღიმებოდა.

— გამარჯობა, მზია...

— გამარჯობა, საურ...

ხელის ჩამორთმევა არც ერთს არ უცდია.

— საიდან?!.

— ეჰ, ჩვენ ცხრა მთას იქიდან... — სიტყვა „ჩვენ" ხაზგასმით წარმოთქვა, — შენ, შენ საიდან?!.

— მე სამსახურიდან...

— ჰო..., — მზიას კიდევ რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ ჯერ ბავშვს მიჩერებული საურმაგის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სცადა. — ჩემი ვაჟკაცია...

— კეთილი... — ბიჭუნას ხარბად შეავლო თვალი და ხელი გაუწოდა.

— საბა... — დინჯად უთხრა ბავშვმა, — საური! — დაუმატა ამაყად და ხელი ხელზე შემოჰკრა.

— ბიჭოს, სეხნიები ვყოფილვართ... — წამით პატარა სეხნიას მოცინარე, თაფლისფერი თვალების სიღრმეში ჩაიძირა და უნებლიეთ ბავშვის აღნაგობასა და იერში რაღაც საოცრად ახლობელი დალანდა.

— ჰო, შინაურულად საურს ვეძახით, ხომ იცი, როგორ მომწონდა ეს სახელი... — ჩაუფიქრებლად? ბედავად ჩაილაპარაკა ქალმა და ზღვას გახედა.

ზღვა კი ზზუილით დაქანდა უკან და წამით მოთვინიერებული ავაზასავით გაინაბა.

— ვასო ხომ კარგადაა? — რატომღაც თვითნებურად დასხლტა გონებიდან. — რა ხანია აღარ შემხვედრიხართ...

— ჩვენ ხომ უმეტესად რუსეთში ვცხოვრობდით — კენჭის ასაღებად დახრილ ბიჭს სიყვარულით დააცქერდა ქალი. — ვასო დაიჭირეს, სამი თვის უკან დაიჭირეს. მისი საქმის თაობაზე აქ ერთი კაცი მყავს სანახავი...

საურმაგს არაფერი უთქვამს. დედის მეთვალყურეობის არედან გაპარულ ყმაწვილს თვალი მალულად გააყოლა და იკითხა:

— სწავლობს?..

— კი, ბებიასთან მყავდა დატოვებული, ვასომ მთხოვა, ჩამომიყვანეო და... საურ! — ძლივს გასაგონად გასძახა შვილს, — ჰო, მართლა, შენ აქ საიდან გაჩნდი?

— არ ეჭვიანობს?..

მზია აილეწა, თვალები სულ მთლად დაუელამდა, მაგრამ მაინც თამამად უპასუხა:

— ვასო ეჭვიანი კაცი არაა ან რაზე უნდა იეჭვიანოს?!. ძალზე კმაყოფილი იყო ცხოვრებით, ასეთი ოქროსავით ბიჭი ეზრდება, ეგ ამბავი რომ არა...

— რაღაცას მოახერხებს... სად მსახურობდა? — მოვალეობის მოხდის მიზნით ჩაილაპარაკა საურმაგმა.

— მომარაგებაში. შენ, ალბათ, მივლინებით ხარ ჩამოსული?

— არა, აქ ვმსახურობ, რომ ველარსად გიპოვე, მივატოვე თბილისი და...

— ვიცი, შენ რომ გოგოებთან გხედავდი, ისეთი მეგზურები ვის არ აუბნევდა გზა-კვალს, — შეხცინა მზიამ და წამოწითლდა. —ხომ არ დაოჯახებულხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეგზური მეგზურს ცვლიდა, მე კი... — იხუმრა საურმაგმა და თითქოს ახლა შეამჩნია, ქალს სიმსუქნე შესამჩნევად მოსძალებოდა და, სხეულთან ერთად, პირისახესაც დაუნდობლად მოსდებოდა.

„ხანში შედის...“ გაიფიქრა უნებურად და მყისვე ინანა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მზიამ გუმანით რაღაც იგრძნო.

— სასიამოვნოა, რომ შეგხვდი, ახლა კი უნდა წავიდე... — აჩქარდა იგი და შვილს გახედა.

ბიჭს ფეხები გაეჩაჩხა და ზვირთებად დაგრაგნილ ტალღებში ქვებს ისროდა.

— სად მიგეჩქარება?

— ხომ გითხარი, ვახოს საქმის თაობაზე ერთ ნაცნობს უნდა შევხვდე.

— გაგაცილებ...

— არა, გმადლობთ, ხომ იცი, ახლა ყველა ფრთხილობს... იქნებ შენც იმისთვის ხარ აქ ჩამოსული, ვინმეს რომ ხელი ჩაავლო?.. — უნებურად შეცბუნდა ქალი და ეჭვნარევი გამოხედვის შესანიღბად, ღიმილი მოიშველია.

— მე უკვე კარგა ხანია ამ ქალაქის რიგითი მოქალაქე ვარ, ასე რომ...

— რა ვიცი, ახლა სწორედ შენისთანა რიგითები გახდნენ საშიში, — ძალისძალად ჩაილაპარაკა მზიამ და შვილი თავისთან მოიხმო.

პატარამ რამდენიმე კენჭი ერთად მოისროლა და უხალისოდ წამოვიდა.

— კარგი ვაჟკაცი გეზრდება... — აღტყინებით წარმოთქვა საურმაგმა და გულუბრყვილო იერით იკითხა, — სად შემიძლია განახოთ?

— რა საჭიროა?!. თვალები აუელვარდა ქალს და მაჯის საათს დახედა.

— ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის ბევრი რამ გვაქვს საამბობი...

— კეთილი, — უცებ გადაწყვიტა მზიამ, — ხვალ, დილის ათ საათზე აი, აქ შევხვდეთ, ხომ შესძლებ?..

— რა თქმა უნდა...

— მაშ შეხვედრამდე... საურ, წავედით, შვილო! — წამით რელსის შვერილს ჰკიდა მზერა, ალბათ, ადგილმდებარეობის უკეთ დასამახსოვრებლად, მერე მოახლოებულ ბავშვს ხელი მოხვია და ადგილიდან დაიძრა.

— ნახვამდის, ვაჟკაცო! — საურმაგი ბიჭს ფრთხილად მიეალერსა.

— ნახვამდის! — ომახიანად გაეპასუხა იგი და გამომშვიდობების ნიშნად ხელი მოხდენილად აღმართა.

მზიასა და საურმაგს ერთხმად გაეცინათ, მერე ქალი რატომღაც შეცბუნდა და ნაბიჯს აუჩქარა.

უკან აღარ მიუხედავს, შვილს რაღაცას გულმოდგინედ ეჩურჩულებოდა.

„ალბათ, ჩემს ვინაობას აცნობს...“ გაიფიქრა მარტოდ დარჩენილმა. ბიჭუნას კვლავ ხარბად შეავლო თვალი და წამით მოცინარე, თაფლისფერი თვალების სიღრმეში ჩაიძირა. წარმოსახვაში ბავშვობისდროინდელი სურათები ამოტივტივდა. მერე უეცრად მის არსებაში სრულიად უცნობი ნერვი აძგერდა და ემოციების სათავისაკენ იმპულსები დაგზავნა.

მალე დედა-შვილი თვალს მიეფარა, ის კი ისევ იმ ადგილას იდგა და მზერაგახევებულს ეგონა, ტალღები თავს ევლებოდნენ.

სანაპიროს ბინდი მოედო, ზღვის ჰორიზონტი მიწისფრად შეისუდრა.

მესაზღვრე ჯარისკაცების მძიმე ნაბიჯებმა ქვიშაააჩხრიალა.

საურმაგმა პირი იბრუნა და ფეხათრევით გააბიჯა. გზად რელსის შვერილთან შეჩერდა და წუთით, როგორც ცოცხალ არსებას, ისე მოუალერსა.

„საურ, საურ...“ ეს სიტყვა კვლავ სასიამოვნოდ უკორტნიდა აშლილ ეჭვებს.

მიდიოდა და იღიმებოდა, თან წარმოსახვაში მოლიცლიცე ბიჭუნას ორეულს გონების თვალით უთვალთვალებდა.

ხეივანში თითქმის ბნელოდა, მხოლოდ რესტორნის შემოგარენი იყო შუქდაფენილი. რესტორანში ვიღაც არაქათგამოცლილი ხმით მღეროდა ძველებურ რომანსს, რაღაც კი გაიფიქრა მადიანად დანაყრებაზე, ოღონდ შიმშილის მოძალება არ უგრძვნია.

შენობასთან თავშეყრილ მამაკაცებს შორის წამით ვიღაცის ნაცნობი იერი დალანდა, მაგრამ გონებაში ისევ ბიჭუნას ორეული ლიცლიცებდა და მამაკაცის შეცნობა ვერ შეძლო.

ის ნერვი კი კვლავ განუწყვეტლივ გზავნიდა იმპულსებს ემოციების სათავისაკენ და საიდანღაც დარხეული პაწიას ჟღურტული სმენას ატყვევებდა.

მოულოდნელად ის ჟღურტული ვიღაცის როყიო ხმამ გაჰკვეთა.

— ბიჭო! — გაისმა ზურგს უკან.

აუჩქარებლად მიბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორნი იყვნენ. ასე, ოც წელს მიტანებული ბიჭები. ტყავის ქურთუკები ეცვათ.

ხმა არ გაუღია და არც ხელები ამოუღია პალტოს ჯიბიდან. ახლოს მისულები შეძლებისდაგვარად შეათვალიერა.

არც იმათ ამოუღიათ ხმა, ორივემ ერთდროულად მოიქნია ხელი და საურმაგ ეღენტი გვარიანად შებარბაცდა, ოღონდ არ წაქცეულა, ბედად მაგნოლიის ხეს მიეყრდნო. მერე სახუზრად მივარდნილ ბიჭებს ხელები მძლავრად მოხვია და ერთმანეთს შეანარცხა, მათმა თავებმა თითქოს გაიჯახუნეს.

— უჰ, შენი... — შეიგინა ერთმა, ხელიდან დაუძვრა და მარცხენა ბეჭს ქვემოთ, რაღაც სადგისივით გამჭოლად ჩაასო. — აბა, პლეტი... — ჩაიხიხინა მყისვე და ძმაკაცთან ერთად სიბნელეში გაუჩინარდა.

— საით, თქვე დამპლებო!.. — კბილებში გამოსცრა საურმაგმა და უცნობებს მხნე ნაბიჯით გამოედევნა, თან პალტოს ღილების შეხსნას შეეცადა.

უეცრად იგრძნო, ზურგზე ცხლად ეღვრებოდა სისხლი. მერე სისხლის ის სითბო მწველი ხანგივით მოედო მთელ მის არსებას. მკერდში რაღაც ცივად გაიკლაკნა და ცნობიერება ბურუსით შეიხუდრა.

და უცებ სანატრელ წყარომდე მიღწეულ, დაოსებულ მეუდაბნოესავით მოწყვეტით ჩაიმუხლა.

●

მაცთუნებლად ქათქათა თოვლი ხევში ზვავივით ჩამოწოლილიყო. ...და სახეტიალოდ სულანთებული ნოდარ დიდებულიძე შიგადაშიგ ჰიპნოზირებულივით გაირინდებოდა ხოლმე, მოულოდნელად ფიჭვის ტოტზე შემოსკუპებულ ციყვს მოჰკრა თვალი და იმას მიაჩერდა. ციყვს წინა ფეხები წამოეწია და პირს აცმაცუნებდა, ერთხანს თითქოს გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ ერთმანეთს. ბოლოს ნოდარს გაეცინა.

— ჰაიტ, შე მართლა ციყვო! — ჩაილაპარაკა.

ციყვი ტოტებში მიიმალა, ნოდარმა ჯიბიდან საურმაგის წერილი ამოიღო და ერთხელ კიდევ გადაიკითხა. სიტყვები „მომენატრე“ და „ძალზე ნუ გაყალთაბანდები...“ მალამოსავით მოეფინა მშფოთვარე სულს. „ჰო, ჩამოვალ... მალე ჩამოვალ, ჩემო საურმაგ... აკი, მაიორმა ჯარდეევმა გამაფრთხილა, ჩაბერვას ნუ დაეხარბებიო. ნაია...“ წამით გაირინდა, მიხვდა, ეს სიტყვა კარგა ხანია ითხოვდა გამოჩენას. მკერდში შემოძურწული სევდა ბლაგვი საცეცებით რაღაც შეუცნობს დაეპატრონა. სწრაფად შებრუნდა და გაიქცა.

სანატორიუმ „ვარძიის“ დამსვენებლები, ჩვეულებისამებრ, მიუყვებოდნენ მდინარე ოცხეს ორივე ნაპირს. სალარიძე გემოვნებით ჩაცმულ დამსვენებელ ქალებთან ერთად მოაბიჯებდა და რაღაცა ამბავს ჩვეული ექსტაზით ჰყვებოდა. შემთხვევით მუხასთან შემდგარი ნოდარი დაინახა და თანამგზავრებს გამოუმშვიდობებლად ჩამოშორდა, ქალებმა გაოცებული მზერა გამოაყოლეს. ჩია ტანის ვაჟი იყო, რომლის პორტრეტსაც წინწამოწეული შუბლი, ოვალური სახე და ციმციმა თვალები მეტად თავისებური შტრიხებით ავსებდა. ცნობილი პროფესორის ერთადერთი ვაჟი გახლდათ. თავის დროზე უნივერსიტეტის რომელიღაც ჰუმანიტარული ფაკულტეტის კათედრაზე უფროსი ლაბორანტის თუ ასისტენტის ადგილი ეჭირა. ფათერაკების მოყვარული კაცი იყო, ძნელად შესაცნობი. სადავო საკითხებიც ისევე იტაცებდა, როგორც რომელიმე იაფფასიანი დეტექტივი. ერთი, ნახევრად ბურუსით მოცული ბიოგრაფიის მქონე ქალის ცხოვრების ეპიზოდებს იცნობდა, რითაც ხშირად გამოსარჩევად ამაყობდა. იშვიათად ჰგუობდა ვინმეს, ნოდარს კი გაცნობისთანავე დაუახლოვდა და თავისი „დისკუსიების“ თანამოზიარედ გაიხადა.

— იმედაიშვილის ქალი მიიცვალა, პირდაპირ ხელებში ჩაკვდომია იმ ბიჭს. კიდევ კარგი, გაზდილი არ ჰყავდა. მერედა, რა ქმარი ჰყავს, ლინგვისტი ბიჭია, დოქტორი... — აღმართი ამოათავა მან და ფერდებათახთახებული შედგა.

. . . . . . . .

— ნოდარ, — მდინარის ნაპირზე მაღალი ვაჟი იდგა. — ჩქარა, ექიმი გელოდება, დაგავიწყდა ჩასაბერი რომ ხარ?

— ახლავე! — ნოდარი წასასვლელად შეემზადა, მაგრამ სალარიძის მიტოვება ეუხერხულა და წამით შეყოვნდა.

— დიდებულიძე, გელოდებიან! — კვლავ დაუძახა ვაჟმა.

ნოდარმა სალარიძეს ბოდიში მოუხადა და თავდაღმართში დაეშვა.

„შემეცნების წახნაგები...“ — იგი მალალფეხა ვიწრო საწოლზე იწვა და გარინდებული, ყურს უგდებდა საკუთარი გულის ძგერას. — „...და მართლაც რომ შესაძლებელი იყოს ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადანაცვლება...“ ექიმმა, ადრე დაქვრივებულმა, მომხიბვლელი გარეგნობის ქალმა, [illegible] თითებით დაჭიმა და ზედ ნემსი მარჯვედ დაჰკრა. ნემსი ნეკნთან ჩახრიალდა. „შემეცნების წახნაგები... დედაჩემმა გადაინაცვლა, გადაინაცვლეს სხვებმაც...“ ბაერი სისინით შედიოდა მკერდში... ლამაზ ქვრივს მრავალი მამაკაცი ეტრფოდა და ნოდარიც მასთან სიახლოვისას უნებლიეთ საეჭვოდ ირინდებოდა. იმ გარინდებაში სიცოცხლე ფეთქავდა. სიცოცხლე, რომელიც ვნების იმპულსების ულევი მარაგის წყალობით, ყოველგვარ მიწიერ ტკივილს აყუჩებდა.

„...შემეცნების წახნაგები...“ შემობრუნდა და ხეივანს მიაშურა. მოულოდნელად თითქოს დაღამდა, ისე მოებრიცა თვალები, ფიჭვნარში, ვიღაც მალულად მოთვალთვალე დალანდა. გაირინდა, მის არსებაში რაღაც შემაცბუნებელი თუ შიშის მომგვრელი ამოიწვერა, სხეული დაიძაბა და ათრთოლდა. ნაცნობმა სიმებმა სულის სიღრმეში ერთმანეთის მიყოლებით იწყეს ჟღერება. პირველად რაც მშველელად მოევლინა, სიტყვა „მოლანდება“ იყო. მერე უეცრად შეაძრწუნა იმედის გაცრუების შიშმა და მარჯვედ გაიბიჯა. ცნობიერებაში იმ ვიღაცის სახე ლიცლიცებდა და თოვლი ცისფრად ციმციმებდა. ის იყო... მაღალყელიანი ჩექმები და წელში გამოყვანილი პალტო სასიამოვნოდ ნიღბავდა შხვართალა ტანს. ვიწრო ბილიკი ქალწულის ქათქათა გულისპირზე აკინძული მძივის წყებასავით გასდევდა თოვლს, ხოლო იმ მძივზე უძვირფასესი ქვის შესადარი, რომანტიკულად მოვლენილი ქალი გახლდათ.

ერთბაშად მოსწყდა ადგილს, თითქოს ალმოდებული სხეული ჩასაქრობად გაიტაცა. მან კი, ნუკრივით ყელმოღერებულმა, დაფეთებული თვალები მიანათა და ტყისკენ იბრუნა პირი. გახელებული მისდევდა, ხმის ამოღება არ ძალუძდა. ქალი ლამაზად არბოდა ფერდობზე, მერე გაივაკა და მოულოდნელად თოვლში ღრმად ჩაეფლო, ნაჩქარევად მოტრიალდა და სახეწარკვეთილი მზერა მიაპყრო რაღაცნაირი სისწრაფით და ჟამით მომავალს.

პაწაწინა მინდორი გახლდათ. გეგონებოდათ, ვიღაც გოლიათს ჟინის მოსაკლავად მთის ფერდობი ამოუჯიჯგნიაო. მინდორს თოვლი თეთრად მოელვარე ზეწარივით ეფინა და იმ სიქათქათეში გარინდებული ქალი ფრთამოტეხილ ჩიტუნას ჰგავდა.

ვაჟი ბექობზე შლეგივით ავარდა, ტორტმანით შეძვა, ქალს თვალებამღვრეული მიაშტერდა. ქალმა ღიმილი ხცადა და თვალები როგორღაც ცის საწიერივით უკიდეგანო გაუხდა.

— მიბრაზდები? — გულუბრყვილოდ იკითხა.

— ისე უსინდისოდ რად მიმატოვე?..

— არ მიღალატნია, მე შენთვის არ მიღალატნია! შემეშინდა, ჩემი გულისთვის რაიმე ფათერაკს არ გადაჰყროდი...

მას შემდეგ, რაც იდუმალების წვდომის ჟინი გულში ამოტვიფრულ გრძნობას დაეცხრა და სიტყვა ღალატი თქარუნით გაეცალა, ქალ-ვაჟის სასიყვარულო ლტოლვა თითქოს ერთ ბედქვეშ მყოფი მონების ტრფიალს ემსგავსებოდა.

— ალბათ, ჩემს ალსარებას ელოდები?

— ველოდები, ჩარიგ მწარეც არ უნდა იყოს, სიმართლე მაინც უნდა ითქვას.

— გაუძლებ?

— გავუძლებ...

— ვფიქრობდი, დავუდარაჯებ, წუთით თვალს შევავლებ და უმალ გავეცლები იქაურობას-მეთქი, მაგრამ ხეივანში მოულოდნელად რომ გადაგაწყდი და რომ დამედევნე, მგონი შევშინდი კიდეც... მაშ, სიმართლის მოსმენა მოგინდა?.. სილამაზემ და დეიდაჩემის ვერაგობამ დამღუპა, თუმცა ჩემი თავქარიანობის ბრალიც იყო... თაყვანისმცემლებისგან განებივრებულს საცნაური დამეკარგა. ისე გავხდი დეიდაჩემის რჩეულის, ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის საყვარელი, წესიერად ვერც კი ალვიქვი, რა ჩავიდინე, იმ ვაჟბატონმა ჩემი გულისთვის ცოლშვილი დატოვა და მერე, ერთ ბედნიერ დღეს, კარტში წამაგო, თავად კი გაილოთდა. ახე მომიტაცა ვიღაც ცნობილმა ქურდმა. მთელი ორი თვე სადღაც, ქალაქის (გარეუბანში, ვიღაც თანამდებობის პირის აგარაკზე ვყავდი გამომწყვდეული. ერთი საშინელი შესახედაობის ქალი მდარაჯობდა, როცა გავუძალიანდებოდი, მოურიდებლად მცემდა. ბოლოს იმ ვაჟბატონს ჩაავლეს, ახლა მილიციის მაიორი დარვინ დოლაბაძე მომევლინა მფარველად. ისე ვიყავი დამფრთხალი, არც გავძალიანებივარ. სანამ გონს მოვიდოდი, თავისთან, სამმართველოში დამაწყებინა მუშაობა. ბინაც დამიქირავა, მერე მრავალჯერ ვცადე მისგან გაქცევა, მაგრამ ჰე... სად არ მიუწვდება ხელი. და როცა ხათუნამ ჯემალ თავდგირიძე გამაცნო და მითხრა, ეგ ისეთი მამის შვილი და ისეთი ბიჭია, დოლაბაძის კლანჭებიდან აუცილებლად გიხსნისო, იმედი მომეცა, ჯემალმა კი...

— ჩემგან რაღად გაიქეცი?

— მაიორმა რაღაც გაიგო, სახლში ჩამკეტა და დამექადნა, იმ შენს რაინდს ციხეში ამოვალპობო.

— და ჩემი გადარჩენა გადაწყვიტე?.. ჰმ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შევშინდი, იმისი შემეშინდა, რომ დაგღუპავდი. თან ვიფიქრე, ორივე ჟინს ყვავილით ატორლიალებული-მეთქი. მაგრამ, როცა საურმაგმა ხელი მკრა...

— საურმაგმა?!

— ჰო, თავდგირიძე კვლავ დახმარებას მპირდებოდა, ვიფიქრე, რაინდობა გადაუწყვეტიამეთქი, მაგრამ თავდაპირველად ისიც ჩემს დაპატრონებას შეეცადა. რესტორანში ვისხედით, ვითომდა ჩემი დახსნის გეგმის შესადგენად, შენი თავი შევახსენე, დაცინვა დაგიწყო. შევძრწუნდი. შენი ადგილსამყოფელის გაგებამ ხულ მთლად გადამრია. თავდგირიძე გამოვლანძღე და გამოვექეცი. გვიან მივხვდი, კვალში რომ ამედევნა, საურმაგმა მიხსნა. ბედად, სახლში დამხვდა... კინაღამ დაახრჩო ის ვაჟბატონი... მერე... მერე კი... — წამით რაღაც შორეულ ხმას მიუგდო ყური.

ნოდარი შეტოკდა, ეგონა, მიწის სიღრმიდან ტერფებზე ვეებერთელა ურო ამოჰკრეს...

ნაიამ თვალი შეავლო მის ფერდაკარგულ სახეს და სათქმელის დამთავრება იჩქარა.

— სასოწარკვეთილიც ვიყავი, თითქოს გამარჯვებასაც ვზეიმობდი. მოკლედ, გიჟს ვგავდი. მადლიერების გრძნობით აღვსილი საურმაგს მოვეხვიე. რატომღაც მეგონა, შენ გეხვეოდი. საურმაგმა ცივად მომიშორა, და, ღმერთო ჩემო... მივხვდი, მას შენი სატანჯველი ადარდებდა, შენ კი... დილით უჩუმრად გავიპარე და შინ მისულმა თავი მოვიწამლე.

— თავი მოიწამლე? — ნოდარი კვლავ შეტოკდა, კვლავ ეგონა, მიწის სიღრმიდან ვეებერთელა ურო ამოჰკრეს.

— ჰო, მაგრამ უხეიროდ, კარგა ხანს ვიწექი საავადმყოფოში. დოლაბაძე ერთხანს დაფრთხა. ბოლოს, გამოკეთება რომ შემატყო, მომინახულა და, ღმერთმა უწყის, რას არ შემპირდა. ცოლად გაყოლაც კი შემომთავაზა. ჰმ, ალბათ, ეგონა, ჩემი გულისთვის მოიწამლა თავიო. საავადმყოფოდან გამოსული სამსახურში გავედი თუ არა, უმალ საშვი ვიშოვნე და აქეთკენ გამოვეშურე. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. ვიფიქრე, თვალს შევავლებ-მეთქი...

— კარგად კი შემავლე...

— თავის შებრალება, ალბათ, შევძელი, რას იტყვი, როგორი მოხასმენია კახპის აღსარება? — ჩაიცინა ქალმა.

— გაჩუმდი, ეგ სიტყვა აღარ გამაგონო!

— მერედა, ზიდავ ამოდენა ტვირთს, გაუძლებ ხალხის დაგესვლას, დამამცირებელ გამოხედვას?..

— მომავლით წარსულსაც შეიძლება ეშველოს, მე ახლა უფრო მტკიცედ ვგრძნობ თავს, ვიდრე ამ წუთებამდე. აბა, აბა, ეგ კი სრულებით არაა საჭირო! — მან ასატირებლად შემზადებულ ქალს ხელები მოხვია.

უეცრად ქალის კისკისი და ვაჟის ყიჟინა გაისმა.

ხეივანში თხილამურებზე შემდგარი ტანასხლეტილი ვაჟი და გოგონა მოსრიალებდნენ.

ნაიასა და ნოდარს რაღაც გულუბრყვილოდ გაეხარდათ და ერთმანეთს ძალუმად მიეკვრნენ.

— შენ, ალბათ, არც კი გისაუზმია? რესტორანში წავიდეთ. მერე კი ამოწერაზე ვიზრუნებ...

— ნოდარ, არ გინდა ნოდარ!..

— ნუ გეშინია, შესანიშნავად ვარ, ისედაც წამოსვლას ვაპირებდი, — ვაჟმა ქალი მარჯვედ აიტაცა და ფერდობზე დაშვებას ფრთხილად შეუდგა.

— ნოდარ, ნოდარ... — მკერდთან გატრუნულმა ნაიამ სიყვარულისგან გათანგული გულის ძგერას მიუგდო ყური.

„ყოველ ადამიანს თავისი წილი სიყვარული მოჰყვება ამ ქვეყანაზე, ყოველ ადამიანს თავისი წილი სიყვარული მოჰყვება ამქვეყნად...“

მერე დაუდეგარი გოგო-ბიჭივით გარბოდნენ.

— არ გინდა, ნოდარ, რესტორანში ნუ შევალთ... — გაძალიანება სცადა ნაიამ.

— ნუ გეშინია, არ გამაკოტრებ, რესტორანი კი აქვეა... დაიმედა მან და, ბედნიერების „ტყვეობაში“ მყოფს, ხელი მაჯაზე მოხვია.

რესტორანი მართლაც იქვე გახლდათ, ხიდის გავლა იყო საჭირო და ერთსართულიანი, ოვალური ფორმის შენობის აივანზეც აბიჯებდით.

ვრცელი დარბაზი სანახევროდ ცარიელი იყო. ნაიამ კუთხის მაგიდა აირჩია.

მიმტანი ჩამოთლილი ცხვირის ბოლო დამღასავით რომ აჩნდა, რჩეული მანერების წყალობით მიმზიდველიც კი გეგონებოდათ.

— გმადლობთ, გმადლობთ... — რატომღაც დაიმორცხვა ნოდარმა, როცა მან შამპანური ოსტატურად გახსნა და ჭიქები შეავსო.

— თუ კიდევ რამე დაგჭირდეთ, აქვე ვარ, — თავი დაუკრა მიმტანმა და წავიდა.

— გადასარევი კაცია, არც შენი გახელებით უსარგებლია ზედმეტად, მაინც, რად გინდოდა ამდენი რამ?! — საყვედურის თქმა სცადა თვალებაციმციმებულმა ქალმა.

— ჩვენი ბედნიერებისა იყოს!.. — შეეპასუხა ნოდარი და ჭიქა წამოსწია.

— ჩვენი ბედნიერებისა!.. — შესჩურჩულა ქალმა და მოჯადოებულივით მიაჩერდა.

მერე მადიანად ილუკმებოდნენ, ერთმანეთს შესციცინოდნენ, ერთმანეთის თბილ გამოხედვაში ნებივრობდნენ და მხიარული საუბრით ბედისწერის განჭვრეტას ლამობდნენ.

...და უცებ ნაიას შემცივნულივით შეაძაგძაგა, დარბაზის შემოსასვლელს დამფრთხალი მიაჩერდა.

შემოსასვლელთან მდიდრულად გამოწყობილი მამაკაცები იდგნენ.

ორივე დაბალი და მხრებჩამოყრილი იყო. ოღონდ ერთი უფრო მიმზიდველი ჩანდა, მეორე კი, ორმოც წელს გადაცილებული, ლოყებწამობერილი მამაკაცი ამპარტავნულ იერს ძალისძალად „იმშვენებდა".

„დოლაბაძე..." თავისდა უნებურად გაიფიქრა ნოდარმა და გაფერმკრთალებული ნაია დაამშვიდა.

— ნუ გეშინია, მე მოველაპარაკები...

— ბოდიში, — ეს მიმტანი გახლდათ. ახლა რატომღაც კეტდანარტყამივით იგრიხებოდა. მონდომებით ცდილობდა ორივესთვის ერთდროულად შეეხედა, — ბოდიში, იქ თქვენი ნაცნობებია და გთხოვენ ,— წამით ნაიას მიაბჯინა მზერა და გაილრიჯა.

— გასაგებია, — ჩაიჩურჩულა ქალმა. — გარეთ დამიცადონ!

ნოდარმა მრისხანედ გახედა მამაკაცებს.

დოლაბაძეს ირონიული ღიმილი ამოტვიფროდა სახეზე.

ნოდარი დინჯად წამოიმართა.

— დამშვიდდი, ნოდარ, ოღონდ შენ დამშვიდდი, მე გავალ, ხომ არ შემჭამენ? რადაც უნდა დამიჯდეს, მაგის კლანჭებიდან მაინც დავიხსნი თავს. ოღონდ შენ დამშვიდდი, რამე შარში არ გაგხვიონ, — ნაიამ წამოდგომა დაასწრო, მუდარით აღსავსე მზერა მიაპყრო, მერე ფრთხილად შებრუნდა და კარისკენ წავიდა.

ნოდარი ერთხანს გახევებული იდგა და საკუთარი თავისადმი აღძრული საიდანღაც მოხეტებული ზიზღის დაძლევას ცდილობდა, ბოლოს ერთბაშად მოსწყდა ადგილს...

ნაია შენობის წინ მდგომ „ვილისთან" იდგა და მანქანის ფრთას მიყრდნობილ დოლაბაძეს სახეარეული ელაპარაკებოდა. „ვილისის" საჭესთან მჯდომი ახალგაზრდა მათ ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა.

ნოდარმა კიბე ჩაირბინა და დოლაბაძეს ჯიქურ მიადგა.

— ერთხელ, ერთხელ მაინც გამოიჩინე ადამიანობა! — დაჟინებით სთხოვდა ნაია.

— აჰაა!.. — მძიმედ ამოთქვა ბატონმა დარვინმა და დიდებულიძე ამრეზით შეათვალიერა. — აბა, რას გვიბრძანებ, ვაჟბატონო?

— მე ნაიას მეუღლე ვარ! — მშვიდად გაეპასუხა ნოდარი.

— ხე,. ხე, ხე... — ჩაიხიხვინა დოლაბაძემ. — ყოჩაღ, ბიჭიკო! როდის მოასწარი? აბა, ხელიც გექნებათ მოწერილი...

— ჯერ არა, მაგრამ... — უნებურად აილეწა.

— გადარჩენილხარ... — გაწელვით ჩამარცვლა დოლაბაძემ, — მორიგი მსხვერპლი... — სარკასტულად შესცინა ნაიას და უცებ ვაჟს მთელი ხმით შეუყვირა: — თუ იცი, ვაჟბატონო, ვინ არის ეს ქალი, ვის მოქსოვილ ბადეში გაები?

— ვიცი... — თვალებში შეაჩერდა ნოდარი.

— მაშინ შენც ჩვენთან ერთად წამობრძანდები!

— არა, არ გინდა, ნოდარ! — ისე წარმოთქვა ქალმა, გეგონებოდათ, საიდანღაც შორი მანძილიდან ეძახისო, — მაპატიე, არ უნდა ჩამოვსულიყავი, ვნახოთ, თუ თავი დავიხსენი, მე თავად მოგძებნი, — წამით იგი შეშლილს დაემსგავსა, ლურჯ თვალებში ბურუსის მაგვარი ხიმუქი ჩაუგუბდა, მერე გვერდზე წატორტმანდა, „ვილისის" კარი გამოაღო და მანქანაში ჩაჯდა.

— არა, მეც წამოვალ!.. — დაადევნა ნოდარმა და დარვინს კვლავ თვალებში შეაჩერდა.

— ბიჭო, შენ თუ იცი, ვის ელაპარაკები?! — ილრიალა მაიორმა.

— ვიცი... მილიციის მუშაკს, — უნებურად რიდით წამოიწყო. იქნებ კიდეც გაუკვირდა, ასე რომ ეურჩებოდა. მილიციის მუშაკებისადმი ხომ მუდამ ნდობით გახლდათ განწყობილი. იქნებ მამაც გაახსენდა.

— მილიციის მუშაკს კი არა, მაიორს! შე ლაწირაკო, მუხლისთავებს უნდა მიკოცნიდე, ასე სუფთას რომ გიშვებ. შენ აქ სამკურნალოდ ხარ ჩამოსული თუ დროს გასატარებლად? მთავრობა ფულს ხარჯავს შენზე და რესტორანში ქეიფს გირჩევნია, ეგ ჰლექი მოიშორო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მეც წამოვალ... — მძიმედ ჩაილაპარაკა ნოდარმა.

— ჯერ მიდი, ოფიციანტს ანგარიში გაუსწორე, — თითქოს დაუყვავა დოლაბაძემ და რესტორანის კართან მდგომი მიმტანისკენ მიახედა.

ნოდარი არც კი დაფიქრებულა, ისე შეტრიალდა და კიბე აირბინა.

— გამოგიშვეს?.. — მხიარულად შეეგება ცხვირჩამოთლილი მამაკაცი.

— რამდენი?.. — ჯიბიდან ამოღებული ფული, რატომღაც, ხელებში გადაანაწილა.

— ოცდაოთხი და ორმოცი...

ოცდახუთი მანეთი მიუთვალა, მადლობა დაუფიქრებლად გადაუხადა და პირი იბრუნა.

„ვილისი" თავდაღმართში ეშვებოდა.

— ნაია! — იყვირა განწირულივით და აივნის მოაჯირს გადაევლო.

„ვილისი" გზატკეცილზე გაიჭრა.

ერთხანს არაქათის სრულ გამოცლამდე ირბინა. მერე მდინარის პირას აღმართული ცემენტის ჯებირზე იჯდა, სულს ძლივს ითქვამდა და თვალებს დამთხვეულივით აბრიალებდა.

„შველა, შველაა საჭირო!.." დაიძაბა, თითქოს შემჭიდროვდა. „მისმინე ნაია, მისმინე. მე ვარ, ნოდარი!" დანაწევრებით ჩამარცვლა ცნობიერებაში, ეგონებოდა, ეთერში გაღწევას ლამობსო, თვალებიც კი დახუჭა.

ნაია თეთრ კედელთან იდგა, მერე კედელზე სხვადასხვა ჯურის ფორმულები გამოისახა და ქალის სხეულზე ობობას ქსელივით გადაიქსელა.

კვლავ დაიძაბა, ერთბაშად დაკარგა საკუთარი სხეულის შეგრძნების უნარი.

„მისმინე ნაია, მისმინე... მე ვარ, ნოდარი!" ახლა მთლად ტელეპატს ჰგავდა. ცნობიერებაში ნაიას ხმა აშარიშურდა. რომელიღაც ნერვი უთავბოლოდ გაიწელა იმ ხმის აღსაქმელად, სულის სიღრმეში მწველი ტკივილი ჩაეღვარა. „შველა, შველაა საჭირო..." მერე სულაწეწილი, ღმერთმა უწყის, რაზე არ ფიქრობდა, მაგრამ იმ ატმოსფეროდან გაღწევის სურვილი ყველა სხვა საფიქრალს ნთქავდა. ახლა მისთვის იქაურობა მხოლოდ სამოქმედო სცენას წარმოადგენდა, სადაც თეატრალურ წარმოდგენასავით თამაშდებოდა ბედისწერის მიერ ჩაფიქრებული დრამატული სცენარის ეპიზოდები:

...მკურნალი ექიმის დარწმუნება, რომ თავს კარგად გრძნობდა: „აუცილებლად უნდა წავიდე..." რაღაცით ამიზეზებულ ბავშვს რომ ამსგავსებდა. მთავარ ექიმთან კი მუდარამდე დაყვანილი თხოვნა. შესაბამისი რეზოლუციით დამშვენებული განცხადება. იმ რეზოლუციიდან გამომდინარე საბუთების ძლივძლივობით გაფორმება. პალატის მეზობლებთან და სხვა დამსვენებლებთან ჩაიჩარად გამოთხოვება. „შველა, შველაა საჭირო!.."

გვიან ღამით ხაშურისკენ მიმავალ მანქანაში იჯდა და ფანჯრის მიღმა ბნელ სივრცეს უთვალთვალებდა. „შველა, შველაა საჭირო!" ლამის ძირს გადამხტარიყო და ფეხით გაქცეულიყო. ეგონა, ავტომობილს გაუსწრებდა. ხაშურის სადგურის დარბაზში ლტოლვილივით დაძრწოდა აქეთ-იქით და მგზავრებს შორის ნაიას დაეძებდა. „იქნებ გამოექცა, იქნებ უკან მობრუნდა..." ზოგჯერ ქურდულად წამოეპარებოდა რომელიმე ახალგაზრდა ქალს და სულათრთოლებული შეათვალიერებდა. მერე მატარებელში ის იმედი ხელმოცარული კაცის ოცნებასავით აიყოლია. ძილის წინ, სულში მორღვეულ რწმენის ზღუდეს შემთხვევითობისა და გაუგებრობის „თეორემების" მოშველიებით გულმოდგინედ აკოწიწებდა. „მისმინე, ნაია, მისმინე... მე ვარ ნოდარი..." სანამ მატარებელი მშობლიურ ქალაქამდე მიაღწევდა, მთელი ერთი საათი იდგა ვაგონის კართან და ნაიასთან ტელეპატიის საშუალებით დაკავშირების სურვილით შეპყრობილი, სიტყვებს სულს მიღმა, სადღაც, უსასრულობაში ერეკებოდა.

სადგურში ჩასულმა ჩემოდანი შემნახველ საკანში დატოვა და გეზი მილიციის სამმართველოსკენ აიღო. ქალაქში თოვლ-ჭყაპი იდგა, ქუჩები წყლის გუბეებით ავსებულიყო, მაგრამ ნოდარ დიდებულიძე მაინც თავდაუზოგავად მიაბიჯებდა, მხოლოდ მილიციის სამართველოს შენობაში ფეხშედგულმა შეისვენა წუთით და იმ ოთახს, სადაც ნაია ეგულებოდა, გაუბედავად მიაშურა.

ოთახში ვიღაც შავკაბიანი ქალი მოკალათებულიყო.

— რა გნებავთ? — ცივად ჰკითხა მან.

— ნაიას ნახვა მინდოდა!

— ნაიას?!. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მეგობარი, ვერ მეტყვით...

— მეგობარი?.. არა, ვერ გეტყვით, მგონი, ავადაა...

— იქნებ ის მითხრათ, მაიორ დოლაბაძის ნახვა სად შეიძლება?

— დოლაბაძის?! — ქალი მთლად გაოცებად იქცა, — აი, მარცხნივ, პირველი ოთახი და...

— გმადლობთ! — უმალ შებრუნდა, რადგან მიხვდა ქალი რაღაცის კითხვას აპირებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყავგადაკრულ კარზე გულმოდგინედ დააკაკუნა, მერე უცებ იგრძნო თავისი საქციელის გულუბრყვილობა და კარი გამოაღო.

ფანჯარასთან ატუზულმა მიმზიდველი შესახედაობის ახალგაზრდა ლეიტენანტმა შეპარვით მოიხედა, შემობრუნდა და მხიარულად შეიცხადა:

— ვაა, ამას ვის ვხედავ?!

„დოლაბაძის ადიუტანტი...“ გაიფიქრა ნოდარმა და მშვიდად უთხრა:

— მაიორ დოლაბაძის ნახვა მინდოდა.

— ყოჩაღ, ტარიელი შენ უნდა გერჩვას! ხომ არ გნებავს, ის ქალბატონი შინ გაგატანოთ?

— დიახ!

— ბიჭო, შენ სულ არ გაქვს თავმოყვარეობა, რას დასდევ იმ კახპას!

— ნაია უდანაშაულოა და სიტყვა კახპა მეტად აღარ ახსენოთ!

— ჰმ, უდანაშაულო...

— მაინც რა ედება ბრალად?

— გაიგებ, — ლეიტენანტი რატომღაც ჩაფიქრდა. მერე ნოდარი ამრეზით შეათვალიერა და ნელა მიუახლოვდა.

— აბა, მომყევი! — უთხრა, კარი გააღო და ვიღაცას როყიოდ გასძახა. — ხვედელიძე! სამორიგეო ოთახიდან სერჟანტი გამოვიდა, მაღალი, წითური კაცი.

— მიხედე ამას!

— საკანში?..

— არა, ჯერ ეზოში გაუშვი, გაგრილდება. მიდი, მიდი, მერე მოგელაპარაკებით! — ლეიტენანტმა დერეფანში გასულ ნოდარს ოდნავ წაუბიძგა.

— დოლაბაძე? — წამოსცდა დაბნეულს.

— ნუ გეშინია, გიმასპინძლებს...

— მოდი, ვაჟკაცო! — შორიდან იხმო სერჟანტმა.

ნოდარი მორჩილად წავიდა მისკენ.

— რა ივაჟკაცე? — ცალყბად ჰკითხა ახლოს მისულს. — რაღაც მეცნობი, მეორედ ჩავარდი, ხომ?

— რა, მეორედ?!

— ვიცით, ვიცით, გიცნობთ, რა ბიჭიც ხარ, — ჩაიქირქილა სერჟანტმა. ხელი მოჰკიდა და მარჯვნივ გაახვევინა.

ნოდარს ამგვარი მოულოდნელობისგან ენა დაება.

წითურმა მამაკაცმა ვიწრო კარი გამოაღო.

— მიდი, გაისეირნე, როცა საჭირო იქნება, დაგიძახებთ, — ხელი ვითომდა მხარზე მოუთათუნა.

ნოდარი ვიწრო კიბეზე ჩავიდა.

ეზო მცირე მოცულობისა იყო, სამი მხრიდან რუხი ფერის შენობები ერტყა, მეოთხე მხრიდან კი უსაშველოდ მაღალი ქვის კედელი.

გაოგნებული ეზოს შუაგულში შედგა და გარშემო მიმოიხედა.

მოპირდაპირე მხარის შენობაში ვიღაცამ ღვარძლიანად შეიგინა, მერე საიდანღაც ქალების სიცილი გაისმა. შეცბა და სმენად იქცა. ქალების მხიარული ხმა ხელმარცხნივ აღმართული შენობის სარდაფიდან ამოდიოდა, რომელსაც გისოსებიანი ფანჯრები სარტყელივით გასდევდა.

ნოდარი ფრთხილად მივიდა ერთ-ერთ ფანჯარასთან, ჩაიმუხლა და ვიწრო დერეფნის იქითა მხარეს მდებარე საკნის მინაჩატანებულ კარს მიაჩერდა.

საკანში ნარებზე ახალგაზრდა ქალები ისხდნენ და ხალისიანად ლაყბობდნენ.

„პროფესიონალი კახპები...“ მათ შორის ნაიას დანახვის უნებლიე მოლოდინმა შეაძრწუნა. მერე შვებით ამოისუნთქა. ლამაზ, მკვრივ ლაჯებს მზერა აარიდა და წამოიმართა. „ნაია, სადა ხარ ნაია?..“ იქაურობას განერიდა და ცას მიაშტერდა.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი თარგმანები

ვლადიმერ პოლეტაევი

# ძალიან დაგვიანებული წერილი

როცა ყველაფერი ნათელი ხდება, როცა იწმინდება და იხვეწება აზრი და ემოცია, როცა საშველი აღარსაით აღარ არის, ადამიანები წერილებში ხვდებიან ერთმანეთს; წერილებში და მოგონებებში... მაგრამ მე და შენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, ამიტომ არც მოგონებები არსებობს. წერილები კი ბევრია; ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი, ვიდრე შენს ექვსთაბახიან წიგნში მოთავსდა. ლექსებიც ხომ წერილებია, ყოველდღიური წვრილმანისაგან განზე გამდგარი, სულის უხილავ საფეხურებს აყოლილი და დრო-ჟამის სვლასთან ერთად ამაღლებული...

არც კი ვიცი, ვის ვწერ წერილს, შენ თუ იმათ, ვისაც უჭირს ადამიანურ ვნებათა გაგება და შეგრძნება, ვისაც ლექსი ხელუკუღმა გადაგდებული კენჭი ჰგონია ემოციათა სიმძიმისაგან განტვირთვას რომ იწვევს. ემოცია ვულკანია, მერე იწყება შრომა, უფრო მერე კი — ყველაზე მტანჯველი — განსხვისების მომენტი და სურვილი — ვინმემ გაიგოს.

როგორ მესმის შენი სიხარული, „მოსკოვსკი კომსომოლეცში" ლექსების პირველმა პუბლიკაციამ რომ გამოიწვია. რედაქციაში ახლაც ახსოვთ შენი გამოჩენა. — შემოვიდაო მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი, სუსტი ბიჭი. ლია ფერის თვალებით მოათვალიერა ოთახი. რამდენიმე შეკითხვის შემდეგ ლექსები მაგიდაზე ჩამოდო და მერე აღარც გამოჩენილა. — იქნებ იმიტომაც არ გამოჩნდი, რომ მალე გაზეთში შენი ლექსები ნახე დაბეჭდილი და ხელმეორედ მისვლა საჭირო არ გახდა.

მამაშენი ერთიმეორის მიყოლებით მაწვდის შენს ხელნაწერებს. გოგებაშვილისეული „დედა ენა", შენი უჩვეველი ხელით გადმოწერილი ქართული ასოები, სავარჯიშოები... თანდათან გამოიკვეთა აზრი, რომ ადამიანებს შორის კომუნიკაციის საშუალება მხოლოდ ენა როდია; თავიდათავი მაინც სიყვარულია. ამ ჭეშმარიტებაში შენი მშობლების სიკეთე და სათნოება მარწმუნებს.

წერილი რომელსაც თვალი დავადგი, დედაშენს ეკუთვნის, შენთვის მოუწერია საქართველოში პირველი მგზავრობის დროს და ახლა მე ვკითხულობ:

„შვილო, აი, შენც გაიზარდე.

დავყურებ ფოტოს, სადაც შენ 5 თვისა ხარ... სანამ გაიზრდებოდი რამდენჯერ მიფიქრია, როგორი იქნება-მეთქი. ახლა შენ იხეთ ასაკში ხარ, როცა ადამიანი თვითონ ჰქმნის საკუთარ თავს, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, დადგება თუ არა მისგან ნამდვილი ადამიანი. მერწმუნე, ცხოვრების სიმსუბუქეში არაფერია სახარბიელო! ცხოვრებაში მთავარი შრომაა და ოჯახი. თუკი ადამიანისათვის შრომა სიხარულია, მყარი და ძლიერია მისი ოჯახი. — ყოველივე დანარჩენი აქედან გამომდინარეობს.

შვილო, შენ ახლა სხვა მიწა-წყალზე ხარ ცხოვრობ სხვა ხალხთან, რომელიც საუკუნეობით ქმნიდა თავის კანონებსა და ადათ-წესებს.

პატივი ეცი მათ, შენ მათი სტუმარი ხარ. და უნდა დაიცვა ყოველივე, რაც მათ მამა-პაპას შეუქმნია.

გიყვარდეს ეს ხალხი. შენ ახლა მთელი სიცოცხლით ხარ მათთან დაკავშირებული, რადგან პროფესია, რომელიც აირჩიე, მოითხოვს არამარტო ჭკუას, არამედ სულსაც.

მიხარია, რომ ყველაფერი მოგწონს. დაიმახსოვრე, ვისთანაც არ უნდა იყო, სადაც არ უნდა იყო — არც ერთ ადამიანს არა აქვს უფლება მოუტანოს მეორეს ტკივილი და უბედურება. ყოველი კაცი ვალდებულია, გარშემომყოფებს სიხარული უწილადოს.

შენ ჯერ მამა არა ხარ, მაგრამ მერწმუნე, მშობლისთვის იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, გრძნობდეს, რომ მისი შვილი კარგი ადამიანია...

დედა".

მამაშენი კვლავ თარგმანებზე მელაპარაკება, წიგნებს ფურცლავს და ჩემს დასტურს მოითხოვს რაღაცაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«...а жизнь моя была проста
во власти чистого листа
во власти благостной, во власти
нетерпеливого пера,
в неумолкающем соблазне,
а жизнь моя была щедра».

შენი მშობლები ამტკიცებენ, რომ არის ამ ლექსში ზედმეტად დამახასიათებელი და წინასწარმეტყველური. თითქმის ამავე აზრს გამოთქვამს „მერანში" გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში გიორგი მარგველაშვილიც.

მე კი სხვა ლექსებს ვხედავ და მესმის, როგორ გრძნობ სიტყვას და ბგერას, ლექსში სიტყვათა ჰარმონიას, როგორ იღვიძებს შენში აზრის გადმოცემისათვის აუცილებელი ბგერათა განლაგების ინტუიცია...

არ მაინტერესებს, ეს ყველაფერი უკეთესობისაკენ თუ უარესობისაკენ წარიმართებოდა. ალბათ ამაზე დიდ გავლენას მოახდენდა ის წრე და ის გარემო, რომელშიც ცხოვრობდი და რომლისკენაც ისწრაფოდი... ანდა საკუთარი აღქმის უკომპრომისო გზა.

როცა ბარათაშვილის „მერანის" თარგმანთა უამრავ ვარიანტს დავცქერი, მეორე დამოუკიდებელი გზისკენ ვიხრები.

„მთარგმნელი თავდაპირველად გარედან ათვალიერებს ლექსს — ხოლო შემდეგ პოეტის როლში შესვლა და შინაგანი ქმედებაა საჭირო". „შინაგანი ქმედება" — კარგად მესმის, რას გულისხმობდი ამ სიტყვებში, მაგრამ ტერმინი ცოტა უხეში მეჩვენა. „როლი" გარდასახვასაც გულისხმობს; გარდასახვა, ე. ი. სხვისი ცხოვრებით ცხოვრება, მისი გარემოსა და ურთიერთობის წარმოსახვითი გააზრება. რაც უფრო დიდი და გენიალურია პოეტი, მით უფრო ძნელია გარდასახვა და იმის წარმოდგენა, ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციას რა შეფასებას აძლევდა, რა დონის ფსიქიკურ-ემოციური გარდატეხა ხდებოდა მასში, ეს გასაგებია, რადგან ყოველი ადამიანი საკუთარი თავიდან გამომდინარეობს, საკუთარი თავით სჯის.

ისევ შენთვის დაწერილი ბარათი:

„...გირჩევ, ყოველდღიურად, თუნდ ერთი საათი წერე და თარგმნე.

ეს არის ცხოვრების რიტმი და მისი ხელყოფა არ ივარგებს.

მამა."

ამიტომ არ მიკვირს, როცა შენს ხელნაწერებს ვათვალიერებ ან მინაწერებს ვკითხულობ, არც ის მიკვირს, ამ ბოლო დროს გამოცემულ ანთოლოგიის ტიპის კრებულებში შენი თარგმანებიც რომ მხვდება. რაც მთავარია, მშობლები უფრთხილდებიან შენს სურვილებს და დასაბეჭდად არ იმეტებენ იმას, რაც დაუმთავრებლად მიგაჩნდა.

ლექსები... შენი ლექსები ძალიან მშვიდია და ნათელი. ეტყობა, მაშინ წერდი, როცა განცდილის შემდეგ სულში სიმშვიდე დაისადგურებდა.

«Февраль фарторовый, хрустальный
и гуттаперчивый февраль.
Легко всплывало над устами
дыханье — белая спираль».

გამოცდილება რომ თანდათან მოდის, ეს ამ ლექსიდან და რამდენიმე სხვა ლექსიდანაც ჩანს. ეს ლექსი მხოლოდ იმიტომ გამახსენდა, რომ მოსკოვური თებერვლის ერთ საღამოს გავიცანი შენი მშობლები. არის ამაში რაღაც უცნაური. მე მიყვარს ეს თვე. მაგრამ თბილისში მისი განცდა ცოტა სხვაგვარია. მოსკოვში კი ვიგრძენი შენეული თებერვალი — ფაიფურის, ბროლის, მყიფე, რომ გგონია ჩაგატყდება ხელში და გაზაფხულდება.

ნება მომეცი, ამით დავამთავრო ეს უცნაური წერილი. ჩემს ხმას შენი ხმაც შევუერთო და ყველას დავულოცო გაზაფხული, ვისაც გაზაფხულის გაგება შეუძლია.

ნინო ქუთათელაძე

●

დახე, ძვირფასო, როგორ უნაღვლოდ
მიედინება წუთისოფელი·
ქუჩებში უკვე ფოთოლცვენაა,
და მისი სიმი, სიმი ყოველი,
და მისი სხივი, სხივი სოველი
დღეს ჰანგად აწვიმს ყვითლად
მოცელილს.

სადღაც მდინარე მოსკოვს გადაღმა
არის ეზო და არის საღამო,
მოინახება სიტყვაც საამო —
თვალები ყველა სევდის წამშლელი...
რა მოგდის? — სხივიც ისევ ქანაობს
და სინათლეა თავბრუდამხვევი.

თარგმნა ნინო ქუთათელაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

როს ფოთოლცვენის ოქროცურვილი
შემოუძლვება ფერშეცვლილ დილას
და შემოდგომის პირველი სუსხი
აბურდულ თმებში თრთვილივით
ბრწყინავს,
როცა ვოლტორნის სევდიან ჰანგებს
სუნთქვაშეკრული ქალაქი ისმენს,
ხოლო ზაფხულის მზის ნარჩენებით
ქუჩაბანდები თვრებიან ისევ,
ცხოვრება შენს წინ ბრუნავს,
ტკარცალებს

თავის „ანით“ და თავის „ჰოეთი“
და აღარ გახსოვს საქმე, ვალები,
ყოველდღიური მიეთმოეთი,
გულარხეინად მივყვები ქუჩას
და აღარ ვუშვებ შენს ხელს ხელიდან,
ჩვენს შესახვედრად გამორბის ზეცა,
თავზე გვემცვრევა ლურჯი ფერი და
ისე მოზღვავდა ზეცის ნაკადი,
მოშვავდა ფერი, კიდევ და კიდევ,
რომ ვფიქრობ, ხელის გაწვდენაც კმარა
და შევეხები ცის ნანატრ კიდეს!

●

ასგზის ნამღერი ფაფუკი თოვლი
ჩამოდიოდა ზეციდან ფრთხილად
და გამთენიის ქათქათა გზაზე
მინანაობდა იანვრის დილა,

ქუჩაში ზამთრის ალიაქოთი,
კვალდაუმჩნევი სითეთრე თოვლის,
ისევ მახსენებს მოსწავლის რვეულს
რომ ჩასციცინებ ტანჯვით და
თრთოლვით

ჯერაც ხელუხლებ ქათქათა ფურცლებს
და ზედ ამოზრდილ უმანკო იებს...

როგორ გავექცე ამ მოგონებას,
ან რით შევავსო სიცარიელე.

უნეტარესო ბავშვობავ ჩემო,
ჩვენს შორის ჩადგა ვეება კბოდე,
ველარ მოგწვდები უკვე ვერასდროს,
ვერ დაგიბრუნებ ველარასოდეს,

ველარასოდეს... თოვლი კი თრთოდა,
(თოვლი ხომ ზამთრის ხვაშიადს
ამხელს)
და ბაგეები დაუკითხავად
იმეორებდნენ ვიღაცის სახელს.

## „რომანსი“

გაუთელავი თეთრი ბილიკი
სალოცავ სარკმელს შორიდან უვლის
და უბრუნდება ნაწამებ სხეულს
თოვლში ყელამდე ჩაფლული სული,

მე მინამქრული კვალის ძებნაში
ვკარგავ ოცნების ციცქნა ნამცეცებს,
— მოხედე, როგორ ვცდილობ,
ძვირფასო,
რომ არ ჩამოგრჩე, რომ არ დავეცე.

გთხოვ, დამელოდო სულ ერთი წამით,
(გიახლოვდება თოვლის გზაწვრილი)
გამიადვილე გამოთხოვება,
სულის სიმშვიდე გამინაწილე.

მე გაპატიე, კარგო, ყოველი,
(გადახდილია სუყველა ვალი),
შენც მაპატიე, რადგან მივდივარ
უხილავ გზით და უჩინარ კვალით.

თარგმნა ლალი ჯაფარაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

მედეა შავლიაშვილი

# პროექტის მთავარი ინჟინერი

ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მთავარი ინჟინრობა ის თანამდეობაა, რომელსაც ჰესის მშენებლობის თუ ექსპლოატაციის დროს ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. ცუდად დამუშავებული პროექტისთვისაც ის აგებს პასუხს, უხარისხოდ აშენებულისთვისაც, უყურადღებოდ დამონტაჟებისთვისაც.

რა მიზეზითაც არ უნდა გამოვიდეს წყობიდან სადგურის ესა თუ ის უბანი ან აგრეგატი, მას შეეკითხებიან: შენ სად იყავიო?

პროექტის მთავარი ინჟინერი ვალდებულია განიხილოს და დაამუშაოს ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ყველა შესაძლებელი ვარიანტი, იქიდან ყველაზე ოპტიმალური შეარჩიოს, უამრავ დისტანციაში დაიცვას, მისი საჭიროება დაამტკიცოს და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას თუ პიროვნებას ედაოს. ედავოს, რადგან მიწის პატრონს ერთი გოჯა მიწაც არ ემეტება მრავალი კილოვატი ენერგიის სანაცვლოდ, ვისაც ტყის გაჩეხვის ნებართვა ხელეწიფება, ერთი ხის მოჭრაზე გული ეთანაღრება, ხოლო ვისაც მშენებლობისა თუ შეტბორვის ზონაში მოყოლილ ნაგებობათა დაშლა-დარღვევაზე ნებართვას თხოვენ, სასიკვდილო განაჩენის გამოტანასავით უძნელდება თანხმობა.

ამავე დროს პროექტის მთავარი ინჟინერი თითქმის ვერ იყენებს ვერავითარ ადმინისტრატიულ უფლებას.

რაღა თქმა უნდა, მას სრული უფლება აქვს ცუდად შესრულებულ სამუშაოზე ხელი არ მოაწეროს, ფინანსირება შეუწყვიტოს, მშენებლობა შეაჩეროს, მაგრამ ეს უკიდურესი ზომები დიდ სახელმწიფოებრივ ზარალთანაა დაკავშირებული ხშირად.

ამიტომ მშენებლობის დაწყების დღიდან ვიდრე დამთავრებამდე, ყველა საძნელო თუ საიოლო უბანზე მშენებლებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებიან პროექტის მთავარი ინჟინერი და მისი არამრავალრიცხოვანი თანამშრომლები. ნაბიჯებს კი არა, ხანდახან შესრულებული სამუშაოს თითოეულ გოჯს ამოწმებენ, პროექტთან ადარებენ, არც მცირე გადახვევას შეარჩენენ, არც ნორმის დარღვევას. სიტყვიერად ან წერილობით ახსენებენ, აფრთხილებენ, ასწორებინებენ. ამიტომ სადავო და სადავიდარაბო არასოდეს ელევა პროექტის მთავარ ინჟინერს.

ჟინვალის ჰიდროკვანძის პროექტის მთავარი ინჟინერი ვახტანგ გრძელიშვილია.

ნაადრევმა ობლობამ უდროოდ დაასერიოზულა იგი.

მისი ოჯახის მეორე დიდი ტრაგედიის მიზეზი კი ქუჩა გახდა. ერთადერთი ძმა მანქანამ იმსხვერპლა და დედის სუსტი მხრები კიდევ უფრო, ახლა უკვე სამუდამოდ მოხარა.

სიმრუდის სიძულვილი, პირდაპირობა და ალალმართლობა სოლოლაკის ძველ ქუჩაბანდებში რომ შეითვისა და გაითავისა ვახტანგ გრძელიშვილმა, აგერ ხანდაზმულობამდე ნირშეუცვლელად, მაშინდელი უშუალობით მოჰყვა.

ვიღაცამ თქვა: ქალის ძალა მის სისუსტეშიაო. ვინ იცის, დედის სისუსტე და უბედურება იყო მიზეზი თუ საკუთარი შინაგანი სიმტკიცე, ვახტანგ გრძელიშვილი ყველა საცდუნებლისა და უბედურებისგან რომ დაიფარა, სკოლაც წარჩინებით დაამთავრებინა, ინსტიტუტიც.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილჰიდროპროექტში გაანაწილეს სამუშაოდ.

ომით დანგრეულ და გაპარტახებულ ქვეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას მშენებლების ხელები არ ყოფნიდა, იმ ხელების პატრონებს — ჯამაგირი და შემოსავალი. სუფრიდან მოყოლებული ვიდრე პერანგამდე, ყველაფერი ხელახლა შესაძენი იყო. და იყო დღისა და ღამის გასწორება, ერთდროულად რამდენიმე პროექტზე მუშაობა, კვირადღისა და დასვენების დავიწყება.

ვახტანგ გრძელიშვილი დღისით „ჰიდეპში“ მუშაობდა, საღამოს „საქწყალპროექტის“ ინსტიტუტში. როცა მისი კბილანი რუსთაველზე სეირნობით ხარობდნენ, გუმათჰესის ან შაორჰესის სამუშაოთა წარმოების პროექტი დავამთავრეო, — უხაროდა ვახტანგს.

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტებზე მუშაობამ მრავალი ობიექტის შესწავლას და მის მოაზროვნე ინჟინრად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი და აღარავის გაკვირვებია, როცა ნოდარ ჭარხალაშვილმა, ენგურის ჰიდროკვანძის მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელობა შესთავაზა ვახტანგს.

უკვე დაოჯახებულმა და დაწვრილშვილებულმა, მეუღლესთან, ცნობილი ჰიდროტექნიკოსის კასოვსკის ქალიშვილთან ერთად ენგურჰესის მშენებლობას მიაშურა და საქართველოში ყველაზე დიდი და რთული ჰიდრომშენებლობის სერიოზული სკოლა გაიარა.

თბილჰიდროპროექტში დაბრუნებული ჟინვალის ჰიდროკვანძის პროექტის მთავრად დაინიშნა.

ახლა უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ჟინვალის ჰიდროკვანძი კომპლექსური დანიშნულებისაა, რომ ასერთმეტრიანი კაშხლით შეტბორილი, ტურბინების ფრთებგამოვლილი წყალი შემდეკ სასმელად და სარწყავად მოიხმარება.

ვასული საუკუნის მიწურულში დიდი ილია წერდა: „ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისთვის დიდ უფლებას აძლევდა კაცსა. წყლის გაყვანას ვერავითარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ კი თვით ბუნებას შეეწყო ხელი. ეკლესიაც რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა ეკლესია გაეჭრათ და წყალი გაეყვანათ“.

და მაინც საქართველოში არც ერთი ობიექტის მშენებლობა არ იმხედრებს იმდენ კაცს, არ იძენს იმდენ მოწინააღმდეგეს, რამდენსაც ჰიდროელექტროსადგურებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენ სიკეთეს ქვეყნისათვის, რამდენიც ჰესებს მოაქვთ, ბევრი ვერ დაიტრაბახებს.

თავის დროზე ვერც ჟინვალის ჰიდროკვანძი გადაურჩა კრიტიკისა და წინააღმდეგობათა ქარცეცხლს და მისი პროექტის მთავარ ინჟინერს, ვახტანგ გრძელიშვილს ქართველი საზოგადოების წინაშე პირისპირ წარდგომა მოუხდა.

ჟინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის წინააღმდეგ „ამხედრებულებისთვის“ უნდა დაემტკიცებინა, მიუხედავად იმისა, რომ ჟინვალის ასერთმეტრიანი მიწის კაშხალი ხუთას მილიონ ტონა წყალს შეტბორავს, სავარგულებს ბევრად არ დაანაკლისებს, რადგან მთის ორწოხებში მომდინარე არაგვის კალაპოტი ვეჰსად იშლება, ანანურიდან ვიდრე ჟინვალამდე ყველგან ვიწროა და ამრიგად მხოლოდ კლდეები იტბორებაო; მართალია, წყალქვეშ მოსაყოლ ადგილებში ტყე იჩეხება, მაგრამ თანახმად პროექტის განსაკუთრებული თავისა, რომელსაც მეცამეტე თავი ჰქვია, ყოველი მოჭრილი ხის ნაცვლად ახალი დაირგვება; რომ ჩასაძირად განწირულ სამხედრო გზას უფრო მაღალი კლასის, განიერი და მოხერხებული გზატკეცილი შეცვლის, რომ მშენებლობის ზონაში მოხვედრილი სოფლების მოსახლეობა უკეთეს სახლებში დაბინავდება, წყალსაცავის ფსკერზე დარჩენილი ძეგლები აღინუსხება და გადაადგილდება, ხოლო ანანურის ლამაზი ციხე-სიმაგრე პროექტის მეორე ვარიანტის თანახმად აღარ შეიტბორება, რადგან წყლის ზედაპირის ნიშნული დაბლა დაიწევს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლამის უწყლოდ დარჩენილი მილიონიანი დედაქალაქი სასმელ წყალს მიიღებს, ხოლო მცხეთისა და დუშეთის შემოგარენი — სარწყავს. რომ სხვაფრივ ამ წყლის გადმოგდება გაჭირდებოდა, რადგან ძალიან ძვირი ჯდება. ახლა კი ხარჯის დიდ წილს ჰესის მშენებლობა კისრულობს.

ვახტანგ გრძელიშვილი მჭევრმეტყველებით არასოდეს გამოირჩეოდა. იმისდა მიხედვით, რის თქმას აპირებს, ხან აღშფოთება უსწრებს ხოლმე სათქმელს, ხან სიცილი. მაგრამ იმჯერად, ეტყობა, „გაჭირვება მაჩვენეო...“ ისეთი ორატორული ნიჭი გამოავლინა. „აჯანყება ჩააქრო“ და საზოგადოება თავისკენ გადმოიბირა.

მერე თავისებური ქილიკით ყვებოდა: თითოეული ასეთი ბრძოლის მოგების შემდეგ მთელი ათეულით მიმატებს წნევაო.

ეს ავადმყოფობა ყველაზე ვერაგი და გაუთვალისწინებელი დაბრკოლებაა მის რთულ მუშაობაში. ხანდახან იძულებით აგზავნიან სახლში, „თავს მიხედეო“. მისული არა გონიათ, უკან ბრუნდება.

— წნევამ დამიწია და წამოვედი. ამდენი საქმე მაქვს, ამას სად ვეღოღიავოო. ჟინვალის ჰიდროკვანძის აშენებას საერთო სიგრძის ოცდათორმეტკილომეტრიანი გვირაბის გაჭრა დაჭირდა, მაშინ, როცა თბილისის მეტროპოლიტენი თექვსმეტ კილომეტრს ითვლის. გვირაბების ასეთი სიგრძე, ჯერ ერთი, რელიეფით იყო გაპირობებული, მეორეც ენერგეტიკული ეფექტიანობის მიღწევის მიზანს ემსახურებოდა.

მიწისქვეშა სამუშაოები საერთოდ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ჟინვალის გვირაბებში ყველა სიძნელემ პირი შეკრა და გაერთიანდა. გვირაბგამყვანების ყველაზე ვერაგი მტერი მფეთქებადი გაზია. ვერაგია, რადგან უჩინარია, სადღაც შიმალული, მიყუჟული, დრომდე გატვრენილი და მერე დაუნდობელი, მოუხელთებელი, დაუმორჩილებელი. ვინ იცის, გაზის მოულოდნელმა აფეთქებამ რამდენ ქვეყანაში რამდენი გვირაბგამყვანის შვილი დააობლა და შავი კაბით გასაზრდელი გახადა.

მეორე დიდი სიძნელე მიწისქვეშა წყლებთან ბრძოლაა, დაუშრეტელ ნაკადულებად რომ მოედინებიან გენსადგურის თუ გვირაბების ჭერიდან და კედლებიდან და წყალსაქაჩების განუწყვეტლივ, შეუჩერებელ მუშაობას მოითხოვენ.

მაგრამ განსაკუთრებულ მძიმე პირობებს მაინც წნევა ჰქმნის. წნევა, რომელიც ზოგიერთ ადგილებში ერთ კვადრატულ მეტრზე სამას ტონამდე ვითარდება და ყველაფერს ლეწავს.

ამიტომაც წყალგამყვანი გვირაბის ხუთასი მეტრი დაუძლეველ წინაღობად გადაექცათ ჟინვალელებს. იქ განვითარებული წნევა არა მარტო ჩვეულებრივ გამაგრებებს ან მთლიანი რკინის სიმაგრეებს ამტვრევს, უკვე მოპირკეთებულ, მოხახულ გვირაბებს ამსხვრევს. ვინ არ მიიღო მონაწილეობა ამ უთანაბრო ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მეცნიერმა და სპეციალისტმა წამოაყენა წინადადება და დასახა ღონისძიება. აკადემიკოსი ხრისტიანოვიჩი და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მოსტკოვი რამდენჯერმე ჩამოვიდნენ. საკავშირო და საქართველოს შესაბამისმა სამეცნიერო ინსტიტუტმა უამრავი ღონისძიებანი ჩაატარეს, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

საქმე იქამდე-იქამდე მივიდა, რომ ენერგეტიკის საკავშირო სამინისტროს შუამდგომლობით მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა ქვეყნის არსებობის მანძილზე პირველად, წყალგამყვანი, გვირაბის სამუშაოები სტიქიურ უბედურებას გაუთანაბრა და შესაბამისი თანხა გამოუყო სამუშაოთა საწარმოებლად.

შრომა შემოქმედებითი მაშინ არის, მაშინ აქცევს შრომა კაცს ადამიანად, როცა იგი მიზნობრივია, როცა შედეგი თვალსაჩინო და აშკარაა. უმიზნო შრომა მშრომელს მონის ფსიქოლოგიას უნვითარებს, მორალურად ანადგურებს, მოქმედების სურვილს უკარგავს.

მთელ თვეს ნაბრძოლი, ძლივსძლივობით გაჭრილი გვირაბის რამდენიმე მეტრი თვის ბოლოს ჩამონგრეული, ლოდების გროვად ქცეული ხვდებოდათ, რა ღონეს არ ხმარობდნენ: ჭერსა თუ გვერდებს რვამეტრიანი ანკერებით ამაგრებდნენ, დროებით და მუდმივ გამაგრებებს აძლიერებდნენ. ყველა ღონეს ღონობდნენ, ვერაფერს კი ხდებოდნენ. საკუთარი თვალით უყურებდნენ ასეთი ჯაფით მიღწეულის ნგრევას და ხვალინდელი დღის იმედი უქრებოდათ.

იმდენად დიდია ფსიქოლოგიური ტრავმა, რომ ბრიგადებს წარა-მარა ცვლიდნენ. ერთხანს სხვა სანგრებში, სხვა სამუშაოზე გადაჰყავდათ და მერე ისევ აბრუნებდნენ უკან.

ჟინვალის წყალგამყვან გვირაბში წარმოებულ შრომას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაერქმევა მხოლოდ. ასეული საუკუნის განმავლობაში დამყარებული წონასწორობა გაყვანილმა გვირაბმა დაარღვია და ეგრეთწოდებული განტვირთა განავითარა.

თუ ჟინვალელები ჩვეულებრივად გვირაბებში თვეში ორმოცდაათ, სამოც მეტრს გადიოდნენ, აქ რამდენიმე მეტრს ძლივს ჭრიდნენ.

ასეთ მძიმე პირობებში გაიყვანეს თითქმის შვიდასი მეტრი.

ვახტანგ გრძელიშვილი ერთთავად იცავს და ამტკიცებს რამეს. საკავშირო, სამინისტროსა თუ საგეგმო კომისიაში — არჩეული ვარიანტის ოპტიმალობას და რენტაბელობას ან გეოლოგიური თუ ჰიდროლოგიური პირობებით გამოწვეულ გადახარჯვას და ამის შედეგად გაზრდილ ხარჯთაღრიცხვას. მშენებლობის წინაშე — მიწის კაშხლის სიმდგრადის თუ სიმტკიცის ნორმების დაცვის აუცილებლობას და იმ დაყრილი და დატკეპნილი მიწის მოჭრის გარდუვალობას, რომელიც ამ ნორმებს არ შეესაბამება. იცავს და მოითხოვს მომჭირნეობას და ეკონომიას.

ამას წინათ ერთი უბნის უფროსს აღშფოთებული საყვედურობდა:

— გადახარჯვის აქტი აღარ მომიტანო, ხელს აღარ მოგიწერ. ქვეყანამ შენზე ფული დახარჯა, გაგზარდა, გასწავლა. რა ხანია აქ მუშაობ, აბა ერთი ისეთი წინადადება თუ შემოგიტანია, რაც მშენებლობას ეკონომიას მისცემდა. ზარალის მეტი არაფერი უნდა მოგქონდეს?

ასეთი მწარე საყვედურების ადრესატები ხშირად მისი თანამშრომლები ხდებიან. მაგრამ ამ საყვედურს იშვიათად თუ ვინმე იტოვებს გულში ხინჯად, რადგან იციან, ყველაზე მეტად ის ურემი ჭრიალებს, რომელსაც უფრო მძიმე ტვირთი აქვს.

ტვირთი კი ჭეშმარიტად მძიმე აძევს ვახტანგ გრძელიშვილს.

ორჯერ ჩვიდმეტმილიონად ღირებული ობიექტისათვის თითოეული მანეთის საჭიროება და აუცილებლობა მან უნდა დაიცვას, დაამტკიცოს და გამოყოფა მოითხოვოს უამრავ დისტანციაში. ანუ სხვა სიტყვებით — მშენებლობისთვის საჭირო თანხას ის შოულობს. სხვანი ყველანი — მშენებარე ჰესის დირექცია, თვით მშენებლები, მემონტაჟეები და მრავალნი სხვანი მხოლოდ ხარჯავენ. და თუ რომელიმე იმათგანი უყაირათობას ან უადგილო ხელგაშლილობას

---

მედეა შავლიაშვილი
პროექტის მთავარი ინჟინერი

იჩენს, ვახტანგ გრძელიშვილმა მათ წინააღმდეგ დავაში თავის დაზოგვა არ იცის.

და მაინც ვახტანგ გრძელიშვილის — პროექტის მთავარი ინჟინრის — უპირველესი მოვალეობა პროექტის შედგენის და დამუშავების, ჰიდრავლიკური, სტატიკური და ლამის გეოლოგიური ანგარიშების წარმოების ხელმძღვანელობაა. სქემის შედგენა, უამრავი ვარიანტის განხილვა, ტექნიკური პროექტის დამუშავება, ბუნებრივი თუ ტექნიკური პირობების გათვალისწინება, მრავალი ორგანიზაციის თუ პიროვნების მოთხოვნა-პრეტენზიების დაკმაყოფილება, მუშა-ნახაზების დროულად გამოშვება და კიდევ ბევრი მსხვილმანის და წვრილმანის თავის მობმა.

და თუმცა მისი თანამშრომლები: მიწის კაშხლის მთავარი ინჟინერი ლია ჭანიშვილი, მთავარი კონსტრუქტორი — ალიკო გოცაძე თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე, დაფიქრებული და სერიოზული სპეციალისტები არიან, თუმცა მუშა-პროექტირების და საავტორო ზედამხედველობის ჯგუფის უფროსი გივი თაბუკაშვილი, მოაზროვნე, და ერუდირებული ინჟინერი ცოდნას თუ გამოცდილებას არ იშურებს, და ახალგაზრდა ინჟინრებთან: ტარიელ ბოსტალანაშვილისა, გოგი სიხარულიძესა, მევლუდ ქართსანიძესა და სხვებთან ერთად კეთილსინდისიერად ამოწმებს აშენებული ობიექტი დაპროექტირებისაგან არაფრით განსხვავდებოდეს, თუმცა ეკატერინე ჟურულს, და სხვებს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, მაინც დღე არ გავა ისეთი საკითხი არ წამოიჭრას, პროექტის მთავარი ინჟინრის გადაუდებელ ჩარევას არ მოითხოვდეს. და არის პასუხები, ძიება, ტექნიკური ლიტერატურის ქექვა, ამ დარგის მეცნიერთა მოწვევა, მშენებლობის უფროსებთან თუ ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან თათბირობა. თითოეულ მუშა-ნახაზსაც მთავარი ინჟინერი აწერს ხელს და მაშასადამე თითოეული იმათგანი მის მიერ წაკითხვას და გასინჯვას მოითხოვს. და ამოდენა მშენებლობაზე უბანი არ მოინახება, გვირაბის მონაკვეთი არ არის, ვახტანგ გრძელიშვილმა ზეპირად არ იცოდეს, სად როგორი გამაგრებაა და რომელი არმატურა როგორ „იქცეოდა“ მოსახვამდე თუ მოსახვის შემდეგ.

მისი ცხოვრების გზას, მის მიერ არჩეულ სავალს ვარდ-ყვავილებით მოფენილი არ დაერქმევა.

ამას წინათ მშენებარე ჰესის დირექციის მთავარ ინჟინერს, სტატიკური ანგარიშების საუკეთესო სპეციალისტს — შოთა მეფარიშვილს შევეკითხნენ: ჰიდროპროექტში დაბრუნება არ გენატრებათ?

— რას ამბობთ. აბა შეხედეთ ვახტანგ გრძელიშვილს, რა დღეშია, რამოდენა სამუშაო და პასუხისმგებლობა აწევს თავზე. მაგის ხვედრის გაზიარება ვის მოენატრებათ.

და მაინც, ცხოვრებას რომ ხელახალი არჩევანი შეეთავაზებინა, ვახტანგ გრძელიშვილი ისევ ამ სავალ ბილიკს დაადგებოდა. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, ორივე ვაჟიშვილმა, ვახტანგს რომ თავს ურჩევნია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროსპეციალობა დაამთავრეს და უფროსი აგერ მესამე წელია ჟინვალის გვირაბებში ებრძვის ბეტონის არტახებში გამომწყვდეულ თუ ჩამოქცეულ ქანებს.

თბილჰიდროპროექტის დირექტორი ანზორ ჭითანავა აღნიშნავდა იმ დაფასებასა და პატივისცემას, რომელსაც ჰიდროელექტროსადგურების დიდ მშენებლობაზე მიაგებენ ხოლმე პროექტის მთავარ ინჟინერს.

— ელექტროსადგურის წინ, მოედანზე პროექტის მთავარი ინჟინრის ვებერთელა სურათი ყველგან პირველია გამოკიდებული.

და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ყველა მშენებლობა და ყველა საქმე პროექტით იწყება, არამედ იმიტომ, რომ მისი მთავარი ინჟინერი, ხელმძღვანელობს რა მის შედგენა-დამუშავებას, მის ხიავკარგზეც აგებს პასუხს, მშენებლობის პროექტის მიხედვით წარმოების სიზუსტეზეც და იმაზეც, შემდეგ როგორ განხორციელდება პროექტი, ექსპლოატაციის დროს როგორ „მოიქცევა“ მისი თითოეული უბანი.

თბილისში და თუნდაც გარდაბანში შეეკითხეთ შესანიშნავი ძეგლის „კიდევაც დაიზრდებიან“ ავტორის ვინაობა, თუ უმრავლესობამ არ იცოდეს. აბა ალპანაში ან დედაქალაქში თუ ვინმემ გიპასუხოთ არანაკლებ შესანიშნავი ძეგლის ლაჯანურჰესის დამპროექტებლის ან ამშენებლის გვარები.

ჟინვალჰესმა კი უკვე ააშენა ექვსი ათასი მაცხოვრებლისათვის ჟინვალის ახალი დასახლება — თავისი ბაგებით, ბაღებით, სკოლით, საავადმყოფოთი თუ სამშობიაროთი. ექვსას ოცადგილიანი ისეთი კულტურის სახლი ააგო, ლამის მოსკოვის დიდ თეატრს გამოადგება საგასტროლოდ. ხუთი სოფელი გადაასახლა ახალ დასახლებებში. გზები გაიყვანა — ჟინვალიდან ბარისახომდე და ანანურიდან ბარისახომდე ჟინვალზე გაუვლელად. რაკი სამხედრო გზის თბილისი-ორჯონიკიძის ცამეტკილომეტრიანი მონაკვეთი შეტბორვის ზონაში ყვებოდა, ასი მეტრის ნიშნულით აამაღლა, ორი კლასით გააუმჯობესა, გააგანიერა, თანამედროვე ხიდებით დაამშვენა. ანანურის ულამაზესმა ხიდმა ანანურის ციხე-სიმაგრეს დიდებული მისასვლელი შეუქმნა და უფრო გამოკვეთილად, უფრო მნიშვნელოვნად წარმოაჩინა.

მაგრამ რაც ყველაზე პროგრესულია, ჟინვალიდან ვიდრე თბილისამდე ორმოცკილომეტრიანი კანალიზაციის ტრასა გაიყვანა, დუშეთი, მცხეთა და მათთან მიმდებარე სოფლები შეუ-

ერთა, მთელ კავშირში არაგვი ერთ-ერთ უსუფთავეს მდინარედ გადააქცია. ფეკალური გამდინარე წყლები მტკვარსა და არაგვს ააცილა, სოლანლუღის საკანალიზაციო კოლექტორამდე მიიყვანა, სადაც ფეკალის დამამუშავებელი ქარხანა შენდება.

არაგვში არც ერთი ქარხნის, არც ერთი გარაჟის ნარჩენი არ უნდა მოხვდეს. ამიტომ მშენებლობის დამთავრების შემდეგ გამოთავისუფლებული მუშა-ხელის დასასაქმებლად აქ ისეთი საწარმოები უნდა შეირჩეს, რომლებსაც მავნე ნარჩენები არ ექნებათ.

ჟინვალის მშენებლობის დასასრულამდე დრო უკვე დღეებით აითვლება. საჭიროა ქალაქის მეხვეურები დროულად მოემზადნენ ამ დიდი წყლის მისაღებად, წყალსადენის ქსელის მოსაწესრიგებლად და მოსახლეობისათვის მისაწოდებლად.

შეტბორვის ზონაში ტყე უკვე გაჩეხილია. ადრეც ითქვა, რომ ამ ზონის სანიტარულ გაწმენდა-დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან წყალი სასმელად მიდის.

მომავალი წყალსაცავის ფსკერზე მოყოლილი ისტორიული ძეგლები ჟინვალჰესმა თავის ხარჯით გადააადგილა. საქართველოს ძეგლთა დაცვის კომიტეტის თანამშრომლებმა ხერთვისის ციხე-გალავნის კომპლექსის თითოეული ქვა დანომრეს, ნაგებობა დაშალეს და ისევ ააგეს სოფელ ჟინვალში. ეგრეთ წოდებული ზურგიანი საყარაულო კოშკის დაშლა კი შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მისი ყოველი ქვა ორიდან ხუთ კუბომეტრს ეტოლება, ამიტომ გადაწყდა, ისეთნაირად აეფეთქებინათ, რომ მხოლოდ ქვათაშორის შემაკავშირებელი მასალა დაშლილიყო და ქვა მთლიანი დარჩენილიყო.

ხერთვისის მუზეუმთან საგამოფენო დარბაზი აშენდება, სადაც ჟინვალის ძველი, ისტორიული ექსპონატები და ახლა მშენებლობის მასალები გამოეფინება.

ჟინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობამ გეზი ფინიშისაკენ აიღო.

საცაა მის დიდ „წყალობას" დედაქალაქელები, მცხეთელები თუ არაგვისპირელები, პროექტანტები, მშენებლები, ყველა მონაწილე თუ მომხმარებელი ეზიარება.

პროექტის მთავარი ინჟინერი ვახტანგ გრძელიშვილი ამ დიდ, საქვეყნო საქმეს მისთვის ჩვეული სიმართლით ემსახურება, სახელმწიფო ფულს თუ ქონებას ისევე ყაირათით ეკცევა, როგორც მაშინ, დილაადრიან სამსახურში მიმავალი დედა მძინარე შვილს შუბლზე რომ ეამბორებოდა და თავთან დაწყობილი პურის წიგნაკების გვერდით მანეთს და ერთ აბაზს უტოვებდა. თან ჩურჩულებდა: წიგნაკებს გაუფრთხილდი, არ დაგავიწყდეს, რომ ეგ პურიაო.

ყველაფერი მცირედან იწყება.

მერე გადაიქცევა აყვავებულ ველ-მინდვრებად. მცხეთის, დუშეთის, თბილისის შემოგარენის წყალმოწყურებული, მოურწყავი ველები არაგვის წყლით გულს იჯერებენ და დახარჯულ შრომას თუ ენერგიას ერთი ასად და ერთი ათასად დაუბრუნებენ ამაგდარ ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოსათხოვარი

## ჩვენ სასწაულს მოვესწარით

წავიდა გონაშვილი... წავიდა იმათთან, ვინც ეს საოცარი „მრავალჟამიერი“ და „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ შექმნა, ვინც ეს სიმღერები იმღერა ომებში და ქორწილებში, მინდვრებზე და გზებზე... წავიდა დედას ლევანასთან და ყარალაშვილთან...

გონაშვილისათვის სიმღერა შემოქმედებითი ტანჯვა იყო. ის თითქოს ხელმეორედ ქმნიდა საუკუნეებგამოვლილ სიმღერებს. ის რომ მღეროდა, მის სხეულში რაღაც დნებოდა, რაღაც იწვოდა. ვერ იტყვი, ის „რაღაც“ სული იყო, გული იყო, ნერვები იყო, სისხლი იყო თუ რა იყო, მაგრამ საოცარი რამ კი გარდაიქმნებოდა აწ უკვე ლეგენდარული გონაშვილის ხმად. გონაშვილში, როგორც ხეობაში მთის მდინარე, ისე იკრიბებოდა ჩვენი ისტორია — მევენახეთა და მეხილეთა, ციხისმშენებელთა და ხმლის გამკვერავთა, მწყემსთა და მონადირეთა მაჯისცემა; გონაშვილიდან, როგორც აპრილიან ალაზნის ველიდან ყვავილები, ისე ამოდიოდა წინაპართა სულისკვეთება.

ჩვენი თაობა ბედნიერია. ჩვენ სასწაულს მოვესწარით. თითქოს გონაშვილი კი არ მღეროდა, მას რაღაც ზეგარდმო ძალები ამღერებდნენ, თითქოს ზეგარდმო ძალებმა გამოგზავნეს იგი, რომ ჩვენთვის რაღაც მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანი ეთქვა, რაღაც აუცილებელზე მიენიშნებინა, რაღაც შეეხსენებინა ჩვენთვის.

რა იყო, რას გვეუბნებოდა გონაშვილი, რას გვახსენებდა, რას მიგვანიშნებდა მისი ხმა — მისი სულის ჭრილობა?

— არ დაგავიწყდეს, ვისი გორისა ხარ!..

— აი, ესაა შენი სამშობლო, შვილო!...

— შენ შენი წინაპრის სული დაგტრიალებს თავს!..

ახლა ძალიან გაგვიჭირდება უშენოდ, ძნელი ყოფილა ასეთი კაცის მიწას მიბარება. ახლა უკვე მოგონებებშილა მოჩანს შენი მშვიდი, სიყვარულიანი მზერა, რომელშიც ზოგჯერ არწივი გადაიფრენდა ხოლმე.

**მამუკა წიკლაური**

## ათასწლოვანი ხმა

როცა იგი მღეროდა, როცა სულგანაბული ვუსმენდი, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ვუბრუნდებოდი შორეულ წარსულს, რომელიც ნამდვილად მახსოვდა თუ არა, ვერავის დავუმტკიცებდი, მაგრამ მთელი არსებით განვიცდიდი, რომ მისი ხმა — საუკუნეთა წიაღიდან მომდინარე, აცოცხ-

ლებდა გრძნობათა სამყაროს, ერთ დროს ჩემში არსებულს, მაგრამ მივიწყებულს და მითვლემილს.

გონაშვილის ხმა მდინარეს ჰგავდა, წმინდა, კრიალა მდინარეს, რომლის დინება და ხმოვანება ყველასათვის მისაწვდომი იყო, სათავე კი უხილავი, სათავე შორეულ წარსულში ჰქონდა.

როცა მის სიმღერას ვუსმენდი, მარტოც რომ ვყოფილიყავი, სიმარტოვეს ვერ ვგრძნობდი, რადგან მისი ხმა ზნეობრივი მადლით იყო მოსილი.

როცა იგი მღეროდა, ჩვენ, — მისი მსმენელები ვერთიანდებოდით, ვმთლიანდებოდით და ვგრძნობდით ერთობის განსაცვიფრებელ ძალას. გვაერთიანებდა იმ სათავის გახსენება, საიდანაც მისი ხმა მოედინებოდა.

გონაშვილის ხმა იყო გულთა შემკრები, წარსულისაკენ, სათავისკენ რომ ერთდროულად გაახედებდა უამრავ ქართველს და ამ ერთდროული, უნებლიე გახედვისას ვგრძნობდით ძალმოსილებას მომდინარეს საუკუნეთა წიაღიდან. როცა იგი სიმღერას დაასრულებდა და მცირე პაუზის შემდეგ, რადიოში ან ტელევიზორში სხვა ხასიათის, სხვა ჟანრის მელოდია აჟღერდებოდა, ჩვენ, თითქოს, ვცილდებოდით ერთმანეთს, ცალ-ცალკე მსმენელებად გარდავიქმნებოდით, ვქუცმაცდებოდით, სადღაც ქრებოდა ის გამამთლიანებელი ძალა მის ხმას რომ მოჰქონდა ჩვენამდე. რაოდენ საგრძნობი იყო მაშინ სხვაობა მარადიულსა და წარმავალს შორის.

ალბათ ასე მღეროდა ავთანდილი.

ალბათ ასეთმა სიმღერამ, ასეთმა ხმამ ათქმევინა რუსთაველს: „რა ესმოდათ მღერა ყმისა სმენად მხეცნი მოვიდიან“. ალბათ ავთანდილის ხმა რუსთაველისთვისაც შორეული წარსულიდან ისმოდა. საქართველოს უღრმესი წარსული ხომ ყველაზე მეტად ხალხურმა სიმღერებმა შემოგვინახეს.

გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ შესაფერი პატივი ვერ მივაგეთ, ვიდრე ჩვენს გვერდით ცხოვრობდა; ისე ვერ დავაფასეთ, როგორც ეკადრებოდა მომღერალს, რომელსაც ავთანდილის ხმა ჰქონდა. არაა დასამალი, პირდაპირ უნდა ითქვას: ბევრი ქარიხვეტია შემოქმედი გაცილებით უკეთ ცხოვრობდა და ცხოვრობს ვიდრე ღვთაებრივი მომღერალი — ჰამლეტ გონაშვილი. დიახ, მას ღვთაებრივი ხმა ჰქონდა. იგი ისე მღეროდა თითქოს გალობდა. ჩვენც შევეჩვიეთ მის ხმას, ჩვეულებრივად შევიფერეთ მისი სიმღერა და გვეგონა რომ ყოველთვის ცოცხალი იქნებოდა, ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნებოდა. ვის მოუვიდოდა აზრად თუ ასე სწრაფად შეუერთდებოდა წარსულს, საიდანაც მისი სიმღერა მოისმოდა.

რადგან სიკვდილი დაუკითხავად მოდის, ჩვენ ყოველთვის გვავიწყდება გავუფრთხილდეთ იმ ღირსეულ, თითოოროლა მამულიშვილს, რომელთა გვერდით ცხოვრება, თანამოღვაწეობა, როგორც მერე აღმოვაჩენთ, თურმე ბედნიერი შემთხვევა ყოფილა.

ათასწლოვანი ხმა, „გენეტიკური ხმა“ — გონაშვილის სიმღერით რომ გადაგვირჩინა ბუნებამ, მარად იქნება ჩვენი გამამთლიანებელი, დამმუხტველი, ქართველთა გულთა შემკრები.

ბრუნავს ფირფიტა... მღერის გონაშვილი... გონაშვილის ხმა და ქართული ხალხური სიმღერა თითქოს ერთნაირად ძველია, ისინი ერთდროულად დაიბადნენ, მერე ერთმანეთი დაკარგეს, რათა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ათასწლეულთა შემდეგ კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ბედნიერი შეხვედრა ჩვენს თვალწინ მოხდა.

სწორედ ამიტომ გვეუფლება უდიდესი სინანული ჰამლეტ გონაშვილის ბედისწერული სიკვდილის გამო.

გივი ალხაზიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვმღეროდი...

რატომ გვინდა გამოსათხოვარი სიტყვები ვუთხრათ ამ ქვეყნიდან წასულ ადამიანს? ალბათ იმიტომ, რომ ამქვეყნად მისი ყოფნა შუქს მატებდა ჩვენს ცხოვრებას და ამისთვის ჩვენი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ.

ჰამლეტ გონაშვილის ერთ-ერთმა მსმენელმა, მეც მინდა ვუთხრა მას მადლობა.

ისე მოხდა, რომ პირველად მის სიმღერას ფირფიტაზე ჩაწერილს მოვუსმინე.

კარგად მახსოვს ის წუთები.

ქართველებს გვაქვს ასეთი გამოთქმა: „გულს უხარიაო“. ეს ის გრძნობაა, როცა ირგვლივ ყველაფერი კარგი ხდება უცებ.

ვუსმენდი სიმღერას და გულს უხაროდა. მოდიოდა ჰანგები და ყოველი მომდევნო ბგერა ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც ელოდა მთელი ჩემი არსება. თითქოს იმ ჩემთვის უცნობ გრძნეულ ადამიანს სურდა, რომ სწორედ მე გავეხადე ბედნიერი.

სიმღერა რომ დამთავრდა, ანგარიშმიუცემლად ისევ თავიდან დავდე ფირფიტა და მაშინვე მივხვდი რატომაც: ეტყობა, შემეშინდა, ვაითუ ეს ყველაფერი მხოლოდ მომეჩვენა-მეთქი...

მერე კი გავიგე, ვისაც კი მოესმინა ჰამლეტ გონაშვილისთვის, თურმე ყველას ისეთივე გრძნობა ეუფლებოდა, რომ სწორედ მისთვის მღეროდა მომღერალი. მღეროდა, მღერის და იმღერებს.

იქნებ ტექნიკურ ცივილიზაციას მისი უამრავი ცოდვა მხოლოდ იმით შეიძლება ეპატიოს, რომ ტექნიკამ საშუალება მისცა ხალხს ცოცხლად შეინარჩუნოს საყვარელ ხელოვანთა სახება.

კვლავ და კვლავ შეგვიძლია მოვუსმინოთ ჰამლეტ გონაშვილის ხმას და გავიხაროთ გულები.

რა იყო ეს საოცარი ხმა?

ასე რომ იმღერო ის, რასაც ხალხი საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა, მხოლოდ ვოკალური მონაცემები არა კმარა.

მომღერლის ხმა მხოლოდ ხმის იოგების დაძაბვის შედეგი არაა. მას ათბობს მხურვალე გული, აწკრიალებს სიყვარული და წმინდას და მჭვირვალეს ხდის ფიქრი, ოცნება, მიზანი.

შემდეგ ბევრჯერ ვნახე ჰამლეტ გონაშვილი ტელევიზიის ეკრანზე, მომისმენია როგორი პატივისცემით ლაპარაკობდნენ მასზე მისი ნაცნობები, ერთხელ შემთხვევით მის საუბარსაც შევესწარი და ახლა ნამდვილად ვიცი, რომ მის თავისთავადაც ღვთით მინიჭებულ ხმას სწორედ მისი პიროვნება აქცევდა გულშიჩამწვდომ ბგერებად.

ანსამბლ „რუსთავზე“ გადაღებულ ფილმში ჩანს, როგორ ემზადება სიმღერის დასაწყებად ჰამლეტ გონაშვილი.

მის თვალებში იმ წუთას ქურუმის სერიოზულობა იგრძნობა.

აი, ახლა უნდა გაიღოს კარი და ქურუმმა მოწიწებით ხელი უნდა შეახოს წმიდათაწმიდას...

ვუსმინოთ, როგორა მღერის.

თითქოს სიმღერას ახლა ბადებს მისი გულისა და ქართული „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტის“ შეხება.

ესაა ქართული სიმღერა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ იმიტომ დავრჩით ამ მიწაზე და კიდევაც დავრჩებით, რომ აქ სხვა ვერ იმღერებს ასე. მხოლოდ ასე უნდა მღეროდნენ ამ მთებში და ამ გულისმომკვლელად პატარა მდინარეებთან.

ჰამლეტ გონაშვილის ხმის საიდუმლო ისაა, რომ მომღერალი ერთგული იყო ამ მიწისა და ამ სიმღერისა..

ეს ერთგულება უნდა ისწავლოს მისგან ყველა ქართველმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა, ვისაც კი სასიმღეროდ მიუწევს გული, რადგან ერთხელაც კი ღალატი თუნდაც საუცხოო ხმასაც ბზარავს და ამ ხმით ნამღერ სიმღერას უსიამოვნო ვოკალურ ვარჯიშად აქცევს.

ვის არ წარმოუდგენია საოცნებო სახე თავისი ქვეყნისა: თავისუფლების, სიკეთის, სიმართლის, სილამაზის საუფლო. სწორედ ამ საოცნებო საქართველოს ნაწილს, რაღაც საოცრებით ჩვენს გვერდით გაჩენილს, ჰგავს ჰამლეტ გონაშვილის სიმღერა...

სიკვდილი არ ნიშნავს ადამიანურ მოვალეობათა დასასრულს. „მიუხვალ მამა-პაპათა“, ამბობს ამაზე დიდი ქართველი კაცი. დიდი მამების წინაშე წარმდგარ ჰამლეტ გონაშვილს შეუძლია მშვიდად გაუსწოროს მათ თვალი და კითხვაზე „რას იქმოდი ქვეყნადო“, უპასუხოს:

— ვმღეროდი ქართველი ხალხისათვის.

**გურამ პეტრიაშვილი**

გიორგი ჩარკვიანი

# ვისთვის რას იტყვი

ნაწილი მეორე

ორკესტრი მამხნევებელ მუსიკას უკრავდა. ცირკის თაღის ქვეშ ჩამოკიდებულ, ფოლადის ბადისგან გაკეთებულ დიდ სფეროში ორი მოტოციკლი წრეს წრეზე ურტყამდა. მანეჟის ინსპექტორის დინამიკებით გაძლიერებული, მოზეიმე ინტონაციების მქონე ხმა გაისმა: „ატრაქციონი — მაღლივი მოტოციკლები... ერთადერთი შემსრულებლები მსოფლიოში... გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე." როცა ორკესტრმა გრუხუნი მკვეთრად შეწყვიტა, ეს თხოვნა სრულიად უაზროდ ეჩვენა ნოდარს, ვინაიდან მოტოციკლების ღრიალი გარეშე ხმაურში აღარ ზავდებოდა და გამაყრუებელი გახდა.

ფოლადის სფერო ორ ნაწილად გაიყო, ქვედა ნახევარი ნელ-ნელა ძირს დაეშვა. ზევით დარჩენილი ორი ქალი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მყოფ მოტოციკლებით დაძაბული დარბაზის თავზე ერთმანეთის შემხვედრად მოძრაობდა. რაღაც თილისმის, უფრო სწორედ ცენტრიდანული ძალის და მძღოლების ოსტატობის წყალობით მოტოციკლები ქვევით არ ვარდებოდნენ, ზედიზედ უქცევდნენ მხარს ურთიერთს. და მაყურებლებს შიშნარევი გრძნობა არ უცხრებოდათ. უეცრად სინათლე გამორთეს. ისმოდა მოტოციკლების გრგვინვა, რომელთა გამოსაბოლქვი მილებიდან ყველა ფერის ნაპერწკლები უხვად ცვიოდნენ. ზევით თითქოს ცისარტყელის ორი ნაკუწი სწრაფად და თანაზომიერად ტრიალებდა. მრგვალ დარბაზში შემოჭრილ პატარა ღამეს ნერვები დაჭიმული ქონდა.

ისევ აყევი, ესე ვთქვათ, ფორმალისტურ ესთეტობას, — გაიფიქრა ნოდარმა, როცა ნომერი მშვიდობიანად დამთავრდა. — ცისარტყელის ნაკუწები მოზინდომა. ნაჭრებზე რას იტყოდი? შელამაზება საერთოდ არაფერს ჰირდება, მითუმეტეს გამბედაობას, მაგრამ ქართველი ხარ და არტისტიზმს ვერსად გაექცევი...

ნამდვილ ხელოვნებას რისკი ყოველთვის თან ახლავს. რასაკვირველია, სხვადასხვაგვარი ხასიათის და სხვადასხვა რაოდენობით. დისკუსიას იმის შესახებ, არის თუ არა ცირკი ნამდვილი ხელოვნება, აქ არ გავაბამთ. დღეს ლამის კრივი და ძალოსნობა გამოაცხადონ მხატვრულ შემოქმედებად. მართლაც, განა შეიძლება ესთეტიკური ტკბობა არ განიცადო, როდესაც ორი ადამიანი სრულიად უმიზეზოდ მუშტებით ერთმანეთს ცხვირპირს უნაყავს?! შეიძლება ჭეშმარიტი კათარსისი არ მოგედოს თავიდან ფეხებამდე, სულიან-ხორციანად არ განიწმინდო უკეთურ ზრახვათაგან, არაუამს ერთი მოყმე მეორეს იმისთანას დღლიზავს ყბაში, რომ ტვინს შეურყევს და იატაკზე გაშხლართავს?! ამის შემდეგ ვინ გაბედავს თქვას, კრივი ტრაგედიის მუზის კლიოს ღვიძლი შვილი არ არისო. დავუშვათ უკანონო, მაგრამ ამისთანა გარემოებას ბერძნულ ღმერთთა საზოგადოებაში ყურადღებას არცთუ ძალიან აქცევდნენ.

რაც შეეხება ძალოსნობას, იგი კიდევ უფრო ღირს არს ხელოვნებად იწოდებოდეს. მის მხატვრულ ბუნებაში არა გვგონია ვინმემ ეჭვი შეიტანოს. ეს უეჭველი ფაქტი განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება ხოლმე ზემძიმე წონის ათლეტების შეჯიბრების დროს. გამობაჯბაჯდება ფიცარნაგზე ხელებგაჩაჩხული კაი ყმა (კიდურების სისქე სხვა საშუალებას არ აძლევს), დაავლებს ტორებს შტანგას და იწყება შერკინება. ოხრავს და იჭინთება კაი ყმა. როგორც იქნება, შტანგას მკერდამდე აათრევს. სულს მოითქვამს. მერე რისვაივაგლახით სპორტულ იარაღს თავს ზევით მოიქცევს, ველური ხმით რაღაცას დაიბღავლებს, ხელს უშვებს წელისმომწყვეტ ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადს, რაც ნატიფი მუსიკალური ჯახანით დაეჩეთქება იატაკზე... ხელოვნებაა, აბა, ჩა ჯანდაბა! სხვა აზრი მხოლოდ ჭიამკვდარ ინტელიგენტს თუ მოუვა გასიებულ გოგრაში სატრფიალო ლირიკის კითხვით გამოჩერჩეტებულ ცუდაკაცს, ვისთვისაც მიუწვდომელია ცხოვრებისეული მხატვრული მშვენიერების ურუანტელის მომგვრელი განცდა...

თუმცა რატომ უნდა აგოს პასუხი სპორტის ამ ორმა საყოველთაოდ გავრცელებულმა სახეობამ ცალკეული მჩატე ჭკუის მქონე ჟურნალისტების შეცოდებების გამო. ამ უკანასკნელებს სურთ სიტყვა ხელოვნების ორი განსხვავებული მნიშვნელობა გააერთიანონ. ზღვარი ხელოვნების როგორც მხატვრული შემოქმედების და ხელოვნების როგორც პროფესიის ზედმიწევნით ცოდნის შორის თანდათან წაშალონ.

სპორტულ კომენტატორებს ამის საშუალება მეტადრე მაშინ ეძლევათ, როცა ჭადრაკზეა ლაპარაკი. რას არ აწერენ ამ ძველისძველ თამაშს. იგი სპორტიც ყოფილა, მეცნიერებაც და მაღალი ხელოვნებაც. უდავოა — ჭადრაკი ჭეშმარიტ სპორტად იქცა მას შემდეგ, რაც დროის ფაქტორს ანგარიში გაეწია. მეცნიერების რა მოგახსენოთ. ცნობილია, ჭადრაკი კიბერნეტიკის შესწავლის საგანი გახდა, მაგრამ კიბერნეტიკა იგივე მონდომებით იკვლევს კარტის სხვადასხვა თამაშების შემთხვევითობების კანონზომიერებებს, რის გამო „ოცდაერთი“, სახელგანთქმული „აჩკო“, არავის გამოუცხადებია მეცნიერებად. რაც შეეხება ხელოვნებას, აქაც არაფერია საკამათო. გამაცბუნებული ფანტაზიით დაჯილდოებულ კაცსაც გაუჭირდება ჭადრაკის თამაშში მხატვრული ქსოვილის აღმოჩენა.

მისი უქონლობით ჭადრაკს, კრივს, ძალოსნობას, კალათბურთს, სპიდვეის, ბიატლონს, ჭიდაობას, ჩოგბურთს და ა. შ., რახაკვირველია, არაფერი აკლდებათ.

ყოველგვარი სპორტული შეჯიბრების, მითუმეტეს თამაშის, მიმზიდველობა ბევრადაა განსაზღვრული მისი მოულოდნელი, წინასწარ ძნელად გასაანგარიშებელი შედეგით. ხოლო აანახაობითი ხელოვნების ამათუიმ ნაწარმოების სიუჟეტი, ფაბულა, შინაარსი ავტორებისა და შემსრულებლებისთვის წინდაწინ ცნობილია. ისინი შემოქმედებითი წვალების შემდეგ საბოლოოდ დგინდებიან და აღარ იცვლებიან.

სპორტული თამაში უმეტეს წილად იმპროვიზაციაა, იგი ერთჯერადი მოვლენაა და მაყურებლის თვალწინ იქმნება ერთხელ და უკანასკნელად. ხელოვნებაში იმპროვიზაცია სრულად გამოიყენება ნაწარმოების შექმნის დროს, რასაც გარეშე პირები არ ესწრებიან. მერე, მაგალითად, თეატრში ამ შექმნილის წარმოდგენა მრავალჯერ ხდება. ჩვენების დროს იმპროვიზაციის მნიშვნელობა შემცირებულია. მაგრამ მაინც მოცემულ ჩარჩოებში მსახიობები სხვადასხვა წარმოდგენებზე სხვადასხვანაირად ავლენენ თავიანთ ინდივიდუალურ მონაცემებს, ნიჭს, შესაძლებლობებს. როცა ეს აღარ კეთდება, როცა იმპროვიზაციის როლი ნულამდე დადის, შემსრულებლებს შემოქმედებითი ხალისი უქრებათ, სპექტაკლი აღარ იცვლება, არ ვითარდება, — ეს უკვე სიკვდილს ნიშნავს. მაყურებლები პანაშვიდზე არიან მოსული. შეიძლება ამგვარი პანაშვიდები მრავალ წელს გრძელდებოდნენ.

ძალიან კარგი სპექტაკლის ნახვა ერთხელ არაა საკმარისი. პიესის ფაბულის ცოდნა ანელებს ინტერესს, მაგრამ მხატვრულ ჩანაფიქრში უფრო ღრმად ჩაწვდომა ამის კომპენსაციას ახდენს. მაშინ კი, როცა საქმე ბუმბერაზ დრამატურგებთან გვაქვს, ფაბულის როგორც დამაინტრიგებელი ფაქტორის მნიშვნელობა პატარავდება. იქ თითქმის ყოველ სცენას, ლამის ყოველ ფრაზას დიდი მხატვრულ-აზრობრივი მოცულობა გააჩნია და მათი გაგება, შეცნობა, შეგრძნება ანიჭებენ მაყურებელს ძირითად სიამოვნებას, მასზე ზემოქმედებას ახდენენ. თეატრის მიზანია ამ რთული პროცესის გაადვილება. თვალსაჩინოება გარკვეულ უპირატესობებს იძლევა, თუმცა საერთოდ თეატრს ამ შემთხვევაში მოგებასთან ერთად ზარალიც მოაქვს. ამის მიზეზია — მოქმედების შეჩერების შეუძლებლობა, შეუქცევადობა, მეტყველების აღქმის გარკვეული სიძნელეები... მკითხველს შეუძლია ხელახლა წაიკითხოს პიესის ესა თუ ის ადგილი, წინადადების შინაარსზე ჩაფიქრდეს, უცნობი სიტყვის მნიშვნელობა დააზუსტოს ლექსიკონის საშუალებით. მაყურებელი ამას მოკლებულია. სახლში მობრუნებული კიდევ ასიდან ერთი თუ მოკიდებს წიგნს ხელს პიესის წასაკითხად... როგორც ყველგან და ყოველთვის, თეატრის ნაკლოვანებები მისი ღირსებების გაგრძელებაა...

მაშასადამე, თუკი თავიდანვე ვიცით, რომ ოტელო დეზდემონას დაახრჩობს, ამის გამო სპექტაკლისადმი ინტერესი არ ჩაგვეხშობა. ხოლო თუ ფეხბურთის მატჩის ანგარიში ჩვენთვის ცნობილია, მისი ვიდეოჩანაწერის ნახვა შიშველ ცნობისმოყვარეობას დაგვიკმაყოფილებს, მაგრამ არ აგვაღელვებს, აზარტს არ აღგვიგზნებს. მეორედ და მითუმეტეს მესამედ ამ ვიდეოჩანაწერის თავიდან ბოლომდე ყურება უკვე მოსაწყენია, ცალკეული ლამაზი მომენტების გამოკლებით. ლამაზი, ბიჭო, ამ ქვეყნად ბევრი რამ არის, მაგალითად, აყვავებული ატმის ხე, თუმცა მას ხელოვნების მოვლენად ჭკუაგადასული კაციც არ ჩათვლის.

გიორგი ჩარკვიანი

ვისთვის რას იტყვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შუაშია აყვავებული ხე? მისი სილამაზე ადამიანის მოქმედებასთან არ არის დაკავშირებული. ის ყვავის ისევე დამოუკიდებლად, როგორც ანათებს მზე, მოდის თოვლი. სპორტული კომბინაცია კი რამდენიმე სუბიექტის ერთიანი მოქმედებაა, ესე იგი მის სილამაზეს ადამიანების ნებელობა ქმნის, მსგავსად ხელოვნების სილამაზისა. ხომ ასეა? კი, სწორია. ოღონდ აქ პრინციპული განსხვავება არსებობს. ხელოვნება ყოველთვის იდეურია. მისი ყოველი ნაწარმოები ცხოვრების აზრის შეცნობის ცდაა. სინამდვილის გააზრების სურვილი. რა თქმა უნდა. მხატვრული ხერხებით. სპორტული შეჯიბრების მონაწილეებს მხოლოდ გამარჯვებისკენ სწრაფვა ამოძრავებთ. გამარჯვება — მიზანია. ამ შემთხვევაში იგი იდეამდე ვერ მაღლდება. ლამაზად იქნება გატანილი გოლი თუ უშნოდ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სპორტის დრამატიულობა ერთნიშნაა — ვინ გაიმარჯვებს. კონფლიქტი სწორხაზოვანი და სიღრმეს მოკლებული, სპორტისთვის უცხოა ჭეშმარიტების ძიება, აღმოჩენები; წესები ხელშეუხებელია და მათი დარღვევა მსაჯის მიერ ისჯება, მაშასადამე, თავისუფლება საგრძნობლადაა შეზღუდული. ნამდვილი ხელოვნება სწორედ იქ იწყება, სადაც არსებული წესები და მიღებული კანონები ნიჭიერად იქნება დარღვეული... სპორტის დრამატიულობა ტრაგიკულის ზღვარს ვერასდროს აღწევს, მაშინ როცა ხელოვნება იშვიათად ემიჯნება ტრაგიკულს...

ცეკვები ყინულზე ან მხატვრული ტანვარჯიში ხომ ბევრ რამეს დაესესხნენ ქორეგრაფიას? განა მათ არ გააჩნიათ მხატვრული ელემენტები? შესაძლებელია. ცეკვები ყინულზე ჩვეულებრივი ცეკვების არაჩვეულებრივ პირობებში შესრულების ცდაა. ეს საინტერესოა, მაგრამ მიბაძვა მეტად თუ ნაკლებად აქრობს ხელოვნების ცეცხლს. საბალეტო მინიატურასაც ერთგვარი აზრობრივი დატვირთვა ახლავს, რაც საშუალებას აძლევს შემსრულებელს თავისი ინდივიდუალობა შედარებით სრულად გამოამჟღავნოს. ტანმოვარჯიშის კომპოზიცია ბევრად უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს სპორტსმენს, აქ უფრო შემოფარგლულია შესაძლებლობები პიროვნული თვისებების გასამჟღავნებლად. ლაპარაკია სულიერ თვისებებზე და არა მარტო ფიზიკურზე. უპირატესად სულიერზე.

კინოს შესახებ რას იტყვი? მას მეოცე საუკუნის საყვარელ და განებივრებულ შვილს უწოდებენ, ყველაზე უფრო თანამედროვე ხელოვნებად თვლიან. ამავე დროს ეგრეთ წოდებული ფილმი-შედევრების სიცოცხლეც კი ასე ხანმოკლეა. ჩაპლინის სურათებისადმი ინტერესიც კი დღეს პირველ რიგში ცნობისმოყვარეობითაა განპირობებული... მოიცა, თუ ძმა ხარ. ჯერ იყო და გადაწყვიტე, რომ არ გააბამ შინაგან დისკუსიას თემაზე — [illegible] თუ არა ცირკი ხელოვნება. მერე მხატვრული შემოქმედების და სპორტის განსხვავების სქემის მოხაზვა დააპირე. ამ საქმიანობის შედეგი, როგორც თავმდაბალ კაცს შეეფერის, სავალალოდ უნდა მიიჩნიო... ახლა ნამდვილად არ ღირს კინემატოგრაფიის ღირსება-ნაკლოვანებებზე ფიქრი. სხვა დროს, სხვა დროს. კინო ხელოვნებაა თუ მისი ასლი, ამაზე თავის ტეხა შემდეგისთვის გადავდოთ. აქ იმიტომ ხარ მოსული, რომ წარმოდგენას დაკვირვებით უცქირო. გაანელე ყველაფერში გარკვევის მტანჯველი და განწირული სურვილი.

მანეჟზე ორი კლოუნი გამოვიდა. დაბალს გელიკონი ეჭირა ხელში, მაღალს — კლარნეტი. პანღური ერთმანეთისთვის არ ამოურტყამთ. რაღაც მელოდიის მსგავსი დაუკრეს. თითქოს ყალბი ნოტის აღებისთვის დაბალი გაუბრაზდა მაღალს. აიფხორა და შეუტია: შე, დოყლაპია, შე სისხლნაკლული სოსისო! მაღალი ნაძალადევი სიცილით გაიგუდა. რა გაცინებს, შე ბოთე? — დაუცაცხანა დაბალმა. მე, — ხარხარებდა მაღალი. — სოსისი კი არა, სარდელი ვარ.

დარბაზი დუმდა.

დაბალმა საიდანღაც უშველებელი რევოლვერი დააძრო და მაღალს უკანალში დაახალა. გასროლის ხმა, ცეცხლი ლულიდან და წითელი შარვლის გახევა თითქმის ერთდროულად მოხდა. მაღალ კლოუნს წარბიც არ შეუხრია. მშვიდი და ოდნავ ზიზღნარევი კილოთი წარმოსთქვა: შენც ერთი, სამიზნე გამონახე.

დარბაზს სიცილი წასკდა.

შარვალგამოხეულმა კლოუნმა კლარნეტი გადადო გვერდზე, ჯიბიდან სალამური და ბურთის კამერა ამოიღო. რეზინის კამერა პირით გაბერა, მისი კერტი სალამურის სატუჩეს ჩამოაცვა. კამერა იღლიაში ამოიჩარა და მკლავით დააწვა. საკრავმა ბგერები გამოსცა. თქვენ ისმენთ კამერულ კონცერტს, — მხიარულად დაიძახა კლოუნმა.

დარბაზმა ჩაიცინა.

ცირკის დიდი მოტრფიალე არასდროს ყოფილხარ. კლოუნების ამნაირ რეპრიზებზე არ გიხითხითია. ისე კი ხანდახან გაგჩენია სურვილი განსაკუთრებულად შეგყვარებოდა ეს უაღრესად დემოკრატიული სანახაობა, რომ ნაცნობებისაგან უფრო მეტად განსხვავებული, ორიგინალური პიროვნება გამხდარიყავი.

გსმენია, არსებობენ ნებისმიერი პროფესიის ადამიანები, ვინც უანგარო გატაცების გამო ჩახედულია საცირკო საქმის ყველა ნიუანსში, ზედმიწევნით იცის მისი წარსული და აწმყო, მსახიობებს იცნობს, ლაპარაკში ბუნებრივად ხმარობს უცხოთათვის გაუგებარ სიტყვებს და ტერმინებს. შენ ფაქტიურად შემთხვევით შეიტყე, რომ ცირკის კაცი —

მეცირკე ყოველთვის ამბობს — მანეჟი, მისდღემჩი არ იტყვის — არენა; რომ ამ მანეჟის დიამეტრი 13 მეტრია (თითქოს უფრო დიდი ჩანს); რომ ნომერს, ატრაქციონს კი არ ასრულებენ, არამედ „მუშაობენ“, ესე იგი აკეთებენ. რას ნიშნავენ სიტყვები — ალე. და კაპო, ლონჟა, კულბიტი, შამბერიერი და ზოგი სხვა, — ამის დადგენასაც ბევრი ასე დეფეციტური სამუშაო დრო არ დაჭირვებია. რაც შეეხება ორი ცნების — ილუზიონისტის და მანიპულატორის — სინონიმურობას, იგი გამცნო იმ გასტროლიორმა, ერთხელ თქვენ სოფელში ღია ცის ქვეშ რომ გამართა გალა-კონცერტი. ამ არცთუ ლამაზმა ყალთაბანდმა გულღიად განაცხადა: „ილუზიონისტები, ანუ მანიპულატორები, ანდა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ფოკუსნიკები უძველესი დროიდან არსებობენ.“ მან ჩინებულად უგულებელყო მცირე განსხვავება, რათა სქელი ხაზი გაესვა არსებითი მსგავსებისათვის.

არტისტი რენესანსული ყაიდის პიროვნება გახლდათ. მრავალმხრივი შემოქმედი — მომღერალი, მოცეკვავე, მხატვრული კითხვის ოსტატი, ილუზიონისტ-მანიპულატორი, აკრობატი, ჟონგლიორი, კონფერანსიე... სულ ორად-ორი თანაშემწე ქალი ეხმარებოდა ხელოვნების მსახურების ჟამს.

„ლიუდა“, — გულსაკლავად დაიგმინა ყირაზე შემდგარმა კაცმა და მისკენ ანთებული სიგარეტით ხელში გამოიქცა ქალი, რომლის მკერდი დროშასავით დაშვებული იყო. თამბაქო მოაწევინა თავდაღმა მყოფ. სახეალეწილ სპორტმენს, ვინც დაძაბა ნებისყოფა და მიწაზე ხელებით ნახევარი მეტრი გაიარა. თან პირიდან ბოლის რგოლებს უშვებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბილიარდის ორი პლასტმასის ბურთით ჟონგლიორობა დაიწყო. „ნატაშა,“ — დაიძახა გაწამაწიაში ჩავარდნილმა არტისტმა. ქერა ქალი ფრთხილად მიუახლოვდა. ხაზებშემოვლებული ჭილა ბურთი მოხერხებულად ჩაუგდო წამით თავისუფლად დარჩენილ ხელში. სამი საგნით ჟონგლიორობამ დიდხანს არ გასტანა. ბურთები მალე ძირს დაცვივდნენ, ყვითლად ბზინავდნენ მწვანე ბალახში...

წარუმატებლობამ ხელოვანს ნირი ვერ შეუცვალა. სცენა მიგდებული ხულის წინ იყო გამართული. არტისტმა ხელი მისკენ გაიშვირა და იკითხა: „რა არის ეს?“ თვითონვე უპასუხა: „ხულა.“ დაავლო ხელი პლასტმასის რგოლს, შიგ თავი გაყო და ხალისიანად წამოიძახა: „ეს კიდევ ხულა-ხუპია“. ხმამაღლა გაიცინა და ჰულაჰუპის ტრიალი დაიწყო თავისი ჩავარდნილი მუცლით, გაფშეკილი ფერდებით და მენჯით...

სპორტული შარვალი არ გაუხდია. მაისურზე უცნაური — გომბეშოსფერი ჩოხა ჩაიცვა. ნატაშამ სკამზე ბაგა-ბუგი ატეხა. მოცეკვავემ „მთიულური“ დაუარა ჩინური კედებით და ყვირილით აიკლო იქაურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტრაქტის დროს ხულის უკან კოსტუმში გამოწყობილიყო, თავისთავს ეშაირა ფანდურის თანხლებით. ახარხარა ხალხი, თუმცა პირწავარდნილ უწმაწურობას მოერიდა. ფოკუსები მიაყოლა. შიგადაშიგ ნიშგებით გაურევდა ხოლმე ლაპარაკში — ჩვენ, ქალაქელები...

სავალალოა, რომ ესტრადის ამ მაესტროს უბადრუკი სუფრა გაუშალეს. ლობიო, ფხალი და ძუნწი გული. სად იყო თავი პური, თავი ყველი, თავი ხორცი... ეს კია, ყვავს რომ დააჩხავლებს, ისეთი ღვინო ზღვად სკდებოდა. ასხმევინეს და ასხმევინეს ყელში ათლეტ არტისტს მურაბის ქილით, ლუდის კათხით, ლამფის შუშით... მაგარი კაცი აღმოჩნდა — მთლად არ გამოთაყვანებულა. ჩაიჯიბა ბილეთების გაყიდვით ნაშოვნი თანხა, რაც მეტწილად ლითონის ფულისგან შედგებოდა, მარჯვენა ხელი ლიუდას და მარცხენა ნატაშას მოხვია და იტალიური სიმღერით დაუყვა თავდაღმართს, რათა სამ კილომეტრში მდებარე შოსეზე სატვირთო მანქანას დამგზავრებოდა. ქალებს მჩატე რეკვიზიტი მიქონდათ. ათლეტი ხან ერთს კოცნიდა ლოყაზე, ხან მეორეს შეღებილ თმაზე და თან მღეროდა. ის მადლიანი ძმარი ქალებსაც მოკიდებოდათ. ხმებს აყოლებდნენ თავის ბელადს ხელოვნებაში და უცვლელ პარტნიორს ლოგინში. მჟავე ღვინით შედუღაბებულ ამ შემოქმედებით კოლექტივში ახლა ეჭვიანობას და ინტრიგებს გასავალი არ ქონდათ.

სამი ადამიანი ერთ ხმაში ამბობდა და თითქმის არ აყალბებდა ნეაპოლურ მელოდიას. რიონის ხეობაში მოსაღამებულიყო. ხვამლის მთა უფრო მაღალი ჩანდა. შორიდან კოლოს ბზუილივით მოისმოდა — სანტა ლუჩია, სანტა ლუჩია.

შეუხედავი ქალი ბაგირს ზევით აყვა. თალის ქვეშ პროჟექტორი მიანათეს, სპორტული კოსტუმი აბზინდა. ქალმა საჰაერო ღერძი გააქანა, ხელებით ჩამოეკიდა და უეცრად ლამაზი გახდა. მეორე მხარეს ასეთივე ღერძს მუხლებში მოხრილი ფეხებით კაცი ჩამოკონწიალებოდა. როცა მესამედ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, კაცმა დაიძახა — „აპ!“ ქალი მოწყდა თავისებურ საქანელას, სალტო გააკეთა. პარტნიორის ხელებს აცდა და ფოლადის ძაფებისგან დაგრეხილ, დამზღვევ ბაწარზე — ლონჟაზე ჩამოკიდებული უაზროდ ირწეოდა ოციოდე მეტრის სიმაღლეზე. კოსტუმი კვლავინდებურად ბზინავდა.

ცირკში სასაცილო მხოლოდ კლოუნადაა. მაგრამ კლოუნადის გარეშე წარმოდგენა სულ

ლაფავს. ყოველ ნომერს შეცვლი, კლოუნადას — ვერა. ალბათ ამის გამოა, რომ ყოველგვარ ოხუნჯობას, მასხარაობას, არასერიოზულ ამბავს, ქარაფშუტულ მოქმედებას ხალხი სიტყვა ცირკს მიუყენებს ხოლმე. უსამართლოდ მეტ შემთხვევაში.

„ეგ ბიჭი ნამდვილი ცირკია“, — შემწყნარებელი ღიმილით იტყვიან ანგალ ყმაწვილზე. ზიზღნარევი ინტონაციით: „თანამშრომელი კი არა, ცირკია“.

თამადამ სუფრა ამხიარულა. ალტაცებით მასზე: „იფ, რა ცირკები ჩაატარა!“

ორატორი ამაოდ ცდილობდა ხუმრობით დარბაზის გამოცოცხლებას. გაკილვით: „თავქარიანი ვიღაცაა, ცირკში უნდა გამოდიოდეს.“

ვინცობაა მოხერხდა ვინმეს მისტიფიცირება (ჩვენებურად რომ ვთქვათ, გაშაყირება). ამ კეთილშობილი საქმის სულისჩამდგმელებს თავისას მიუზღავენ: „აუჰ, რა ცირკები მოუწყვიათ!“

სიტყვა ცირკის ამგვარი გამოყენების წინააღმდეგ გალაშქრება თავიდანვე განწირულია. იგი ჩაფლავდება ისევე, როგორც ენის სიწმინდის, ასე ვთქვათ, მესვეური ლინგვისტების იერიშები ზეპირ მეტყველებაში ჟარგონიზმების ხმარების წინააღმდეგ.

ოცდახუთიოდე წლის უკან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატობის კანდიდატები ბეჭდავდნენ ვრცელ სტატიებს, სადაც სამატცხვინო ბოძს აკრავდნენ ენის სისპეტაკის შემრყვნელ ხულიგნებს. გზაგაგზა ცდილობდნენ აღეგავათ პირისაგან მიწისა ყველაფერი, რაც ოდნავ უჩვეულო იყო. ამ არამკითხე საზოგადოებრივ მოღვაწეთა ნაწერები დაახლოებით ასე გამოიყურებოდნენ:

„მადლიანთა ჩვენთა წინაპართა რაზომ წელთა უკან უბრძანებიათ არა პურითა ხოლო ჰსცხონდების კაცი. ეგა ბრძნული ჰაზრი სწორ არს, რამეთუ გლეხის ნათქომია, იმა გლეხისა, ვინაც ყველა კეთილი და კურთხეული საქმის ბურჯი გახლდათ. ფეოდალსა კიდევ, ღიპიან ექსპლოატატორსა პატიოსანი ხალხისა ალულია ბინძური პირი თვისი და მოუჩმახია: პური ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს. ისემც იმან გაიხაროს, რა ჰკუის კოლოფი ისა ყოფილა.

იმას მოგახსენებდით, ადამიანს, თვინიერ საჭმელისა, ბევრი სხუა რამ არანაკლებ სჭირდება. თუნდაც ენის სიწმინდის საკითხი ავილოთ. რა სიტყუებს ხმარობენ ახალგაზრდები — ეს პირიმზე ასულები და მკლავმაგარი ვოჟები. შეხედავ — გულით გაიხარებ, ყურს მიუგდებ — გული საგულიდან ამოგივარდება. ვერას გაიგებ, დალათუ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იყაი ელეთ-მელეთი დაგემართება, აბა, რა დოზანა, ოდეს პირმწყაზარი ქალწული უბნობს — შე ჩემა, მოკეტე რა, ვერ ისქესე, რომ დილიხორი არა მაქვს. სიბრაზით ბალანი აგეშლება, როს მოხდენილი ჭაბუკი ზიზღნარევად იტყვის: ერთი ვხიე იმ გოიმს და პლეტი იყიდა. არევა, მოჩანგვლა, ნაშა, ჩაწყობა, მოხაზვა და სხვანი ამგვარნი ტურტლიანნი ლექსნი არნ მათი მეტყველების საუნჯე და სალარო.

მაგრამა განა მარტოოდენ ენის გავერანების ცდები გვიშხამავს გუნებასა, გულში ბალღამს გვიწვეთებს. ეგრე რომ იყოს, ჩუენს ბედსა ჯერა კიდევა ძაღლი არ დაჰყეფდა... გარნა სადაცაა წაგვლეკოს, გაგვაპარტახოს ამ უცხოურმა მოდებმა.

ქართველი ქალი ადადან-ბაბადან ცნობილ იყო კდემამოსილებითა და დარბაისლობითა. ოდითგან ეს მოსდევდა ჩუენ მანდილოსანსა და ახლანდელ გომბიოებს რა ღმერთი გაუწყრათ, რა ეშმა შეუჯდათ. მანდილსა და ჩიხტიკოპს ვინღა ჩივის, ნაწნავების ტარება სირცხვილი გამხდარა. აფსუს, სადღაა ხაბარდა კაბები, ქათიბი, სარტყელი, ყურთმაჯები, ქოშები. ვაი, ჩუენი ბრალი. მოკლე კაბები ჩაუცვამთ, ნემსის სიმსხო ქუსლებზე შემდგარან, ტუჩები შეუღებიათ, ვაუურად შეუკრეჭიათ თმა... ეხლა კაცებს არ იკითხამ. დაალაჯებენ ამ ვიწრო შარვლებითა, ნამუსის ქუდს თავზე არავინ იხურამს, იფ, იფ, რა სანახავია!

ჩუენ არაერთგზის შეგვიჩერებია საზოგადოების ყურადღება ამ მტკივნეულ საკითხებზე. ამჯერადაც დავუბრუნდებით, ვითარმედ აუცილებლივ საჭიროა ეს... მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად ეროვნული ...ის მოგვარება.“

კანდიდატობის კანდიდატები დღეს ზოგი დოქტორია, ზოგი ლაბორანტი, ზოგი საწყობის გამგე, ზოგი სასტუმროს დირექტორი. მაგრამ საქმე ისაა, რომ თავის დროზე ისინი ამაოდ დაშვრნენ. ეს ჟარგონი, რომელსაც შეიძლება სტუდენტური ვუწოდოთ, ამჟამად ცოცხლობს, ახალი სიტყვებით მდიდრდება. კარგია ეს თუ ცუდი—ამაზე ერთნიშნა პასუხს ვერ გასცემ. ისე კი უდავოა — მისი გაქრობა ენას გაალარიბებდა. მაგალითად, დამატებითი სიძნელეები შეიქმნებოდა იმ უცხოური ნაწარმოებების თარგმნისას, სადაც ავტორები თამამად მიმართავენ ახალგაზრდულ სლენგს... ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ხანდახან გალარიბება ჯობია გამდიდრებას. არა, ამ შემთხვევაში ალბათ არ ჯობია.

ზოგიერთი სახელის მქონე გრაფომანისათვის (ასე შევარბილოთ მდაბიური — მჯღაბნელი) არქაიზმების უადგილოდ და ჭარბად გამოყენება, ყალბი, „ამაღლებული“ ტონი რა ხანია თავმოწონების და კეკლუცობის საგანი გახდნენ. თუ იხმარე სიტყვები — ხელეწიფების, ესოდენ. თვინიერ, მარტოოდენ, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთუ, — მაშასადამე, ნიჭიერი ხომ ხარ და ხარ, როგორც ყველა ქართველი, ამასთან ერთად უზომოდ განათლებული ყოფილხარ და გადაჭარბებით დაუფლებიხარ მშობლიურ ენას. მაგრამ ვაი შენი ბრალი, თუ ნაწერში გამოიყენე ყველასთვის ცნობილი ლექსნი — შეუძლია, ამდენად, გარდა, მარტო... ეს ნიშნავს, რომ უმეცარი ხარ, საყველპურო ქართული ძლივძლივობით შეგითვისებია. ნაფტალინმოყრილ სიტყვებისადმი ტრფიალება განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა მეკალმე ეგრეთ წოდებული მხატვრული ნარკვევის წერას მოკიდებს ხელს. რა არის საჭირო ამგვარი თხზულების შესაქმნელად? პირველ რიგში მრავალსიტყვაობა. მერე უნდა შეგეძლოს გაურკვეველი პეიზაჟების ხატვა. აუცილებელია სალი აზროვნების, ლოგიკის, საერთოდ რაციონალური საწყისის სრული უგულებელყოფა. სწორედ ამნაირი, ჭეშმარიტად მწერლური პოზიცია ქმნის ემოციურ, რომანტიკულ ეფექტს. ვინაიდან წვრილმანი კეთილგონიერება, მეშჩანური ანგარიშიანობა, ობივატელური საქმიანობა, წამბილწავი პრაქტიკულობა წყალწმინდა შემოქმედების ლაღი ბუნების, მისი დაულურსმავი აღმაფრენის მოსისხლე მტერია.

აი სწორედ ამ აღმაფრენის გამოსავლენად საჭიროა მიმართო მართალია ბეხრეკ, მაგრამ მარად უჭკნობ სიტყვებს. გარდა ამისა ცხოვრების ასახვა სფეროზე ბუნდოვანი წარმოდგენა უნდა გქონდეს. რაც უფრო ბუნდოვანია, მით უკეთესი.

პეიზაჟი. მისი შექმნა განა მცირე ოსტატობას მოითხოვს?!

„გაზაფხულმა მადლიანი კალთა დააბერტყა ჩვენი ქვეყნის ამ უბადლო კუთხეს. ვაშლები და ვარდები, მსხლები და მიხაკები, იები და იაიები ჰყვავიან, მშრომელი კაცის გულს სიამეს ჰფენენ, დამაშვრალ მარჯვენას ახალი ილაჯით ავსებენ. ორღობეში გამოსულს, როგორც ჰაეროვანი ბანოვანი, დაგეძგერება სუნნელი — მომავალი ხვავრიელობის და დოვლათის მაცნე, მდიდარი შემოდგომის მოციქული.

მზე ხან იცინის და ხანაც პირს იბანს. მისი სხივები უხვად ეფრქვევა არე-მარეს, ჩვენი ნარკვევის გმირის — მანდიკაანთ ქიტუას მწვანეში ჩაფლულ კარ-მიდამოს და, რაც მთავარია, მასზე განპირობებულ ნაკვეთს. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რა მართალი იყო მეფე როსტევანი, ოდეს ბრძანა: ვარდთა და ნეხვთა მზე სწორად მოეფინებისო. დიახ, ესთეტიკა ამტკიცებს — ვარდი მშვენიერიაო. მაგრამ აგროტექნიკა ქადაგებს ნეხვის სიკეთეს... მეტსაც ვიტყვით — სიტურფეს. ნეხვი თუ არ მოაყარე ყანას, რას შესჭამ მერე ზამთარში...“

ახლა გმირის პორტრეტი. მისი ნებისყოფა — სულიერი უმწიკვლობა.

„ქიტუას ელიმება ნათელი ღიმილითა. იგი ჩია ტანის, ჩხირივით ხმელი კაცია. ვითარც იტყვიან, საპნის ნალევია. ცხვირში სინათლე გასდის. ოციოდე წლის უკან, როცა შეიგნო, რომ კეთილმა ადამის ძემ თავისი წილი ლუკმა უპრიანია სხვას გაუყოს, ქიტუამ ჭამას თავი დაანება. წყლის სმას ჯერჯერობით ვერ შეელია ბოლომდე. კვარტალში ერთხელ შესვამს ხოლმე მომცრო ჭიქას. ასე გვითხრა: ჩემი მიზანია ახლო ხანში დავთრგუნო ეს დამღუპველი ჩვეულებაო. ეჭვი არ გვეპარება — დათრგუნავს.

ნეტამც არ მეკითხა, გარნა ვკითხე: ღვინოს ხომ არ ყლურჭავ, არაყს ხომ არ ხუხავ-მეთქი. ელდა ეცა ქიტუასა, მკვდრის ფერი დაედო. ერთი ამოიკვნესა — გველმა თქვა, კბენა არ ვიცოდი, კაცმა მასწავლაო. გალეული ძალღონე მოიკრიბა, მცირე ძალაყინს დაავლო ხელი...

...გრძნობაზე სამი დღის შემდეგ მოველ სოფლის საავადმყოფოს რეამინაციულ განყოფილებაში, სადაც თავგატეხილი ქიტუას ზურგით მივუტანივარ. მოველ გრძნობაზე და გამეხარდა, რომ ამისთანა მადლცხებული, კეთილისმყოფელი, სათნო თაფლიკაცი გავიცანი.

— არ გიყო მიწამ პირი? — გამეხუმრა იქვე მდგარი მოლუშული ქიტუა. ხელში ისევ ძალაყინი ეკავა.

— დარდი ნუ გაქვს, ქიტუ, — გაეპასუხა ვირგლა ფელდშერი. ისიც დიდი ოხუნჯი ვინმე ჩანდა. — ნემსს ვლეწავ და ცოტა ხანში ჩაძალლდება.

რა შეუდარებელი, შეურყვნელი, გულმხიარული იუმორი აქვს ჩვენს უბრალო ხალხს. სიცილისგან ფერდები ჩამასკდა, სანამ ნახევარმეტრიანი ნემსი შემირჭეს, სადაც ჯერ არს. ამის შემდეგ გრძნობა კვლავ დავკარგე!“

მოიცა, მოიცა ნუ გადაამლაშე. ამ ტიპის ნარკვევების ავტორები ბრექია ხალხია. ტრაბახში ამოსდით სული და თავის თავს გაჭირვებულ მდგომარეობაში არასდროს აჩვენებენ. საკუთარი ჩვეულებრივობის გამომჟღავნებას ძლევამოსილი ვაჟკაცის და შეუცდომელი ბრძენის პოზას არჩევენ. თუმცა აქ პაროდიაა, რაც უტრირებას მოითხოვს.

მხნე მელოდია გაისმა და მანეჟზე ორი ცხენი შემოჭენდა. ცხენები ყალყზე დგებოდნენ, ტლინკებს ყრიდნენ, ხტუნავდნენ, ვითომ ცდილობდნენ კოვბოურად ჩაცმული მხედრების ძირს ჩამოგდებას. წარმოდგენილი იყო როდეოს სცენა და იმდენად დამაჯერებლად, რომ ნოდარს ჟრჟოლამ დაუარა. მოქმედებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაითრია, თამაშის წესები მიაღებინა. სწორედ ამიტომ, როცა ცხენებმა წრიული ჭირითი დაიწყეს, მან თითქოს დაიჯერა, რომ ასე უცებ გაიხედნენ და სხვის ნებას დაემორჩილნენ.

ორი გაგელვებული ლურჯა და ორი მხედარი.

ერთხანს მიაქროლებენ უალვირო ბედაურებს. უნაგირზე ხელმოკიდებულები ძირს ხტებიან, სამ-ოთხ ნაბიჯს გაირბენენ და ისევ ზედვე შეაფრინდებიან. პირით ხან წაღმა, ხან უკულმა.

ნავარდი გრძელდება. მხედრები ნელ-ნელა გაქანებული ცხენების სწრაფად მოძრავ წინა და უკანა ფეხებს შორის მოექცნენ, თანდათან მეორე მხარეს გადაინაცვლეს და პატარა ხანში ისევ უნაგირს შემოაჯდნენ. ამ დროს მაინცდამაინც არ აქცევდი ყურადღებას, რომ ვოლტიჟიორები ხელებით და ფეხებით უზანგებს და უნაგირის სარტყელებს ეჭიდებობოდნენ. არ გინდოდა მიგექცია... მაგრამ მეორე ნომერი პირველზე ნაკლებად მოგეწონა. ადამიანის მოქმედების რიტმი არ თანაშეეზომებოდა ცხენის ჩქარი სირბილის რიტმს. ჩანდა, რომ კაცს უძნელდება ცხენქვეშ გაძრომა. რიტმების თანაშეუზომლობა ერთგვარად ამცირებდა ეფექტს. პირველი ნომერი კი ისეთი ხალისით სრულდებოდა, თითქოს ამის გაკეთებას რა უნდაო. სიძნელეს ვითომც ხუმრობით ძლევდნენ... ხალისი შენც გადაგედო. რაღაც გიხაროდა და თავს არ იმტვრევდი იმის გასარკვევად, რა პრევალირებს ცირკში — სპორტი თუ ხელოვნება.

არქაიზმები, არგოტიზმები... მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების დიდი უმრავლესობა ერიდებოდა არქაიზმებს, ხოლო მათი გმირები ზეპირ მეტყველებაში არცთუ იშვიათად მიმართავენ არგოს. არქაიზმის გაცოცხლება ძნელია, არგოს გარეშე კი ჭირს ამა თუ იმ სოციალური ფენის ყოფის ზოგიერთი ნიუანსის გადმოცემა. თავადაზნაურთა ფრანგული ენა „ომსა და მშვიდობაში“ ამ მხატვრულ მიზანს ემსახურება.

ბაირონმა პოემა „დონ-ჟუანის“ ერთი სტროფი — ხუთტერფიანი იამბით დაწერილი ოქტავა, — სადაც ვინმე მოკლული მძარცველის საქმიანობაა აღწერილი, ქურდული ლექსიკით ააჭრელა. ბალზაკის ვოტრენი რატომღაც ნაძირალების ენას აძლევს უპირატესობას და არა გრაალის მაძიებელი რაინდების ნატიფ გამოთქმებს. ჩეხოვის ნოქრები თუ ექიმები თავისებურად უქცევენ... ეს ხაზი მეოცე საუკუნის მწერლებმა გააგრძელეს. ისეთი გამოჩენილი მკვლევარი, როგორიც იური ტინიანოვია, თვლიდა, რომ ილია სელვინსკიმ ოციანი წლების რუსულ პოეზიაში ახალი ინტონაცია შემოიტანა ლექსით „ქურდი“, სადაც გასაგები მიზეზის გამო ლირიკული გმირი ნაკლებად სარგებლობს კეთილშობილ ქალთა პანსიონის აღზრდილთა ფრაზეოლოგიით. უკვე ჩვენ დროში ახალგაზრდულ სლენგს იყენებს არა მარტო სელინჯერი, არამედ იგივე ჟურნალ „იუნოსტის“ ბევრი ავტორი.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ პირწმინდად უარსაყოფია არქაიზმები, ხოლო ყველა ჯურის არგოტიზმი ყოველმხრივ მისასალმებელი. მხატვრული ალღო ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს. არც ის დავივიწყოთ, რომ მცირერიცხოვანი ერის ენის განვითარებას, საყოველთაოს გარდა, ცალკეული სპეციფიკური კანონებიც გააჩნია. მისთვის არქაიზმების ახალი მნიშვნელობით გაცოცხლება, როცა ეს შესაძლებელია, მრავალჯერ სჯობს უცხო სიტყვების გათავისებას. სწორია, რომ არ ვკარგავთ სიტყვა საჭრეთელს, ადრე უცნობ სპორტულ იარაღს ვარქმევთ ტაიჭს, ჩოგანს ვიხსენებთ, ტენისის ნაცვლად ჩოგბურთს ვხმარობთ, შოფრის მაგიერ ვცდილობთ მძღოლი დავამკვიდროთ... მაგრამ განა საჭიროა კიბერნეტიკა, რომლის საფუძველს ძველბერძნული მესაჭე წარმოადგენს, მესაჭეობად მოვნათლოთ? ალბათ არა.

ანგარიშგასაწევი არგოს გასაჩენად აუცილებელია ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის მრავალრიცხოვნება. მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენში სად იყო ბევრი ექიმი, ან მოსწავლე, ან მრეწველი, ან მითუმეტეს მეზღვაური... საქმის წარმოებისთვის ქართული ენა არ გამოიყენებოდა, არსებობდა, მართალია, თბილისური კილო და მას კიდევაც მიმართა ზოგიერთმა მწერალმა. ეს ყოველთვის როდი იყო გამართლებული. კარგს რას იძლევა საეჭვო იუმორისტული ეფექტის მისაღწევად გამიზნული ბარბარიზმების დახვავება? ამ მხრივ აქვსენტი ცაგარელიც ცოდავდა, გიორგი ერისთავს თუნდაც თავი დავანებოთ. გახსოვს, პოლიკარპე კაკაბაძემ რა დამამცირებელი ტონით თქვა — რა არის სასაცილო, როცა მიკირტუმ გასპარიჩი ცუდი ქართულით ლაპარაკობს, დამახინჯებულ რუსულ ფრაზებს ხმარობს... მართლაც რა უნდა იყოს. არა-და ხანდახან შეიძლება გაგეცინოს.

კიდევ რაღაცა გაწუხებდა. ხო, აბრევიატურის საკითხი. სიტყვების ნაწილებისგან შემდგარმა აბრევიატურებმა შედარებით გაამართლეს, ექთანი, სახმშენი, ჯგუფორგი, შახტმშენი, პარტკომი და სხვა. მაგრამ სიტყვების საწყისი ასოების შემცველი აბრევიატურები როგორ წარმოვთქვათ? ცხადია, არაა მისაღები საყოველთაოდ გავრცელებული-გედეერი (გდრ), ფეერგე (ფრგ), ემვედე (შსს), ემგეუ (მსუ) და სხვა. ადვილად დასამკვიდრებელია სიტყვები, სადაც საკმარისადაა ხმოვანი ბგერები. მაგალითად, გეო (გაერთიანებული ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების ორგანიზაცია), რასაც დაჟინებით ეძახიან ოონს (ოონმა განიხილა, ოონში უჩივლეს...) რატომ, როცა სავსებით ნორმალურად ჟღერს — გეომ მიიღო დეკლარაცია, გეოს გადაწყვეტილებით, გეოში გაიმართა კამათი... კაცის სახელი გეო თითქმის მივიწყებულია და ხელის შემშლელი არ გახდება. გეპეი ისეა გავრცელებული, რომ მისი ენიდან გაძევება გაჭირდება. მითუმეტეს სპი-ს რუსული მნიშვნელობა დამატებით დაბრკოლებას შექმნის. თუმცა ცდა ბედის მონახევრეა.

რაც შეეხება თანხმოვანების თავმოყრით შედგენილ აბრევიატურებს, აქ ასოების სახელების პირდაპირი გამოყენება ალბათ სასარგებლოს არაფერს მოგვცემს. ანშინშინი (აშშ) ან განფარრაე (გფრ) ვითომ ივარგებენ? საეჭვოა. მოხდენილობა აკლიათ, სიმკვრივე. ცხრა-ცხრა ბგერისგან შედგებიან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ცხადია, რაიმეს მოხერხება შეიძლება, თუკი მწერლები და ლინგვისტები სერიოზულად მიუდგებიან საქმეს, რაც ხელწამოსაკრავი არ არის. წაყრუებას, თავის ისე დაჭერას, თითქოს ყველაფერი რიგზეა, კარგი შედეგი არასდროს მოუტანია.

წარმოდგენა დამთავრდა. ფოიეში ხალხმრავლობა არ იყო. გოგოებს ეცვათ ჩექმები, ზოგიერთს ნატურალური ბეწვეულის ქურქი, თუმცა ამ ქალაქში სიცივე საერთოდ არ იცის. მაგრამ სადმე ხომ უნდა გამოაჩინო მამის ფულით და მამასისხლად ნაყიდი უცხოეთის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი. ცირკი ამისთვის მეტისმეტად მოსახერხებელი ადგილია. მართალია ფოიეს კედლები დიდიხნის შეულებავია, სკამები დარბაზში სისუფთავით არ გამოირჩევიან, რაც მოსალხენი განწყობის გამოწვევას არ უწყობს ხელს... სამაგიეროდ გარდერობის უქონლობის გამო პალტოს არავინ იხდის, ხოლო განათება წარმოდგენის მსვლელობისას ლამის ელვარეა.

ცირკში, როგორც ყოველთვის, ჯარისკაცებიც იყვნენ. ეს კია, მათ ჩექმები არ ეცვათ. მომწვანო გრძელი შარვლები, შავი „ბათინკები". წეკოს ნაცვლად მაღაზიის სიგარეტებს ეწეოდნენ. სასაცილოა, ბავშვობიდან შემოგრჩა ეს შეგრძნება. შინაგანად, ქვეცნობიერად ჯარისკაცები შენზე უფროსებად მიგაჩნია, თუმცა ასაკით შვილებად შეგეფერებიან. ჯარისკაცი კი არა, შენი ხნის ალბათ კაპიტანიც არ ჭაჭანებს ქვეყნად... შენი კლასელები — ოლეგა სამოდელკინი (მეტსახელად — გნუსი), ვალოდია შუპლიაკოვი (შუპლი, შუპლენკი), ვალკა ანუჩინი (ონუჩა) ალბათ მაიორები ან უფრო მაღალი წოდებების ოფიცრებია. რომელიმე იქნებ გენერალიცაა.

გახსოვს, სკოლა დამთავრებული გქონდათ და ტელეფონ-ავტომატის ჯიხურში მოჟაიკაზე საავიაციო ფორმაში გამოწყობილი ჟუკოვსკის სახელობის აკადემიის კურსანტი ვალკა ანუჩინი დაინახე. ხელი დაგიქნია — აქ მოდი, აქ მოდიო. ტელეფონით ფელიქსა ვიბოიშჩიკოვს თხოვდა — ჩემს სახლში დარეკე, უთხარი ვითომ პოლკოვნიკი კარამიშევი ხარ და თითქოს მე ხვალ აკადემიაში მიბარებენო. მეორე დღეს კვირა იყო. ფელიქსამ უარი უთხრა — ვაითუ, დედაშენმა მიცნოსო. ვალკა შეწბილდა. შემოგხედა, ჭოჭმანობდა „ბიჭო, შენ გონი აქცენტი გაქვს", — გითხრა. იწყინე. რისი აქცენტი. ყურმილს დაავლე ხელი. ისეთ მოსკოვურ კილოზე ლაპარაკობდი, ისეთ ინტონაციებს ახუჭუჭებდი, რომ ვოლგისპირელ თუ ვორკუტელ კარამიშევს არ დაესიზმრებოდა.

კურსანტ ანუჩინს თხოვეთ. გასულია? თქვენ ელაპარაკებათ პოლკოვნიკი კარამიშევი. გადაეცით კურსანტს, რომ ხვალ შვიდ საათზე და ნოლ-ნოლ წუთზე აკადემიაში გამოცხადდეს. ყველა აგარაკზე აპირებდით წასვლას? წადით მერე, ხელს ვინ გიშლით, თქვენ ხომ არა, კურსანტი უნდა გამოცხადდეს აკადემიაში. რას იზამ, სათხილამურო კროსს ვატარებთ. ეს სამხედრო სამსახურია. ვფიქრობ, დისციპლინაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნახვამდის.

ვალკას ისე გაუხარდა, რომ მადლობაც კი გადაგიხადა. „ესე იგი, — პირგაბადრული იძახდა, — ხატა (მაშასადამე — ბინა) გვაქვს, კადრები (გოგოები) არიან, ისეთ ბანკეტურას (ვარიანტს) ავაგდებთ!"

სახლში წავიდა, რათა იქ გამოძახების ამბის შეტყობისას გაგულისებულიყო, გაელანძღა თავისი მასწავლებლები — ეს სალდოფონები ერთ დღეს არ მოასვენებენ კაცსო... ხედავთ, რა ძნელია სამხედრო სამსახური...

სამხედრო დისციპლინას კარგად გამოხატავს სიტყვა — არის. იგი ნიშნავს, რომ ნაბრძანები შესრულებული იქნება სრულად და დაუყოვნებლივ. საინტერესოა მისი ეტიმოლოგია. ინგლისურ ფლოტში დავალების მიღებისას მატროსი პასუხობს — იეს (დიახ). რუსულ ფლოტში გადაიღეს იგივე პასუხი და მალე ბგერობრივი მსგავსების გამო იგი შეიცვალა, გახდა — იესტ. ქართულში კალკირებული იქნა რუსულში მიღებული აზრობრივი მნიშვნელობა, დიახის ნაცვლად გამოვიდა — არის.

„არის!" — დამცინავი კილოთი ეუბნებოდნენ შენი კლასელები ერთ მასწავლებელს. იგი ვითომ შფოთდებოდა, აყვირებას ცდილობდა ხოლმე. რამდენჯერ უნდა აგიხსნათ, მასე მეზღვაურები ამბობენ, სახმელეთო ჯარში ბრძანების მოსმენის შემდეგ ხელქვეითი პასუხობს — გემორჩილებით. დისციპლინარული წესდება ამდენ ხანს ვერ შეისწავლეთ?

ამ მასწავლებელს ოფიცრის უსამხრეებო გახუნებული კიტელი, გალიფე და ქრომის ჩექმები ეცვა. მის თავზე შვიდი-რვა სანტიმე-

ტრით ერთმანეთისგან დაშორებული ღია ქერა თმის მწირი ბუჩქები წითლად გაღვივებულ კანზე იზრდებოდნენ. სახეც ლაულაუა ქონდა. რკინის სათვალეები ეკეთა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, — თქვა მასწავლებელმა. როდესაც კლასში პირველად შემოვიდა. — მე მქვია ივან დიმიტრიევიჩ რუკოსუევი. ვარ ოცდაექვსი წლის. ჯარში გამიწვიეს ამა და ამ წელს, დავამთავრე სასწავლებელი. ვარ თადარიგში გასული ლეიტენანტი. („უფროსი თუ უმცროსი ლეიტენანტი?“ — იკითხეს მოწაფეებმა. პასუხი არ მიუღიათ). ვმუშაობდი ერთერთ სამინისტროში, მაგრამ იქ უსიამოვნება მომივიდა მინისტრთან, რაღაც ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს და ორივენი გაგვანთავისუფლეს სამსახურიდან. დღეიდან თქვენი მასწავლებელი ვიქნები, — მეწამულ თავზე ლალისფერი ხელი გადაისვა.

— თქვენი მინისტრი რომელ სკოლაში დანიშნეს მასწავლებლად? — დაინტერესდნენ უხამსი მოწაფეები.

ივან დიმიტრიევიჩს არაფერი უთქვამს. რძესავით თეთრ ცარცს მოკიდა ჟღალი თითები და დაფას ეძგერა. ზედ რაღაც-რაღაცების ხაზვა დაიწყო, შიგადაშიგ წამოისროდა რაიმე ფრაზას. კლასში მხიარული ყიჟინა სუფევდა.

პირველ ხანებში ივან დიმიტრიევიჩი ლამობდა ერთი მხრივ არაოფიციალური ურთიერთობა დაემყარებინა მოწაფეებთან, ისეთი რამე მოეთხრო, რაც მეტისმეტად დაგაინტერესებდათ. ეს ვერ მოახერხა, რადგან ამნაირი არაფერი იცოდა, ამგვარი არაფერი გადახდენოდა და საერთოდ ორ სიტყვას ვერ აბამდა რიგიანად. ცდილობდა თქვენთვის ჩაეგონებინა — ახალგაზრდები ვართ, ერთმანეთს უსათუოდ გავუგებთო. ამიტომ ვითომ ანგლობდა და თითონვე იცინოდა, მოწაფეების ხუმრობაზე ცხვირს არ იბზუებდა. ერთხელ რომელიღაც ბიჭი ისე ვირულად მოიქცა, რომ ყველამ უხერხულობა იგრძნო. ივან დიმიტრიევიჩი დადუმდა — ალბათ ფიქრობდა, გავბრაზდე თუ არაო და ბოლოს ნაძალადევად ჩაიხითხითა.

მეორე მხრივ ივან დიმიტრიევიჩს ლიდერობა იტაცებდა. სურდა, მისდამი პატივისცემით გამსჭვალულ მოწაფეებს ყოველი მოთხოვნა უყოყმანოდ შეესრულებინათ. ლიდერობა დესპოტიზმის გარეშე — ასეთი გახლდათ ოცნება. დემოკრატიული ავტოკრატია, თუ შეიძლება ასე თქმა. ოცნება, რასაკვირველია, დაიბრიდა.

ივან დიმიტრიევიჩს მას შემდეგ, რაც იგი ერთერთ უმირულ ეპიზოდს მოყვა თავგადასავლებით გაჭედილ საკუთარ ბიოგრაფიიდან, კაფსული ეწოდა და ამ ზედმეტსახელმა კინწისკვრით განდევნა ხმარებიდან ნათლობის სახელი. იშვიათად უთმობდა ადგილს მეორე მეტსახელს — „გესმის“. ამ სიტყვას ივან დიმიტრიევიჩი სრულიად უადგილოდ წარა-მარა ამბობდა.

როცა ცხოვრების ამ ეტაპზე ლიდერის როლში გამოსვლის იმედი დაიმსხვრა, დემოკრატიულმა მისწრაფებებმაც კისერი მოიტეხეს, გაქრნენ ანგლობები, თავგადასავლები, სიცილი. ივან დიმიტრიევიჩი ახლა კი კადრულობდა მოთმინებიდან გამოსვლას.

წითელი სახე კიდევ უფრო წითელი ხდებოდა. ივან დიმიტრიევიჩს ცოფი ახრჩობდა. ყვიროდა და ხმას თითქოს გაკვირვებული ინტონაცია ქონდა. სიტყვებს ძნელად პოულობდა. ეს, გესმის, ყალთაბანდობაა პირდაპირ, გესმის, მატრაბაზობაა. ვიღაც იშკილბაზებმა ასე ვერაგულად როგორ უნდა გამოიყენონ კაცის ნდობა, გესმის.

კლასში აურზაური არ შეწყვეტილა. ვიღაც მოწაფემ იკითხა — ივან დიმიტრიევიჩ, თქვენი ნაცნობი მინისტრი თავს როგორ გრძნობსო, რასაც საერთო სიცილი მოყვა. ივან დიმიტრიევიჩი უფრო მეტად გახელდა, აფეთქდა, როგორც ტროტილი...

ერთხელ სამასწავლებლოში გაგზავნეს ჟურნალის მოსატანად. იქ სხვადასხვა მაგიდებს მისხდომოდნენ კაფსული და ინგლისურის პედაგოგი — ანა გრიგორიევნა, ოცდაორი-ოცდასამი წლის გოგო. ისიც ქერა იყო, მაგრამ თმა ხშირი და ტალღისებრი ქონდა, ხოლო ისედაც ფერმკრთალი სახე პუდრას მთლად გაეთეთრებინა. ვაუთა სკოლაში ყველა მასწავლებელი ქალი, თუკი ხანშიშესული არაა, საშუალო თუ უფროსკლასელი მოწაფეების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ფიზიკური ლტოლვის პრაქტიკულად მიუღწეველ საგნად იქცეოდა. ალბათ ბევრად უფრო იშვიათად ხდებოდა რომანტიკული ოცნების ქალღმერთი. ანა გრიგორიევნა გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

ივან დიმიტრიევიჩი ქაღალდებში იქექებოდა. მერე წითელი თავი ქალისკენ მიატრიალა და სამსახურებრივი შინაარსის კითხვა მისცა. სწორედ რომ ვთქვათ, მტკნარი სისულელე წამოროშა, რაღაც ამდაგვარი:

— ანა გრიგორიევნა, ნუთუ მართალია, რომ დირექტორმა თითქოს თქვა, ყველა მამაკაცმა მასწავლებელმა აუცილებლად შლიაპით უნდა იაროს სკოლაში.

ქალი რვეულებს ასწორებდა. უკმაყოფილოდ მოწყდა საქმეს, ზიზღნარევად და ცივად შეხედა თვალებში კაფსულს და პასუხი შეღებილ ტუჩებში ნაწილობრივ დამარცვლით გამოცრა:

— ივან დიმიტრიევიჩ, მე აბ-სო-ლუ-ტურად ა-რა-ფე-რი არ ვიცი ამის შესახებ.

ორივენი დადუმდნენ.

უცებ იყიდე, რომ კაფსული ჩანგლის მოდებას ლამობს. ისიც იგრძენი, რომ ამას ძალიან უშნოდ აკეთებს. ცნობისმოყვარეობამ უცებ ნაპოვნი ჟურნალი კიდევ დიდხანს გა-

ძებნინა კარადებში. გეხამუშა, მასწავლებელი მასწავლებელს რომ ცდილობდა გაარშიყებოდა, მითუმეტეს აქ, სკოლაში. გესმოდა, პედაგოგები ჩვეულებრივი ადამიანებია, მაგრამ მაინც ერთგვარი წმინდანობის მატარებლად აღიქვამდი, უანგარო ხალხად, ვისაც თავის პროფესიის მეტი არაფერი აინტერესებს. მათდამი პატივისცემის და მორიდების შინაგან გრძნობას ბოლომდე ვერ თრგუნავდი.

ანეტამ ისევ რვეულების სწორებას მიყო ხელი. კაფსული ქაღალდებს აღარ დაბრუნებია.

— ჩემთვის ოფიცრისთვის, შლიაპა შეუფერებელია, — წამოაყრანტალა უცებ. — თქვენ გგონიათ მე კოსტუმი არა მაქვს? როგორ არა, მაგრამ ნამდვილ ვაჟკაცებს სამხედრო ფორმა უხდებათ. იმიტომ ვერ ველევი, — მან აათვალიერ-ჩაათვალიერა გახუნებული კიტელი და გაცრეცილი ჩექმები. ჩაცმულობა იღბლიანი არშიყის მორთულობის მსოფლიო სტანდარტებს მაინცდამაინც არ შეესაბამებოდა. — საერთოდ პრანჭიაობა, — განაგრძო კაფსულმა, — ქალაჩუნებმა იციან. ყოველი სტილიაგა ნამდვილი „მარუსია" კაცია. ხო, მართლა, ანა გრიგორიევნა, — გამოცოცხლდა კაფსული, — ანეგდოტს გეტყვით ამის თაობაზე. სიცილით მოკვდებით. ასეთი „მარუსია" ველოსიპედით მოდის. ამ დროს ვიღაც ქუჩაზე გადადის. ფოე, ფოე, ვირიშვილო, — აყვირდა „მარუსია", — ვერა ხედავ ტრანსპორტი მოდის, — კაფსული ახარხარდა და განმარტა, — თავისი ქეციანი ველოსიპედი ტრანსპორტი ეგონა.

ანეტამ პასუხის ღირსად არ ჩათვალა. თავი რვეულებში ჰქონდა ჩარგული.

სიჩუმემ დიდი ხნით დაისადგურა.

— ანა გრიგორიევნა, ხომ არ გაგიგიათ, ამბობენ, თითქოს სექტემბრიდან მასწავლებლებს ხელფასი გვემატება, — კაფსულმა სატყუარა გადაუგდო ანეტას. ამგვარ ცნობას არ შეიძლებოდა ინტერესი არ გამოეწვია. ნათქვამი რომ უფრო სენსაციური გამხდარიყო თავის წარმოდგენით დიდი თანხა დაასახელა, — გვემატება ორასი მანეთი.

ამ ფულით დახეული გალიფეს ყიდვას ვერ მოახერხებდი.

— მე აბ-სო-ლუ-ტუ-რად ა-რა-ფე-რი ვი-ცი ამის შესახებ, — ცისფერი თვალების გამყინავმა მზერამ დასუსხა კაფსული. ანეტა არაორაზროვნად ხაზს უსვამდა მათ შორის არსებულ განსხვავებას — სოციალურ წარმოშვებაში, აღზრდაში, განათლებაში. აგრძნობინებდა იმ უეჭველ ფაქტს, რომ სილამაზის იერარქიაში ისინი სულ სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებიან.

— ორასი მანეთი, — ჯიუტად განაგრძო კაფსულმა...

ანეტამ გაღიზიანებით გაიქნია თავი. ამით უსიტყვოდ თქვა — ამ მოხდენილ, კაბის ქვეშ ასე ვნებაამშლელად მბზინავ ფეხებზე მკიდია შენი ორასი მანეთი და შენი წითელი სიფათიო.

შენ გეუხერხულა რაღაც, ჟურნალს მოკიდე ხელი და სამასწავლებლოდან გამოხვედი.

საღამოს კაფსული შენ და სლავა ალიოხინს ქუჩაში შეგხვდათ.

— ბიჭებო, პატარები აღარა ხართ, — გითხრათ დაღვრემილმა. — მოდით, რვა დაფხრეწილზე დავლიოთ.

რვა-რვა მანეთი შეაგროვეთ, გასტრონომში ერთი ბოთლი „მოსკოვური განსაკუთრებული" არაყი და სამიოდე კარამელი იყიდეთ. სკოლის წინ მდგარი სახლის ყველა სადარბაზოში ლიფტიორები ისხდნენ, ამიტომ მდინარის ნაპირისკენ გასწიეთ. ეს ადგილი მიგდებული იყო. ერთ მხარეს სკოლა მოჩანდა, მეორე მხარეს ნახევარ კილომეტრში გაჯის პატარა ქარხანა მდებარეობდა. მისკენ მიმავალი ადგილობრივი რკინიგზის შტოზე გადახვედით. სკამზე ჩამოჯექით, რაც მიწაში ჩასობილ ორ მორზე დაჭედებულ გაურანდავ ფიცარს წარმოადგენდა. ჭიქა კაფსულმა ამოიღო გალიფეს ჯიბიდან. მიწიდან გაზეთის ნაფლეთი აიღო და ჭიქა გაწმინდა. პირველი და მეორე სასმისი უხმოდ დალიეთ.

კალენდარული გაზაფხული დიდიხანია დამდგარიყო. მაგრამ მდინარე ახლა ამტვრევდა ყინულის საფარს. ხანდახან ტკაცანი ისმოდა. ცივი და ნესტიანი საღამოა. კაფსულმა ღრმად ჩაისუნთქა გაჯის ქარხნის შავი ბოლით გაჯერებული ჰაერი.

— გაზაფხულის სუნი ტრიალებს, — თქვა მან. — სიყვარულის დრო მოდის.

ჭიქამ მესამედაც უსადღეგრძელოდ შემოიარა სუფრა. ბოთლი დაცარიელდა. კაფსულს ყურებიანი ქუდის ქვეშ კიდევ უფრო გაჭარხლებოდა სახე. „რისთვის ვიბრძოდით!" — თითქმის მხნედ გაიმეორა რომელიღაც კინოფილმში ნათქვამი ფრაზა. გულის ჯიბიდან ხელგაშლილად ორი თუმნიანი დააძრო, წამოიძახა ლამის მხიარულად — გავიხიოთ კიდევ ერთ ბოთლზეო. ხურდა ფულები დაამატეთ და ცარიელი ბოთლის ღირებულების გათვალისწინებით საჭირო თანხა შეკოწიწდა. ალიოხა გასტრონომში გაიქცა და მალე დაბრუნდა.

კაფსულს ლაპარაკის საღერღელი აეშალა.

მოგიყვათ რაღაც ეპიზოდს თავის დონჟუანურ პრაქტიკიდან. წამდაუწუმ უწმაწურ სიტყვებს ხმარობდა, მრუშობის სცენებს დაწვრილებით აღწერდა, თან ხელებით და ტანით ცდილობდა ყველაფერი ეჩვენებინა. ეჭვი გეპარებოდა, რომ მართალს ამბობს, მაგრამ ინ-

ტერესით უსმენდი — თემა იყო დამატყვევებელი.

ის დედაკაცი, — ყვებოდა კაფსული, — გიჟდებოდა ჩემზე. ძალიან ლამაზი იყო. სულ უკან დამდევდა, ფულს მჩუქნიდა; რესტორნებში დავყავდი, მპატიჟობდა. მაგრამ მე როგორც ქალი მაინცდამაინც არ მეპიტნავებოდა. მალე მივატოვე. თავი მოიწამლა. შემეცოდა, როცა გავიგე. კრემატორიუმში არ მივსულვარ დედამისის მომერიდა. ასეთი მურტალი ხალხი ვართ კაცები, რამდენ ჩათლახობას ჩავდივართ. რას იზამ! კიდევ ერთი დაასხი.

სიყვარულის დრო მოვიდა, — ცოტა ხნის მერე განაგრძო კაფსულმა. — თუმცა თქვენს სკოლაში კაცმა ვისთან შეიძლება დაიჭიროს საქმე. მასწავლებელი ქალები რას გვანან, ერთიმეორეზე უარესებია. სკოლა კი არა, ძველმანის ბაზარია, გესმის. ჩამოწერილი ხარახურა იყიდება. ფაინა მიხაილოვნა აიღე. გაუსქელებია უკანალი, კარებში ვერ ეტევა. ლიუბოვ ივანოვნას ნაოჭი მეტი აქვს სიფათზე, ვიდრე ბალანი თავზე. ლიუდმილა ვლადიმიროვნა არ არის ურიგო ნაჭერი, ოღონდ რად გინდა დირექტორის ნაშაა. არა, თუ მოვინდომე, წავართმევ, მაგრამ რამკაში მჯდარმა კაცმა ეგ არ უნდა იკისროს.

კაფსული თანდათან მიუახლოვდა ანა გრიგორიევნას. მორიგი ჭიქა დაცალა.

ის კიდევ, ის მახინჯი, რა ქვია, გესმის, იმ კახპას, ინგლისურს რომ ასწავლის უმცროს კლასებში. გესმის, იმ მეძავზე გეუბნები, პუდრში რომ ამოუთხვრია ღორის დინგი. ლუტუ-ლუტუ ქვია მგონი. ხო, იმაზე ვლაპარაკობ, იმ მანეთიან როსკიპზე, მუქთა ბოზზე, მრუდე ფეხებით ორმეტრიან ქუსლებზე რომ შემდგარა, თეთრი კაბა ჩაუცვამს, მიდის და დონდლო ძუძუები აქეთ-იქეთ ერწევა. ვერ მიხვდით, ამის დედა ვატირე, ვიზე გეუბნებით? რა ქვია იმ ოხერს, მოუსავლეთში და ჯანდაბაში გზა ჰქონია. ხო, ხო, მგონი ანა... ანა გრიგორიევნა... მამამისს გრიგორის გახურებული შანთი შეურჭონ უკან ეშმაკებმა ჯოჯოხეთში. ჩვენი ძვირფასი ანეტა, ჩვენი მზეთუნახავი, ისე იმას აუდგა გვერდები. თავი მოაქვს თითქოს პოლკოვნიკის შვილი იყოს. არა, ჩემთან რას გაბედავს მაგნაირად მოქცევას. მე თავიდან გამეთამაშა, გამენაზა. მოკლედ, გამეარშიყა. მაგრამ მაგნაირ მაიმუნზე ხელს როგორ გავისვრიდი. საცოდავი, იტანჯება, ძალიან ვუყვარვარ, გიჟდება ჩემთვის, გიჟდება. რა ვქნა, გული არ მიმიდის, ისეთ კაი ქალებს ვარ შეჩვეული. ახლაც ორი ნაშა მყავს გამოჭერილი. ერთიც გენერლის შვილია, მეორეც... პირველი სატანკო ჯარის გენერალია, მეორე — მეზღვაურია, ესე იგი კონტრადმირალია... მიდი, დაასხი, კიდევ ვხუხოთ.

უცებ თოვლი წამოვიდა. კაფსულმა ჭიქა პირთან მიიტანა და შეყოვნდა. არაყში ჩაცვენილი და კაფსულის ალანძულ [illegible] ნახები ფიფქები მყისვე დნებოდნენ, [illegible] მხრებზე კი თოვლი გროვდებოდა.

კაფსულმა ჭიქა ტუჩებს მიადო. თავი მკვეთრად უკან გადაწია, თითქოს ცას შეხედაო, და ჭიქიანი ხელი სინქრონულად გააყოლა ამ მოძრაობას. სასმისი წამში დაიცალა. კაფსულმა საწყისი მდგომარეობა მიიღო და ცარიელი ჭურჭელი ალიოხას გაუწოდა.

კ ა ფ ს უ ლ ი: დედაკაცს როგორ უნდა მოექცე? მოუსმინეთ გამოცდილ დონ-ჟუანს, ჭკუას ისწავლით. დედაკაცს მამაკაცზე ბევრად მეტად უნდა ის საქმე, ჩვენ რომ ვიცით. მაგრამ სიაფანდად ინაზება, ვითომ უკარება ვარ და საერთოდ სულსხვა რამეზე ვფიქრობო. მართლა რაზე ფიქრობს, კარგად მოგვეხსენება. ყოველ ღამე რა ესიზმრება, იმასაც არ ჭირდება დიდი მიხვედრა. ამიტომ ქალს არ უნდა გაუბა ლაილაი, პირდაპირ დაავლე ხელი და ბნელ კუთხეში შეათრიე. არ შეშინდე, იმისი სურვილიც ესაა და შენიც. მოიკალი ჟინი, შარვალი შეიკარი და მოშორდი იქაურობას. თორემ დაიწყება — ცრემლები, მუდარა და მუქარა. ცოტა ხანში ალიმენტსაც მოგთხოვს... გამოცდილი მაქვს ეს ყველაფერი... არსად წამოგცდეთ, ანა გრიგორიევნამ ჩემთან ყოფნის შემდეგ მუცლის მოსაშლელი ფულის წართმევა დამიპირა (ხმაში სიხარულმა იფეთქა). ჩემი ფეხები მივეცი. აი, ფული მეთქი (დამახასიათებელი ჟესტი). მერე პროფკავშირმა გაუწია ფულადი დახმარება. სამკურნალო ფონდიდან გამოუყვეს... ერთიც ჩავცეცხლოთ.

კაფსული სულ დარეტიანდა.

ᲙᲐᲤᲡᲣᲚᲘ: ანა გრიგორიევნა. ანეტა. საწყალი გოგო. აბორტისთვის ფული მთხოვა და უარი ვუთხარი. ის მოელოდა, (აღგზნებულად) რომ გულში ჩავიკრავ, ტუჩებში ვაკოცებ, მმაჩში წავიყვან... ჩემი და მისი შვილის გაჩენა უნდოდა... მე კიდევ... ღორი ვარ, აბა რა! ამაყად მოვტრიალდი, თავიდან მოვიშორე ჩემს მიერ შებილწული ქალიშვილი. (მკერდში მუშტს ჩაიბაგუნებს) ძაღლისშვილი ვირი ვარ, ნეხვის ჭია, ჯიბიდან გავარდნილი ნაძირალა, განებივრებული ოღრაში. გათავხედებული თუქსუსი! ცბიერი შემცდენელი ვარ. მცემეთ, ჩამქოლეთ.

ივან დიმიტრიევიჩს ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდიოდა. ფიფქებთან ერთად ჭიქაში ცვიოდნენ. „დალიე, დალიე, ვანია, თორემ არაყი გაგიმლაშდება“, — თქვა გათამამებულმა ალიოხამ.

ᲘᲕᲐᲜ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲔᲕᲘᲩᲘ: ლიოხა, ლიოხა, შენ ძმა ხარ ჩემი, სისხლი და ხორცი ხარ. შენს მეტი ვერავინ გამიგებს. მე სხვანაირი კაცი ვარ. ნაზი გული მაქვს ესენინივით. ამან დამღუპა, ლიოხა, გესმის! რატომ არ მოვწონვარ ანეტას, რას მიწუნებს? მამაკაცს არ ჭირდება სილამაზე, ნაიარევი ამშვენებს, რაც მეტი

ეროვნული

აქვს, მით უკეთესია! ვისაც წითელი სახე მისცა ღმერთმა, ის უფრო ვნებიანი მამაკაცია, ლოგინში განაღდებული აქვს პირველობა. ჩემპიონია ამ საქმეში... რატომ არ მოვწონვარ?! თადარიგში გასული ლეიტენანტი ვარ — განა ეს ცოტაა, იმ დედალ მევიოლინეს მაინც ვჯობივარ, სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე რომ დაატარებს ფოე-ფოე ხალხში, მუსიკალურ ხურუშიანებში... მე ძალლად არა მთვლის, ლაპარაკი არ უნდა ჩემთან. საიდუმლოდ გეტყვი, ამდენი ხანია ვიცნობ და თითი არ დამაკარებინა... აბორტი? მაგას ვინ მალირსებს, რომ ანეჩკას სააბორტოდ გავუხადო საქმე. მაგხელა ზღაპრულ ბედნიერებას ჩემთვის ვინ გაიმეტებს! რა ვარ მე, რა ვარ? საცოდავი კაფსული. ერთხელ ავფეთქდები და მორჩა-გათავდა.

ცოტა ხნის შემდეგ კაფსულს სახე მოეღრიცა. სიბრაზე მოერია. სრულიად უმიზეზოდ საჩხუბრად თქვენზე გამოიწია. აყვირდა:

— ვინ არის კაფსული? ვის ეძახით მასე? გამოდი, გამოდი, რომელი ხარ ვაჟკაცი, თავი რომ მოგაქვს! ისეთს გხევ, რომ თვალებიდან სულ მაშხალებს გაყრევინებ! გამიშვით, არიფი ხომ არ გგონივართ, ყოველთვის ქურდად ვიჯექი!

მერე დაწყნარდა. ხმა აღარ ამოუღია. ცარიელი ბოთლი მდინარისკენ გადააგდო და წავიდა. ჯერ მთლად არ ჩამობნელებულიყო. ელექტრობოძზე მიმაგრებული თავდახურული, ანთებული ნათურის ქვეშ გაიარა. ხექმებიანი კაცი ქანავ-ქანავით მიდიოდა. შინელშიც კი ჩანდა, რომ ბეჭები ვიწრო ჰქონდა. მხრებზე თოვლი დაგროვებოდა. ივან დიმიტრიევიჩმა ქუდი მოიხადა. სველი ფიფქები მის თმაგაცვენილ თავზე ცვიოდნენ, რომელიც ანა გრიგორიევნას გამომწვევად შეღებილ ტუჩებზე უფრო წითელი იყო.

სახლში მისულმა ბნელი საერთო დერეფანი გაიარა, ოთახში შევიდა. შიშველი ნათურა ბჟუტავდა. თუნუქის მრგვალი ღუმელის საკვამლე მილი ოდნავ ბლაგვ კუთხეს ქმნიდა და ფანჯარაში გადიოდა. კაფსულმა ცრემლებით და თოვლით დასველებული სათვალეები მოიხსნა, მაგიდაზე დადო. დედამ რაღაც უთხრა, ყურადღება არ მიუქცევია. „ვანია, — კვლავ უთხრა დედამ,—ნახე, სარდაფში რა ვიპოვე. ბავშვობისას გეცვა ეს ბაჩაჩები“. ფეხსაცმელები ისე პატარები იყვნენ, რომ მარცხენა ხელის მუჭში ჩაეტიენ ვანიას. ვანიამ სათითაოდ ჩაკოცნა. „მალე შვილი გეყოლება, — განაგრძო დედამ, — ახლა იმას გამოადგება ეგ ბაჩაჩები“.

ვანია ღუმელთან მივიდა. რკინის კარი გამოაღო. შორიახლო მდგარ შავ ბოთლს მოკიდა მარჯვენა ხელი, ცეცხლს ნავთი უხვად მიასხა. ფეხსაცმელები ღუმელში შეყარა და ღუმელის კარი მიხურა.

...ანა გრიგორიევნა შენობიდან გამოვიდა და იქვე მდგარ ტელეფონ-ავტომატის ჯიხურში შევიდა. თხუთმეტკაპიკიანი ჩააგდო განაჭერში. ნომერი ოდნავ ნერვიულად აკრიფა. „სავა გვიდონოვიჩს თხოვეთ... სავუშკა, საყვარელო. გავიკეთე, ყველაფერი რიგზეა. ხომ ხარ კმაყოფილი? რასაკვირველია, მეც. სწორია, ბავშვი ხელს შეგვიშლის... ხვალ, ჩემო კარგო, მივდივართ რიხტერის კონცერტზე? არა? რატომ? დაკავებული ხარ ზეგ? ზეგაც დაკავებული. ამ თვეში თავისუფალი საერთოდ არ იქნები?..“

ჯიხურის შუშას ვიღაც თხუთმეტკაპიკიანს გაცხარებით უკაკუნებდა. ანა გრიგორიევნა ქუჩას მიუყვებოდა. ფეხი არცთუ ისე ერეოდა. საღამო ცივი და ნესტიანი იყო. ნაგვიანები თოვლი მოდიოდა.

ორმა მდიდრულად ჩაცმულმა მამაკაცმა გვერდზე ჩაუარა ანა გრიგორიევნას. მხიარულად იცინოდნენ. „გაზაფხული გადადებულია გაურკვეველი ვადით“, — წამოიძახა ერთმა. ანეტას არც შეხედეს.

გაზაფხული გადადებული იყო.

ნახე, ბელესტრისტიკისადმი მიდრეკილებამ რა იშკილი გიყო?. — გაიფიქრა ნოდარმა. რეალურად მომხდარ მცირე ამბავს რამდენიმე დაგამატებინა. კაფსული კი ცდილობდა ანეტას მოჩანგვლას, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული არაფრით გაუმჟღავნებია. ალბათ ზუსტად ასევე ლამობდა გაარშიყებოდა ყველა ქალს, ვინც შეხვდებოდა. კაფსული საკმაოდ თავდაჯერებული პიროვნება გახლდათ. თუ მორიდებულობას გამოიჩენდა, ეს სიმხდალის და არა მორცხვობის გამო. თავმდაბლობა მისთვის უცხო იყო. სხვა სიკეთესთან ერთად თავხედობითაც გამოირჩეოდა. ამგვარი ხალხი ჰყავდა მხედველობაში იმ კაცს, რომელმაც ცნობილი გამოთქმა შეთხზა — თავხედი არიფი ტანკზე უარესიაო.

მგონი კოსტუმი მართლა არ ქონდა. ჩემი ავლადიდებაო, კატას აეკიდებაო.

...ნეტავ სად არიან დღეს მართლა პოლკოვნიკის შვილი სლავკა ალიოხინი და თადარიგის უმცროსი ლეიტენანტი ვანია რუკოსუევი. ერთი რამ ნაღდია — გაჯის ქარხანა თავის მიკრორკინიგზიანად კაი ხანია დაინგრა. იქ ოცსართულიანი საცხოვრებელი სახლები აშენდა.

ცირკის შენობიდან ნაწვიმარ ქალაქში გავედი. იქ ხან ჟინჟღლავს, ხან შხაპუნა და ხან კოკისპირული წვიმაა, ხან ჟუჟუნა, ხან თქორი და თქეში, ხან დელგმა და თავსხმა... ასეა ზამთარ-ზაფხულ და ეს არავის აკვირვებს. ოქროს წვიმაც რომ წამოვიდეს, შეიძლება არავინ მიაქციოს ყურადღება... გახსოვს, დანაე ზევსს როგორ დაუმალეს სპილენძის დილეგში და ჟინმორეულმა ოლიმპოს მბრძა-

ნებელმან გამოსავალი ვითარ იპოვა. ოქროს წვიმად წამოვიდა, საკანში შეაღწია და ნარებზე მწოლარე ასული გაანაყოფიერა. ეს რომ არა, საბერძნეთის სწორუპოვარი გმირი, გორგონა-მედუზის თავის მომკვეთი პერსევსი არ დაიბადებოდა... „რამ შემქმნა ადამიანად რატომ არ მოველ წვიმადა...“

ცოტა ხანში ქუჩა პერპენდიკულარულად გადამკვეთ მეორე ქუჩას მიებჯინა, რის მოპირდაპირე მხარეს ქვის მოაჯირი მიუყვებოდა, რომლის იქით მხოლოდ ბნელი ცა ჩანდა, ვინაიდან ელექტროლამპიონებით განათებული მოაჯირის თავზე გავლებული პირობითი ხაზი ამ ადგილიდან არანაკლებად პირობით ჰორიზონტის ხაზს ემთხვეოდა. მაგრამ მიახლოვებისას ცის ქვევით მასზე მეტად შავი მასა გამოჩნდა და, როცა ორივე იდაყვით მოაჯირს დაეყრდენი, შენს წინ ელექტროსინათლით ოდნავ შეთხელბულ ბინდში განივად გაწოლილი რუხი, ვიწრო ზოლი დაინახე, რასაც ის შავი მასა რიტმულად და მშვიდად ეტაკებოდა. ეტაკებოდა და უკან იხევდა.

ცხადია, ეს ვიწრო ზოლი სხვა არაფერი იყო, თუ არა პლაჟის რიყე, ხოლო მუქი მასა — შავი ზღვა.

როდესაც ორი თუ სამი წლის იყავი, ზღვას როგორც ჩვეულებრივ რამეს აღიქვამდი. მართალია, ზოგჯერ გიკვირდა, მეორე ნაპირი რატომ არ ჩანს. მას ხომ არაფერი მაღალი, მაგალითად, მთა არ ეფარება. წყლის იქით ისევ წყალი. ნავით თუ შესცურავ, გარშემო სულ ლურჯი წყალი იქნება, რაც თითქმის ამავე ფერის ცას უშუალოდ მიეკვრება, — ამის წარმოდგენა იოლი არ იყო.

...რა იცოდი, პატარა ხანში ცის უსასრულობა როგორ გაგაწამებდა. იმ ვარსკვლავების შემდეგ რაღა არის? კვლავ ვარსკვლავები. იმათ შემდეგ? კიდევ და კიდევ ვარსკვლავები. ბოლო არ არის? არა. ეს როგორ შეიძლება... უსასრულობა გტანჯავდა, რადგან ვერც მას და, მითუმეტეს, სასრულობას ვერ წარმოიდგენდი. ბევრად უფრო გვიან, უკვე სრულასაკოვანმა კაცმა წაიკითხე, რომ სამყარო სასრულია და ფართოვდება. შეღავათი არც ამას მოუცია. კარგი, ასე ვთქვათ, „ჩვენ“ სამყაროს აქვს მოძრავი საზღვრები, მაგრამ იმის იქით ხომ რაღაც მაინც არის? სხვა უვარსკვლავებო სამყაროები ან, გაუშვი, სიცარიელე, ვაკუუმი. ბოლომოუღებელი ვაკუუმი. რაღაც ჯანდაბა და ამ ჯანდაბის იქით რაღაც ოხრობა ხომ არიან? დაუსაბამოდ. ყველა მიმართულებით... თუმცა ცნება „უსასრულო“ ჩვენი სამყაროს ნაშიერია. ისიც ალბათ შეფარდებითი კატეგორიაა, როგორც, ვთქვათ, დრო, რომელიც ჩვენი სამყაროს შავ ხვრელებში საერთოდ გაჩერებულია... სხვა ნებისმიერ სამყაროში, რის კანონებს თუ უკანონობას ჩვენ ვერ გამოვხატავთ არსებული ფილოსოფიური კატეგორიებით, ყოველგვარი არსებული მსჯელობებით, მეცნიერული თუ მხატვრული ლოგიკით, სამყაროში, რომელსაც ვერ მივუყენებთ ადამიანის აზროვნების მეთოდს, უსასრულობას რა შინაარსი შეიძლება ქონდეს? ჩვენს სამყაროში კი, თუკი მაკრო-და მიკროკოსმი სასრულები არიან, უსასრულობა არ არსებობს.

ნუ გაახურე თეორიული მსჯელობებით. სად გაქვს ისეთი ცოდნა, რომ ამგვარ გლობალურ საკითხებს შეეჭიდო. აი ეს ერთი რამე გაარკვიე და მორჩა. რიცხვებს ხომ არა აქვთ ბოლო, ხომ არ შეიძლება დავასახელოთ ყველაზე დიდი ციფრი? თეორიულად მასეა. მაგრამ თუ ჩვენ სამყაროში უმცირესი ნაწილაკების რაოდენობა სასრულია, განსაზღვრულია, ამ რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრის იქით მყოფ ციფრებს აზრი ეკარგებათ. რა მოხდა მერე, რომ მათემატიკაში არსებობს უსასრულობის გრაფიკული ნიშანი.

სჯობს ზღვას დაუბრუნდე. მოიცა, კარგი ფრაზის მოგონება შეიძლება. ზღვა—ზღვარდადებული დაუსაბამობა. არა, ზღვა შეზღუდული უსასრულობა. მდიდარი ალიტერაციაა. მაინც გამოუსწორებელი ქართველი ხარ. უფრო მორიდებულად და სადად თქვი. აი ასე: ზღვა უსასრულობის ნაგლეჯი...

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მძაფრად განიცადა ყველაფრის წარმავლობა და დროებითობა. მათ შორის ბრწყინვალე სახელ-დიდებისა. „მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს, მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე ვინ სადღა იყოს!“ შენ ამაზე ლექსი გინდოდა დაგეწერა, რაღაცა მოახლაფორთე კიდევაც. იქ იყო ახეთი გულის ამაჩუყებელი სტრიქონები: „და პოეტები, როგორც ყოველთვის, თავის მშობლებზე ადრე კვდებიან“, ხოლო თხზულება ამ სტროფით მთავრდებოდა: „ეს შენი დროა. ვერსად გაექცევი, სხვა—ზღაპარია, მხოლოდ მითია... მიდი და წერე უკვდავი ლექსები, ვაი, რომ უკვდავებაც დროებითია“. ნაწარმოები შექმნისასაც არ მოგწონებია, თუმცა აზრი სწორია.

„მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს.“

ეს სტრიქონი შენს დაბადებამდე ასი წლით ადრე დაწერა სულ ახალგაზრდა ბიჭმა, რომელიც გარეგნულად თუ ვიმსჯელებთ, თავისი წრის ყმაწვილებისგან ბევ'ჩი არაფრით განირჩეოდა. დარდიმანდი, მომლხენი და მოლაპარაკე (გრიგოლ ორბელიანი: „ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო თორემ აღარ გაათავებენ...“), ოხუნჯი და ბანქოს მოთამაშე, იმდროინდელი მაღალი საზოგადოების წევრი. ვისაც ამ სოციალური ფენის წესისამებრ ჰყავდა დემიმონდენი საყვა-

რელი — ფრანგი მეკონდიტრე ქალის ასული. (მიხეილ თუმანიშვილს: „ერთს ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. დღეს საღამოს სოფ. მწყნეთში მივემგზავრები.—რისთვის? — აი იმისთვის, რომ ი ს იქ არის. დედამისმა მთხოვა, გავატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი უნდა იქნენ ეს დღეები. ახ! მაშ მოკვდი, ბზ!“). სამართლისა და განჩინების ექსპედიციის ჩინოვნიკი, კარგი კანცელარისტი მიუხედავად იმისა, რომ სამსახურის საათებში გარეთ გასვლა ხშირად იცოდა...

...და ასეთი ბრძნული ლექსი,. სადაც ტრაგიკულობა ძირითადად შემოქმედის შინაგანი სამყაროს გამოძახილია, შინაარსობრივი დომინანტია.

ხელოვანის ბუნებაზე, მის ბიოგრაფიაზე ბევრადაა დამოკიდებული, რა მასშტაბებს მიიღებს ტრაგიკულობა მის შემოქმედებაში, გაბატონდება თუ არა. იქნებ დრამატულობის ფარგლებს არ გაცდეს, იქნებ ქვეტექსტში დარჩეს, რაც არყოფნას სრულიად არ ნიშნავს. ყოველგვარი ოპტიმიზმი სიკვდილის შიშის გადალახვაა და არა მივიწყება. ეს უკანასკნელი ქარაფშუტობამ იცის, რაც ყოფაცხოვრებაში ძალიან ჭკვიანი ადამიანისთვისაც არ არის უცხო.

ტრაგიკული სულისკვეთება სრულიად არ გამორიცხავს სიცოცხლის სიყვარულს. პირიქით, ხშირ შემთხვევაში იგი ამ სიყვარულის ნაშიერია. შეგრძნება იმისა, რომ სწრაფ წარმავალია სიამენი სოფლისა, არა მარტო სიხარული, არამედ თვით ტკივილიც, ბადებს შეძრწუნებას, თავზარს სცემს პირველ რიგში სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანს. შეიძლება გააბოროტოს კიდეც. მაგრამ არა საბოლოოდ. ქართული ხელოვნებისთვის ამნაირი გმირი არ არის ნიშანდობლივი, ჩვენს ხელოვნებას მუდამ ცხოველმყოფელობა ახასიათებდა. სულიერი თუ ხორციელი სიხარულისთვის, ეპიკურელობისთვის, ანაკრეონტიკულ მოტივებისთვის ზურგი ამპარტავნულად არასდროს შეუქცევია (ბარათაშვილი „ჩემთ მეგობართ“; „აშუევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა, ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ალსა. სასაცილოა, ბერი კაცი როს ყმაწვილობდეს, და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს“;) მაგრამ ამავე დროს ჩვენი ხელოვნების მუდმივი, განუყრელი თანამგზავრები იყვნენ — კაეშანი, სევდა, ვარამი, ტანჯვა, მოწამეობა... განყენებული მსჯელობა მოჭარბებულად არ უყვარებია და მაშინაც ცდილობდა კონკრეტულობას, მიწიერებას მაინცდამაინც არ მოსწყვეტოდა. ყოფილა შემთხვევები სასოწარკვეთილება დაუფლებია, უიმედობა დაპატრონებია, მაგრამ უძლურება, უსუსურობა, უმწეობა დიდხანს ვერ უთავსდებოდნენ, ვერ ეგუებოდა. ეს გაბატონებული ტენდენცია განაპირობებს ქართული ხელოვნების მრავალრიცხოვან ღირსებებს და ზოგიერთ სისუსტეს, რის გარეშე შეუძლებელია რაიმეს არსებობა ცოდვილ ქვეყანაზე...

ყოფილა ცალკეული ცდები ამ ტენდენციისადმი დაპირისპირების, ანგარიშგასაწევი შედეგები მოუტანიათ, მაგრამ ჯერჯერობით მათ მხოლოდ ოდნავ გაუფართოებიათ ჩვენი ხელოვნების კალაპოტი, მხოლოდ გაუფართოებიათ და არ კი გაუღრმავებიათ.

გენიოსი სწორედ იმით განსხვავდება სხვებისგან, რომ შეუძლია შექმნას დიდი ნაწარმოები. ყოფაცხოვრებაში იგი მრავალთა მსგავსია.

ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანს: „ხუთი დღე და ღამე სულ შეგცევაში ვიყავით. — მამუკაც აქ იყო და ძალიან გამხიარულდა. — მერმე მე და მამუკა გორს გადავედით. იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რომელიც ორი დღის წინათ ჩვენზედ წავიდა (,) მელანია და ბევრნი სხვანი; ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში, ესტატე ერისთავის შვილისა. — იქიდგან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურები გვასვა, — ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა“.

რამდენიმე წლით ადრე. გრიგოლ ორბელიანს: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხარი, ბევრი ჭორიანობა და ჭირიანობა; ორივ ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, — დიდი დაძგერებებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი; დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით. დაწვრილებით მოგწერდი ყოველს ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები.. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა. ამ წიგნსაც საჩქაროთა ვწერ პალატაში.“

ავტორი ვერ დაიქადნის სტილის ფორმალურ გამართულობას. მეზობლადაა: „გორს გადავედით“ და „ატენში გადავედით“; სამიოდე წინადადებაში სიტყვა „დიდი“ ექვსჯერაა გამეორებული, ფესვი „წერა“ — სამჯერ... თუ არ იცი ვისია, განა გაარჩევ ამ ნაწყვეტებს ლევან მელიქიშვილის ან ილია ორბელიანის ბარათების ანალოგიური ამონაწერებისგან? ალბათ, არა. რახან იცი ბარათაშვილის ავტორობა, ნუთუ ინტერესი ამ უსტრებისადმი მხოლოდ ამიტომ იზრდება? არა, მათაც ეტყობათ ლომის ბრჭყალი მიუხედავად გარეგნული ორდინარობისა.

განსაცვიფრებელია ის ყოფითი რეალიზმი, რაც ამ ლექსის დასაწყისს თან ახლავს. “წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად. აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად; აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით, აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით; ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა. იდაყვდაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა და თვალნი რბიან შორად, შორად ცის დასავალსა.

წინათ არა და ახლა კი შეიგრძნობ მაშინდელი და ახლანდელი თბილისის იგივეობას მიუხედავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველგვარი ცვლილებებისა. იმხანად აი ეს მთაწმინდა, მტკვარი და შიგ არეკლილი ზეცა ზუსტად ასეთნაირები იყვნენ. ემოციურ, ყრუანტელის მომგვრელ ალქმას გულისხმობ, თორემ გონებით იცი, რომ ორჯერ ერთიდაიგივე მდინარეში შესვლა შეუძლებელია, ცა, მტკვარი და მთებიც 150 წელიწადში კი არა, ყოველ წამიერ იცვლებიან...

უმაღლესი ოსტატობა, გაუგონარი სისადავე, რის უკან ურთულესი სიღრმეა, ლექსის ბოლომდეა შენარჩუნებული. მსჯელობა კი სიკვდილსიცოცხლეზეა, ადამიანის მისწრაფებების და საქმეების ამაოებაზე, მისი ბუნების არაფრის მომცემ გაუმაძღრობაზე...

მიდიხარ სტრიქონებთან — „მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს...“, აგრძელებ კითხვას და უკანასკნელი სტროფი უცებ გაგრძნობინებს გასამკეცებული ძალით მთელი ლექსის სიბრძნეს და მძლავრ ემოციურ დამუხტულობას. პოეტური სიტყვის მრავალგანზომილიანობას, მრავალნიშნობას. მის წონადობას, ხალასი ოქროს ზოდის წონადობის სადარს. უკვე ერთგვარი თნევანარევი კრთომით გაიხსენებ უკანასკნელ სტროფთან მიახლოებას, დაგსუსხავს სასოწარკვეთილების ზღურბლზე შედგომა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორი ქართული ხელოვნების ტრადიციას ერთგულობს, არამედ იმიტომ, რომ ეს ქართველი კაცის ბუნებაშია და ავტორი ქართველია და ამასთან გენიოსი, გამოიძერწება გაბედული, ვაჟკაცური, ჭირის დამთრგუნველი სტრიქონები: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმა მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.“

აქ — გამოტანჯული, ძნელად ნაპოვნი ოპტიმიზმია. თავს ვერსად შეაფარებ, რეალობას ვერ დაემალები და ვერ გაექცევი, მაგრამ ვეებერთელა და გულცივი მსოფლიოს გამსრესმა კანონმა ვერ უნდა დაგაბეჩაოს, გაგასაცოდაოს და გაგასაწყლოს.

ბარათაშვილმა მთავარი საკითხი ცხოვრების აზრის შესახებ, მარად რომ აწვალებს ადამიანს, ალბათ ბევრი შინაგანი წამების, დაეჭვების და ყოყმანს შემდეგ ასე გადაწყვიტა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება; და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“ „მერანში“ ასე გადაწყვიტა...

მსოფლიო პოეზიაში არიან სახელგანთქმული ლექსები. ავილოთ ედგარ პოს „ყორანი“, არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“... შეიძლება არ იცოდე ინგლისური და ფრანგული, მაგრამ მაინც იგრძნო მათი გენიალურობა.

„მერანი“ მეტია. იმედია ამას ყალბი პატრიოტიზმი არ გალაპარაკებს. ამას მიხვდება ლექსში გარკვეული ყველა კაცი. „მერანი“ თუნდაც ბწკარედ თარგმანში წაიკითხოს.

„მერანს“ ტიტანიური კი არა, კოსმიური ძალა და გაქანება გააჩნია. კოსმიური აქ მასშტაბზე მიუთითებს და არ გულისხმობს მშრალ აბსტრაქტულობას, ემოციურობის და სუბიექტურობის, ინდივიდუალურობის უარყოფას.

შეუძლებელია „მერანში“, არ ყოფილიყო ნახსენები ზღვა. თუმცა ბარათაშვილს იმ დროისათვის ზღვა ალბათ არ ენახა. მგონი ვერც მერე იხილა.

გაცეცხლებული განსჯა... ბარათაშვილი სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნეთ, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვრილებდეს“... გრიგოლ ორბელიანს უწერია — „გაცხელებულთა ღვინისგან შუბლთა“... ბარათაშვილს უნებლიედ შეეშალა, მაგრამ საგულისხმოა, რომ გააძლიერა ხარისხი. განცეცხლებული მეტია გაცხელებულზე.

ჩვენს ფოლკლორში იმედის ნაპერწკალი ყოველთვის შენარჩუნებულია. „ერთი შვილ მაინც გაგზარდე ვეფხებთან მეომარია“ — ეს სიტყვები მოყმის მიერ გამოვლენილი გმირობით სიამაყეს გამოხატავენ, იმის რწმენას რომ ვაჟის ხანმოკლე სიცოცხლეს ცუდად არ ჩაუვლია.

ამირანს და ყურშა-ძაღლს კავკასიონის მთას მიაჯაჭვავს ღმერთი, მაგრამ მორჩილებაზე, დაძაბუნებაზე, ცოდვების მონანიებაზე არცერთს სიტყვა არ დაცდება. მუდამ იმას ცდილობენ, როგორმე განთავისუფლდნენ და ამას არ მალავენ. წარმოუდგენელია სასომიხდილი ამირანი. „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი.“

აბესალომის და ეთერის საფლავებზე ამოსული ვარდი და ია ერთმანეთისკენ იხრებიან, მაგრამ შუა მდებარე მურმანის საფლავზე ამოსული ნარეკალი არ აცლის ყელზე გადაჭდობას. მოსპობილია ყველა ოცნება, განადგურებულია ორი არსების დამაკავშირებელი დამდუღვრელი გრძნობა. ვარდისა და იის სწრაფვასაც კი ნარეკალი ელობება... და მაინც, მაინც... ეს სწრაფვა ტრიუმფია. ტრაგიკული ტრიუმფი. და არა მარტო იგი. თვით „ეთერიანი“ სიყვარულის ტრაგიკული ტრიუმფია.

(გინდოდა გეთქვა — ტრფიალების ტრაგიკული ტრიუმფი. თითქოს უფრო ლამაზად ჟღერს, მაგრამ დასძლიე ცთუნებას).

აქ ზღვის უკაცრიელ სანაპიროზე ნოდარისაგან შორიახლო ბიჭი და გოგო ეხვეოდნენ ერთმანეთს. კარგია ამნაირ ქალაქში ცხოვრება, პირდაპირ ზღვასთან წაიყვან გოგოს, როცა გინდა. თუნდაც მთვარე და ვარსკვლავები ნუ გამოჩნდებიან. თქვენს წინ იდუმალებით სავსე სივრცე იქნება გაშლილი.

არა, არ შეიძლება „მერანში“ ზღვა არ ყოფილიყო ნახსენები. იმიტომ, რომ „მერანი“ მხოლოდ ლექსი არაა. იგი ზღვაა. უსასრულობის ნაგლეჯია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს მიხეილ ქვლივიძეს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა. ჩვენი ჟურნალი თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად გულითადად ულოცავს პოეტს დაბადების დღეს და უსურვებს მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

აკაკი ბაქრაძე

# უსინათლო მარათონელი

მიხეილ ქვლივიძის ერთ უსათაურო ლექსს ალ. პუშკინის სიტყვები უზის ეპიგრაფად: «И с отвращением читая жизнь свою...»

ხოლო თავად ლექსი ასეთია:

ეს მოხდა მაშინ, როცა ჩემს ნაწერს
მახსოვს პირველად შევხედე ზიზღით;
როცა ქალაქში ბრძანება გასცეს
და ფილაქანი გასვარეს სისხლით;
როცა ბავშვივით მსურდა მეტირა
და ნაცვლად— ფურცვლა დავიწყე წიგნის...
მაშინ ვიფიქრე, რომ პოეტი ვარ
და შემეშინდა ჩემივე ფიქრის!

ყოველი მკითხველი იოლად დაინახავს, რომ ამ ლექსში დასმულია ძველთაძველი კითხვა — რა არის პოეტის დანიშნულება? —, რაც ყოველთვის აწუხებდა არა მარტო ამა თუ იმ პოეტს ცალკეულად, არამედ მთელ ქართულ პოეზიას, წარსულშიც და დღესაც. წარსულს თავი დავანებოთ და დღევანდელი გავიხსენოთ.

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი!...“ მოუწოდებდა ჩვენი დროის უდიდესი პოეტი, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ ქარიშხლისა და სისხლიანი ანგელოსის მას ძალიან ეშინოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სრულიად არ არის აუცილებელი პოეტს მეომრის გაბედულება ჰქონდეს. მაგრამ თუ სიტყვა მაინც ჩამოვაგდე, მხოლოდ იმიტომ, რომ თავად პოეტები სწუხან ამის გამო.

მსურდა კვეთება გაბოროტებით,
ოცნებად, ნატვრად მქონდა ბოლომდის —
როგორც პეტეფი,
როგორც ბოტევი,
მშობელი ქვეყნის მტერს შევკვდომოდი.
მაგრამ თავდება გზა და, ეს არი,
ქრება იმედის ნათელიც სუსტი,
ვერ იქნა, იმ დროს ვერ მოვესწარი
და ახლა სიკვდილს... ლოგინში ვუცდი...

ჩივის გრიგოლ აბაშიძე. მურმან ლებანიძე კი დასძენს: „თავსლაფი მწერლის მზაკვრობას მხატვრულს! თავსლაფი პოეტს, რომელიც სტყუის!..“

ასე, რომ წუხილი, რომლითაც მ. ქვლივიძის ლექსია გაჟღენთილი, დღევანდელი ქართული პოეზიის საერთო წუხილია, მაგრამ, როგორც ჩანს, დასმული კითხვის პასუხი მეტად ძნელია. ამიტომ დროდადრო მას ყოველი ახალი თაობა იმეორებს, თუმცა ბოლომდე დამაჯერებელ პასუხს ვერავინ იძლევა; ჯერჯერობით მაინც. მიუხედავად ამისა, პოზიციის მეტნაკლები გარკვევა აუცილებელია და, ცხადია, მ. ქვლივიძეც ცდილობს ამას. ჯერ ერთი, მას აქვს ლექსი „ავტოპორტრეტი“, სადაც იგი თავისთავს ხატავს და, მეორეც, მის პოეზიაში მკითხველს შეუძლია ამოკრიფოს ცალკეული გამონათქვამები, რომელნიც გვეხმარებიან წამოჭრილი საკითხის პასუხის გაცემაში.

„არავის მივცემ უფლებას, —
უფალი იყოს თუნდაც! —
ხელში ამიღოს, ჩამბეროს,
მამღეროს როგორც უნდა!“

„მგოსნის კალამი — ხანჯალია და სახნისია
და უნდა ყველგან რკინასავით ხნავდეს და ჭრიდეს“.

„თუ ლექსის კაცი ხარ, თუ გქვია „პოეტი“,
თუ გსურს ემსახურო ერს, —
ჭირსა და ლხინს უნდა ეძებდე ყოველთვის
და არა ხმასა და ფერს!“

ამ სტრიქონებით თითქოს ყველაფერი მკაფიო და ნათელი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს მ. ქვლივიძის პოეზიაში განსხვავებული, საპირისპირო შეხედულებაც პოეტის მდგომარეობაზე. იგი თავის თავს (საერთოდ ადამიანს, მთელ კაცობრიობას) უსინათლო მარათონელს ადარებს.

დრომ დამაბერა და დამარბია,
გამიცამტვერა ნატვრა ყოველი,
მაინც ხვალინდელ დღისკენ გავრბივარ,
ვით უსინათლო მარათონელი.

. . .

დავიწყებული ზავის პირობა
და დაწყებული ახლად ომები...
და სადღაც გარბის კაცობრიობა,
ვით უსინათლო მარათონელი!

გარდა ამისა, მ. ქვლივიძემ აღწერა „თანამედროვე“ პოეტის ტიპობრივი სახეც.

ზევიდან აზის ტრიბუნას,
როგორც ზარბაზნის ლაფეტს.
თავს ატრიალებს ციბრუტად
და ირგვლივ სიტყვებს აფენს.
ჩვენც ხან ვიკავებთ სიცილს,
ხან ვიღრუბლებით საჩინოდ,
რადგან წინასწარ ვიცით —
როდის რა არი საჭირო.
თუ დაიძახა „ვუმღერი
კიდით-კიდემდე გაშლილს...“
მთელმა დარბაზმა უკლებლივ
უნდა დავუკრათ ტაში!
თუ „მზე“ ახსენა (უთუოდ
„ანთებული და მწველი“),
უნდა თვალებში ვუყუროთ
განუსაზღვრელი რწმენით!

ციტირებული სტრიქონებით უკვე შეიძლება დასკვნის გაკეთება: ორი აზრია, ორი მიმართულებაა, ორი დამოკიდებულებაა, ორი ხატია. ის ვითარებაა, როცა ჯერ არ თქმულა უდრეკად და ურყევად: Hier stehe ich-ichkann nicht anders (აქ ვდგავარ და სხვანაირად არ შემიძლია). ეს გადაუწყვეტელობა, ორმაგობა ბუნებრივია. ბუნებრივია იმიტომ, რომ იმ უსინათლო მარათონელს, რომელიც მ. ქვლივიძის პოეზიის პროტაგონისტია, გაორებული ცხოვრება უწევს.

ორნაირია სივრცეც, რომელშიც უსინათლო მარათონელი არსებობს.

ერთია: „და ორღობეში ისმის ხარხარი
პირდაღებული ბროწეულების!“
მეორეა: „აქ ცა ჩვარსა ჰგავს — ფეხის
გასაწმენდს,
რომ დაუდგიათ სადღაც კარებში“.
ერთია: „სააგარაკო სიჩუმე დილის.
ყვავილნარების რწყვა.
ტალღას გაკრული მერცხალი ჭყივის
და მძიმედ სუნთქავს ზღვა...
ნაპირთან — ფერი კომბოსტოს
ფურცლის
და მუქი ლურჯი — შორს“.
მეორეა: „ზამთარ და ზაფხულ, თოვლსა და
ყამირს
(აქ არრა არი სხვა)
თავს დასჩხავიან გუნდები ყვავის:
— ყვა-ა! — ყვა-ა! — ყვა-ა!...“
ერთია: „ყველა შარაგზა, ბილიკი ყველა,
გადაჩრდილული კაკლის ხეებით,
ყველა ვენახი და ყველა ეზო,
ყველა ვაშლის ხე ნაყოფით სავსე,
ტოტებდახრილი შემოდგომაზე
ფეხმძიმე ქალს რომ დაემსგავსება“.
მეორეა: „ო, ამ ბუნებას თან ახლავს მუდამ
უნაყოფობის უზომო სევდა!“

რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია მრავალნაირ სივრცეში იცხოვროს, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მრავალგვარობა თანაბრად მოსწონს, როცა აღქმის მთლიანობა-ერთიანობა არ ირღვევა, როცა ადამიანის სულიერ სამყაროში ერთმანეთს არ ებრძვის ორი განცდა — აღტაცებისა და ირონიისა. თუ ერთი სივრცის მიმართ აღტაცება გეუფლება, ხოლო მეორის მიმართ — ირონია, მაშინ კაცის სული იხლიჩება და აუტანელი მდგომარეობა ბატონდება. მდგომარეობა, „როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი“.

ორდება ზნეობრივი ხედვაც. როცა ხედავ, რომ „ძლივს იკავებს სულმოკლე კაბა მუხლისთავების ვარდისფერ ღიმილს,“ მაშინ ისიც გჯერა, რომ „პირუმტკიცობას სიყვარულში ღალატი ჰქვია“. ხოლო, როცა ხედავ, რომ „გასაყიდი საქონელივით წინ დაუწყვიათ თეთრი მუხლები“, მაშინ მეგობრის ლამაზი ცოლის კოცნის სურვილიც გიჩნდება. მართალია, ასეთი სურვილი სიზმარში ჩნდება, მაგრამ იგი კიდევ უფრო საშიშია, რაკი სიზმარი ადამიანის ქვეცნობიერი ცხოვრების სურათია. უზნეობა ქვეცნობიერად ისადგურებს კაცში და შესაძლებელია, მორალურ კონტროლს აღარც დაემორჩილოს.

ზნეობრივი გაორების პირობებშია შესაძლებელი, რომ ადამიანი ოცნებობდეს ერთს და აკეთებდეს მეორეს. ეტრფოდეს იმას, „ვინც მწვერვალებზე სიარულს ბედავს“, მაგრამ სარეცელს უმშვენებდეს იმას, ვისაც ლაზათიანი ხვრინვა ურჩევნია ყველა უშბას. სამწუხაროდ, ამით არ თავდება ზნეობრივი გაორებით გამოწვეული დაქვეითება. იბადება იუდას საქციელის ახსნისა და გამართლების სურვილიც (ლექსი „იუდას მონოლოგი“). სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ ქართულ მწერლობაში პირველად ხალხოსანმა შიო დავითაშვილმა სცადა იუდას გამართლება და უბოდიშოდ განაცხადა: „ქრისტე მიდიოდა რა საწამებლად დარწმუნებული იყო, რომ ან არ მოკვდებოდა, ანდა კიდევ მეტი დიდებით აღსდგებოდა მესამე დღეს მკვდრეთით. ხოლო იუდამ დასაჯა რა თავი, შეგნებულად მისცა თავისი სახელი წყევლა-კრულვას. ასეთი მსხვერპლი ისტორიაში არ მოიპოვება. და ამ მხრით, იუდა, როგორც იდეური მუშა და მოწამე, უსათუოდ მაღლა სდგას ქრისტეზე“.

უაღრესად საინტერესოა იმის გარკვევა, საერთოდ რა პირობებში იბადება ამგვარი შეხედულება. მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ოღონდ იმას კი ვიტყვი, რომ ამის ერთ-ერთი საფუძველი ზნეობრივი კრიტერიუმის გაორებაა.

ზნეობრივ გაორებას ყოველთვის თან ახ-

ლავს ზნეობრივი მთლიანობის ნატვრაც. ეს ნატვრა არის მ. ქვლივიძის პოეზიაშიც.

მე შენ გეძახი, ჩემო ჰამლეტ, უშიშარ რაინდს,
რომ ჩემი დაშნა შენს მახვილზე გამალესინო!

მართალია, ჰამლეტი ეჭვით, ორჭოფობით შეპყრობილი კაცია, მაგრამ იგი მაინც ზნეობრივი მთლიანობისაკენ მოწოდებაა. ალბათ, ამიტომ არის, რომ, როცა „ყოფნა ფულია და კარგი მადა, ხოლო არყოფნა — უფულობა და უმადობა“ (მ. ქვლივიძის სიტყვებია), როცა უზნეობის მთლიანობა ურჩევნიათ, მაშინ ჰამლეტის უარყოფა ხდება. ეს ქართულ მწერლობაშიც მოხდა. პეტრე სამსონიძე მიმართავდა მეგობარ პოეტს — „ხედავ ჰამლეტებს? სამარეში როგორ მიდიან!..“ ხოლო, როცა ზნეობრივი მთლიანობის აუცილებლობა დგება, როცა ადამიანი „ფულიანების ძმობასა და ელსინორს არაფრად აგდებს“ (ესეც მ. ქვლივიძის სიტყვებია), მაშინ ჰამლეტის გამოჩენა, მისებრ ადამიანთა მომრავლება სიხარულს იწვევს.

ეს არ არის ზნეობრივი მთლიანობის უბრალო ნატვრა ან წარსულთან პოლემიკა. იგი არის რწმენის ძიება, ურომლისოდაც შეუძლებელია მომავლის ხილვა. იმ მომავლის, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გამო გვაშინებს. ამ შიშის ხმა მ. ქვლივიძის პოეზიაშიც გვესმის.

„მოძველდა შოთა, დანტეც მოძველდა,
მკითხველიც მათი.
ტექნიკის დროში
ვის რაღად უნდა რითმების ჯართი?!“

„ადამიანის ფეხის კვალი დააჩნდა მთვარეს.
მთვარეს დააჩნდა თვითმავალის მრუდე
ხაზები.
ახალ ტექნიკურ მიღწევაზე ყვირის გაზეთი...
მე კი გულს მიკლავს და მაღონებს, მაღონებს
მწარედ
მთვარის სახეზე ეს საშიში მეტასტაზები“.

„გასაოცარი მოვიგეთ ომი:
დამარცხებული ბუნება-დედა
ქუდმოგლეჯილი გარბის და სტოვებს
საომარ ველზე უთვალავ ცხედარს,
გაჩეხილ ტყეებს, გადათხრილ მინდვრებს,
მაზუთით სავსე ტბებს და გუბეებს...
„ვაშას“ ძახილით გაქცეულს მივდევთ,
სანამ მზეს სულ მთლად არ დავუბნელებთ!“

ამ განწყობილების დაძლევა მხოლოდ ზნეობისა და რწმენის მთლიანობით შეუძლია ადამიანს.

ვერავინ უარყოფს იმას, რომ დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კაცობრიობის აზროვნების წინსვლა-განვითარების ბუნებრივი შედეგია. ამდენად, სრულიად კანონზომიერიც არის. რაკი ბუნებრივი და კანონზომიერია, რატომღა იწვევს იგი ჩვენს შეშფოთებას?

რასაც ადამიანი მიწვდა და შეიცნო სამყაროში, მან გაგვაოცა ჰარმონიულობით, კანონზომიერებით, აუცილებლობით, მშვენიერებით და სამართლიანობით. რასაც ჯერჯერობით ვერ მიწვდა და ვერ შეიცნო, მან შეაშინა და თავზარი დასცა, მოეჩვენა ქაოტიურად, უსამართლოდ, ბოროტებად. თუმცა ელემენტური ლოგიკა ითხოვს, კითხვა დავსვათ ასე: თუ ის, რაც შევიცანით ჰარმონიული და სამართლიანია, რატომ უნდა იყოს ქაოტური და უსამართლო ის, რაც ვერ შევიცანით? ლოგიკა ითხოვს ვიფიქროთ — ისიც, რაც ვერ შევიცანით, ისევე სამართლიანი, კანონზომიერი, აუცილებელი, ჰარმონიული და მშვენიერია, როგორც ის, რაც შევიცანით, ოღონდ დღესდღეობით მისი დანახვა გვიჭირს, არ ძალგვიძს.

მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ამ ჯერშეუცნობელი მშვენიერებისაკენ მიჰყავს კაცობრიობა.

ის, რაც გააკეთა მაქს პლანკმა, ალბერტ აინშტაინმა, ენრიკო ფერმიმ, ნილს ბორმა თუ სხვებმა, ისევეა ადამიანის უსამანო ნიჭის გამოვლენა, როგორც ის, რაც დაწერა რუსთაველმა, დანტემ, შექსპირმა, გოეთემ.

კაცობრიობა სულიერად ღატაკი იქნება, თუ მას არ ეყოლება რუსთაველი, დანტე, შექსპირი, გოეთე და სხვანი. მაგრამ იგი ასევე ღატაკი იქნება სულითაც და ხორცითაც, თუ არ იქნებიან პლანკი, აინშტაინი, ფერმი, ბორი და სხვანი.

როგორც ვერ იარსებებს ადამიანი ან მხოლოდ სულით, ან მხოლოდ ხორცით, ასევე ვერ იარსებებს იგი ან მხოლოდ ხელოვნებითა და სიტყვაკაზმული მწერლობით, ან მხოლოდ მეცნიერებითა და ტექნიკით. როგორც სულისა და ხორცის მთლიანობაა აუცილებელი კაცის არსებობისათვის, ასევეა აუცილებელი მთელი კაცობრიობისა თუ ცალკეული ადამიანის არსებობისათვის ხელოვნება-მწერლობის და მეცნიერება-ტექნიკის ერთიანობა.

აი, რატომ არ ვიზიარებ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართ შიშს.

ჩვენ მაშინ ვცდებით, როცა ადამიანის ნიჭიერების ამ ორ გამოვლენას ერთმანეთს ვუპირისპირებთ და მათ შორის კონფლიქტს ვხედავთ. კონფლიქტი სხვაგან არის საძიებელი — უგუნურებაში. ამოცანა ის არის, რომ ნიჭიერების ნაყოფი უგუნურს არ მივცეთ მოსახმარად.

ამ საუბრისას მკითხველმა უკვე შენიშნა, ალბათ, მ. ქვლივიძის ლექსების ერთი თვისებათაგანი: ისინი დავის გუნებაზე გაყენებს, პოლემიკაში გიწვევს. ყოველი მხატვრული თხზულება, თუ იგი შედეგია სულის ტკივილის, ფიქრის, განსჯის, მკითხველშიც უნდა აღვიძებდეს

---

აკაკი ბაქრაძე
უსინათლო მარათონელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილს, ფიქრს, განსჯას. იმას კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ეთანხმები თუ ეკამათები მწერალს. მთავარი და არსებითია ფიქრის დუღილი. ეს თვისება არ აკლია არც იმ პატარა ლექსს, რომელიც მ. ქვლივიძემ ახლახან გამოაქვეყნა და რომელშიც მე სიკვდილის შიშშეპარებული კაცის ხმა გავიგონე და ერთგვარი ვალმოხდილობის სიმშვიდეც დავინახე.

ჩემი ქართული ნამუსით
მუდამ ვიქნები, რაცა ვარ...
ერთ ბიჭსაც მამულს გავუზრდი,
განგებამ თუ დამაცალა.

ამ განწყობილებას ვერ გავიზიარებ იმ შინაგანი იმედიანობისა და ომახიანობის გამო, რომელსაც მის პოეზიაში ვხედავ.

ჯერ ერთი, „სიკვდილი“ ერთ-ერთი ის სიტყვაა, რომელსაც ხშირად შევხვდებით მ. ქვლივიძის პოეზიაში. დედის, მამის, ძმის, ცოლის სიკვდილი მისი განსჯის, ფიქრის, დარდის, სევდის საგანია. ცხადია, სიკვდილთან გაშინაურება შეუძლებელია და მისი ყოველი გამოვლენა შემაძრწუნებელია, მაგრამ ისიც სიმართლე იქნება, თუ ვიტყვი, რომ მ. ქვლივიძე სიკვდილთან მშვიდად საუბრობს და არყოფნის შიშით დათრგუნვილი არ არის. „მან მე სიკვდილიც მასწავლა, დედამ, — არ დამრჩენოდა რომ უსწავლელი“. ჩემი ფიქრით, მ. ქვლივიძისათვის არც ეს აზრი უნდა იყოს უცხო: ადამიანი იმით არის ბედნიერი და თავისუფალი, რომ სიკვდილი არსებობს. სიკვდილი ერთადერთია, რასაც კაცს ვერავინ აუკრძალავს, რომლის უფლებას ვერავინ წაართმევს და რითაც მას შეუძლია გააკეთოს და თქვას ის, რაც სიცოცხლით ვერ მოახერხა.

მეორეც, როგორი დაეჭვებულიც, სევდიანი და დადარდიანებულიც უნდა იყოს მ. ქვლივიძე, იგი მაინც იმ ადამიანს სცემს თაყვანს, ვინც უკმაყოფილოა, არ ეგუება-ეთვისება გარემოს და წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია.

ის მაინც ბრუნავს!.. „ღმერთმა ნუ ქნას,
ჩემო ძმობილო,
დავცხრეთ, დავწყნარდეთ, აღარ ვიყოთ
უკმაყოფილო
საკუთარ ბედით, უბედობით, ნამოღვაწარით,
ყველაფრით, — ჩვენში რაც არსებობს,
სხვებში რაც არი...

და მესამეც, მარათონელი, უსინათლო იქნება იგი თუ თვალახელილი, იმის მარათონელია, რომ აუცილებლად გამარჯვების ამბავი მოიტანოს.

გიული ლეჟავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეხური კრიტიკა თანამედროვე ქართული პროზის შესახებ

ფართო ეპიკური სივრცე, ღრმა ფსიქოლოგიზმი, მწვავე დრამატიზმი და ფაქიზი ლირიზმი, ფილოსოფიური ძიებანი, მაღალი ეთიკური ნორმები, სიმართლის სიმბოლური და პირდაპირი გამოხატვის სინთეზი გახლავთ ის თვისებები, რომელიც ზოგადად ახასიათებს დღევანდელ ქართულ რომანს.

თანამედროვე ქართული პროზა და რომანი დღეს ინტენსიურად ითარგმნება და საბჭოთა ლიტერატურიდან გამორჩეულად იკითხება ჩეხოსლოვაკიაში. ჩეხი კრიტიკოსი კ. ხრობაკი თავის სტატიაში „აბელის დაბრუნება და კაენის ცოდვა“, სადაც იგი განიხილავს არჩილ სულაკაურისა და ო. ჭილაძის შემოქმედებას, წერს: „თანამედროვე ქართულ რომანსა და ესტონურ მოთხრობას წამყვანი როლი უკავია თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში“ (იხ. ლიტ, საქ. 1980, 14 აგვისტო).

ო. ჭილაძის რომანებს, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, დიდი წარმატება ხვდა ჩეხოსლოვაკიაში. მის რომანს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ გამოეხმაურა რეცენზიებით პრაღის თითქმის ყველა ჟურნალი და გაზეთი. ჩვენ ისინი უკვე განვიხილეთ ცალკე სტატიაში (ლიტ. საქ. 1983, 8 აპრილი).

დღევანდელი ჩვენი წერილის მიზანია გავაცნოთ ფართო მკითხველს ჩეხი კრიტიკოსების შეხედულებანი და მოსაზრებანი ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონის“, ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასა“ და უკვე შემდგომი თაობის წარმომადგენლის ჯ. ქარჩხაძის რომანზე „მდგმური“.

ჩვენს წერილში მოხმობილია ის სტატიები და რეცენზიები, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული დონით და არ არიან მარტო ინფორმაციული ხასიათის. ჩვენთვის, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი და საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩეხი ავტორები ქართულ ლიტერატურას განიხილავენ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, რაც შესაძლებელს ხდის უფრო კარგად წარმოაჩინონ ჩვენი ლიტერატურის ღირსებები.

ნ. დუმბაძის მოთხრობები დიდი ხანია ითარგმნება ჩეხოსლოვაკიაში. ითარგმნა „კუკარაჩა“, „ხაზარულა“, ბრატისლავაში „თეთრი ბაირაღები“ და „მარადისობის კანონი“. „მარადისობის კანონი“ ბრატისლავის თეატრ „ნოვოი სცენაზე“ დაიდგა დიდი წარმატებით. 1982 წელს „მარადისობის კანონის“ ჩეხური თარგმანი გამოსცა პრაღის გამომცემლობა „ლიდოვე ნაკლადატელსტვიმ“, რომელიც 1983 წელს ხელმეორედ გამოიცა. თარგმანი ეკუთვნის ვ. ჩერნის.

ჩეხი კრიტიკოსი ვლადიმერ ნოვოტნი, რეცენზიაში ნ. დუმბაძის წიგნზე „მარადისობის კანონი“, წერს: „ — 70-იანი წლების ქართული რომანი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შევა როგორც მისი ერთ-ერთი ორიგინალური და ნათელი თავი. თ. ჭილაძისა და ო. იოსელიანის კამერულ ლირიკას, რომლებიც ჩვენთან ათი წლით ადრე გამოჩნდნენ, შეემატნენ ახალი შემოქმედნი: ჭ. ამირეჯიბი, ა. სულაკაური, ო. ჭილაძე, ჯ. ქარჩხაძე, თ. ბიბილური. ამავე დროს გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართული პროზიდან არ ვიცნობთ 20-30-იანი წლების ავტორებს, მაგალითად კ. გამსახურდიასა და ნიკო ლორთქიფანიძეს, მიუხედავად ამისა, ჩვენი ხმა შეგვიძლია თამამად შევუერთოთ საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის ქოროს, რომელიც ამტკიცებს, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას შეუძლია იამაყოს გამოჩენილ შემოქმედთა მთელი პლეადით. პროზის ამ თანავარსკვლავედს მიეკუთვნება კიდევ ერთი შემოქმედი ნ. დუმბაძე...“

არსებობს თუ არა ჰუმანიზმი სინამდვილეში და არის თუ არა იგი მარადიული. ეს კითხვა ჯერ კიდევ „თეთრ ბაირაღებში“ აქვს მწერალს დასმული. და ის სულიერი მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ამ ნაწარმოებში ვხვდებით ღრმავდება „მარადისობის კანონში“. აქ ავტორი ეძებს პასუხს და სჯერა, რომ რაღაც ხანგრძლივობა, სიმტკიცე და მუდმივობა უნდა ახასიათებდეს ჰუმანიზმს, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს? ამ კითხვის საპასუხოდ არის მიმართული, ჩვენი აზრით, ნაწარმოების ყველა საკვანძო მომენტი. კრიტიკოსი ვლ. ნოვოტნი, თავის რეცენზიაში „მარადისობის კანონზე“, წერს:

„...ჯერ კიდევ „თეთრ ბაირაღებში“, არცთუ

იშვიათად, ჭკვიანურად ერწყმის ემფატიკური ტირადა სენტიმენტალურ ფილანტროპიას. ერთ სცენაში მთხრობელი მორიდებულად შენიშნავს: არ არსებობს ჰუმანიზმი როგორც ჰუმანიზმი... „მარადისობის კანონში“ მწერალს ალბათ უნდოდა დაემტკიცებინა ჰუმანიზმის მარადიულობა და ამის საფუძველზე განესაზღვრა კონკრეტული კორელაცია ადამიანისადმი აუცილებელი სიყვარულისა, გამოეცხადებინა მარადისობის სასურველი კანონი. რატომ არ შეუძლია ხშირად სხეულს ატაროს ადამიანის სული და რატომ არ არის მნიშვნელოვანი ვისი სახელით მოქმედებს ქვეყანაზე სიკეთე, მოწყალება, უდანაშაულობა, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება. წინ ვერ წავალთ, რომ არ განიცდიდეს ადამიანის სული მუდმივ განახლებას და მისი გონება განვითარებას. რამდენადაც დიდხანს იცოცხლებს ისეთი ადამიანი, როგორიცაა ბაჩანა, იმდენად მეტ სიკეთეს დათესავს იგი ადამიანებს შორის. ალბათ ამ მიზეზით, მთავარი აზრობრივი სახის მიხედვით დაარქვა ნ. დუმბაძემ თავის რომანს „მარადისობის კანონი“. და ისევე, როგორც „თეთრ ბაირაღებში“ დაუტოვა ავტორმა თავის გმირებს თვალებში ცეცხლი, გმირებს, რომლებიც უსამართლოდ აღმოჩნდნენ საზოგადოების ფსკერზე, ასევე აქაც, მთავარი გმირი შეიძლება მომწიფდეს და დაბრძენდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან თავიდანვე დაუმორჩილა მთელი თავისი ცხოვრების გზა მოწყალების ანალიზს. ამ მიზნისათვის ავტორი იყენებს პუბლიცისტიკასა და გრძნობებს, სატირასა და მოგონებებს, აანალიზებს და თითქოს რენტგენზე ატარებს თავისი გმირის, ბაჩანა რამიშვილის ტანჯვას, კონფლიქტსა და უბედურებას. მძიმე ინფარქტით ავადმყოფი, არამარადიულობის ზღურბლთან ყოფნისას, წყალწალებულივით ხავსს რომ ეჭიდებოდა და აღგზნებულ სიზმრებში იყო, როგორც გამადიდებელ შუშაში ხედავდა წარსულის ყველა მოგონებას, რაც მას ალბათ მომავალში უშველიდა ეცხოვრა „მარადიული“ ცხოვრებით, მიამიტი იდეალიზმის გარეშე, ბავშვობის ტრავმის გარეშე, გულგრილობის, მტრობისა და სიცრუის გარეშე“.

„მართალია ნ. დუმბაძე, არსად ხმამაღლა არ ამტკიცებს მწერლები ხალხის სინდისიაო, — განაგრძობს რეცენზენტი, — მაგრამ ცხოვრების გამოცდები ამაგრებს ბაჩანა რამიშვილის ამ მორალს, იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც თანამედროვე ლაზარე... ეთიკური კანონის ისეთი განსაზღვრება, როგორსაც წასვლის დროს გაანდობს ბაჩანა რამიშვილი თავის მკურნალს, იმდენად ზოგადია, რომ არ ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, მის უკან კონკრეტულ ადამიანთა ცხოვრება, მათი ტრაგედია და სიყვარული რომ არ იდგეს. საკუთრივ, „მარადისობის კანონი“ მორალური იმპერატივების ჯამია, რითაც გამოჯანმრთელებული მწერალი მიმართავს თავის წარსულს და უპირველეს ყოვლისა მომავალს: რომ არასოდეს აღარ დაბრუნდეს 30-იანი წლების ჭრილობა, როდესაც ბავშვები იღვიძებდნენ უმშობლებოდ, რომ აღარასოდეს არ იყოს აუცილებელი სისხლის ალება, რომ მაიმუნები არ გახდნენ მწერალთა კავშირის წევრები, რომ ადამიანთა პასუხისმგებლობა და ღირსება არ დამცირდეს... რამიშვილის ეთიკის პრედიკატი მიმართულია იქით, რომ რაც შეიძლება მალე დადგეს „ის ბედნიერი ჟამი, როდესაც ადამიანს საშუალება მიეცემა მხოლოდ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მას შეუძლია, აკეთოს ის, რაც მის სულიერ და გონებრივ შესაძლებლობებს შეესატყვისება და გამოხატავს, რაც სულიერ და ზნეობრივ ბედნიერებას მოუტანს“.

„ნ. დუმბაძის რომანი პირველ რიგში ფასეულია იმით, — წერს შემდეგ კრიტიკოსი, — რომ ავტორი ფილოსოფიური პიროვნების აბსტრაქტულ მდგომარეობას სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, რომელშიც იმყოფება მისი დაღლილი და იმედგაცრუებული გმირი, გამოკვეთს ზნეობრივი პუბლიცისტიკით. ამავე დროს ამ წიგნს სრულიად წარმატებით შეიძლება ქონდეს ფილოსოფიური რომანის პრეტენზია, თუმცა, ამასთან ერთად, თავისი საზოგადოებრივი პერსპექტივითა და ფსიქოლოგიური შემთხვევებით იგი წარმოადგენს, ჩემი აზრით, აქტუალური პუბლიცისტური პროზის ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ნიმუშს. სწორედ პუბლიცისტური ხასიათის დიალოგები ქმნის ნაწარმოების აზრობრივ ხერხემალს: ეთიკურ თემებზე საუბარი მოხუც ლომკაცთან, თუ ცისფერთვალა თამრიკოსთან და მის თაყვანისმცემლებთან და მთხოვნელებთან, შეყვარებულ მარიამთან, მეორეს მხრივ, მეწაღე ბულიკასთან და განსაკუთრებით მთავარ ფილოსოფიურ მოწინააღმდეგე მღვდელ იორამთან. პუბლიცისტურია ამ წიგნის ყველაზე ძლიერი ნაწილიც — წარსულის ცალკეული სცენები; ხვალინდელ დღეს ხელს ვერ შეავლებ და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს იქნება მძიმე, მღელვარე წლებით დაღლილი და „განსაკუთრებული და სასიამოვნო“ დაღლილობით ნუგეშცემული ჩვენი მწერალი“.

პრაღის ერთ-ერთ დიდ და სერიოზულ გაზეთ „ტვორბაში“ დაიბეჭდა კრიტიკოს იაროსლავ სეკერას რეცენზია „მარადისობის კანონზე“ სათაურით „კარგი წიგნი.“

კრიტიკოსი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ნაწარმოების პოლიტიკურსა და პარტიულ მხარეზე. მისი აზრით „მარადისობის კანონი“ არის სოციალისტური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში:

„...ამ რომანში მწერალმა აღწერა საკუთარი ამბავი და ადამიანის ორი უკიდურესი მდგომ-

არეობა. სიკვდილ-სიცოცხლე საფუძვლად დაუდო თავის მხატვრულ მეთოდს: სიზმრების, რეალური შემთხვევებისა და უამრავი მოგონებების მონაცვლეობამ შექმნა ძალზე პლასტიკური ნაწარმოები. ნამდვილად პოეტურია ტრაგიკული მღელვარებისა და უსაზღვრო, სპონტანური იუმორის მონაცვლეობა. ყველაზე მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით თუ შევადარებთ მდგომარეობას ჩვენს ლიტერატურაში), რომ სიტყვიერი ენამახვილობა და სიახლენი ემსახურება გარკვეულ ეპოქას და პირდაპირ პოლიტიკური და იდეურად პრობლემატურია. ეს შესანიშნავი წიგნი, უკიდურესად ცხოვრებისეული თემატიკით და იმ კატასტროფით, რომელიც მისმა გმირებმა განიცადეს, უმღერის გამარჯვებულ სიცოცხლეს და არის ამ ცხოვრების გამოხატულება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით, ადამიანის მარადიული და ზედროული კითხვის მნიშვნელობით. დუმბაძე მიდის იმ გზით, რომელიც დამახასიათებელია სოციალისტური ხელოვნებისათვის და ინსპირირებულია მსოფლიო რევოლუციური მსოფლმხედველობით. მიდის ამ ხელოვნების რასაკვირველია, საუკეთესო გზით: არ ამსუბუქებს პიროვნების ტრაგიკულ მდგომარეობას ფსევდოოპტიმიზმით, როცა ეს შეეხება ადამიანის მარადიულ კითხვას მისი დასასრულის შესახებ. ამავე დროს მას სჯერა, რომ აუცილებელია ადამიანის მონაწილეობა სოციალურ ბრძოლებში. ეს საქმის უკვე მეორე მხარეა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ამ ორი მხარის — დროისა და დროისგარეშე, ზოგადსაკაცობრიო და სოციალურ-პოლიტიკურის ორგანული კავშირი არის დამახასიათებელი სოციალისტური ხელოვნებისათვის, ამაშია მისი უპირატესობა სხვა ხელოვნებასთან შედარებით. ამ უპირატესობაზე თუ წინაპირობაზე წერდა თავის დროზე ლუნაჩარსკი: „საჭიროა ამ საზოგადოებიდან ამოარჩიო ის, რაც მასში ქმნის ადამიანთა მოქმედების მრავალმნიშვნელოვან ელემენტს“ (დრამატურგ კირშონთან პოლემიკა).

ამ თვალსაზრისის სამართლიანობა დადასტურებულია გორკის, როლანის, შოლოხოვისა და ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენ ების შემოქმედებითი მიღწევებით. ნ. დუმბაძეს აქვს კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიჭი. — ცეცხლოვანი მზიანობა, სპონტანობა, მღელვარე გულახდილობა და ოცნებებით გატაცება, რაც დამახასიათებელია ქართველი ხალხის, მისი გონებისა და კულტურული ტრადიციებისათვის.

დუმბაძის რომანი კომპოზიციურად რთული მთლიანობაა, მისი ცალკეული ელემენტები მიუთითებს საზოგადოების ძლიერ მხარეებს, რომლის მორალური და იდეური უპირატესობაა გულგახსნილი, გულწრფელი და პატიოსანი ადამიანები — ეს არის მათი ძლიერი იარაღი. ავტორის კონცეფციისთვის დამახასიათებელია იუმორი და სიყვარული. დიალოგები [illegible]ფებს შორის, იდეური კამათი მწერლისა სულიერ მამა იორამთან. რამიშვილის პარტიაში მიღების ბრწყინვალე სცენა. ღრმა და მომწიფებული სიყვარული მშვენიერი მარიამისადმი მეტად მნიშვნელოვანია წიგნში. ნ. დუმბაძის მაღალმხატვრული და ადამიანურად წმინდა ნაწარმოები სამუდამოდ გახდა შემადგენელი ნაწილი არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიოს საუკეთესო თანამედროვე ლიტერატურისა“.

პრაღაში ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ წიგნად გამოსვლას წინ უძღოდა ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ქართული ტელეფილმის ჩვენება პრაღის ტელევიზიით. ასე რომ მაყურებელი ერთგვარად შემზადებული იყო და დიდი ინტერესით ელოდა წიგნის გამოსვლას. გამომცემლობა „ლიდოვე ნაკლადატელსტვის“ სარეკლამო ჟურნალმაც წინასწარ ცნობები მიაწოდა მკითხველს წიგნსა და მწერალზე. თარგმანი გამოვიდა 1982 წელს პრაღაში. მთარგმნელია ვ. ჩერნი.

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ როგორ ახლოს მიიღო თავიდანვე ფართო მკითხველმა „დათა თუთაშხია“ საქართველოში. შემდეგ იგი ითარგმნა რუსულად და მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ეს მრავალპლასტიანი ნაწარმოები, რომელშიც ერთმანეთშია გადახლართული სოციალური თუ ფსიქოლოგიური ასპექტები, მითოსურ-სულიერი პლანი, ეთიკურ-ფილოსოფიური პრობლემატიკა, იქცა როგორც ქართველ, ასევე რუს და უცხოელ კრიტიკოსთა ბჭობის საგნად. გამოითქვა და დაიწერა ბევრი საგულისხმო და ბევრიც სადავო მოსაზრება.

მაგალითად ჟურნალ „კრიტიკის“ 1978 წლის № 1 დაიბეჭდა გენრიხ მიტინის მოზრდილი წერილი „უჩინარი ძალის მძლეველნი“, სადაც იგი განიხილავს სამ რომანს (ბ. ოკუჟავას „მერისი, ანუ შიპოვის ფათერაკები“. (1971), ვ. ბოგომოლოვის „ორმოცდაოთხის აგვისტოში“ (1974) და ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“); 70-იანი წლების რომანზე მიტინი სამართლიანად წერს, რომ „დროის დიდი პრობლემა ვერ დამაგრდა მოთხრობის ვიწრო ჩარჩოში — 70-იან წლებში სათავე დაედო რომანის ლიდერობის დასაწყისს ჟანრის სფეროში, „ლიდერის შეცვლის“ პირველი მერცხლები არიან ზემოთ დასახელებული რომანები“.

კრიტიკოსი წარმოგვიდგენს სამივე რომანს, როგორც დეტექტურ რომანს, მათ შორის „დათასაც“, რომელიც აღწერს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებს შორის. წერილის ავტორის ყურადღების ცენტრი გადატანილია რომანის სოციალურ პლანზე. იგი უპირისპირებს დათასა და მუშნის, როგორც „ცივსა“ და „ცხელ გონებას“, რომელმაც მუშნი ჩიხში მოამწყვდია, რადგან დასაღუპავად განწირული სისტემის ერთგულ კაცად აქცია იგი, მეორეს მხრივ „ცხელმა

გულმა“ დათა თუთაშხია არსებული სისტემიდან გაიყვანა და არც იმის საშუალება მისცა, რომ ახალი სისტემისათვის მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყო“.

მიუხედავად იმისა, რომ რომანს მართლაც აქვს დეტექტური ჟანრისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური ელემენტები, იგი მივაკუთვნოთ მარტო ამ ჟანრს, და არ ჩავწვდეთ მის ფილოსოფიურ თუ ეთიკურ სიღრმეებს, ჩვენი აზრით, იქნება ამ ნაწარმოების მხოლოდ ცალმხრივი გაგება და გამარტივება.

გ. გაჩეჩილაძე თავის წერილში „ონტოლოგიური შიშის რაინდი“ („ცისკარი“ 1988, №9), ნაწარმოებს განიხილავს ბიბლიურ ასპექტში, დათას სახე მას აგონებს „ეგვიპტელთა დევნისაგან უდაბნოს შეფარებულ მოსეს“. კრიტიკოსი პოულობს მათ შორის საერთოს და თვლის, რომ ეს არ არის შემთხვევითი ტიპოლოგია.

ნ. ნათაძე „დათა თუთაშხიას“ თანამედროვე ეპიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშად მიიჩნევს („მნათობი“, 1974, 7 ) და თვლის, რომ ავტორის მიზანია ორიგინალური ხერხებით გადაჭრას ეთიკური, მსოფლმხედველობრივი, ფსიქოლოგიური თუ სხვა პრობლემები.

ვრცლად და საფუძვლიანად განიხილა რომანი რევაზ თვარაძემ („ცისკარი“, 1976, №3).

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ „მართალია, რომანის ავტორს მოხმობილი აქვს მეგრული მითოსი, მაგრამ მითოსური ელემენტების მოხმობა ავტორს თავისი უმთავრესი სათქმელის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად დასჭირდა. ამ ინტერპრეტაციით რომანში თავს იჩენს ორი პლანი —ემპირიული და სულიერი, რომლებიც ორგანულად შერწყმულია ურთიერთს. ემპირიულ პლანზე გათამაშებული ტრაგედია შესაძლოა წაკითხულ იქმნეს აგრეთვე, როგორც კაცთა მოდგმის, თუ ყოველი ცალკეული ადამიანის სულში აღძრული ბრძოლა მისი შინაგანი საწყისებისა, როგორც კაცთა მოდგმის თუ სუბიექტის არსებაში, მის წიაღში, გათამაშებული ტრაგედია. ამ შემთხვევაში, დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას დაპირისპირება და ბრძოლა სიკეთის და ბოროტებისა“. და შემდეგ“... „...მითოსურისა და რეალურის ორგანული შერწყმა რომანს განუმეორებელ მომხიბვლელობას ანიჭებს“.

ჩეხი კრიტიკოსი კამილ ხრობაკი ნაწარმოებს ღრმა გაგებით და ჩვენის აზრით, უაღრესად საინტერესოდ განიხილავს და ზოგიერთ საკითხში ეხმიანება რ. თვარაძის მოსაზრებებს. გთავაზობთ მის წერილს: (ჟურნალი „კლუბ ჩტენარჟუ“, 1988, V).

რომანი „დათა თუთაშხია“ (ანუ „ძე მთვარისა“ ჩეხურად) წარმოადგენს რამოდენიმე სიბრტყის გაერთიანებას. ჟანრობრივად იგი ისტორიულ რომანს შეიძლება მივაკუთვნოთ. მაგრამ იქნებ უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ ეს ნაწარმოები დღევანდელი რეალობის მითოლოგიზირებული ხედვის ცდაა. ამასთან ნაწარმოების მხატვრული გამოხატვის ნამდვილ არსში ჩაწვდომა შესაძლებელია თუ მივხვდებით ყველა მოცემული სიბრტყის მიზანს და მათ განვიხილავთ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში.

დროის გარემოება ტექსტში ძალიან ცოტაა ან უფრო სწორად იმდენი, რამდენიც ავტორს დასჭირდა, რომ ნაწარმოები მოეთავსებინა წარსული საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში, დიდი და საოცარი საზოგადოებრივი ცვლილებების დროს საქართველოსა და მთელ რუსეთში.

ავტორი წარმოგვიდგენს არისტოკრატიას, მუშებს, მწყემსებს, ანარქისტებს, პოლიციელებსა და საიდუმლო აგენტებს, ჯაშუშებსა და მკვლელებს, დაახლოებით ისე, როგორც თავის „ცვილის ფიგურების მუზეუმში“ აღბეჭდა გრაფმა სეგედიმ. რომანი მართლაც მარტო მუზეუმად დარჩებოდა, ავტორს რომ არ შემოეყვანა დათა თუთაშხია, რომელიც მითიდან რეალურ ცხოვრებაში, ისტორიასა და გმირების ბედში შემოდის. მოდის, რომ მოძებნოს პასუხი მარადიულ კითხვაზე: აქვს თუ არა ადამიანს დაბადებიდან თანდაყოლილი სიკეთე, შეიძლება თუ არა ბოროტების ლაბირინთებში ხეტიალიდან მისი გამოყვანა და კვლავ სწორ გზაზე დაყენება? ნაწარმოებში მოცემულია პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომის გამუდმებული სწრაფვა. „დათა“ შეიძლება გავიგოთ, როგორც თავისებური მოდიფიკაცია პიკარის ტიპის ლიტერატურისა, რომელიც მიგვითითებს, რომ მნიშვნელობა არა აქვს სად ხდება ამბავი, ან უფრო ზუსტად, ნათქვამია, რომ ეს შეიძლება ყველგან მოხდეს. რომანში ისტორიის მონაწილეობას, როგორც ეპოქის უკანა ფასადს, არა აქვს მნიშვნელობა, აქ მთავარი მოთავსებულია რომანის აზროვნების სპეციფიკაში, რომელიც სოციალურ ელემენტებშიც ეძებს ახალ შიდა განზომილებას, რომ აიყვანოს ეს ელემენტები ზოგადი სიმბოლოების დონემდე და ორგანულად შევიდეს მთელი ნაწარმოების ფილოსოფიურ კონტექსტში.

„დათას“ სახით ავტორმა გამიზნულად შექმნა a la these; დათა თუთაშხიას თავისი უწმინდესი ფანატიზმით თავიდან უშიშარისა და უვნებელის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ ამასთან მას ადამიანური სისუსტეებიც გააჩნია. რაც მთავარია, იგი განიცდის კონკრეტულ შინაგან განვითარებას. მის დაუინებულ, ამაღლებულ იდეას ეძებოს სიმართლე, ჩაუნერგოს ადამიანებს სიკეთე მიჰყავს „ნორმალურ“ ადამიანებთან კონფლიქტამდე და მნიშვნელოვან განხეთქილებამდე. დათას იმედი გაუცრუვდა ადამიანებზე, რომლეზსაც მისი არ ესმით, დაკარგა ცხოვრების რწმენა, ეჭვი შეეპარა თავისი იდეალების სიმართლეში და, მსგავსად წარმართულ ღმერთ თუთაშხასი, განუდგა ხალხს: „არ ვიცი კეთილს

გულმა“ დათა თუთაშხია არსებული სისტემიდან გაიყვანა და არც იმის საშუალება მისცა, რომ ახალი სისტემისათვის მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყო“.

მიუხედავად იმისა, რომ რომანს მართლაც აქვს დეტექტური ჟანრისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური ელემენტები, იგი მივაკუთვნოთ მარტო ამ ჟანრს, და არ ჩავწვდეთ მის ფილოსოფიურ თუ ეთიკურ სიღრმეებს, ჩვენი აზრით, იქნება ამ ნაწარმოების მხოლოდ ცალმხრივი გაგება და გამარტივება.

გ. გაჩეჩილაძე თავის წერილში „ონტოლოგიური შიშის რაინდი“ („ცისკარი“ 1988, №9), ნაწარმოებს განიხილავს ბიბლიურ ასპექტში, დათას სახე მას აგონებს „ეგვიპტელთა დევნისაგან უდაბნოს შეფარებულ მოსეს“. კრიტიკოსი პოულობს მათ შორის საერთოს და თვლის, რომ ეს არ არის შემთხვევითი ტიპოლოგია.

ნ. ნათაძე „დათა თუთაშხიას“ თანამედროვე ეპიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშად მიიჩნევს („მნათობი“, 1974, 7) და თვლის, რომ ავტორის მიზანია ორიგინალური ხერხებით გადაჭრას ეთიკური, მსოფლმხედველობრივი, ფსიქოლოგიური თუ სხვა პრობლემები.

ვრცლად და საფუძვლიანად განიხილა რომანი რევაზ თვარაძემ („ცისკარი“, 1976, №3).

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ „მართალია, რომანის ავტორს მოხმობილი აქვს მეგრული მითოსი, მაგრამ მითოსური ელემენტების მოხმობა ავტორს თავისი უმთავრესი სათქმელის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად დასჭირდა. ამ ინტერპრეტაციით რომანში თავს იჩენს ორი პლანი —ემპირიული და სულიერი, რომლებიც ორგანულად შერწყმულია ურთიერთს. ემპირიულ პლანზე გათამაშებული ტრაგედია შესაძლოა წაკითხულ იქმნეს აგრეთვე, როგორც კაცთა მოდგმის, თუ ყოველი ცალკეული ადამიანის სულში აღძრული ბრძოლა მისი შინაგანი საწყისებისა, როგორც კაცთა მოდგმის თუ სუბიექტის არსებაში, მის წიაღში, გათამაშებული ტრაგედია. ამ შემთხვევაში, დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას დაპირისპირება და ბრძოლა სიკეთის და ბოროტებისა“. და შემდეგ“...
„...მითოსურისა და რეალურის ორგანული შერწყმა რომანს განუმეორებელ მომხიბვლელობას ანიჭებს“.

ჩეხი კრიტიკოსი კამილ ხრობაკი ნაწარმოებს ღრმა გაგებით და ჩვენის აზრით, უაღრესად საინტერესოდ განიხილავს და ზოგიერთ საკითხში ეხმიანება რ. თვარაძის მოსაზრებებს. გთავაზობთ მის წერილს: (ჟურნალი „კლუბ ჩტენარჟუ“, 1988, V).

რომანი „დათა თუთაშხია“ (ანუ „ძე მთვარისა“ ჩეხურად) წარმოადგენს რამოდენიმე სიბრტყის გაერთიანებას. ჟანრობრივად იგი ისტორიულ რომანს შეიძლება მივაკუთვნოთ. მაგრამ იქნებ უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ ეს ნაწარმოები დღევანდელი რეალობის მითოლოგიზირებული ხედვის ცდაა. ამასთან ნაწარმოების მხატვრული გამოხატვის ნამდვილ არსში ჩაწვდომა შესაძლებელია თუ მივხვდებით ყველა მოცემული სიბრტყის მიზანს და მათ განვიხილავთ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში.

დროის გარემოება ტექსტში ძალიან ცოტაა ან უფრო სწორად იმდენი, რამდენიც ავტორს დასჭირდა, რომ ნაწარმოები მოეთავსებინა წარსული საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში, დიდი და საოცარი საზოგადოებრივი ცვლილებების დროს საქართველოსა და მთელ რუსეთში.

ავტორი წარმოგვიდგენს არისტოკრატიას, მუშებს, მწყემსებს, ანარქისტებს, პოლიციელებსა და საიდუმლო აგენტებს, ჯაშუშებსა და მკვლელებს, დაახლოებით ისე, როგორც თავის „ცვილის ფიგურების მუზეუმში“ ალბეჭდა გრაფმა სეგედიმ. რომანი მართლაც მარტო მუზეუმად დარჩებოდა, ავტორს რომ არ შემოეყვანა დათა თუთაშხია, რომელიც მითიდან რეალურ ცხოვრებაში, ისტორიასა და გმირების ბედში შემოდის. მოდის, რომ მოძებნოს პასუხი მარადიულ კითხვაზე: აქვს თუ არა ადამიანს დაბადებიდან თანდაყოლილი სიკეთე, შეიძლება თუ არა ბოროტების ლაბირინთებში ხეტიალიდან მისი გამოყვანა და კვლავ სწორ გზაზე დაყენება? ნაწარმოებში მოცემულია პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომის გამუდმებული სწრაფვა. „დათა“ შეიძლება გავიგოთ, როგორც თავისებური მოდიფიკაცია პიკარის ტიპის ლიტერატურისა, რომელიც მიგვითითებს, რომ მნიშვნელობა არა აქვს სად ხდება ამბავი, ან უფრო ზუსტად, ნათქვამია, რომ ეს შეიძლება ყველგან მოხდეს. რომანში ისტორიის მონაწილეობას, როგორც ეპოქის უკანა ფასადს, არა აქვს მნიშვნელობა, აქ მთავარი მოთავსებულია რომანის აზროვნების სპეციფიკაში, რომელიც სოციალურ ელემენტებშიც ეძებს ახალ შიდა განზომილებას, რომ აიყვანოს ეს ელემენტები ზოგადი სიმბოლოების დონემდე და ორგანულად შევიდეს მთელი ნაწარმოების ფილოსოფიურ კონტექსტში.

„დათას“ სახით ავტორმა გამიზნულად შექმნა a la these; დათა თუთაშხიას თავისი უწმინდესი ფანატიზმით თავიდან უშიშარისა და უვნებელის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ ამასთან მას ადამიანური სისუსტეებიც გააჩნია. რაც მთავარია, იგი განიცდის კონკრეტულ შინაგან განვითარებას. მის დაჟინებულ, ამაღლებულ იდეას ეძებოს სიმართლე, ჩაუნერგოს ადამიანებს სიკეთე მიჰყავს „ნორმალურ“ ადამიანებთან კონფლიქტამდე და მნიშვნელოვან განხეთქილებამდე. დათას იმედი გაუცრუვდა ადამიანებზე, რომლებსაც მისი არ ესმით, დაკარგა ცხოვრების რწმენა, ეჭვი შეეპარა თავისი იდეალების სიმართლეში და, მსგავსად წარმართულ ღმერთ თუთაშხასი, განუდგა ხალხს: „არ ვიცი კეთილს

ვიქმ თუ ბოროტს, უმჯობესია მკლავები დავიკრიფო და ჩემი ძალა უმოქმედოდ დავტოვო“.

დათა თანდათან ხვდება, რომ სიკეთე უნდა დაიცვა ძალით, მაგრამ მას ამის უნარი არ აქვს; რადგან სიმართლის წყურვილი და კეთილშობილება მასში მეტისმეტად იდეალური და შეუიარაღებელია. სხვა სამყაროდან მოსულს არ შეუძლია შეეწინააღმდეგოს ამ სამყაროს თამაშის წესებს. მთვარის ძის ამბავი არ შეიძლება დამთავრდეს ტრაგედიის გარეშე. მართალია, დათა არ ემორჩილება ათასგვარ ხრიკებსა და პოლიციის დევნას, არც საკუთარ შეცდომებსა და ცთომილებებს, მხოლოდ ფიზიკურად წყვეტს არსებობას და არავითარ შემთხვევაში არ განიცდის მორალურ კრახს.

ნაწარმოებს ძალიან გავამარტივებთ მთავარი სახე მარტო დათაში რომ დავინახოთ. მუშნი ზარანდია, დათას ბიძაშვილი, გარეგნულად მისი მსგავსი და ამავე დროს, მასთან ყველგან, პირდაპირ თუ სიმბოლურად ოპოზიციაში იმყოფება, მიუხედავად იმისა, რომ ორივენი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ბავშვობის წლების ურღვევი კავშირით. ასე იქმნება ნაწარმოების მითოლოგიურსა და სიმბოლურ სიბრტყეზე სატანისა ან მეფისტოს როლის საფუძველი. დათა და მუშნი ერთ ოჯახში გაიზარდნენ, ერთნაირად ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა პოლარობით. ამიტომაც დათა მთებში გარბის, მუშნი კი შედის პოლიციის სამსახურში, იკეთებს თავბრუდამხვევ კარიერას და იმავე წუთიდან თავგამეტებული მტერი ხდება თუთაშხიასი. დათა ემოციური სიკეთის მატარებელია, მუშნი — უფრო რაციონალური ბოროტებისა. ბუნებრივია, მუშნის სახე სატანის სქემატურ სახეში არ არის მოქცეული — არამედ არის როგორც მეტოქე მთვარის ძისა. დათას ტოტალური სიყვარული მიმართულია ადამიანებისაკენ, რომლებიც მუშნისათვის მხოლოდ პაიკებია საჭადრაკო დაფაზე. როდესაც მთვარის ძის სხეული ტალღებში შთაინთქმება, მუშნი სადღაც შორს კვდება მელანქოლიით. ბოროტებას არ შეუძლია არსებობა სიკეთის გარეშე, ამიტომაც მუშნი აღმოჩნდება თავისი ყოფიერების საფუძვლის გარეშე. ცხოვრებაში მოქმედება მისთვის აზრს კარგავს. დათასა და მუშნის სახით ავტორმა შექმნა განსაკუთრებული ორსახოვნება. თითქოს ერთმანეთს დააშორა ერთი მონეტის ორი მხარე და საფუძვლიანად შეადარა ისინი ერთმანეთს. რას აქვს მეტი წონა: სიკეთეს, რომელიც წარმოდგენილი სიდიადის მიუხედავად უმეტეს შემთხვევაში დაუცველია, როგორც მოსაფერებლად გაწვდილი ხელისგული, თუ ბოროტებას, რომელსაც ახასიათებს მკაცრი ორგანიზებულობა და სიმტკიცე, როგორც მუშტად შეკრულ ხელს? დათა თუთაშხია და მისი მეტოქე მუშნი ზარანდია, როგორც მწერლის ორი საწინააღმდეგო ფილოსოფიური კატეგორიის — სიკეთისა და ბოროტების მხატვრული კონკრეტიზაცია, მოცემული აზრობრივი კონსტრუქციის არა მარტო წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე იმ ძალების სიმბოლოები არიან, რომლებიც ყოველი პიროვნების სულში აღწევენ და აქვთ ადამიანში მუდმივი ბრძოლა.

ყველა „ეპიზოდში“ მოთხრობილი ამბავი მთვარის ძის უანგარო უკეთილშობილეს წარუშლელ კვალთან გვახვედრებს. მეგრელი აბრაგის დათა თუთაშხიას ამბავი უკავშირდება მითიურ ღმერთ თუთაშხას, ყველაზე დიდ წარმართულ ღმერთს მეგრული მითოლოგიის პანთეონში. თუთაშხა ნიშნავს მთვარის დღეს და აქედან წარმოებული დათას გვარი მიეცა სათაურად ჩეხურ თარგმანს. თუთაშხა, როგორც ნამდვილი მითოსი „არა იყო იგი სულდგმული და ძე ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგოვანი მათი უპირველესი...“ დათა არის მისი სიმბოლური „გაგრძელება“, როგორც მისი ძე მიწაზე გადმოსული. ავტორი არსად არ ახშობს გმირის ასეთ გაგებას. როცა დათა იღუპება, მის სხეულს ვერსად ვერ პოულობენ, თითქოს არც არსებობდა არასდროს. იყო მითი და იქცა მითად. რომანის ტექსტში დათას პირდაპირ არასდროს არ ვხვდებით. მის საქმეებზე და მოქმედებაზე ყოველთვის ვიღაც ყვება შემდეგ. დათას კონკრეტული სახე ამგვარ სიმბოლურობას იძენს ისტორიისა და თანამედროვეობის გადაკვეთის წერტილში.

კონკრეტული ამბის შემოტანა ზოგადი დროისა და სივრცის დამოკიდებულებაში — განაგრძობს კრიტიკოსი,—მითოლოგიური ელემენტების დახმარებით არ არის ახალი მსოფლიო ლიტერატურაში. ლაპარაკობენ აზროვნების სახეობაზე მითის კატეგორიებში, როგორც მაგალითად „არაჩვეულებრივის რეალური სამყარო“ ლათინური ამერიკის თანამედროვე რომანში ან თანამედროვე მითი გამოყენებულია, როგორც შესაძლებელი ელემენტი, რათა ტექსტს შესძინოს ახალი სტრუქტურა, ორივე მეთოდი დამახასიათებელია 70-იანი წლების თანამედროვე რომანისათვის მისი აშკარა ტენდენციით, სწრაფვით გაძლიერებული ეპიკურობისაკენ. უკანასკნელ დროს ახალ საბჭოთა პროზაშიც გამოჩნდა ნაწარმოებები, რომლებიც შეიძლება ვაღიაროთ როგორც ე. წ. სინთეტური რომანი. ზემოაღნიშნული პირველი მეთოდი თავის პროზაში გამოიყენა სხვა ქართველმა მწერალმა ო. ჭილაძემ თავის რომანებში: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ (1973) და „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ (1978). მითის გამოყენება როგორც აუცილებელი აზრობრივი მოდელის თალისა, დამახასიათებელია ჩინგიზ აითმატოვის რომანებისათვისაც („ჭრელი ძაღ-

ლი ზღვის ნაპირას“ 1978 და „სადგური ბოურუნა“), ასევე ამირეჯიბის „დათა თუთაშხიასათვის“. სწორია აითმატოვის სიტყვები, რომელიც შეეხება ლათინური ამერიკის თანამედროვე პროზას და ზუსტად ახასიათებს დღევანდელი რომანის ტენდენციასაც: „ლათინური ამერიკის პროზა წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტების, მხატვრული ტრადიციებისა და მეთოდების შერწყმის მნიშვნელოვან მაგალითს... მასში არის მითოსი და რეალობა, ფაქტები და ფანტაზია, სოციალური ასპექტები და ფილოსოფიური, პოლიტიკური და პოეტური პრინციპები...“

აითმატოვის დახასიათება პირდაპირ მის პროზაზეც ვრცელდება და შეიძლება ეხებოდეს თანამედროვე ქართული რომანის ერთ-ერთ ნათელ და თავისებურ ტენდენციასაც. მოყვანილი ტექსტი არის ნაწყვეტი დისკუსიიდან რეალიზმის შესაძლებლობებსა და საზღვრების შესახებ, რაც წამოიჭრა საბჭოთა კავშირში აითმატოვის „ჭრელი ძაღლის...“ ო. ჭილაძის პირველი რომანისა და ჭ. ამირეჯიბის „დათას“ გამოსვლასთან დაკავშირებით. დისკუსიაში დაიბადა ახალი ტერმინი — მითიური რეალიზმი. ეს არის მხოლოდ ვარიაცია უკვე ცნობილი ცნებებისა, როგორიცაა მაგიური რეალიზმი, არაჩვეულებრივის რეალური სამყარო, სინთეტური პროზა, რომელიც მეტ-ნაკლები დასაბუთებით გამოიგონეს საზღვარგარეთის ლიტერატურულ კრიტიკასა და სპეციალურ სტატიებში და დაკავშირებულია 60-70-იანი წლების ლათინური ამერიკის პროზასთან.

ქართული პროზის შედარება-მიმსგავსება „მთელი კაცობრიობის თანამედროვეებთან“ (მექსიკელი პოეტის ოქტავიო პაზის გამოთქმით) მექანიკური და ნაძალადევი იქნებოდა. ქართული პროზა ამოიზარდა თავის ეროვნულ და ლიტერატურულ ტრადიციებზე. ისტორიული რომანის სხვადასხვა მოდიფიცირებულ ჟანრს ყოველთვის დიდი საყრდენი ჰქონდა მასში, ისევე, როგორც ჰქონდა სწრაფვა ფილოსოფიური განზოგადოებისაკენ.

ჭ. ამირეჯიბი ხშირად სვამს კითხვას, რომელიც ეხება ეროვნების ადგილს კაცობრიობის ისტორიაში, ეძებს საზღვრებს, რომელიც გადამწყვეტია ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებისათვის და ამ ურთიერთკავშირში ადგენს დამონებულისა და დამმონებლის ფსიქოლოგიის პრობლემატიკას. თანამედროვე რეალისტურ პროზაში რასაკვირველია გვხვდება ერთობლივი ელემენტები, მაგალითად, ცნობიერების და მიზნის ექსპერიმენტის სიბრტყეზე, აზრობრივი სტრუქტურის სფეროში, ტექსტის კომპოზიციასა და აგებულებაზე, რადგანაც მთელ მსოფლიოში რომანისათვის „დადგა ეპოსის ხანა“.

ხშირად ჟანრს, რომელსაც ბევრჯერ გამოუყენებია ყალბი, რომანისათვის არადამახასიათებელი ელემენტები, უბრუნდება ის, რაც მას რომანად აქცევს — ეპიურობა. ამას ადასტურებს გაბრიელ გარსია მარკესის სიტყვები, რომელმაც კითხვაზე, როგორი უნდა იყოს იდეალური რომანი, უპასუხა: „თავისუფალი, რომელიც უბრალოდ თავისუფლად იარსებებს და აგალელვებს არა მარტო თავისი პოლიტიკური და სოციალური შინაარსით, არამედ ასევე რეალობაში ჩაწვდომის ძალით, რომელიც შეძლებს რეალობა უკუღმა გადმოატრიალოს და გვიჩვენოს როგორია მისი მეორე მხარე“.

ამირეჯიბმა შესძლო თავისი ჩანაფიქრის ადექვატური მხატვრული ფორმის მისაცემად შეერჩია თხრობის რთულხაზობრივი ხერხი. მან ძნელი გზით გაბედა წასვლა: გააერთმთლიანა ცალკეული შემთხვევები, დამოუკიდებელი მოთხრობები და ნოველები, რომლებიც ორგანულად განმტკიცებულია მითიური ამბის ჩარჩოთი და ქმნის ნაწარმოების თავისებურ, განსაკუთრებულ არქიტექტონიკას. ავტორი ჯერ კიდევ პირველ თავში წარსდგება მკითხველის წინაშე, შემდეგ კი მთავარი მთხრობელის სადავეს გადასცემს კავკასიის ჟანდარმერიის უფროსს გრაფ სეგედის, ლიბერალურ და ჭკვიან კაცს, მისი შენიშვნებიდან, ჩაწერილი საუბრებიდან და შეგროვილი დოკუმენტებიდან შეიქმნა რომანის ჩონჩხი. ნაწარმოების სიუჟეტური საძირკველი შეივსო ცალკეული გმირების მონაყოლით. თითოეული მოთხრობა და ნოველა გარკვეულ მომენტამდე დამოუკიდებელია, თუმცა ამასთან თავისუფლად უკავშირდება წინას და ჩართულია რომანის სიუჟეტში. თითოეული შემთხვევა არის, როგორც კენჭის წახნაგი მოზაიკაში და აღიქმება დამოუკიდებლად. ამრიგად იქმნება გააზრებული პოლიფონიური სტრუქტურა.

ყველა ამ სირთულესა და გამომგონებლობასთან ერთად ნაწარმოები მიმზიდველი საკითხავია. ამიტომაც დაიმსახურა არაჩვეულებრივი ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლე. ამაშიც მდგომარეობს საიდუმლოება მისი თავბრუდამხვევი წარმატებისა მკითხველთა ფართო ფენებში.

ამ ბოლო წლებში ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობები და მთარგმნელები დაინტერესდნენ კიდევ ერთი ქართველი მწერლით ჯ. ქარჩხაძით. ჯ. ქარჩხაძემ ჩვენთან უკვე დაიმკვიდრა საინტერესო და სერიოზული პროზაიკოსის სახელი.

პრაღის გამომცემლობა „ვიშეჰრადმა“ 1988 წ. მკითხველს წარმოუდგინა ჯ. ქარჩხაძის რომანი „მდგმური“, ხოლო რამდენიმე თვით უფრო ადრე ჟურნალ „სვეტოვა ლიტერატურაში“ დაიბეჭდა მწერლის „მეთერთმეტე მცნება“. ამ რამდენიმე ხნის წინ ჯ. ქარჩხაძის რომანზე გაზეთში „ზემლედელსკე ნოვინი“ გამო-

ქვეყნდა კრიტიკოს ელ. ნოვოტნის რეცენზია. იგი წერს:

„ორივე ნაწარმოებიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს არაჩვეულებრივად ნიჭიერ შემოქმედთან, რომელსაც აქვს თავისებური ხედვა და დამოუკიდებლობა ჩვენი სამყაროს ე. წ. აშკარა და ფარულ მხარეებზე.

პარადოქსულია ავტორის მიერ სინამდვილის თხრობა. ეს პატარა მოცულობის რომანი, რომელიც ვ. ჩერნიმ თარგმნა — პოეტურად აღწერს ცხოვრების ფარული, ანუ უარყოფითი მხარის საკმაოდ დიდ ნაწილს. იგი ზურგშექცეულია ყოველდღიურობისგან, თუმცა იღებს მნიშვნელოვან ნიშნებს გარე სინამდვილიდან და მთლიანობაში წარმოგვიდგება ადამიანის სულიერი და აზრობრივი პროცესების შენიღბულ სარკედ. ამავე დროს იგი სრულებითაც არ არის გართულებული ფსიქოლოგიური ნაწარმოები, პირიქით თავიდან ბოლომდე რომანტიკულ კომედიას გავს. ავტორი გვიჩვენებს გმირის გაორებას, სადაც მთავარი უთანხმოება მდგომარეობს მის ოცნებებსა და სინამდვილეს შორის. გმირი თავისივე წარმოსახულ სამყაროში ცხოვრობს, ტანჯვით, ოცნებებითა და პერსპექტივებით, რაც მას სინამდვილეში გააჩნია.

ცხოვრების მიზნების გაორებას ახალგაზრდა კაცი მთელ რიგ უბედურებამდე მიყავს. იგი ისჯება იმისათვის, რომ შექმნა თავისი ორეული.

გმირმა სამოთხის დღეებით იცხოვრა: აისრულა თავისი ერთი ქვეცნობიერი ოცნება, მაგრამ ამან ვერ მოუტანა მას ბედნიერება. მის სულში იჭრება სინათლე და იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრება ეკუთვნის მას, ვინც სიხარბეს ერევა.

ჯემალ ქარჩხაძის თხრობა ბოლოს გადადის განცხადებაში, რომ ყოველი ადამიანი არის თავისი წინაპრის წვეთი, და ეს წვეთი ისეთი უნდა იყოს რომ ჩანდეს. ამ ლირიკულ-პროზაულ კომედიაში, ფილოსოფიური უკანა პლანით, ჩათრეული ვართ ოცნებებსა და ფანტაზიების მორევში, რომელშიც გამუდმებით გამოიკვეთება გონება, ეს მოუცილებელი ტვირთი — ის, რაც ცხოვრების აშკარა და ფარულ კარებს დაუნდობლად აღებს.

ჩეხურიდან თარგმნა

**გიული ლეჟავამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კახა ჯამბურია

# „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის"

იოანე ბაგრატიონის „კალმასობის" ტექსტზე მუშაობის დროს მკლევარი გვერდს ვერ აუვლის ერთ პრინციპულ საკითხს, რომელსაც ამ ძეგლის კვლევისას მეთოდოლოგიური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ეს არის რეალურად არსებული იონა ხელაშვილისა და „კალმასობის" მთავარი გმირის ბერი იოანე ხელაშვილის იდენტიფიკაციის საკითხი.

ეს პრობლემა იონა ხელაშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით საგულდაგულოდ შეისწავლა ნ. მახათაძემ და უძღვნა სპეციალური გამოკვლევა — „იოანე ბატონიშვილისა და იონა ხელაშვილის ლიტერატურული ურთიერთობისთვის". აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გვეხმარება, გავარკვიოთ, ეს თხზულება დოკუმენტურ პროზას უნდა მივაკუთვნოთ თუ რომანის ჟანრს. ფაქტიურად, ასეთი კვლევის შედეგი გვაძლევს საფუძველს ნაწარმოების ჟანრის გასარკვევად, რასაც უთუოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ძეგლის შესწავლის დროს.

ნ. მახათაძე თავის სტატიაში აჩვენებს, რომ იოანე ბერისა და ისტორიულად არსებული იონა ხელაშვილის შეხედულებები რუსთაველის მნიშვნელობაზე, ზ. საავაძის ღვაწლის შეფასებაზე, სოციალურ საკითხებზე ერთნაირია. შემდეგ კი მკვლევარი ასკვნის: „როგორც ჩვენ მიერ განხილული ეპისტოლარული მასალა გვიჩვენებს, იოანე ბატონიშვილი სპეციალურად კრებს ცნობებს ი. ხელაშვილის ბიოგრაფიიდან და სპეციალურად ეცნობა მის შეხედულებებს ცალკეულ სხვადასხვა საკითხზე... წლების მანძილზე არსებული ურთიერთობა ავტორს საშუალებას აძლევს ი. ხელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მასალა მაქსიმალურად გამოიყენოს თავის მიზნისათვის".

მაგრამ იმავე საკითხებზე მსჯელობის დროს სხვაგვარ დასკვნამდე მიდიან გ. დედაბრიშვილი თავის ნაშრომში — „იოანე ბაგრატიონის „კალმასობის" ფილოსოფიური ნაწილის გამოკვლევა და ლექსიკონი" და ა. ფრანგიშვილი წიგნში — „ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში". მათი აზრით, რეალური ი. ხელაშვილი და „კალმასობის" გმირი სხვადასხვაა.

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშე ორგვარი პოზიციაა: ნ. მახათაძე, ერთგვარი შეუსაბამობის მიუხედავად, ფიქრობს, რომ „კალმასობის" ავტორი ძირითადად დოკუმენტური პროზისთვის დამახასიათებელი სიზუსტით გადმოგვცემს იონა ხელაშვილის მეცნიერულ შეხედულებებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, თუმც ცალკეულ შემთხვევებში ღალატობს ამ პრინციპს; ხოლო დედაბრიშვილისა და ა. ფრანგიშვილის აზრით, „კალმასობის" მთავარი გმირისა და რეალური ხელაშვილის გაიგივება არ შეიძლება.

იმის მიხედვით, თუ რომელს ავირჩევთ ამოსავალ დებულებად, ძეგლის წაკითხვის ორგვარი შესაძლებლობა არსებობს. უნდა გაირკვეს, თუ რომელი მათგანია პრინციპულად მისაღები.

იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოების მთავარ გმირს ი. ხელაშვილის ზუსტ ასლად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ იოანე ბაგრატიონმა მხოლოდ და მხოლოდ თავი მოუყარა ხელაშვილის სამეცნიერო შრომებს (რომლებიც მოცულობით ტომებს შეადგენს), დეტალურად შეისწავლა მისი ბიოგრაფია და შემდეგ მისი ყოველდღიური, ცხოვრებისეული ეპიზოდების გადმოცემისას აქა-იქ მექანიკურად გააბნია ი. ხელაშვილის მეცნიერული ნააზრევი.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება არცთუ ისე დამაჯერებლად ჟღერს, იგი, რაც მთავარია, ვერ მოიცავს ტექსტის მთელ თავისებურებებს — ვერ ხსნის ნაწარმოების თავისებურ სტრუქტურას — რატომ არ „დაალ-

ეროვნული

აგა“ ავტორმა მეცნიერული ინფორმაცია თუნდაც ენციკლოპედიური პრინციპის მიხედვით და რატომ „გააბნია“ იგი იოანე ბერისა და ლამბარაშვილის ფათერაკებიან თავგადასავლებს შორის. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება აგრეთვე ისიც, რომ ეს ძეგლი ძალზე საინტერესო ანალოგიებს პოულობს ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში (განსაკუთრებით კი განმანათლებლურ პროზასთან მიმართებაში). ვერ მოიცავს ეს მოსაზრება იმ ლიტერატურულ პარალელებსაც, რომლისკენაც გვიბიძგებს ტიპოლოგიური კვლევის აუცილებლობა. და ბოლოს, თუ „კალმასობა“ დოკუმენტურ პროზად ან სულაც მეცნიერულ ნაშრომად ჩაითვლება, თვალსა და ხელს შუა გაქრება ამ ძეგლის თვალსაჩინო მხატვრული ღირსებები.

ძეგლის მხატვრულ ღირსებებზე საუბარი კი გარდუვლად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ეს მოსაზრება, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, გამოუსადეგრად უნდა ჩაითვალოს და უკუგდებულ იქნეს.

რჩება შესაძლებლობა, ამოსავალ დებულებად მივიღოთ მხატვრული ლიტერატურისათვის ესოდენ დამახასიათებელი და ჩვეული სქემა: პროტოტიპი—ლიტერატურული ხასიათი.

მართლაც, რამდენადაც დაუჯერებლად ჟღერს ის თვალსაზრისი, რომ ავტორმა ქიზიყელი ბერის ბიოგრაფიული დეტალების გადმოცემას მიჰყო ხელი და ესოდენ დაწვრილებით გადმოგვცა ცალკეული ყოფითი სცენები იმ მიზნით, რომ იმავე პირის სამეცნიერო მოღვაწეობა მიეწოდებინა მკითხველისთვის, იმდენად მისაღები და სარწმუნო ჩანს მკითხველის პირველივე შთაბეჭდილება — რომ საქმე გვაქვს მწერლის ფანტაზიასთან, მხატვრულ ნაწარმოებთან, ხოლო მეცნიერული ინფორმაციები სხვა არაფერია, თუ არა ავტორის დიდი განათლებისა და ერუდიციის ნაყოფი.

დასაშვებია, რომ ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდები წარმოადგენენ მეცნიერული ნაშრომების ისეთივე ჩარჩოს, როგორც სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე-სიცრუისა“ მემკვიდრის აღზრდის ამბავი წარმოადგენს მრავალრიცხოვანი იგავ-არაკების ჩარჩოს; მაშასადამე, შესაძლებელია, ტექსტი მივიღოთ მხატვრულ ნაწარმოებად. ამ მხატვრული ნაწარმოების მთავარ გმირს ჰყავს თავისი პროტოტიპი, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა მას (არსებობს აზრი, რომ თავისი პროტოტიპი ჰყავს ნაწარმოების მეორე მთავარ გმირსაც — ზურაბ ლამბარაშვილს — ვინმე გორელი გლეხის სახით, მაგრამ სრული დამთხვევა არც აქ არის).

აქ აღარ შევეხებით იმას, თუ რამდენი რამ აქვს საერთო „კალმასობას“ იმ პერიოდის ევროპულ თუ რუსულ რომანებთან და რამდენად შეესაბამება იგი XVIII ს-ში ახალი ტიპის ჩამოყალიბების ბახტინისეულ ფორმულირებას. „კალმასობის“ რომანის ჟანრისთვის მიკუთვნება ხელს უწყობს ყველა ლიტერატურული პარალელი ტიპოლოგიური კვლევის დროს, ძეგლის სათაური, ტექსტის ადაპტირების წესი სხვადასხვა გამოცემებში და თხზულების შეფასება XIX ს-ის II ნახევარში — ე. ი. პირველი მკითხველების მიერ.

ამჯერად ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რამდენად ორგანულია მხატვრული ნაწარმოებისთვის, კერძოდ, რომანისთვის ის უზარმაზარი მოცულობის მეცნიერული ინფორმაცია, რომელიც უხვად არის შეტანილი ძეგლში და მის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს.

პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ, როდესაც ამ თხზულებას რომანს ვუწოდებთ, საქმე გვაქვს გარკვეულ პირობითობასთან. ეს ნაწარმოები მხოლოდ ერთგვარი ჩანასახი, პირველი სახეა ქართული რომანისა და არა ჩამოყალიბებული რომანი ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თუნდაც მკრთალად, მაგრამ ამ ნაწარმოებს კლასიკური რომანის ყველა დამახასიათებელი ნიშანი მოეპოვება. მხედველობაში გვაქვს ჩამოყალიბებული ლიტერატურული ხასიათები (რომლებიც ჩვენს თვალწინ იხვეწებიან და ვითარდებიან), ერთი საერთო ფაბულა, დახვეწილი სიუჟეტი და ნათლად გამოკვეთილი თემა და იდეა.

არა ერთი ქართველი მკვლევარი ეხება „კალმასობის“ ფაბულასა და თემას. გ. ქიქოძე წერილში „იოანე ბატონიშვილი“ გადმოსცემს „კალმასობის“ სხვადასხვა ეპიზოდებს და ურთავს ძალზე მნიშვნელოვან კომენტარს: „კალმასობაში მრავლად მოიპოვება ასეთი მკვეთრი სურათი, რომელიც ახასიათებს მიმავალი ფეოდალური საქართველოს ზნეობრივ კრიზისს“. „ფეოდალური საქართველოს ზნეობრივი კრიზისი“ — ეს ძალზე მყარი საფუძველია „კალმასობის“ თემის განსაზღვრისათვის. ეს არის ნაწარმოები საქართველოს ფეოდალური მონარქიის ნგრევის შესახებ, დანახული თვით ამ მონარქიის ერთ-ერთი უკანასკნელი შთამომავლის თვალით.

ამ საოცრად სავალალო მდგომარეობას კი მთელ ქვეყანაში თითქოს ვერავინ ხედავს. ვერავინ ხედავს გარდა დაუცხრომელი, მოუსვენარი იოანე ხელაშვილისა: „გულისტკივილით დახეტიალობს ეს ბერი თავის ქვეყანაში და ყველგან უნუგეშო სურათსა ხედავს, ხსნა არსაიდან არა ჩანს; ყველგან სიბინძურე, აზიური პატრიარქალობა, ხოლო მაღალ წრეებში განუსაზღვრელი ანგარება მეფობს. ღრმა სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის, შინაგანი დაქსაქსულობის შედეგად კვდება ძველი საქართველო და ახლის შესახვედრად არავინ ემზადება. ამასა სწუხს ეს მოხეტიალე სქოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტიკოსი, დადის და მოსთქვამს, ხან ტირის და ხან ლოცულობს, მაღალ მატერიებზე ფიქრობს და ოცნებობს, და ჯილდოდ პანღურსა და მუჯლუგუნს, ან ზურაბას დაცინვას ღებულობს, რომელსაც იოანეს ლოღიკის კატეგორიებს მუდამ გემრიელი და მაძღარი ვახშამი ურჩევნია“ (გ. ნატროშვილი).

აი, სწორედ აქ ჩანს უმნიშვნელოვანესი დეტალები ნაწარმოების სწორად გასააზრებლად — უმწეო, კეთილი და უაღრესად განათლებული ჰუმანისტი ბერი ადამიანური მანკიერებებისაგან შემდგარი უზარმაზარი ბოროტების წინაშე.

„...იოანე ხელაშვილი მთავარი გმირია კალმასობისა, — წერს პროფ. გ. ჯავახიშვილი ლითოგრაფიული წესით გამოცემული „კალმასობის“ წინასიტყვაობაში — მაინც მას აწევს ვალი ყველას მხილებისა, ან ქების; იგი ეძებს სიმართლეს, ჭეშმარიტებას და იბრძვის მის დასამყარებლად ამ ქვეყნად“. მოკალმასე ბერის იარაღი ადამიანის უმეცრებასა და გახრწნილებასთან ბრძოლაში საკუთარი მაღალზნეობრივი სახე, სიკეთე და ყოვლისმცოდნეობაა. ყოველივე ამ კეთილ საწყისს უხეშად ფეხქვეშ თელავს ადამიანთა მანკიერი მხარეებიდან ერთ საშინელ ძალად შეკრული ბოროტება.

ერთ-ერთი მოგზაურობის დროს იოანე და ზურაბა სარდალ გიორგი ციციშვილს ეახლებიან. ბერთან ლაპარაკისას მჟღავნდება ციციშვილის ამპარტავანი და მოღალატე ბუნება, რასაც პირშიმთქმელი ბერის მხილება მოსდევს. როგორც არაერთხელ მომხდარა, იოანეს პრინციპულობა მისი ცემითა და სოფლიდან გაგდებით მთავრდება. ზურაბა ეუბნება მას: „ბერო, რომ არავინ ერჩის შენ სწავლასა და ყოველგან შეურაცხგყვეს, რატომ არ დასდგები შენს ქერქში? აბა, რა შეიმატე შენის მოძღვრებითა? ვახშამი დაჰკარგე, ძილი და საჩუქარი და ახლა არც კი ვიცით, საით მივალთ, ვაი თუ მგლებმანც შეგვჭამონ“. იოანე კი ამაყად უპასუხებს: „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი“. სხვა ადგილას კი გაუტეხელი ბერი ასე აფასებს თავის მორიგ დამარცხებას: „მიხარის მაგისთვის, ვინაიდან ვმონაწილეობთ ნეტარებითა, ვითარცა ბრძანებს უფალი: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“. იოანე ხელაშვილის ამ სიტყვებში უნდა ვეძებოთ საყრდენი თხზულების თემისა და იდეის კვლევისას.

აქ თითქოს ძალაუნებურად წამოჰყოფს თავს თავისუფლებისმოყვარე ფლანდრიელი გმირის ტილ ოილენშპიგელის და მისი სასაცილო მხლებლის ლამე გუძაკის ასოციაცია. სხვადასხვა ქართველ მკვლევარებსაც აღუნიშნავთ გაკვრით შესაძლებელი ლიტერატურული პარალელების არსებობა სერვანტესისა და ბაგრატიონის გმირებს შორის (გ. ჯავახიშვილი, გ. ნატროშვილი, დ. ლაშქარაძე). მართლაც ძალზე ხელშესახებია ამ მწერლებს შორის თანხვედრა, რომელიც ჯერ კიდევ ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგაში იჩენს თავს. სამივე მწერალი დამოუკიდებელი ამბის შემცველ ცალკეულ ეპიზოდებს აერთიანებს ერთი და იმავე ლიტერატურული გმირებით (ვუწოდოთ პირობითად „მოხეტიალე წყვილი“), მათ მიერ დაკავებული ერთი და იგივე პოზიციითა და საერთო იდეით.

დონ კიხოტ ლამანჩელის უძლურებაც და სიდიადეც რეალური ცხოვრების მიუღებლობაა. მისთვის წაშლილია საზღვრები ფანტაზიასა და ხილულ სამყაროს შორის და ეს თვისება საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული იოანე ბერის ხასიათშიც. როგორც გ. ნატროშვილი შენიშნავს, იგი სწორედ იმიტომ ვარდება ლამანჩელი რაინდის მდგომარეობაში, რომ „მის მეცნიერებას აკლია ცხოვრებასთან კავშირი, ის ცდიდან, პრაქტიკიდან არ იწყება, ის თითქმის ყოველთვის რჩება ხმად — მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. იოანეს არ ყოფნის ძალა და არც პირობებია ამისათვის — შეაფარდოს გრძნობა გონებასთან, რწმენა — მეცნიერებასთან. რა მიზანი აქვს მას, რისთვის უქადაგებს ამ აოხრებულ და ჩამობნელებულ ქართლ-კახეთს სქოლასტიკური ფილოსოფიისა და ლოღიკის აბსტრაქტულ თეზისებს, ვის უნდა ისინი ტირიფონაზე და ქიზიყში?!“ მართლაც, სად მიუწვდებათ ხელი მეცნიერების იმდროინდელ მიღწევებზე ამ უბირ გლეხებს, რომლებსაც პირუტყვებივით ჰყიდიან.

„კალმასობაში“ სარკესავით ჩანს ორი ქვეყანა: ერთია ბანაკი კეთილშობილი ვაჟკაცებისა, გულმხურვალე პატრიოტებისა, ალალმართალი და ძლიერი ხალხისა, ხოლო მეორე მხრივ, მწერალმა გვიჩვენა ხროვა ფიცის გამტეხების, ანგარებით სავსე თავადების და გაიძვერა სასულიერო პირებისა“ (გ. ნატროშვილი).

მაგრამ ჭკვიანისა და სულელის დაპირისპირება ნაწარმოებში, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ნიშნავს კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებას. უპრინციპო და ჭკუამხიარული გლეხი ლამბარაშვილი თავისი არსით კეთილია. იგი გრძნობს ბერის განსაკუთრებულ დანიშნულებას და ყოველნაირად უვლის მას, ხოლო თუ დასცინის — ეს მხოლოდ უბოროტო ხუმრობაა. ზურაბა უაღრესად საინტერესო ლიტერატურული ხასიათია და მას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია იოანე ბერთან მიმართებაში — იგი თავისი ღორმუცელობით და გაუნათლებლობით თითქოს ხაზს უსვამს ხელაშვილის გონიერებასა და კეთილშობილებას.

თავისებურად და ორიგინალურად წყვეტს იოანე ბაგრატიონი ამ კეთილი გმირების ბედს. მოულოდნელობის ეფექტით შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე მუდამ ოხუნჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხიარული გლეხის — ზურაბას თვითმკვლელობა. ეს ეპიზოდი მხატვრულად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პასაჟია ნაწარმოებში. ამ დროს დაუღალავი სიბრძნის და სიკეთის ქადაგი ბერი უკვე მოტეხილი და მობერებული გვეჩვენება. მას თითქოს გამოელია ძალა, ებრძოლოს გარემომცველ სისასტიკესა და ძალადობას. თბილისში ჩამოსვლის მეორე დღეს ხელაშვილს ფარსადან ციციშვილი შეურაცხჰყოფს. საუბარი ჩხუბითა და საწყალი ბერის წვერის გლეჯით მთავრდება. იოანეს თითქოს აღარა აქვს წინააღმდეგობის გაწევის თავი — რომ ვუჩივლო, შეიძლება იქით დავზარალდეო, — გაიფიქრებს იგი, ჩაიქნევს ხელს და წავა თავის გზაზე. მილახვარ ჭილაძესთან საუბრის მერე იგი სახლში ბრუნდება, სადაც მოაკითხავს განუყრელი თანამგზავრი — ზურაბა ღამბარაშვილი და მკითხველი მათი საუბრიდან იგებს, რომ მასაც დაუკარგავს ცხოვრებისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი; ზურაბას აღარ ეხუმრება, ველარაფერს ხედავს სასაცილოს და მისი უკიდურესი გასაჭირი მოულოდნელად იოანე ბერის თვალწინ თვითმკვლელობით სრულდება. ავტორი აშკარად მიანიშნებს მკითხველს, რომ ეს არ არის მხოლოდ სოციალური ტრაგედია, ეს არ არის უბრალოდ გაჭირვებული გლეხის თვითმკვლელობა. ხელაშვილის მონოლოგი, რომელიც ამ ეპიზოდს მოსდევს, მიუთითებს, რომ ეს ფაქტი განზოგადებას მოითხოვს.

ზურაბას სიკვდილში ბერი ადანაშაულებს იმ უგუნურებასა და უმეცრებას, რომლებიც ყოველგვარი ანგარებისა და დაუნდობლობის სათავედ მიაჩნია. მთელ იმ ბოროტებას, რომელთაც ადამიანთა მანკიერებანი წარმოქმნიან და აქცევენ იმ სასტიკ ძალად, რომელიც შეუბრალებლად სრესს ამ ერთი შეხედვით ხუმარა და უდარდელ გლეხს. ეს თვით იოანეს დამარცხებაცაა. მას არც ძალა და არც არავითარი სურვილი არ შერჩენია ებრძოლოს გონებრივსა თუ მორალურ სილატაკეს. იგი ნაწარმოების ბოლოს დათრგუნვილი, გატეხილი და გაჭინჭყლებულია. მზად არის იდავოს ფულზე და უკვალოდ გამქრალა რაღაც განსაკუთრებული, მაღალი დანიშნულების იერი, ამაყად ნათქვამი სიტყვები „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის". ნაწარმოები მთავრდება ბერის მორიგი დამცირებით.

„კალმასობის" კეთილი გმირები მარცხდებიან, მათ თრგუნავს გარემომცველი ბოროტება, ინგრევა საქართველოს ფეოდალური მონარქია, ნადგურდება ადამიანური იდეალები.

იოანე ბაგრატიონი თავისი დროის ერთ-ერთი მოწინავე პიროვნება იყო. ჩვენ შეგვიძლია ძალზე ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მის ოცნებებსა და მიზნებზე, თუკი გავეცნობით ქართული სამართლის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კანონ-პროექტთა კრებულს „სჯულდებას", რომელიც 1799 წელს წარუდგინა მამამისს, გიორგი XII-ს, იოანე ბატონიშვილმა. როგორ ესახებოდა მას საქართველოს მომავალი? უნდა გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებლები თბილისში, გორში და თელავში. ამ სასწავლებლებში არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა სოციალურ მდგომარეობას, წოდებრივ განსხვავებას. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება კი ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველასთვის. უნდა გახსნილიყო ბიბლიოთეკები და მუზეუმები, უნდა დაარსებულიყო ორკვირიანი გაზეთი. უნდა შექმნილიყო უმაღლესი სათათბირო ორგანო, რომელშიც შევიდოდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები, კრედიტებითა და იჯარებით ყოველნაირად ხელი უნდა შეწყობოდა ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებას, სკოლებისა და სტამბების საქმეები უნდა დაქვემდებარებოდა გარკვეული თანამდებობის პირს — „განათლების მოხელეს". უნდა მონახულიყო რეალური საშუალებები ქვრივ-ობერთა და დავრდომილთა დასახმარებლად და სხვა მრავალი.

იოანე ბაგრატიონის პატრიოტულ შემართებას წინ გადაულახავი დაბრკოლება ელოდა. გარდაიცვალა გიორგი XII, საქართველო რუსეთს შეუერთდა, იოანეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ამას დაერთო ტრაგედია — რუსეთში გამოძახებულ ბატონიშვილებს სამუდამოდ აეკრძალათ სამშობლოში დაბრუნება. ეს იყო უკანასკნელი და ალბათ ყველაზე სასტიკი დარტყმა ძველი მებრძოლისთვის და დიდი პატრიოტისთვის. იოანეს ადიუტანტის, გაბრიელ რატიშვილის მიხედვით, იმდენად დიდი იყო ქართველი ბატონიშვილების სასოწარკვეთა, რომ ამ ბრძანების წამკითხავი ნიკოლაი კამენსკიც კი აატირა ქართველი მამულიშვილების უბედურებამ.

ამის შემდეგ თხუთმეტი წელი ფიქრობდა იოანე ბაგრატიონი საქართველოს დაღუპვის მიზეზებზე, თხუთმეტი წელი წერდა თავის „კალმასობას". გ. ჯავახიშვილის აზრით, ავტორი აღწერს საზოგადოების დაცემას, ზნეობრივი ნორმების რღვევას, რათა „უჩვენოს მკითხველს... აი, რატომ დაემხო საქართველო".

შეიძლება იფიქრონ, რომ „კალმასობის" წერის 15 წლის (1813-1828 წ. წ.) მანძილზე ავტორი ძირითადად მუშაობდა იმ სამეცნიერო ნაშრომების თარგმნასა და დამუშავებაზე, რომლებიც შეადგენენ ძეგლის უდიდეს ნაწილს. მაგრამ არსებობს ერთი ხელნაწერი (ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდი, №2158), რომლის პირველი ოთხი გვერდი შავია და შეიცავს ერთი ეპიზოდის გეგმას, მონახაზს. ეს დოკუმენტი ნათლად აჩვენებს
რომ იოანე ბატონიშვილი არ
ბას უთმობდა თხზულების მხატვრულ ქსოვილს,

ცალკეულ ეპიზოდებსა თუ ძეგლის მთლიან გამიზნულობას.

გ. ქიქოძე წერს: „თუ თავისი რეფორმების პროექტში იოანე ბატონიშვილმა გამოარკვია როგორ შეიძლებოდა, მისი აზრით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის განახლება და ქართველი ერის გამოყვანა პროგრესის გზაზე, „კალმასობაში“ მან დაგვანახა, რომ სრსვილი ღრღნიდა მთელს ეროვნულ სხეულს, რომ ყველაზე მეტად სწორედ მისი მთავარი ორგანოები, ესე იგი, გაბატონებული და მმართველი წრეები, იყვნენ დაავადებული“.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ უფრო თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ „კალმასობის“ სახით საქმე გვაქვს ერთ-ერთ პირველ ქართულ რომანთან, სადაც ჩანასახის სახით მოცემულია თანამედროვე ქართული რომანის თითქმის ყველა ნიშანთვისება. ვფიქრობთ, უმართებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული ძეგლის სამეცნიერო თხზულებად ან მხოლოდ და მხოლოდ ენციკლოპედიურ ნაშრომად გამოცხადება. სავსებით სამართლიანად შენიშნავს ივ. ლოლაშვილი: „მართალია, „კალმასობას“ საფუძვლად უდევს მრავალი ისტორიული ფაქტი და ლიტერატურული წყარო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მისი კომპოზიცია ავტორის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია და გამონაგონი ისეა შერწყმული ისტორიულ სინამდვილესთან, რომ ზოგჯერ მათი გამოყოფა ერთმანეთისგან ვერ ხერხდება“.

რამდენადაც გაუმართლებლად გვეჩვენება „კალმასობის“ მხატვრული ღირსებების უარყოფა და მეცნიერული ინფორმაციის სიუხვის გამო მისი მხოლოდ ენციკლოპედიად გამოცხადება, იმდენადვე მიუღებელი ჩანს მეორე უკიდურესობაც: გ. ჯავახიშვილი H — 2153 ხელნაწერში დაცული „კალმასობის“ ერთი ნაწილის გეგმის განხილვისას ასაბუთებს, რომ ენციკლოპედიური ცნობები შემდეგი დროის ჩანართია თავდაპირველად შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში. სხვაგან კი წერს: „კალმასობა“ შედარებით კარგ მხატვრულ ნაწარმოებად გვეჩვენება, თუ ჩამოვაცლით იმ მრავალ ზედმეტ დანართს, რომელიც აქა-იქ ჩამატებული აქვს მოთხრობილ ამბებს და დახასიათებებს, მეცნიერულ საუბართა სახით“.

რასაკვირველია, „კალმასობისთვის“ მეცნიერული ნაწილის მოშორება ისეთივე შეცდომაა, როგორც მისი მხატვრული ღირსებების უგულებელყოფა. „კალმასობა“ გააზრებული უნდა იქნეს, როგორც ერთი მთლიანი და საკმაოდ ოსტატურად შეკრული ნაწარმოები. მეცნიერული ინფორმაციების მოცილება აზიანებს ტექსტს არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იკარგება მისი მნიშვნელოვანი ფუნქცია (ცოდნის გავრცელება), არამედ მხატვრული მონახაზის, ნაწარმოების კომპოზიციის [illegible]აც. იმდროინდელი მეცნიერების საკმაოდ მაღალი დონე ძეგლში ისე უპირისპირდება ქართველთა ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოჩენილ უცოდინრობასა და უგუნურებას, როგორც კეთილი — ბოროტს, ჭკვიანი — სულელს და ა. შ. ამ ორი სამყაროს, ორი პოლარული საწყისის დაპირისპირება და შეჭიდება წარმოქმნის იოანე ბერისა და ლამბარაშვილის ხასიათებს, მათ ფათერაკებიან თავგადასავალსა და ტრაგი-კომიკურ სიტუაციებს. ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, ცოდნასა და უგუნურებას შორის არის ამ ძეგლის მთავარი საყრდენი წერტილი. მასზე არის აგებული ყოველგვარი კონფლიქტური სიტუაცია, ნაწარმოების ყოველი ეპიზოდი და სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც ნაწარმოებში გამოიყოფა ორი პლასტი: უხვი მეცნიერული ინფორმაცია და ადამიანთა უგუნურების ამსახველი ეპიზოდები.

თუ ეს მსჯელობა პრინციპულად მისაღებად ჩაითვლება და გაზიარებული იქნება, მაშინ აღარ უნდა იყოს საკამათო, რომ რეალურად არსებული იონა ხელაშვილი მხოლოდ პროტოტიპია რომანის მთავარი გმირისა. აშკარაა, რომ თხზულების მთავარ გმირსა და ამ ისტორიულ პირს შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე საერთო. შალვა ნუცუბიძე თავის „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ მეორე ტომში მიუთითებდა, რომ ხელაშვილი „გარკვეული მსოფლგაგების კაცია, საეკლესიო-დოგმატური განწყობისა და პროგრესული აზროვნებისადმი მტრულად განწყობილი“, რაც აშკარად ეწინააღმდეგება „კალმასობის“ გმირის ხასიათს. ის, რომ ნაწარმოებში იგი „პროგრესულ კაცადაა გამოყვანილი“, შ. ნუცუბიძეს აფიქრებინებს, რომ „კალმასობაში“ ი. ხელაშვილი ცოტაოდენად მაინც სახეშეცვლილად უნდა წარმომდგარიყო“. უდავოა, რომ ნაწარმოების მთავარი გმირი თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ, სამართლიან და ცოდნისმოყვარე ადამიანად გვევლინება. იგი თითქოს უმწეო სიკეთის განსახიერებაა, რომელსაც ადამიანთა უგუნურება და სიბოროტე თრგუნავს. „კალმასობის“ გმირი მისი თანამედროვე მეცნიერების მწვერვალებიდან ლაპარაკობს, იგი ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობის პოზიციებზე დგას მაშინ, როცა ამას ვერ ვიტყვით მის პროტოტიპზე. ა. ფრანგიშვილის აზრით, რეალურად არსებული ი. ხელაშვილი საკმაოდ რეაქციული, სქოლასტიკური შეხედულებების პიროვნება იყო. „ის მოაგონებს იოანე ბაგრატიონს, რომ ემპირისტულ-სენსუალისტური შეხედულებების გაზიარება და გავრცელება სიცოცხლის საპყრობ-

ილეში დამთავრებას ნიშნავს. როგორც ჩანს, ქართველ მოაზროვნეთა შეგნებას „ნატურალისტთა“ შეხედულებანი ისე ძლიერ ეუფლებოდა, რომ იონა ხელაშვილი იძულებული იყო ბრძოლის ამ გზებისთვის მიემართა... იონა ხელაშვილს უხარია კიდეც, რომ ამ მოწინავე ადამიანთა „პირნი დუმდებიან ღვთის მსახურისა მონარხისაგან და დილეგისა სატანჯულებთაგან... (იგი) მოწინავე ადამიანებს დასცინის...“ თუნდაც ა. ფრანგიშვილის შეფასება ცოტათი გადაჭარბებული იყოს, მაინც ნათლად ჩანს, რომ ამ ისტორიული პირისა და ნაწარმოების გმირის სრულ იდენტურობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მეცნიერული სიზუსტით შეიძლება დადგინდეს, რომ „კალმასობაში“ აღწერილი დიალოგების უდიდესი ნაწილი ისტორიულ სინამდვილეს არ წარმოადგენს. მასში გამოგონილი გაცილებით უფრო მეტია. ივ. ლოლაშვილი დასახელებულ ნაშრომში შენიშნავს, რომ იონა ხელაშვილისა და პეტერბურგის მიტროპოლიტ ამბროსი პოდოპედოვის დიალოგი სინამდვილეში არ უნდა შემდგარიყო. იქვე მკვლევარს მოჰყავს დ. კარიჭაშვილის აზრი, რომ ამბროსი მიტროპოლიტთან იონა ხელაშვილის „შეხვედრა და საუბარი იოანე ბატონიშვილის ფანტაზიის ნაყოფია, როგორც იმავე თხზულებაში იოანე ხელაშვილის სხვა პირებთან შეხვედრა და საუბარი...“ სავსებით სამართლიანია და მეთოდოლოგიურად ძალზე ზუსტი ა. ფრანგიშვილის განცხადება, რომ „იმის გასარკვევად, ავტორის შეხედულებაა თუ არა ის, რაც იონა ხელაშვილის თუ სხვა პირით არის „კალმასობაში“ თქმული, საჭიროა „კალმასობის“, როგორც მთლიანი ნაწარმოების მხედველობაში მიღება“. „განსაკუთრებული მნიშვნელობის ხასიათს ის კი არ იძენს, თუ რა არის წარმოდგენილი, არამედ ის, რა კონტექსტშია წარმოდგენილი“.

ასეთი მაგალითების დასახელება კვლავაც შეიძლება, მაგრამ ალბათ უკვე ისედაც ცხადია, რომ „კალმასობას“ დოკუმენტურ პროზასთან არაფერი აქვს საერთო. მით უფრო არ შეიძლება იგი ჩაითვალოს წმინდა მეცნიერულ თხზულებად. ყველაზე უფრო ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან ის აზრი, რომ „კალმასობა“ ერთ-ერთი პირველი ქართული რომანია (უფრო ზუსტად ქართული რომანის ერთ-ერთი პირველსახე). ამდენად, რეალურად არსებული იონა ხელაშვილისა და „კალმასობის“ იოანე ბერის იდენტიფიკაციის საკითხი უნდა მოიხსნას. უფრო მისაღები უნდა იყოს აზრი, რომ საქმე გვაქვს პროტოტიპთან და ლიტერატურულ ხასიათთან.

თუ ასეთი დასკვნა პრინციპულად მართებულია, მაშინ, რასაკვირველია, საინტერესოა ყურადღება მიექცეს იმას, თუ რატომ აირჩია „კალმასობის“ ავტორმა ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის პროტოტიპად ი. ხელაშვილი და როგორ გარდაიქმნა იგი მის წარმოსახვაში ზოგადსაკაცობრიო იდეალებისთვის მებრძოლ გმირად. ამ საკითხის გარკვევა სრული სიზუსტით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ მწერლის პოზიციის დანახვა მაინც შეიძლება.

ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა საქართველოს სხვადასხვა კუთხე და სხვადასხვა ხასიათისა თუ მრწამსის ადამიანები მათ ყოველდღიურ, ყოფით ცხოვრებაში, რათა გამოერკვია მონარქიული საქართველოს დაღუპვის მიზეზები. ამავე დროს, ქართველთა მორალური დაცემისა და უგუნურებისათვის მას უნდა დაეპირისპირებინა იმ დროის ევროპული თუ რუსული მეცნიერების მიღწევები, თან ყოველივე ეს აღბეჭდილი უნდა ყოფილიყო ერთი საერთო მსოფლმხედველობით, ერთი მაღალზნეობრივი და მტკიცე პოზიციიდან უნდა ყოფილიყო დანახული. ამიტომ ალბათ სავსებით გასაგებია, რომ მწერალმა ნაწარმოების მთავარი გმირის პროტოტიპად აირჩია პიროვნება, რომელსაც კარგად იცნობდა და იცოდა, რომ მას საკალმასოდ მოგზაურობა ხშირად უწევდა, რაც მისი სათქმელის გადმოსაცემად მეტად მოსახერხებელ ქარგას ქმნიდა თხზულებაში. ბერის სახელი რომ ნაწარმოებში შეცვლილი არ არის, ესეც სავსებით გასაგები ჩანს, რადგან ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება ახლოს იდგეს სინამდვილესთან, რაც შეიძლება გასაგები და მისაღები იყოს ნაწარმოები მისი თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის. ამდენად, მკვლევარი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს იმან, რომ „კალმასობის“ ყველა პერსონაჟი (შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო გამონაკლისი არსებობდეს) ისტორიული პირია — ზოგი კარგად ცნობილი ჩვენს ისტორიაში (მაგ: გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, იასე ფალავანდიშვილი), ზოგიერთის სახელი კი დღეს არაფერს გვეუბნება, მაგრამ ის დიალოგები და კონფლიქტები, რაც მათ შორის ხდება, რა თქმა. უნდა, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და ნაწარმოების თემის გაშლას ემსახურება. რეალური ადამიანების სახელები და ისტორიული ფაქტები კი (ვთქვათ, ომარ-ხანის დამარცხება) მწერალს იმისთვის ჭირდება, რომ მკითხველის ყურადღება არც ერთი წუთით არ მოსწყდეს რეალური საქართველოს რეალურ სვე-ბედს. ყოველი ეპიზოდი, ნებისმიერი დიალოგი და თხზულების თითოეული ნიუანსი ერთი — იოანე ბერის — მორალური პრინციპებითა და მსოფლგანცდებით ფასდება. უფრო ზუსტად, ნაწარმოებში გაშლილი მთელ მოქმედება, ქართველების მატერიალური და სულიერი გალარიბება, გონებრივი ჩამორჩენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობ, და მისდამი დაპირისპირებული ევროპული განათლება ერთი „ორმაგი“ ცნობიერებით აღიქმება — იოანეს ტკივილით და ზურაბას ხუმრობით.

იოანე ბერის პოზიცია გადმოცემულია მისი წამოძახილით: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის!“. ეს ფრაზა ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს ნაწარმოების აზრის გასახსნელად. ეს ალბათ არ გამოიწვევს ეჭვს, თუ გავიხსენებთ თხზულების შექმნის დროსა და ავტორის ტრაგიკულ ხვედრს, იმას, რომ ცნობილ მებრძოლსა და დიდ პატრიოტს — იოანეს, საქართველოს უკანასკნელი მეფის ძეს, თავისი აუწყობელი ცხოვრების შედეგად ეს სიტყვები ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა თავის თავზეც.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 9. 07. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 09. 85 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85. შეკვ. 1531 უე 05365 ტირაჟი 61.000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

П 3622/2

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**